

**აკაკი წერეთლის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მალხაზ თეიმურაზის ძე მურუსიძე

**რაჭის საეკლესიო–სამონასტრო ცხოვრება
XI საუკუნიდან–XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე
(ნიკორწმინდის საეპისკოპოსო, ჭელიშის მონასტერი).**

ისტორიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა 07.00.01. – საქართველოს ისტორია
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გ. მჭედლიძე

**ქუთაისი
2010**

**რაჭის საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრება
XI საუკუნიდან—XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე
(ნიკორწმინდის საეპისკოპოსო, ჭელიშის მონასტერი)**

შესავალი 4

პირველი თავი

§1. წყაროები და ისტორიოგრაფია..... 10

ა) საარქივო მასალა	10
ბ) წერილობითი წყაროები.....	13
გ) ისტორიოგრაფია.....	19

§ 2. რაჭის საეკლესიო სამონასტრო ცხოვრების

ძირითადი ეპიზოდები..... 30

მეორე თავი

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო 1544—1820 წლებში

§1. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება..... 65

ა) საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი..... 65

ბ) საეპისკოპოსოს დაარსების წინაპირობები 73

გ) ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები 81

§ 2. ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურული

სახე, ეპიგრაფიკული წარწერები და მხატვრობა 84

§ 3. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი	105
§ 4. ნიკორწმინდის ეპარქიის სამეურნეო ვითარების ზოგიერთი ასპექტი.....	125
მესამე თავი	
ჭელიშის მონასტრის ისტორიისათვის	
§ 1. ეპიზოდები ჭელიშის მონასტრის ისტორიიდან (XI–XX სს.).....	145
§ 2. ჭელიშის მონასტრის წინამძღვრები.....	160
§3. ჭელიშის მონასტრის სამეურნეო ცხოვრების ისტორიიდან.....	197
§ 4. ჭელიშის მონასტრის ქონება და ნივთ–სამკაული	206
დასკვნები.....	209
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	215
დანართი.....	226

შესავალი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა სადაც ეკლესიას თავის გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას. იგი ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა და თავისი წვლილი შეპქონდა ქვეყნის აღმშენებლობით პროცესებში. მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა ქართველი კაცის ცნობიერებას, მისი ცხოვრების წესსა და სტილს. აქედან გამომდინარე საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელი იქნება თუ საფუძვლიანად არ გამოვიკვლევთ ქართული ეკლესიის წარსულს. სამწუხაროდ კომუნისტური რეჟიმის არსებობის დროს ყველაზე მეტად ქართული ისტორიოგრაფიის ეს მხარე დაზარალდა. საბჭოური იდეოლოგიისათვის ეკლესიის თემატიკა მიუღებელი იყო. ამიტომაც მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ჩვენში აღნიშნული საკითხების კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. მართალია დღეს ეს აკრძალვა მოხსნილია და ამ კუთხით ბოლო წლებში არაერთი სერიოზული ნაშრომიც შეიქმნა, მაგრამ ათწლეულების მანძილზე ხელოვნურად შექმნილი ვაკუუმის შესავსებად ჯერ კიდევ დიდი შრომის გაწევაა საჭირო.

ქართული ეკლესიის წარსული სურათის აღდგენის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული საეკლესიო ცენტრების (საეპისკოპოსოების, მონასტრების, სამრევლო ეკლესიების) ისტორიის შესწავლას. ისინი დიდ როლს თამაშობდნენ ფეოდალური ხანის საქართველოს სულიერ-კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომაც საჭიროა აღნიშნული საკითხების როგორც ზოგად ასპექტში კვლევა, ასევე თითოეული სასულიერო კერის საფუძვლიანი შესწავლა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანსაც საქართველოს ერთ-ერთი

კუთხის—რაჭის საეკლესიო სენიორიების—ნიკორწმინდის
საეპისკოპოსოსა და ჭელიშის მონასტრის ისტორიის შესწავლა
წარმოადგენს.

ნიკორწმინდის დიდებული ტაძრის ისტორია პირობითად შეიძლება
რამდენიმე პერიოდად დავყოთ: XI–XVI საუკუნეებში იგი საკმაოდ
მძლავრ სამონასტრო კერას წარმოადგენდა, XVI საუკუნეში (1544
წელს) აქ საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, რომელმაც—1820 წლამდე
იარსება. 1820–1917 წლებში ნიკორწმინდამ დაკარგა თავისი ძველი
მნიშვნელობა და იგი ჩვეულებრივ სამრევლო ეკლესიად გადაკეთდა.
მე—XX საუკუნეში აქ კვლავ აღდგა სამდვდელმთავრო კათედრა.

აღნიშნული პერიოდებიდან ფუნქციონალური თვალსაზრისით
ტაძრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი XVI–XVIII საუკუნეები
იყო—როდესაც იგი მთელი რეგიონის საეკლესიო ცენტრს
წარმოადგენდა. თამამად შეიძლება ითქვას რომ გვიან შუა
საუკუნეებში რაჭაში საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრების
აღორძინება—ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებით
დაიწყო.

რაჭის ერთ-ერთ უძველეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა
ჭელიშის მონასტერიც. წყაროებში მისი პირველი მოხსენიება XI
საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ როგოც მკვლევარები სამართლიანად
ვარაუდობენ სამონასტრო ცხოვრება აქ გაცილებით ადრე უნდა
დაწყებულიყო. ჭელიშში საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის
არაერთი ბრწყინვალე ნიმუში შეიქმნა. მაგალითისათვის ალბათ
„მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშური ვარიანტის დასახელებაც
იქმარებს. მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საეკლესიო
განძის საცავსაც. აქ მე—XVII საუკუნიდან გელათის მონასტრის
არაერთი ძვირფასი ნივთი ინახებოდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან
კი სხვავის მონასტრის ნივთ-სამკაული მთლიანად ჭელიშში

გადმოიტანეს. განსაკუთრებით გაიზარდა მისი მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ჭელიში მთელ რაჭაში ერთადერთ მონასტერს წარმოადგენდა. 1903 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „იყო დრო როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებას. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკლესიებში და ატკბობენ ყურს მშვენიერის კითხვითა. (ჭელიძე, „ივერია“, 1903, 2).

ასე რომ რაჭის საეკლესიო-სამონასტრო და კულტურული ცხოვრების სრული სურათის აღდგენა ამ ორი სასულიერო ცენტრის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. სამწუხაროდ დღეს-დღეობით როგორც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს, ასევე ჭელიშის მონასტრის ისტორიაც თითქმის გამოუკვლეველია. სულ რამდენიმე წელიწადში კი (2010-2014 წწ.) საქართველომ ნიკორწმინდის დიდებული ტაძრის 1000 წლის იუბილე უნდა იზეიმოს, მაგრამ ტაძრის მნიშვნელობის სრულყოფილი შეფასება აღნიშნული პერიოდის შესწავლის გარეშე ცხადია გაჭირდება.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი გვაქვს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსა და ჭელიშის მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. საეპისკოპოსოს დაარსების სარწმუნოებრივ-პოლიტიკური წინაპირობები და კათედრის დაარსების თარიღი.
2. ნიკორწმინდასა და ჭელიშში მოღვაწე სასულიერო პირთა (ეპისკოპოსები, წინამდღვრები, ცალკეული სასულიერო პირები) ბიოგრაფიები.
3. ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურული დახასიათება, ეპიგრაფიკული წარწერები და ფრესკული მხატვრობა, ასევე

ჭელიშის მონასტრის ნივთ-სამკაული და მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

4. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს და ჭელიშის მონასტრის მეურნეობა და სოციალური ისტორიის ცალკეული საკითხები. (ყმა-მამული, მიწათმფლობელობის ფორმები, სამწყსო გადასახადები და სხვა.)

ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსება შემთხვევით არ მომხდარა. ეს მოვლენა გარკვეული პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზეზებით იყო განპირობებული. ამ მიზეზების გარკვევა კი უფრო ნათლად გვიჩვენებს ნიკორწმინდის სამღვდელმთავრო კათედრის მნიშვნელობას როგორც საკუთრივ რაჭისათვის, ასევე მთელი იმერეთის სამეფოსათვის. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საეპისკოპოსოს დაარსების კონკრეტული თარიღის გარკვევაც. XVI საუკუნის 40-იან წლებში (1544წელს) როდესაც ნიკორწმინდის ეპარქია ჩამოყალიბდა, ბაგრატ III სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისათვის, როგორც ოსმალეთის, ასევე სეპარატისტი ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ. როდესაც ასეთ ვითარებაში მეფე ახალ საეპლესიო კათედრას აარსებს, ეს უკვე ნათლად მეტყველებს ამ საეპისკოპოსოს მნიშვნელობაზე. ამიტომ აღნიშნული საკითხების კვლევას ჩვენს ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

როდესაც სადისერტაციო თემაზე ვმუშაობდით ჩვენს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრებისა და ღვაწლის შეძლებისდაგვარად წარმოჩენა. უნდა აღინიშნოს რომ საუკუნეების მანძილზე არაერთი საეპლესიო პირი მუხლჩაუხრელად და უხმაუროდ იღწვოდა საკუთარი ქვეყნისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ, დღეს-დღეობით კი მათი უმრავლესობის სახელი მხოლოდ სიგელ-გუჯრებმა და არქივის გახუნებულმა ფურცლებმა

შემოინახა. მათი სამზეოზე გამოტანა და საზოგადოებისათვის გაცნობა კი ჩვენი მამულიშვილური ვალია. ამ მხრივ დისერტაციაში მეტნაკლები სისრულით რაჭის ეკლესია-მონასტრებში (ნიკორწმინდა, ჭელიში) მოღვაწე ოცდაათამდე სასულიერო იერარქის (ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღვარი) ბიოგრაფია გვაქვს შესწავლილი.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსა და ჭელიშის მონასტრის სოციალური ისტორიის საკითხების კვლევას. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილი გვაქვს აღნიშნული სენიორიების-მიწათმფლობელობა, ყმათმფლობელობა, სამწყსო გადასახადები, ეკლესიისათვის ყმა-მამულის შემწირველთა ვინაობა, მეურნეობის სახეები, შემოსავალ-გასავალი და სხვ.

კვლევამ აჩვენა რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო საყდარსაც და ჭელიშის მონასტერსაც საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობა და ყმა-მამული გააჩნდა. მაგალითად: ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დაარსებისას 14 სოფელში 48 კომლ გლეხს ფლობდა. 1819 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით კი ეპარქიას ასევე 14 სოფელში 151 კომლი გლეხი ჰყავდა და ყოველწლიურად 714 მანეთი შემოდიოდა. (ქ.ც.ს.ა. ფ. 321, ს. №1845). მიწათმფლობელობის და ყმათმფლობელობის ფორმები აღნიშნულ სენიორიებში ისეთივე სახის იყო, როგორც საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებში. ნიკორწმინდის საყდრისა და ჭელიშის მონასტრისათვის ყმა-მამულის ძირითად შემწირველებს სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა-რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის ძლიერი ეკლესიის არსებობა.

დისერტაციაში გარკვეული ყურადღება ეთმობა ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურულ დახასიათებას, ეპიგრაფიკული წარწერებისა და ფრესკული მხატვრობის განხილვას, ასევე ჭელიშის მონასტერში დაცული საეკლესიო წიგნების თუ ნივთ-სამკაულის შესწავლას.

ცხადია ქართული კულტურის ისტორიისათვის აღნიშნული საკითხების კვლევას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი თავი

§ 1. წყაროები და ისტორიოგრაფია

ა) საარქივო მასალა

რაჭის ეკლესია-მონასტრების შესახებ ძვირფასი მასალებია დაცული საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში: –საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში, ქუთაისის ცენტრალურ არქივში და სხვ. აქ თავმოყრილია სხვადასხვა დროს (მეფეების, ეპისკოპოსების, ცალკეული ფეოდალების მიერ) გაცემული სიგელ-გუჯრები, ხელნაწერი წიგნები (მრავალი ძვირფასი ისტორიული მინაწერით), ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ხატები, ჯვრები და სხვადასხვა ნივთები (ასევე საინტერესო ისტორიული წარწერებით), მრავალფეროვანი საარქივო მასალა–სასულიერო პირთა ბიოგრაფიები, ეპისტოლარული წერილები, ეკლესია-მონასტრების შემოსავალ-გასავლების აღწერები, ეკლესიებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, მათში დაცული ნივთ-სამკაულთა ნუსხები და. ა. შ.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ფონდებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფონდები: ფონდი №1448–ე. წ. „ძველ საბუთოა დედნების კოლექციის აღწერა“. ამ ფონდში წარმოდგენილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიული პირების მიერ გაცემული სიგელ-გუჯრების დედნები ან მისი სრული ტექსტის კოპიო. რაჭის ეკლესია-მონასტრებიდან განსაკუთრებით უხვადაა აქ დაცული სხვავის უდაბნოს სიგელ-გუჯრები. ასევე ძალზედ საინტერესოა ფონდი №1451-დავთარი №16-რომელიც შემდეგნაირადაა დასათაურებული: „სია საბუთოა, რომელთაებრცა შეწირული არიან იმერეთის სობოროთა ეკლესიებთა და მონასტრებთადმი სხუა და სხუა გუარნი ქონებანი და ყმანი, შედგენილი კამიტეტსა შინა დაწესებულსა საეგლესიოთა

გუჯრებთათვის იმერეთის ეპარხიისათა“ – 1451-ე ფონდის მე-16 დავთარში მოცემულია იმერეთის სხვადასხვა ეკლესიების კუთვნილი სიგელ-გუჯრების მოკლე შინაარსი, რომელიც მე-19 საუკუნეშია შედგენილი, მასში თითეული ეკლესიის საბუთი ცალკეა გამოყოფილი და დასათაურებული. აქ 410 გვერდიდან – 512 გვერდის ჩათვლით მოცემულია რაჭის ეკლესიების კუთვნილი დოკუმენტების მოკლე შინაარსი (საბუთები №524 დან – №670-ის ჩათვლით).

ცალკეული ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ისტორიული საბუთები დაცულია აგრეთვე № 226 ფონდში.

ეგზარქოსობის დროინდელი ეკლესია-მონასტრების ისტორიის ამსახველი წყაროები უხვადაა დაცული ორ ფონდში, ესენია: ფონდი №448: „საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია“ და ფონდი №489: „საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორა“.

ეგზარქოსობის დროინდელი რაჭის ეკლესია-მონასტრების ისტორიის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული ქუთაისის ცენტრალურ არქივში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის ფონდი №21. აქ ინახება მრავალფეროვანი წყაროები XIX-XX საუკუნეებში იმერეთის ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების ისტორიის შესასწავლად. ესენია – მონასტრის წინამდგვართა და კრებულის წევრთა ნამსახურეობითი სიები, მათი მიმოწერა ეპისკოპოსებთან და სხვა სასულიერო პირებთან, მონასტრის კუთვნილი მიწა-წყლის და ყმა-გლეხების აღწერილობები, შემოსავალ-გასავლის დავთრები, მონასტრები ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და სხვა მნიშვნელოვანი ცნობები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მდიდარი ისტორიული მასალებია დაცული ქუთაისის ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმშიც. როგორც ცნობილია მეოცე

საუკუნის 20-იან წლებში ანტირელიგიური კამპანიის დროს დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ნივთების უდიდესი ნაწილი ქუთაისის მუზეუმში იქნა გადმოტანილი. ასე მოხვდა აქ რაჭის ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული უძვირფასები საგანძური რომელიც დღეს დიდ დახმარებას გვიწევს ამ კუთხის საეკლესიო ცხოვრების წარსული სურათის აღდგენაში. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუზეუმში დაცული შემდეგი საისტორიო-საარქივო მასალა – ჭელიშის მონასტრის არქივი (საქალალდე №6474) – აქ წარმოდგენილია ისეთი ხასიათის ცნობები, როგორიცაა: მონასტრის წინამდღვართა და წევრთა ნამსახურეობითი სიები, მიმოწერა სხვადასხვა სასულიერო იერარქებთან, ასევე მონასტრის ქონების პერიოდული აღწერები, აქ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, მონასტრის კუთვნილი ყმა-მამული და სხვა. აღნიშნული მასალა ქრონოლოგიური თვალსაზრისით მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრით და მე-XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

მუზეუმში ინახება ნიკორწმინდის, ჭელიშის და რაჭის სხვა ეკლესიების კუთვნილი არაერთი ხელნაწერი წიგნი ძვირფასი ისტორიული ხასიათის მინაწერებით. აქვე დაცულია მრავალრიცხოვანი სიგელ-გუჯრები რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება-მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა მიერ გაცემული საბუთები, რომლებიც ეპარქიის სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავს. ქუთაისის მუზეუმში ასევე ინახება რაჭის ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული უძვირფასები ხატები, ჯვრები თუ სხვა საეკლესიო ნივთები, რომლებიც ცხადია ფასდაუდებელია ამ მხარის საეკლესიო ისტორიის მრავალი საკითხის გასარკვევად.

ბ) წერილობითი წყაროები

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ძვირფას ისტორიულ ცნობებს შეიცავს ჩვენამდე მოდწეული სიგელ-გუჯრები, რომლებიც სხვადასხვა დროს ცალკეული პირების მიერაა გაცემული. საბედნიეროდ მათი უმრავლესობა დღეს-დღეობით გამოქვეყნებულია. საეკლესიო დოკუმენტების პუბლიკაციის საკითხში უდიდესი წვლილი მიუძღვის ისეთ მკვლევარებს როგორებიცაა: დიმიტრი ფურცელაძე, სარგის კაკაბაძე, თედო უორდანია, ისიდორე დოლიძე და სხვები.

1884 წელს გამოქვეყნდა დიმიტრი ფურცელაძის (1825–1891) პუბლიკაცია: „грузинские церковные гуджари (грамоты). მკვლევარს არაერთი ისეთი სიგელი აქვს გამოცემული რომლის დედანიც შემდეგში ბედის უკუღმართობის გამო დაიკარგა. ამ მხრივ ნაშრომის ფასი უნიკალურია. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ ამ პუბლიკაციაში ისტორიული დოკუმენტები შემოკლებით არის მოცემული და მხოლოდ მათი შინაარსია გადმოცემული. ნაშრომს ახასიათებს სხვა უზუსტობანიც.

საეკლესიო დოკუმენტების პუბლიკაციის საკითხში ფასდაუდებელია სარგის კაკაბაძის (1886–1967) ლგაწლი. მან 1921 წელს ორ წიგნად გამოსცა „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“. მასში რაჭის ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მრავალი სიგელ-გუჯარია დაბეჭდილი. მკვლევარს სხვა არაერთი ისტორიული წყაროების პუბლიკაციაც აქვს განხორციელებული რაც თავის ადგილას გვექნება აღნიშნული.

ქართული საისტორიო დოკუმენტების გამოქვეყნების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ისიდორე დოლიძეს. მან რვა ტომად დაბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლები“— სადაც უამრავმა ისტორიულმა დოკუმენტმა მოიყარა თავი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა ჩვენს ნაშრომში სხვა არაერთი დოკუმენტური წყაროების პუბლიკაციები გვაქვს გამოყენებული, რომელნიც თავ-თავის ადგილზე გვექნება მინიშნებული.

რაჭის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების შესახებ ძვირფას ცნობებს ვპოულობთ სხვადასხვა მემატიანების თხზულებებში, ელჩების რელაციებში, ცალკეული მოგზაურების ჩანაწერებში და. ა. შ.

1651-52 წლებში იმერეთის სამეფოში იმოგზაურეს რუსმა ელჩებმანიკიფორე ტოლოჩანოვმა და ალექსი იუვლევმა. მათ, გარდა დიპლომატიური საქმიანობისა დავალებული ჰქონდათ იმერეთის სამეფოს შესახებ დეტალური აღწერილობის შედგენა და თავიანთი მთავრობისათვის წარდგენა. რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმერეთში ეკლესია-მონასტრების და საერთოდ-მართლმადიდებლური სარწმუნოების მდგომარეობის შესწავლით. ამიტომაც ელჩების მოხსენებებში ჩვენდა საბედნიეროდ აღნიშნულ საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

რაჭაში რუსი ელჩები 1651 წლის 3 ივნისს მოვიდნენ. ისინი გზადაგზა სოფლების დათვალიერებისას მათში არსებულ ეკლესიებსაც აღწერდნენ. გარდა ნიკორწმინდის ტაძრისა (რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), ისინი რაჭის არაერთი ეკლესიის შესახებ გვაწვდიან ცნობებს. ასე მაგალითად: ალექსანდრე მეფის სოფელში, რომელიც მდინარე კრიხულას და რიონს შორის ყოფილა მოთავსებული იევლევი ასახელებს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ქვის საყდარს. ასევე კრიხულას გადმა მათი სიტყვებით: „საოცარი ქვის საყდარია, ძალიან ლამაზი, მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის. საყდრებში ხატები ოქროცურვებული ვერცხლის მოჭედილობაშია ჩასმული, სახეები და სამოსელი ხატებს ვერცხლით მოჭედილი აქვთ, წმინდანების შარავანდედი კი აქაურ ხატებს ოქროსაგან აქვს გაკეთებული და შემკულია მინანქრით.” (იევლევი, 1969, 107). როგორც

გიორგი ბოჭორიძეს აქვს გარკვეული აქ საუბარია ზემო კრიხის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის შესახებ, რომელიც XI საუკუნეშია აგებული (ბოჭორიძე, 1994, 157-158).

ტოლოჩანოვი და იევლევი ასახელებენ კიდევ ერთ: „მთავარანგელოზის სახელობის საყდარს” – სადაც მათი აზრით დინარ (თამარ) დედოფლის თმები იყო დაცული. (იევლევი, 1969, 171; ტოლოჩანოვი, 1970, 144).

აღსანიშნავია რომ რუსი ელჩები ზოგიერთ სოფელს მათში არსებული საყდრის სახელით იხსენიებენ. ასე მაგალითად: გიორგი ბოჭორიძეს გარკვეული აქვს რომ ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობაში მოცემული სოფელი „სპასკოე” – რაჭის სოფელ ბარს უნდა წარმოადგენდეს, ეს სახელი კი ელჩებს მისთვის აქ არსებული მაცხოვრის (რუს. სპასკოე) სახელობის საყდრის მიხედვით უნდა ეწოდებინათ. ასევე ელჩები ასახელებენ აზნაურ „ბაკლი ზირნევის” სამფლობელოში არსებულ სოფელ „ღვთისმშობლისს” – რაც აშკარაა რომ ამ სოფელში არსებული ღვთისმშობლის სახელობის საყდრის სახელიდანაა წარმომდგარი.

რაჭის საეკლესიო ცოვრების შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი (1696–1757). მის ნაშრომში რაჭის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას ორი თავი აქვს დათმობილი. ისინი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „რაჭისათვის” და „რაჭის სამზღვართათვის“. აქედან ამ კუთხის ეკლესია-მონასტრების შესახებ საუბარია მხოლოდ პირველ თავში. ვახუშტი აქ გარდა ნიკორწმინდის ტაძრისა ასახელებს შემდეგ ეკლესიებს: მრავალძალის წმიდა გიორგის, ძეგლევის, სადმელის წმიდა გიორგის, სორის მონასტერს, უწერისა და გლოლის ეკლესიებს. იგი არა მარტო აღნიშნავს ამა თუ იმ ეკლესიას და მის ადგილ-მდებარეობას, არამედ აღწერს კიდევაც მათში დაცულ სიწმინდეებს. მაგალითად მრავალძალის ეკლესიის შესახებ ვახუშტი

წერს: „ბარის წყალს ზეით არს მთაში მრავალძალის ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთ-მოქმედი. ამას შესწირა ა-შააბაზ ხრმალი ოქროთ მოფენილი, აწცა ძეს მუნ..“ (ბაგრატიონი, 1973, 765). ასევე ძეგლევის ეკლესიის შესახებ იგი აღნიშნავს რომ: „...ონის პირისპირ, რიონის ჩრდილოთ მთის კალთასა შინა, მაღლა, არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მდუღარებს მარადის და რაოდენ იღებენ, არა აკლს ჭიქასა მას ” (ბაგრატიონი, 1973, 767-768). ვახუშტის ამ ცნობასთან დაკავშირებით საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია 1848 წელს მარი ბროსეს. ამ გადმოცემის თანახმად ძეგლევის ეკლესიაში დაცული ეს „ზეთიანი ჭიქა“ სასწაულთმოქმედი ყოფილა და მას სამკურნალოდ იყენებდნენ. XVIII საუკუნის შუა ხანებში ონის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელს იგი ავადმყოფის განსაკურნებლად ძეგლევიდან ონში წაუდია, მაგრამ გზაში წაქცეულა და ჭიქა გატეხილა, ხოლო ზეთი კი დაქცეულა. (ბერაძე, 1983, 123-124).

უწერაში ვახუშტი ასახელებს სიონის ეკლესიას, მისი ცნობით: „...ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყვიან თამარ მეფისასა“ (ბაგრატიონი, 1973, 768). ვახუშტიმ იცის რომ რაჭა და განსაკუთრებით კი მისი მთიანი ნაწილი ომიანობის დროს ქრისტიანული სიწმინდეების სახიზარი იყო. ამიტომ გლოლის ეკლესიის შესახებ იგი შენიშნავს: „...აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯუარითა და წიგნებითა, ძუელადვე ხიზნულნი“. (ბაგრატიონი, 1973, 768).

რაჭის მონასტრებიდან ვახუშტი თავის აღწერილობაში მხოლოდ სორის მონასტერს ასახელებს: „...მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოეთიდამ სორის ხევი. ამაზედ არს მონასტერი უგუმბათო, დიდი, კეთილ-შენი, აწ ხუცის ამარად “. (ბაგრატიონი, 1973, 766).

გარდა „აღწერილობისა“ ვახუშტი ბაგრატიონს რაჭის ეკლესია-მონასტრები გამოსახული აქვს თავის ისტორიულ ატლასზე. აქ წარმოდგენილია შემდეგი ტაძრები: ნიკორწმინდა- საეპისკოპოსო, წესი-ეკლესია, სორი- მონასტერი, ნათლისმცემლის უდაბნო— მონასტერი. (ბაგრატიონი, 1996,)

მე-XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან გიულდენშტედტმა. მან სხვა კუთხეებთან ერთად რაჭაც მოინახულა: „4 კვირას ვიმოგზაურე რაჭაში და შემდეგ გავედი აქედან“—წერს იგი თავის ნაშრომში. (გიულდენშტედტი, 1962, 131). გიულდენშტედტის ინტერესების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: საქართველოს ბუნება და წიაღისეული სიმდიდრეები, ხალხის ყოფა და ზნე-ჩვეულებები და. ა. შ. მან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ეკლესია-მონასტრების და საერთოდ ქრისტიანული ყოფა-ცხოვრების შესწავლასაც. მეცნიერს თვალთახედვიდან არ გამოპარვია ქართველთა სარწმუნოებრივი მხურვალება და შენიშნა: „ქართველი ქრისტიანები არაჩვეულებრივად ზედმიწევნით და მკაცრად იცავენ ზიარების, დღესასწაულების, წირვაზე დასწრების, მარხვის შენახვისა და [დვთისმსახურების] ყველა წესებს. მათი მარხვის დღეებია ოთხშაბათი და პარასკევი. ვნების კვირის დღეებში ისინი არათუ მარტო ბოსტნეულს ჭამენ, არამედ დღეში მხოლოდ ერთი ჯერით კმაყოფილდებიან. (გიულდენშტედტი, 1962, 205).

რაჭის ეკლესიებიდან გიულდენშტედტი ასახელებს— ნიკორწმინდას, მრავალძალის წმიდა გიორგის ეკლესიას, ასევე ორ მონასტერს (განდეგილთა საცხოვრებელს), რომელიც აღწერილობის მიხედვით—სხვავის (იოანე ნათლისმცემლის სახელობის ველტყევის მონასტერი) და ჭელიშის (დვთისმშობლის მიძინების) მონასტრებს უნდა წარმოადგენდეს.

გერმანელი მეცნიერი არ კმაყოფილდება ამა თუ იმ ეპლესის მხოლოდ დასახელებით, არამედ აღწერს კიდევაც მათ. მაგალითად—იგი გვაწვდის ნიკორწმინდის ეპლესის ზომებს (სიგრძე-20 ნაბიჯი, სიგანე-15), აღწერს ტაძარში წმინდანთა გამოსახულებებს. აქვე მეცნიერი იხსენიებს ეპისკოპოსის საცხოვრებელ სახლს, რომელიც მისი აზრით ყველაზე საუკეთესო შენობა ყოფილა მთელს იმერეთში. გიულდენშტედტი დეტალურად აღწერს მრავალძალის წმიდა გიორგის ეპლესიას: ტაძარში გამოსახულ წმიდა გიორგის ფრესკას, წარწერას, ასევე ძვირფას ნივთებს, რომელიც ეპლესიაში ყოფილა დაცული. მეცნიერს კარგად შეუნიშნავს ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი სასოება მრავალძალის წმიდა გიორგის ეპლესიისადმი და აღნიშნავს: „...ბრავალძალში არის ქვის პატარა ეპლესია მიძღვნილი წმიდა გიორგისადმი, რომელმაც ეს სოფელი უნდა დაიცვას მტრის ყველა შემოსევისაგან...” (გიულდენშტედტი, 1962, 119).

რაჭის ეპლესია—მონასტრები სხვა წერილობით წყაროებშიც მოიხსენიება, მაგრამ რადგანაც ისინი ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ რაიმე მნიშვნელოვან და განსხვავებულ ინფორმაციას არ გვაწვდიან, ამიტომ მათზე აქ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ.

გ) ისტორიოგრაფია

რაჭის საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრების ცალკეული საკითხები არაერთ მონოგრაფიასა თუ გამოკვლევაშია განხილული.

1833 წელს რაჭას ეწვია ცნობილი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონპერე. შვეიცარიელმა მეცნიერმა რაჭის დიდი ნაწილი მოიარა და არაერთი არქიტექტურული ძეგლი აღწერა. გარდა ჩანაწერებისა, ის ჩანახატებსაც ასრულებდა და მისი ნაშრომი ამ მხრივაც არის საინტერესო. (Dubois; voyage autour du caucase, t II. paris, 1838).

რაჭის არქიტექტურული ძეგლების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მარი ბროსეს (1802–1880). მან ამ კუთხის მრავალი ისტორიული ძეგლი აღწერა, გადმოიღო წარწერები და გაშიფრა. ამ მხრივ მის ნაშრომს ცალკეულ შემთხვევებში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მის შემდეგ (1847-48 წლები), რაჭის ზოგიერთი ეკლესიის წარწერები დაზიანდა და მოგვიანებით თვით ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ბოჭორიძე და სხვებიც არაერთ წარწერას ბროსეს წაკითხვის მიხედვით აღადგენდნენ. (Brossset, raports sur voyage archeologique dans la georgie et dans l'armenie, spb, 1851, XII rap.).

1894 წელს საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა რუსმა სიძველეთა მკვლევარმა პრასკოვია უვაროვამ. (1840–1924). სხვა კუთხეებთან ერთად მან რაჭაც მოინახულა. სქელტანიან ნაშრომში რომელიც ამ მოგზაურობის დროს შესწავლილი მასალების გამოქვეყნებას მიეძღვნა განხილულია რაჭის შემდეგი სოფლები და ეკლესიები: ლები, გლოლა, სორი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ნიკორწმინდა. მკვლევარი საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის მის მიერ ნახული ძეგლების არქიტექტურაზე, მხატვრობაზე, ეპიგრაფიკულ წარწერებზე, ტაძრებში დაცულ ნიგო-სამკაულზე და მათს წარწერებზე. პრასკოვია უვაროვა არა მარტო აღწერს ამა თუ იმ

ტაძარს ან ნივთს, არამედ ცდილობს მათ მეცნიერულ შესწავლას. უნდა აღინიშნოს რომ ამ მხრივ მის ნაშრომში საკმაო უზუსტობებიცაა დაშვებული, რაც თავის ადგილას აქვთ კიდევაც აღნიშნული ქართველ მკვლევარებს. მაგალითად-ნიკორწმინდის ორნამენტების განხილვამ უვაროვა მიყვანა იმ დასკვნამდე რომ ტაძარი მე-XI საუკუნეზე გვიანდელია და დაახლოებით ზარზმისა და საფარის თანამედროვე უნდა იყოს. ამის დასასაბუთებლად კი მკვლევარი იყენებს დიმიტრი ფურცელაძის მიერ გამოქვეყნებულ ბაგრატ III-ის სიგელს და ნიკორწმინდას – XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს. (Уварова , 1894, 136), მაგრამ როგორც დღეს გარკვეულია დ. ფურცელაძეს ზემოაღნიშნული სიგელი შეცდომით აქვს დათარიღებული 1434 წლით. სინამდვილეში სიგელი 1544 წელსაა გაცემული და რაც მთავარია- ამ საბუთში საუბარია ნიკორწმინდის ტაძრის განახლებაზე და იქ საეპისკოპოსო საყდრის დაარსებაზე და არა ახალი საყდრის აგებაზე. ასეთი შეცდომები ნაშრომში საკმაოდ გვხვდება და ამიტომ მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო.

ნიკორწმინდის და აგარის ტაძრების და მათში დაცული ნივთ-სამკაულის საკმაოდ სრული და საინტერესო აღწერილობა გამოაქვეყნა 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ არისტო ქუთათელაძემ. ავტორს ზოგიერთი ისეთი ხელნაწერი აქვს შესწავლილი, რომელიც არც ადრინდელ და არც შემდეგდროინდელ მკვლევარებს არ აქვთ თავიანთ ნაშრომებში მოხსენიებული. ერთ-ერთი ასეთი საექლესიო წიგნის შესახებ იგი აღნიშნავს: „არც ბროსსეს არხეოლოგიურს მოგზაურობაში, და არც კონდაკოვის და ბაქრაძის მოგზაურობაში არ იხსენიება ეს ხელნაწერი“ (ქუთათელაძე, 1894, 47). ჩვენის მხრივ დავამატებთ რომ აღნიშნულ ხელნაწერს (წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება) არც ექვთიმე თაყაიშვილი და არც გიორგი ბოჭორიძე არ ასახელებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ ამ

ხელნაწერის მინაწერში მოხსენიებულია ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სილიბისტო, რომელიც სხვა სიგელებიდანაც არის ცნობილი და ამ მხრივ აღნიშნული ხელნაწერი ამ სიგელების მონაცემებს კიდევ ერთხელ ადასტურებს.

არისტო ქუთათელაძეს გარდა ტაძარში დაცული ხელნაწერებისა, ასევე დეტალურად აქვს შესწავლილი ნიკორწმინდის და აგარის ეკლესიების ეპიგრაფიკული და ფრესკული წარწერები, ხატები, ჯვრები და მათზე არსებული წარწერები, ნეკროპოლი და სხვა.

1902 წელს რაჭაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ სოსიკო მერკვილაძემ (1854–1934). მან ნანახი და განცდილი შთაბეჭდილებები ძალზედ საინტერესოდ აღწერა ვრცელ ნარკვევში, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მოგზაური ნიკორწმინდის დიდებული ტაძრის მშვენიერებით მოხიბლული, აღფრთვანებული წერს მის შესახებ: „ ეკლესია ნაშენია თლილი, მოჩუქურთმებული ქვით და განსაკუთრებით მთელი გუმბათი იშვიათის და განსაკუთრებულის ხელობის ჩუქურთმით არის აგებული. მთელ გუმბათზედ ვერ იპოვნით ხელის სიფართე ალაგსაც, რომელიც ძრიელ წვრილის და დრმა ჩუქურთმებით არ იყოს შემკული, უყურებ ამ ჩვენის წარსულის ხუროთმოძღვრების და ხელოვნების დიდ ნაშთს და ვერ აშორებ თვალს. გინდა უცქირო და სტკბებოდე მისი სიშვენიერით. მე დამივლია ჩემი ძვირფასი სამშობლო, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მრავალი კუთხეები, მინახავს მისი განსაცვიფრებელი ხელოვნების დიდებული ნაშთები, მაგრამ ნიკორწმინდის ტაძრის ხელოვნებისთანა კი არსად შემხვედრია.” (მერკვილაძე, „ივერია“, 1902, 2). სოსიკო მერკვილაძემ აღწერა ნიკორწმინდის ტაძრის, როგორც ეპიგრაფიკული წარწერები, ასევე ხელნაწერი წიგნები და სიწმიდეები. მოგზაურს ასევე მოუნახულებია და აღუწერია ბარაკონის ტაძარი. მარიამობის დღესასწაულზე (28 აგვისტოს) სოსიკო მერკვილაძე ეწვია ჭელიშის

მონასტერს. მკვლევარი ძალზე ხატოვნად და საინტერესოდ აღწერს ჭელიშის მონასტრისაკენ მიმავალ გზას, ბუნებას, მონასტრის ადგილ-მდებარეობას და. ა. შ. მოგვითხრობს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემაზე რომელიც რაჭველებში ჰქონდა მოპოვებული მონასტრის წინამდღვრად ახლად გამწესებულ არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) – „ახლო-მახლო სოფელში ჩვენ იმისთანა კაცს არ შევხვედრივართ, რომელიც წრფელის გულით არ იყოს გამსჭვალული მამა ამბროსისადმი “– წერს პუბლიცისტი. (მერკვილაძე, 1902, № 211).

ჭელიშის მონასტრის ისტორიისა და სიძველეების პირველ მკვლევარად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია (1861–1927 წლები) გვევლინება. იგი 1902-1903 წლებში ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად იყო დადგენილი და გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, აქტიურ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა, და სურდა ამ კუთხით დრო არ დაეკარგა: „...რადგან დავრწმუნდი რომ საქართველოს ამ მივარდნილი კუთხის სიძველენი ძალიან ნაკლებ არის ცნობილი მე განვიზრახე შემომევლო რაჭა-ლეჩხუმი და რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა ჩემთვის, ამეწერა ის საისტორიო ნაშთები, რომელიც გადაურჩა დროთა ვითარებას და ჩვენს შეუგნებლობა-დაუდევრობასო”– წერდა მკვლევარი, (ამბროსი ხელაია, „განთიადი”, № 2, 1915, 11). ამ დროს სიძველეთა დაცვის საქმე ეკლესია-მონასტრებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ეკლესიებში რუსული ენის გაბატონების გამო, უძველესი ქართული ხელნაწერების პრაქტიკული გამოყენების საჭიროება თითქმის აღარ არსებობდა, რუსულ ყაიდაზე აღზრდილი და სწავლა-მინაღები ზოგიერთი სამდვდელო პირი კი ქართული ფოლიანტების მოვლა-პატრონობის აუცილებლობას თითქმის ვეღარ გრძნობდა. ამ მხრივ ჭელიშის მონასტერში მისულ ამბროსი ხელაიას ფრიად სავალალო მდგომარეობა დახვედრია: „...უმრავლესობა ჭელიშის მონასტერში დაცული ხელნაწერებისა გადმოუტანიათ

სხვავიდან, სხვავის ან ველტყვევის გაუქმების შემდეგ. მარა ახლა მნელია დანამდვილებით ითქვას, რომელი ან რამდენი მათგანი ეკუთვნოდა სხვავის უდაბნოს. ამის მიზეზი იყო დაუდევრობა ან უკეთ ვთქვათ, შეუგნებლობა მონასტრის მმართველობისა, რომელნიც ამ ხელნაწერებს არ აძლევდნენ არავითარ მნიშვნელობას და ამის გამო, ეკლესიის ქონებათა აღწერილობაშიც არ შეუტანიათ...ბევრი ძვირფასი ხელნაწერები დაკარგულია სამუდამოდ მეცნიერებისთვის, ხოლო დანარჩენი მიუყრიათ ეკლესიის კუთხეში, სხვა უხმარ და უვარგის ნივთებთან, რომელსაც მონასტერი არ საჭიროებდა. ამის გამო, ხელნაწერები იმდენათ დამპალ-დანესტიანებული აღმოჩნდა, რო საჭირო შეიქნა მათი გამომზეურება და თითო ფურცლობით შრომა რასაც მოუნდა თელი ერთი თვე “ (ხელაია, ჟურ. „ცხოვრება”, 1916, №15 29-30). არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას ასეთი მზრუნველობით ჭელიშის მონასტერში ათეულობით ძვირფასი ხელნაწერი წიგნი იქნა აღმოჩენილი და გამომზეურებული, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი ჭელიშური „მოქცევაი ქართლისაი“-ს ხელნაწერი, რომელიც პირველად თავად აღმომჩენმა შეისწავლა და გამოსცა.

გარდა სიძველეთა მოვლა-პატრონობისა ამბროსი ხელაია ჭელიშის მონასტერში წმინდა მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან დეტალურად აღწერა მონასტრის როგორც ხელნაწერი წიგნები, ასევე ნივთ-სამკაული და მოგვიანებით ჟურნალებში: „განთიადსა“ და „ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა ეს აღწერილობანი. ჭელიშის მონასტრის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარისათვის ეს წერილები ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს. ავტორს თავისი წინამძღვრობის დროს მონასტრის შესახებ ბერებში და მოსახლეობაში დაცული არაერთი საყურადღებო გადმოცემა აქვს ჩაწერილი, რომელთაც დღეს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამის საშუალებით ვგებულობთ რომ ჭელიშის მონასტერი ადრე გუმბათიანი ყოფილა, რომ

მონასტრის ახლანდელი ეკლესიის აღმშენებელი პაატა წულუკიძეა და. ა. შ. არქიმანდრიტი ამბოსი ასევე კარგად იცნობდა XIX საუკუნის ჭელიშის მონასტრის არქივს და ამ მხრივაც ბევრ ძვირფას ცნობას გვაწვდის.

1919-1920 წლებში რაჭაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან ინახულა შემდეგი სოფლები და ეკლესიები: ლები, ჭიორა, გლოლა, სორი, აგარა, სხვავა, ხოტევი, ხონჭიორი, მრავალმალი, ბუგეული, მიქარწმინდა, ქედისუბანი, ჭელიშის მონასტერი, ნიკორწმინდა, ონი, ბარაკონი, ბეთლევი. ექვთიმე თაყაიშვილმა დეტალურად აღწერა და გამოიკვლია როგორც ეკლესია-მონასტრები, ასევე მათში დაცული სიწმინდეები: ხატები, ჯვრები, სხვადსხვა საეკლესიო ნივთები, ხელნაწერი წიგნები, მათზე მოთავსებული წარწერებით. გამოთქვა არაერთი საყურადღებო მოსაზრება— როგორც ისტორიული პირების დადგენის, ასევე ეკლესია-მონასტრების და ხელნაწერი წიგნების დათარიღების საკითხში. გაასწორა ბევრი შეცდომა, რომელიც წინამორბედმა მკვლევარებმა (ბროსე, კონდაკოვი, უვაროვა) დაუშვეს, როგორც წარწერების ამოკითხვის, ასევე სხვადასხვა ნივთების დათარიღების საკითხში. ექვთიმე თაყაიშვილმა რაჭაში მოგზაურობის დროს არაერთი ძვირფასი ხელნაწერი იხსნა განადგურებისგან. მაგალითად სორის ეკლესიის სახარება „საუცხოვო ფერადოვანი კამარებით“ და საყურადღებო ისტორიული მინაწერებით მას ნაგავიდან ამოუდია. (თაყაიშვილი, 1963, 33). ასევე მე-XV საუკუნის ბრწყინვალე ზატიკი მეცნიერმა „გაუქმებული და გავერანებული ხოტევის პატარა ეკლესიის ნაგავში იპოვა. (თაყაიშვილი, 1963, 47). სამწუხაროდ ბევრ ხელნაწერს თუ სხვა სიწმინდეებს მკვლევარმა ვეღარ მიუსწრო. ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი თავისი ნაშრომის შესავალში გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენი ეკლესიის განძეულობა დღითი-დღე იკარგება,

ბევრი რამ, რომელზეც ცნობა გვქონდა ლიტერატურული თუ კერძო წყაროებიდან, თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ხელნაწერები სულ დაკარგულა ან გაფუჭებულა. ჭყონდიდის მიტროპოლიტ ამბროსისაგან მქონდა ცნობა ზოგიერთ ხელნაწერის შესახებ. ეს ხელთნაწერები მას ენახა და ზოგი რამ კიდევაც ამოეწერა, მაგრამ ეხლა იქ აღარ მოიპოვებიან და უარსაც ამბობენ, რომ ოდესმე ყოფილა, განსაკუთრებით გვაინტერესებდა პეტრე ქართველის ცხოვრების ძველი ვარიანტი, რომელიც წინეთ მიქარწმინდაში ყოფილა და დღეს აღარ არის. (თაყაიშვილი, 1963, 7). ამრიგად ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რაჭის ეკლესია-მონასტრების ისტორიის შესწავლის საქმეში და მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის.

რაჭის ისტორიული ძეგლების და ეკლესიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ მკვლევარსა და ისტორიკოსს-გიორგი ბოჭორიძეს. (1884–1939). თამაზ ბერაძის სამართლიანი შეფასებით: „...ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში არავის გაუკეთებია იმდენი, რაც გიორგი ბოჭორიძემ შეძლო“ (ბერაძე, 1983, 31). მან 1923-1926 წლებში არაერთგზის იმოგზაურა რაჭაში. როგორც თავად მკვლევარი აღნიშნავდა იგი რამდენიმე მიმართულებით აწარმოებდა მუშაობას: პირველი—სიძველეების შეგროვება, მეორე—ძეგლების დაცვა და მესამე—უცნობი ძეგლების აღრიცხვა. გიორგი ბოჭორიძეს უაღრესად როულ ვითარებაში უხდებოდა თავისი მისიის შესრულება. ეს იყო ეპოქა, როდესაც ბოლშევიზმის სენიორ გონიერადაბინდული საზოგაოება დაუნდობლად ანადგურებდა ყველაფერს, რაც რელიგიასთან, კულტურასთან და ტრადიციულ ფასეულობებთან იყო დაკავშირებული: „სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა ძველს ყველაფერს ნოქავდა, სპობდა და აქრობდა, ამიტომ მოგზაურობა სწარმოებდა

მეტისმეტად აჩქარებული ხასიათით, ელვის სისწრაფით მიხდებოდა გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში, რევოლუციის ქარცეცხლს ხელიდან ვგლეჯდი მრავალათასწლოვან კულტურულ ნაშთებს. რასაც მოვასწრებდი გადარჩენილი იყო, რასაც არა დაღუპული“ – აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში მკვლევარი. (ბოჭორიძე, 1994, 36). გიორგი ბოჭორიძემ რაჭაში მოგზაურობის შედეგად უნიკალური საეკლესიო ნივთები მოაგროვა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებს ჩააბარა, რითაც ისინი აშკარა განადგურებისაგან იხსნა. სამწუხაროდ რის წამოლებასაც მეცნიერი ვერ ახერხებდა თითქმის ყველაფერი განადგურებული ხვდებოდა. 1930 წელს მკვლევარი ივანე ჯავახიშვილს წერდა: „ჩემ მიერ 1925 და 1927 წლებში აღრიცხულიდან ერთი თვალსაჩინო ნაწილი აღარ აღმოჩნდა და აღმოჩენილიც ნაწილობრივ ძლიერ დაზიანებულია. ეს დაზიანება მომხდარა 1927–1930 წლებში“ (ბოჭორიძე, 1994, 384–385). ყოველივე ამის მიზეზად გიორგი ბოჭორიძე ადგილზე სიძველეთა დაცვის საქმის მოუწყობლობას მიიჩნევდა, ამიტომ მკვლევარმა სიძველეების დამცველთა მთელი ქსელი შექმნა რაჭა-ლეჩხეუმში. ამასთან იგი დაუნდობლად ებრძოდა კულტურული ფასეულობების გამნადგურებლებს და მათ მკაცრად დასჯასაც მოითხოვდა.

1926 წლიდან გიორგი ბოჭორიძემ ხელახალი მოგზაურობა დაიწყო რაჭაში, რომლის მიზანიც მეცნიერული ხასიათისა იყო. მკვლევარის ხელში ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად უნიკალურმა ისტორიულმა ცნობებმა მოიყარა თავი. ეს იყო ხატების, ჯვრების, ფრესკების წარწერები, ხელნაწერ წიგნთა მინაწერები თუ სხვა წყაროები. მათი დეტალური შესწავლისა და გაანალიზების შედეგად კი შეიქმნა კრცელი ნაშრომი: „რაჭის ისტორიული ძეგლები“, რომელიც: „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ ნომრებში დაიბეჭდა. (ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1931-

1932, გ.VII, 203–259: გ.VIII, 1933–1934, 289–338). მკვლევარი აპირებდა ერთიანი, უფრო ვრცელი მონოგრაფიის შექმნასაც რაჭა–ლეჩეუმზე, მაგრამ სამწუხაროდ მას ეს არ დააცალეს. მხოლოდ, მოგვიანებით—1994 წელს მოხერხდა გიორგი ბოჭორიძის ნაშრომის ერთიან წიგნად გამოცემა: (ბოჭორიძე, 1994). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რომ დღეს–დღეობით რაჭის ეკლესიის და კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარისათვის ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. ნაშრომი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. შესავალში მკვლევარი რაჭის ისტორიის არაერთ კარდინალურ საკითხს იხილავს და საინტერესო მოსაზრებებსაც გვთავაზობს. გიორგი ბოჭორიძეს აქ გაანალიზებული აქვს ისეთი თემები, როგორიცაა – რაჭის ისტორიული საზღვრები, რაჭის საერისთავოს როლი ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შესწავლილი რაჭის ისტორიული ძეგლების და კულტურული ცხოვრების ეტაპობრივი განვითარება. ასევე შესწავლილია ცალკეული ფეოდალური საგვარეულოების თუ ისტორიული პიროვნებების როლი რაჭის კულტურულ და სასულიერო ცხოვრებაში. მკვლევარი ძალიან საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს რაჭაში ქრისტიანობის გავრცელების გზებზე და. ა. შ. ნაშრომის ძირითად ნაწილში მოცემულია – რაჭისა და ლეჩეუმის ისტორიული ძეგლების ყველაზე სრულყოფილი აღწერილობა.

1957 წელს ნათელა ალადაშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია: „ნიკორწმინდის რელიეფები”. (ალადაშვილი, 1957). ნაშრომი შესავალის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან შედგება, მასში დეტალურადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ნიკორწმინდის ტაძრის (ფასადები, პორტრეტები, ტიმპანები) რელიეფური სცენები, მოცემულია მათი დეტალური მხატვრული ანალიზი, ნაჩვენებია ნიკორწმინდის რელიეფების აღგილი შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის

განვითარების პროცესში, მკვლევარი ნიკორწმინდის ფიგურული კომპოზიციების განხილვისას სამი სხვადასხვა ოსტატის ხელწერას გამოჰყოფს და ამის მიხედვითაც აჯგუფებს ცალკეულ რელიეფურ სცენებს. დეტალურად აქვს შესწავლილი ტაძარზე წარმოდგენილი მდიდარი ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, მათი სავარაუდო წარმომავლობა და . ა. შ.

რაჭის ისტორიით დაინტერესებული პირი გვერდს ვერ აუვლის თამაზ ბერაძის ნაშრომებს, რომელიც სპეციალურად ამ რეგიონისადმია მიძღვნილი. მკვლევარმა ისტორიული გეოგრაფიის V ტომში დაბეჭდა სტატია: „რაჭა ფეოდალურ ხანაში“. (ბერაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, 1975). 1983 წელს მან ასევე გამოსცა წიგნი: „რაჭა“. (ხელახლა გამოიცა 2004 წ.) გარდა შესავალისა, ნაშრომი შვიდი თავისაგან შედგება და მასში განხილულია ამ კუთხესთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ცალკეულ მემატიანეთა, მოგზაურთა, მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომები რაჭის შესახებ, ასევე მოცემულია რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა, გზები ძველ რაჭაში, რაჭის უძველესი ისტორიული წარსული, ამ კუთხის საერისთავოს და ცალკეული ფეოდალური საგვარეულოების ისტორია, რაჭველთა ყოფა-ცხოვრება და სხვა. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკვლევარს სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი რაჭის არქიტექტურული ძეგლების შესწავლისადმი. აქ განხილულია ამ კუთხის ისეთი ცნობილი ეკლესია-მონასტრების ისტორია, როგორებიცაა: მრავალძალის წმინდა გიორგის, მთის (ლეპარის) წმინდა გიორგის, უწერის, ძეგლების, შეუბნის, წედისის, სომიწოს, ბოყვას, ფარახეთის, ბარის, ხიმშის და სხვა ეკლესიები, ჭელიშის, სორის, სხვავის მონასტრები, ნიკორწმინდის დიდებული ტაძარი. შესწავლილია ამ ეკლესია მონასტრების ისტორიის ისეთი საკითხები,

როგორიცაა: არქიტექტურა, ეპიგრაფიკული წარწერები, ფრესკული მხატვრობა, ეკლესიის კუთვნილი ყმა-მამული, სხვადასხვა ლეგენდა-გადმოცემები.

2003 წელს ნიკორწმინდის ეპარქიის უურნალ „ორნატში“ ძალზედ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა მკვლევარმა გოჩა გუგუშვილმა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს შესახებ. ისტორიკოსი ნარკვევში მომოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რაჭის საერისთავოს ისტორია, ქრისტიანობის გავრცელების დრო და გზები ამ კუთხეში, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსები და სხვა. მომოიხილავს რა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ არსებულ წყაროებს, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე რომ მას სხვა კუთხეებთან ერთად რაჭაშიც უნდა ექადაგა ქრისტეს რჯული და ამრიგად ამ რეგიონში ქრისტიანობის გავრცელება პირველივე საუკუნეებშივე უნდა მომხდარიყო. სტატიაში მოცემულია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის შესწავლის ცდა. ავტორი ასევე ეხება 1819–1820 წლების აჯანყებას და რუსთა სადამსჯელო დონისძიებებს რაჭაში. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, სტატიაში ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული.

გარდა ზემოთ განხილული ნაშრომებისა ჩვენს სადისერტაციო თემაში სხვა არაერთი მკვლევარის მონოგრაფია თუ სამეცნიერო სტატია გვაქვს გამოყენებული. ცხადია ყველა მათგანის დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომაც მათ შესახებ შესაბამის ადგილზე გვექნება საუბარი.

§ 2. რაჭის საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები.

საქართველოს ულამაზეს კუთხეს – რაჭას უაღრესად მდიდარი ქრისტიანული ცხოვრების გზა აქვს განვლილი. მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაცია და სასულიერო ცხოვრების დაწყება ამ რეგიონში საკმაოდ ადრეულ ეპოქაში უნდა მომხდარიყო. სამწუხაოდ წყაროთა უაღრესი სიმცირის გამო ბევრ საკითხზე ჯეროვანი პასუხის გაცემა ვერ ხერხდება და ამიტომ ვარაუდების დონეზე გვიწევს მსჯელობა. ცხადია უპირველესი ამოცანა, რომელიც ამ შემთხვევაში მკვლევარის წინაშე იჩენს თავს მდგომარეობს შემდეგი საკითხების გარკვევაში:

1. რა დროიდან ვრცელდება ქრისტიანობა რაჭაში.
2. საიდან არის ქრისტიანობა შესული რაჭაში.
3. ვის ექვემდებარებოდა ახლადჩამოყალიბებული რაჭის ეკლესია ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დაქვემდებარებულ დასავლეთ საქართველოს (ლაზიკის) ეპარქიებს, თუ მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს.

აღნიშნული საკითხების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ ვის შემადგენლობაში შედიოდა რაჭა პოლიტიკურად ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში: ეგრისის თუ ქართლის სამეფოს, ამიტომ პირველ რიგში შევეცდებით ჩვენს ხელთ არსებული წყაროების და ამ საკითხზე სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოშველიებით აღნიშნული პრობლემა გავაანალიზოთ. ამ მხრივ მკვლევარები ყურადღებას აქცევენ სტრაბონის ცნობას, რომლის მიხედვითაც მდინარე ფაზისი (რიონი) იბერიიდან კოლხეთში მოედინება: „კოლხეთიდან უნდა იარო ვიწრო მთებში, სადაც მიედინება მდინარე ფაზისი, რომელზედაც აგებულია

120 ხიდი. ეს მდინარე იბერიიდან კოლხეთში ეშვება”. გოჩა გუგუშვილი ამ ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მდინარე ფაზისი იგივე რიონი, სათავეს ცენტრალური კავკასიონის მთიდან – ფასის მთიდან იღებს. ამჟამად ეს მთა რაჭას ეკუთვნის, ამდენად მდინარე რიონის სათავეც და მისი ზემო წელიც რაჭაში მდებარეობს. წყაროს მიხედვით რიონი იბერიიდან მოედინება. გამოდის რომ თანამედროვე რაჭის ტერიტორია იმხანად იბერიის შემადგენელ ნაწილად, ხოლო ფაზისის ხეობაში მცხოვრები იბერებად ითვლებოდნენ.” (გუგუშვილი, 2003, 57). თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სტრაბონისეულ მდინარე ფაზისში დღეს მდინარე რიონი და მისი შენაკადი ყვირილა ივარაუდება (ცქიტიშვილი, 1955, 308), რაც ართულებს ამ ცნობის პირდაპირ გამოყენებას რაჭის, როგორც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიის დასადასტურებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი აზრით ამ ცნობას ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად მაინც გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა. თუკი სტრაბონისეულ ფაზისში მდინარე ყვირილას ვიგულისხმებთ, მაშინ გამოდის რომ არგვეთის ტერიტორია ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, ვინაიდან მდინარე ყვირილა არგვეთის ტერიტორიაზე მოედინება. ქართული წყაროების ჩვენების მიხედვით კი ხშირად რაჭა და არგვეთი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. მაგალითად ჯუანშერის მიხედვით ვახტანგ გორგასალის დროს რაჭას და არგვეთს ერთი ერისთავი ბაკური განაგებდა (ქართლის ცხოვრება, 1955, 185) ასევე ძალზედ საინტერესოა ვახუშტის შემდეგი ცნობაც: „პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთო, მერმე იქმნა თვით საერისთოდ” (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, 770). აქედან გამომდინარე კი შეიძლებოდა ვარაუდის დაშვება რომ რაჭაც იბერიის შემადგენელი ნაწილია.

ისტორიკოსი თეიმურაზ მიქელაძე ყურადღებას აქცევს პროკოპი კესარიელის ცნობას, რომლის მიხედვითაც: „...მოსხები სადღაც რაჭა-ლეჩეუმის მთებში ცხოვრობდნენ და არა იმ ქვეყანაში რომელსაც ჩვეულებრივ, მესხეთს უწოდებენ. ამაზე ნათლად მიუთითებს ცნობა იმის შესახებ, რომ მესხების მთებით მოედინება ფაზისი, რომელსაც სათავე კავკასიის მთებში აქვს და რომ მესხების მთებიც კავკასიის მთებამდე გრძელდება...ამ ცნობაში რომ ფაზისი რიონს უდრის, ეს სრულიად უდავოა. პროკოპი პირდაპირ მიუთითებს-ფაზისი პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის „შუაშიო“—მაშასადამე სრულიად ცხადია რომ მესხურ ტომებს ახ. წ. პირველ საუკუნეებში თანამედროვე რაჭა-ლეჩეუმი ეკავათ” (მიქელაძე, 1974, 9, 22).

რაჭის კუთვნილების შესახებ პირდაპირ ჩვენებას ჯუანშერთან ვხვდებით. იგი ვახტანგ გორგასალის ერისთავებს შორის ასახელებს: „სამნადირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა და ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაგუერისა”. („ქართლის ცხოვრება”, 1955, 185). ეს აშკარა მოწმობაა იმისა რომ თაკვერი (რაჭა-ლეჩეუმი) ამ დროს ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. ცხადია ვახტანგ გორგასალის დროს ამ ტერიტორიების პოლიტიკურ ათვისებასთან ერთად მათი ეკლესიური დაქვემდებარების საკითხიც დაისმებოდა და სავსებით ბუნებრივი იქნებოდა თუ ვიფიქრებდით რომ ისინი მცხეთის კათალიკოსის შემადგენლობაში შესულიყო. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ ვახტანგი საკმაოდ აქტიურ საეკლესიო პოლიტიკას ახორციელებს და მის დროს არაერთი ახალი საეპისკოპოსო იქნა დაარსებული. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვახუშტის შემდეგი ცნობა: „ლიახუს გაღმა არს ნიქოზს ეკლესია დვთაებისა დიდი, გუმბათიანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა. მუნვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოსოდ და დასუა ეპისკოპოზი; ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ თსეთად წოდებულისა, გლოლა-

დებითურთ” (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, 370). ადსანიშნავია რომ ნიქოზელის სამწყსო უშუალოდ ესაზღვრება რაჭის ტერიტორიას, ამიტომ გვებადება ფრთხილი ვარაუდი, ხომ არ დაუქვემდებარებდა ვახტანგ გორგასალი რაჭას ეკლესიურად ნიქოზელ ეპისკოპოზს.

ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ეგულება რაჭა ნიკოლოზ ბერძენიშვილსაც. როგორც პატივცემული მკვლევარი შენიშნავს: „...მოხდა ისე რომ დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ქართის ხელო აღმოჩნდა. დაიპყრეს და სკანდე-შორაპანმა ვერ შეაჩერა ქართის ექსპანსია...რაჭა მისი რკინის საბადოებით არგვეთთან ერთად ხელო იგდეს (ერთი საერისთავო). არსაიდან არ ჩანს რომ რაჭა ლაზთა მეფის ხელშია, ვთქვათ VI საუკუნეში, როცა ქუთაისი ჯერ კიდევ ლაზიკაშია. (ბერძენიშვილი, 1990, 249). ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს დავით მუსხელიშვილიც. მიმოიხილავს რა საქართველოს ტერიტორიაზე სასანური მონეტების გავრცელების არეალს, მკვლევარი ასკვნის: „ძველი ქართლის სამეფოს პროვინციის, არგვეთის ტერიტორიაზე სასანური მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენა უნდა მოწმობდეს, რომ ისევე როგორც უფრო ადრე, ახლაც VII საუკუნის I ნახევარში ეს ტერიტორია ქართლს მიუკუთვნება, ქართლის საერისმთავროში შემოდის. (მუსხელიშვილი, 1980, 16). ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო მე-IV საუკუნეშიც როდესაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს პროცესი რაჭაშიც ქართლის თანადროულად და თაოსნობით უნდა განხორციელებულიყო. აღნიშნული მოსაზრება პირველად მკვლევარმა გიორგი ბოჭორიძემ გამოთქვა. იგი ფიქრობდა რომ როგორც რაჭაში, ასევე ლეჩხუმშიც ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი მცხეთიდან იყო შესული. ამის დამადასტურებლად მკვლევარს მიაჩნდა რაჭის სოფელ ჯოისუბანში – მცხეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის არსებობა: „ძეგლის სახელწოდება „მცხეთის” და ღრმა სიძველე მისი

ნაშთების საბუთს გვაძლევს ვთქვათ რომ ქრისტიანობა ამ კუთხეში ქართლის მცხეთას უნდა შემოეტანა, უკანასკნელს აქ ჰქონია თავის კერა-მეტოქი და მისი საშვალებით გაუვრცელებია თავისი კულტურა მთელ კუთხეში. არა თუ მარტო რაჭაში შეუტანია ქრისტიანობა მცხეთას, არამედ მის მეზობელ ლეჩხუმშიც. იქ არსებობს სოფელი მცხეთა, სადაც დგას გუმბათიანი ეკლესია...ორივე ეს გარემოება, ე. ი. „მცხეთის“ არსებობა რაჭაში და ლეჩხუმში ცხადყოფს რომ ქრისტიანობა ამ კუთხებში აღმოსავლეთიდან, მცხეთიდან შესულა“ (ბოჭორიძე, 1994, 52-53).

აღნიშნული მოსაზრების დამამტკიცებლად გოჩა გუგუშვილს ასევე მიაჩნია რაჭის სოფელ სხიერში მირიანეული უძრავი წმიდა გიორგის ეკლესიის არსებობა “ (გუგუშვილი, 2003, 56).

ყოველივე ზემოთქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა – რომ თუ რაჭაში ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოდან გავრცელდა, მაშინ ეპარქიულადაც იგი მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში უნდა ვიგულისხმოთ. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა დავით მუსხელიშვილის შემდეგი მოსაზრება. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს რომ: „...VII–IX საუკუნეების ბიზანტიურ ნოტიციებში, სადაც ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, მხოლოდ ერთი–როდოპოლისის (ვარციხის) კათედრაა, რომელიც ქვეყნის შიგნითაა, დანარჩენი სამი კი, სამიტროპოლიტოსთან ერთად ან ზღვისპირისაა: ფასიდი (ფოთი), პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არცთუ ისე მოშორებით ზღვისაგან – საისინი\ საისი (ცაიში). როგორც ვხედავთ, მთელ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სწორედ ვაკე იმერეთს, არგვეთის უდიდეს ნაწილს რაჭა–ლეჩხუმიანად, არც ერთი ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა არ მოიხსენიება. ეს გარემოება არ უნდა იყოს

უმიზეზო და ამდენად, ყველაფერი ზემოთქმული გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ (VII–IX საუკუნეებში) მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე ყველა ლრმა შედეგებით. (მუსხელიშვილი, 1980, 151). რაჭის ეკლესიის ეპარქიული კუთვნილების საკითხს თავის სადისერტაციო ნაშრომში შეეხო ბუბა კუდავა. მას მიაჩნია რომ: „დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში (სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა) ქრისტიანობა ნაკლებად გავრცელებული იყო, ამიტომ იქ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დაქვემდებარების პერიოდში რომელიმე კათედრის იურისდიქცია ძალზე სუსტი ან ნომინალური იქნებოდა. იგი ასახელებს ასეთი „პატრონაჟის” მქონე ორ ეპარქიას: 1. „რაჭა–ლეჩხუმი და შესაძლოა ქვემო სვანეთიც საკუთრივ ფაზისის მიტროპოლიტის სამწყსო იყო”; 2. „თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მსგავსად არგვეთისა, რაჭა–ლეჩხუმშიც როდოპოლისის იურისდიქცია გავრცელებულიყო”. (მჭედლიძე, 2008, 82). ბუბა კუდავას მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებებს გამოეხმაურა თავის ნაშრომში მკვლევარი გიორგი მჭედლიძე. პატივცემულმა ისტორიკოსმა აღნიშნა რომ „...რადგან ფაზისიდან ტერიტორიული დაშორება და ამ რეგიონებს შორის რამდენიმე ეპარქიის არსებობა პირველ ვარაუდს თითქმის გამორიცხავს, ჩვენ მეორეს სასარგებლოდ ვიხერებით”. (აქვე პატივცემულმა მკვლევარმა სავსებით მართებულად გააკრიტიკა მოსაზრება დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის ნაკლებად გავრცელების შესახებ) (მჭედლიძე, 2008, 82). თუმცა იქვე ნაშრომში გიორგი მჭედლიძემ წამოაყენა სხვა ვარაუდიც: მიმოიხილა რა აღნიშნულ საკითხზე არსებული მონაცემები, მან გამოთქვა შემდეგი მოსაზრება; „...გამორიცხული არ არის, ჩვენთვის საინტერესო დროისათვის (VIII საუკუნის 60–იანი წლები) დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ სექტორი (არგვეთი და რაჭა–ლეჩხუმი) პოლიტიკურად

ქართლის ერისმთავარზე ყოფილიყო დამოკიდებული და ამდენად, ეკლესიურადაც იგი მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში აღმოჩენილიყო. (მჭედლიძე, 2008, 83). მართლაც, რაჭის ეკლესიაზე ფაზისის მიტროპოლიტის გავლენა რომ ვერ გავრცელდებოდა თუნდაც გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე ეს ცხადია და ამაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებოთ, რაც შეეხება როდოპოლისის ეპისკოპოსს, როგორც გიორგი მჭედლიძემ თავის ნაშრომში გაარკვია, ბიზანტიური საეპისკოპოსოების ქართულით „მოცვლის“ შემდეგ, მისი მემკვიდრე ქუთაისის ეპარქია უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე რაჭა რომ როდოპოლისის ეპისკოპოსის საგამგებლოში ყოფილიყო ამ ტერიტორიას სამწყემსავად აუცილებლად მიიღებდა მისი მემკვიდრე ქუთათელი ეპისკოპოსი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობიდან კი ჩვენ ვიცით რომ ქუთაისის საეპისკოპოსოს იურისდიქცია რაჭაზე არ ვრცელდებოდა—ასე რომ არც როდოპოლისის ეპისკოპოსის ხელქვეშეთ არ უნდა ყოფილიყო ეს ტერიტორია და ჩვენი აზრით უფრო მართებულია ის მოსაზრება რომლის მიხედვითაც, რაჭის ეკლესია მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა.

რაც შეეხება მეორე საკითხეს—თუ რა დროიდან ვრცელდება ქრისტიანობა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში: მკვლევარი გოჩა გუგუშვილი საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არსებული წყაროების ისტორიული და გეოგრაფიული ანალიზის შედეგად გამოთქვამს მოსაზრებას რომ წმიდა ანდრია პირველი სხვა კუთხეებთან ერთად რაჭაშიც უნდა ექადაგა ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მხრივ ისტორიკოსი ყურადღებას აქცევს ანდრია პირველი სხვა კუთხეებთან ერთად რაჭაშიც უნდა ექადაგა ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მხრივ ისტორიკოსი ყურადღებას: „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰოსსოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, იქ მოსახლეობენ

იბერიელები, სუსები, ფუსტულები და ალანები “. (გუგუშვილი, 2003, 57). გოჩა გუგუშვილს შესაძლებლად მიაჩნია რომ აქ მოხსენიებული ფუსტა და ფუსტულები გავაიგივოთ დღეს რაჭაში არსებულ ტოპონიმ ფუტიეთთან. ამ მხრივ მკვლევარი ასევე ეყრდნობა მეორე არგუმენტსაც: ამ პერიოდის წყაროების ჩვენების მიხედვით მდინარე ფაზისი (რიონი) იბერიიდან კოლხეთში მიედინება. როგორც ცნობილია მდინარე რიონი ფაზის მთიდან იღებს სათავეს, რომელიც დღეს რაჭაშია. გამოდის რომ იმდროინდელი წყაროების გაგებით რაჭა იბერიის ნაწილია. ერთი ცნობის მიხედვით კი წმიდა ანდრიამ ფაზისის ხეობის მოსახლეობა—იბერები გააქრისტიანა—აქაც გოჩა გუგუშვილი წმიდა ანდრიას რაჭაში მოღვაწეობის კვალს ხედავს. (გუგუშვილი, 2003, 57). უნდა აღინიშნოს რომ გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ტოპონიმ ფუსტას ლოკალიზება სულ სხვა ადგილას: „აფსილისა და მისიმიანეთის მხარეში ხდება. (ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკვეთი I, 54). მკვლევარ ჯამბულ ქაშიბაძესაც მიაჩნია რომ გოჩა გუგუშვილის ზემომოყვანილი მოსაზრება ტერმინ ფუსტას რაჭაში ლოკალიზების შესახებ მცდარია. იგი წმიდა ანდრია მოციქულის საქართველოში მესამე მოგზაურობის მარშრუტს შემდეგნაირად განსაზღვრავს: წმიდა მოციქული: „ედესიდან შემოდის ქართლში (იბერიაში—ჭოროხის ხეობაში). სამეგრელოდან ჩანს ენგურის ხეობის აყოლებით სვანეთში მიემგზავრება, საიდანაც კოდორის ხეობაში (მისიმიანეთ—ალანში) გადადის. კოდორის ხეობიდან აბაზგიაში (აფხაზეთში) ჩადის, აქედან კი მიემგზავრება ყირიმის ნახევარკუნძულზე ქალაქ ბოსფორში“ (ქაშიბაძე, 2009, 75). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ როგორც მკვლევარები აღიარებენ—წმიდა ანდრია პირველწოდებულის მარშრუტი ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. (ბუბულაშვილი, 2007, 179). ჩვენც მიგვაჩნია რომ წმიდა მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ არსებული წყაროები არ იძლევა

მისი მარშრუტის არეალის დაწვრილებით განსაზღვრის საშვალებას და საერთოდ არ გვგონია რომ წმიდა ანდრიას და მის მოწაფეებს ასეთი მკაცრად განსაზღვრული მარშრუტი პქონოდათ, რომლიდან გადახვევაც არ შეიძლებოდა. ამ პროცესს ჩვენი აზრით უფრო მასშტაბურად უნდა შევხედოთ. წმიდა ანდრია პირველწოდებულის (და მისი მოწაფეების) მიზანი იყო ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება. ცხადია ისინი დასავლეთ საქართველოში ქადაგებისას დრო და დრო შეჩერდებოდნენ და სხვადასხვა კუთხეებსაც მოივლიდნენ (რასაც ასე დაწვრილებით შემდგომ ეპოქებში შედგენილი წყაროები ვერ დააფიქსირებდნენ)—მაშინ როდესაც წმიდა ანდრია და მისი მოწაფეები აქრისტიანებენ სვანეთს და მის მთავარს, აფხაზეთს, ეგრისს, ერთ-ერთი მოციქული მატათა თავის მოწაფეებით ამის შემდეგაც რჩება დასავლეთ საქართველოში და აქ არაერთ სასწაულს მოახდენს, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია რომ ამ პროცესებიდან ამოვარდნილი ყოფილიყო სვანეთის მეზობელი მხარე რაჭა და რომ მოციქულების ან მათი მოწაფეების სიტყვა ამ მხარესაც არ მისწვდომოდა. ასე რომ მიუხედავად იმისა, გვაწვდიან თუ არა მოციქულთა შესახებ არსებული მწირი და ბუნდოვანი წყაროები კონკრეტულ ინფორმაციას რაჭაში მათი ყოფნის შესახებ, ჩვენ ამ მოვლენის მიზანდასახულობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდის გამოთქმა რომ რაჭაში ქრისტიანული მოძღვრება დასავლეთ საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის დროიდან ვრცელდება.

* * * * *

რაჭაში ადრეფეოდალური ხანის ბოლოს აქტიურ ხასიათს ღებულობს საეკლესიო მშენებლობა. ამ პერიოდშია აგებული: იოის, უწერის, სორის, ბოყვის, ჯოისუბნის, სხიერის, გორისუბნის, ლვიარის, სადმელის, აგარის, ჯვარუკას, ბზანალის, ნასახტრის და შეუბნის

ეკლესიები, მეჭვრეთის სამონასტრო კომპლექსი და სხვა. (ბერაძე, 1975, 134-135).

განსაკუთრებულ აღმავლობას საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება რაჭაში X-XI საუკუნეებში განიცდის. ამ დროსაა აგებული ქართული კულტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა: ლეპნარის წმიდა გიორგის და მრავალძალის წმიდა გიორგის სამონასტრო კომპლექსები, კრიხის მთავარანგელოზის, პატარა ონის რაკეთის წმიდა ნიკოლოზის და სხვა ეკლესიები. X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში შენდება ნიკორწმინდის დიდებული ტაძარიც. როგორც გიორგი ბოჭორიძე შენიშნავს: მისი აგება: „მტკიცე საძირკველს უყრის რაჭის კულტურულ ცხოვრებას, მისი არსებობის, განვითარების დედაბოძად და მთავარ ცენტრად ხდება.” (ბოჭორიძე, 1994.).

XIII საუკუნიდან რაჭის კულტურული ცხოვრება შედარებით დაქვეითებულია, იმ მხრივ რომ ამ პერიოდიდან ვიდრე XVI საუკუნემდე ჩვენ აქ რაიმე დიდ სამშენებლო პროცესს ვერ ვხედავთ, რაც ჩვენი აზრით გამოწვეული უნდა იყოს პოლიტიკური მდგომარეობით როგორც ზოგადად მთელს ქვეყანაში, ასევე კერძოდ რაჭაშიც. როგორც ცნობილია XIII საუკუნიდან რაჭის ერისთავები განდგომის და ლალატის გზას ადგებიან, რაც მათი დამცრობის და აქ საერთოდ საერისთავოს გაუქმებით დამთავრდა. რაჭის ერისთავები კი საეკლესიო აღმშენებლობის ერთ-ერთი მოთავენი იყვნენ ამ კუთხეში და ცხადია ასეთი მფარველის დაკარგვამ ცუდად იმოქმედა ამ პროცესზე. რა თქმა უნდა საეკლესიო ცხოვრებაზე დიდად უარყოფითად იმოქმედებდა ზოგადად მთელ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებაც.

რაჭის საეკლესიო ცხოვრებაში ახალი, გარდამტეხი ეტაპი მე-XVI საუკუნეში დგება, როდესაც აქ იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით სამდვდელმთავრო კათედრა არსდება, რაც სასულიერო ცხოვრების აღმავლობის საწინდარი ხდება ამ კუთხეში. XVI

საუკუნეში შენდება ბუგულის დვთისმშობლის სახელობის შესანიშნავი ფრესკებიანი ტაძარი. იმავე მე-XVI საუკუნეში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე აახლებს ჭელიშის მონასტერს. XVII საუკუნეში შენდება ხოზევის და თლუდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიები, იხატება ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარი, XVII–XVIII საუკუნეებში შენდება ბარაკონის გუმბათიანი ეკლესია.

XIX საუკუნეში რაჭის საეკლესიო ცხოვრება დიდ დაქვეითებას განიცდის, რაც ქვეყანაში რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. იმერეთის სამეფოს (1810) და აფხაზეთის საკათალიკოსოს (1814) გაუქმების შემდეგ რაჭის ეკლესიების გამგებელი რუსეთის სინოდი და მასზე დაქვემდებარებული ადგილობრივი სასულიერო მთავრობა შეიქმნა. რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ეკლესიის დამორჩილებას და სასულიერო პირთა თავისუფალი სულის გატეხას, რადგანაც საქართველოს ეკლესია ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რაჭის სამღვდელოებამ განსაკუთრებით დიდი დარტყმა 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების დროს მიიღო. ამ მხრივ საინტერესო სურათს გვაძლევს შემდეგი მონაცემების შედარება: 1796 წლის ერთი სიგელის არასრული მონაცემების მიხედვით ჭელიშის მონასტერში ოცამდე მარტო ბერი მოღვაწეობდა. (კაპაბაძე, 1921, 110). 1819-1820 წლების აჯანყებიდან სულ რაღაც 6 წელიწადში შედგენილი აღწერილობის მიხედვით კი, აქ მხოლოდ 4 ბერი ჩანს. უნდა ვიფიქროთ რომ სასულიერო პირების დიდი ნაწილი რუსებმა ამ დროს პირდაპირ ფიზიკურად გაანადგურეს. რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა რაჭაში (და ცხადია არა მარტო აქ) ეკლესია-მონასტერების შემცირებას, რათა რაც შეიძლება ნაკლები თანხები დაეხარჯა მათ შესანახად. ეს მაშინ

როცა ეპლესიებს უმდიდრესი ყმა-მამული ჩამოართვეს და სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხეს. ასეთი პოლიტიკის შედეგი კი ის იყო, რომ ამ დროს რაჭაში გააუქმეს სხვაგისა და სორის მონასტრები და მთელი ერთი საუკუნის მანძილზე აქ მხოლოდ ერთადერთი ჭელიშის მონასტერი ფუნქციონირებდა. ნიკორწმინდის დიდებული საეპისკოპოსო საყდარი კი ისე დაამცრეს რომ ის უბრალო სამრევლო ეპლესიად გადაიქცა. ამ დროს დაიხურა სხვა მრავალი ეპლესიებიც. (მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, XIX საუკუნეში რაჭაში საეპლესიო ცხოვრება კვლავ ინტესიური იყო, რაც ქართველი სამღვდელოების დიდი გმირობის შედეგი იყო. მაგალითად მარტო გაბრიელ ეპისკოპოსის მღვდელმთავრობის დროს რაჭაში 46 ახალი ეპლესია ეკურთხა, საერთოდ კი როგორც მერაბ კეზევაძემ გაარკვია ეგზარქოსობის დროს რაჭაში 89 შტატის ეპლესია ფუნქციონირებდა სადაც 400-ზე მეტი მღვდელი მსახურობდა). (კეზევაძე, 2005, 3).

გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ეპლესია მომდევნო მე-XX საუკუნეში. რევოლუციური იდეებით დაავადებული საზოგადოება მტრულად განეწყო დედა ეპლესიის მიმართ. ჩვენ არაერთგზის გვაქვს ჩვენს დისერტაციაში მოყვანილი მაგალითები თუ როგორ ავიწროვებდნენ სასულიერო პირებს ადგილობრივი მცხოვრებლები. 1918 წლის 8 მარტს ჭელიშის მონასტრის იღუმენი შეწუხებული სწერს ქუთათელ მიტროპოლიტს მოსახლეობის ძალადობის შესახებ: „არც მოძრავ ქონებასაც გვიპირობენ დანებებას, ძალადობენ, ჩვენ ბერებს გვთხოვთ თვალით არ დაგვენახოთო...” (№ 27256). ჭელიშის მომდევნო წინამდგარი იმავე 1918 წლის 27 აპრილის წერილში აღნიშნავს: „არავითარი წერილობითი ცნობა არ მიმიღია რომ მონასტერს ქონდეს ადგილ-მამული ჩამორთმეული....მე თვითონ შევეკითხე...მახლობელ კომისარ-კომიტეტებს სიტყვიერად და იმათმა გამომიცხადეს ჩვენ არავითარი ბრძანება არ გაგვიცია ხალხში რომ ვითომ მონასტერს

ადგილი ჩამორთმეოდეს, მაგრამ ხალხი თავისი ნებით ჩადიან ამ საქმეს (ხაზი ჩვენია-მ.მ.). (ქ. ც. ს. ა, ფ. № 21, ს. № 27355, 12-13).

ცხადია ათეისტური შხამით მოწამლული საზოგადოება განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ რაც საქართველოში მათი ცნობიერების გამომხატველი საბჭოთა ხელისუფლება მოვიდა. თუ რა სავალალო შედეგები დატოვა აღვირასსნილმა ანტირელიგიურმა პროპაგანდამ რაჭაში, კარგად აღგვიწერს გიორგი ბოჭორიძე თავის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც 1925 წლის 9 აგვისტოთია დათარიღებული: „...ამბოლაურის შესანიშნავი ეკლესია, აღშენებული მეფეთ-მეფის გიორგის მიერ XVI საუკუნეში საძირკვლამდე დაუქცევია ადგილობრივ თემადმასკომის თავმჯდომარეს სერაპიონ ფანჯიკიძეს.

ხოტევის შესანიშნავი ფრესკებიანი ეკლესიისათვის ყოფილ საბჭოს თავმჯდომარეს არქიტო კაციტაძის განკარგულებით სახურავი მოუხდიათ (ადრევე), ხოლო ეხლანდელი თემადასკომის თავმჯდომარეს გრიგოლ ენუქიძეს შენობა მთლად საძირკვლამდე დაუქცევია. ნანგრევებში მრავალ ქვას შერჩენილი აქვს მხატვრობა და მეტად ცოცხალი მხატვრობა მოსჩანს (დაქცევა მომხდარა ამ ორი თვის წინათ)...

...ზემო კრიხის ფრესკებიან-ჩუქურთმაწარწერებიანი ეკლესია ამ ერთი კვირის წინათ დაუზიანებიათ: მინა ნასარიძეს გადმოუგდია მისი ტრაპეზის ქვა, ხოლო მიშა და ბიკენტი ნასარიძეებს ჩამოულეწიათ დასავლეთის კარი.

სორის ფრესკებიანი ეკლესია სატუსადოდ უქცევია ადგილობრივ აღმასკომს. იმ შესანიშნავ სიძველეთაგან, რომელიც აღწერილი აქვს მოქ. უვაროვას თითქმის ყველა დაღუპულა. ამაში ბრალი უდევთ ადგილობრივ თემადმასკომის თავმჯდომარეს ალექსი კბილაძეს და მდივანს ალექსანდრე ცვარაძეს....ზემოხსენებულ პირთავე მოუსპიათ აგრეთვე დიდი ტანის ეტრატზე ნაწერი გულანი, რომელსაც ჰქონდა

მრავალი ისტორიული მინაწერი, რასაც ექვთიმე თაყაიშვილი განცვიფრებაში მოჟყვანია. იგი გაუტანიათ ადგილობრივ კოოპერატივში და სახვევ ქაღალდათ გამოუყენებიათ....ნახევრად განადგურებული ადმოჩნდა ნივთები ზნაკვისა, ქედისუბნისა, მოტყიარისა, ჭელიშისა, ნიკორწმინდისა.... (ბოჭორიძე, 1994, 378-379)

საკმაოდ მრავალფეროვანია რაჭის ეკლესია-მონასტრების ქტიტორთა და მოამაგეთა სიაც: სამეფო ხელისუფლება, ადგილობრივი საერისთავო სახლის წარმომადგენლები, ცალკეული ფეოდალური საგვარეულოები, მთლიანად მთელი თემი ან ხევი, ასევე სხვადასხვა კერძო პირები დიდ მონაწილეობას დებულობენ როგორც ტაძრების და მონასტრების აღმშენებლობაში, ასევე ეკლესიისათვის მრავალრიცხოვანი ყმა მამულის და ნივთ-სამკაულის შეწირვაში.

ცხადია ეკლესიის პირველი მხარდაჭერი სამეფო ხელისუფლება იყო. ჩვენ არაერთგზის გვაქვს აღნიშნული რომ ძლიერი ეკლესიის არსებობით ქვეყანაში პირველ რიგში სწორედ სამეფო ხელისუფლება იყო დაინტერესებული. აქედან გამომდინარე როგორც ერთიანი საქართველოს მეფები, ასევე შემდეგში იმერეთის მეფეები დიდ მზრუნველობას იჩენდნენ რაჭის (და ბუნებრივია არა მარტო ამ კუთხის) ეკლესია-მონასტრების მიმართ. სამეფო ხელისუფლების უშუალო დაკვეთით თუ აქტიური მხარდაჭერით ამ კუთხეში არაერთი ეკლესიაა აშენებული. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა სოფელ სხიერის მირიანეული უძრავი წმიდა გიორგის ეკლესიის სახელწოდებაც. მსგავსად ქუთაისის ბაგრატის (დვთისმშობლის მიძინების სახელობის) ტაძრისა, აქაც როგორც ჩანს ხალხის მეხსიერებამ ტაძრის ამშენებლის სახელი შემოინახა, რაც ჩვენი აზრით იმის მინიშნება შეიძლება იყოს რომ ეს ეკლესია მე-IV საუკუნეში მირიან მეფის დროს სამეფო ხელისუფლების დაკვეთით და მხარდაჭერითაა აგებული. ასევე შემთხვევით არ ვხვდებით

ნიკორწმინდის დიდებული ტაძრის კედლებზე ბაგრატ III-ისა და მისი ძის გიორგი I-ის სახელებს-ცხადია ნიკორწმინდის ტაძრის მშენებლობაც ცენტრალური სამეფო ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა. რაჭის ეკლესია-მონასტრების მიმართ ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მზრუნველობის კარგ მაგალითს წარმოადგენს ბაგრატ V-ის (1360-1393 წლები) შეწირულობის სიგელი ლეპნარის (მთის წმიდა გიორგის) მონასტრისადმი. მასში ვკითხულობთ: „თქვენ წ-ო გიორგი მთისა მთავარ მოწამეო, როგორათაც დავით აღმაშენებელისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო და იყო, ჩვენ მეფეთ-მეფემან ორთავე სახელმწიფოთა ლიხთიმერსა და ლიხთამერისა თვით ფლობით მპყრობელმან პირმშომან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედუფალთა-დედუფალმან ელენე და ძეთა ჩუენთა გიორგი და ალექსანდრე ვიგულსმოდგინეთ და ხელვჰყავით ახლად აღშენება და შემკობად ტაძარსა შენსა და გარდავაჭედინეთ ზეით ტყვივითა და სპილენძითა და მოვაჭედინეთ ხატნი წ-ისა გიორგისანი და წ-ისა მარინასნი და სხუანი ძუელნი ს[ა]ბნელნი ხატნი განავაახლენი და შევკაზმენით, კარნი ავაბენ და მოუჭედენ და კლიტენი მოუწყვენ და დავამაგრენ და ახლად დაუმტკიცენ და შემოვსწირენ მამულნი და გლეხნი....” (კაკაბაძე, ბაგრატ უცნობი XIV ს. რაჭა-არგვეთის მფლობელი, 4)

XVI საუკუნეში რაჭაში სამდვდელმთავრო კათედრის დაარსება მთლიანად იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სახელთანაა დაკავშირებული. ბაგრატი არა მარტო აახლებს „დაკნინებულ“ ნიკორწმინდის მონასტერს და მას საეპისკოპოსო საყდრად აქცევს, არამედ მატერიალურადაც უზრუნველყოფს მას მრავალირცხოვანი ყმა-მამულის შეწირვით.

რაჭის ეკლესიებისთვის მზრუნველობა არც მომდევნო იმერეთის მეფეებს მოუკლიათ. ნიკორწმონდელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე საკათედრო ტაძრის კედელზე გაკეთებულ წარწერაში აღნიშნავს რომ მან ჰელიშის დანგრეული ეკლესია იმერეთის მეფის გიორგი II-ის (1565-1586 წლები) მოწყალებით აღაშენა. (ბოჭორიძე, 1994, 98). ასევე ნიკორწმინდის ერთ-ერთი ხატის წარწერა გვაუწყებს: „ქ. ჩუენ დვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი და ძეთა ჩვენთა ლეონ მოვაჭედინეთ ესე ყოვლად წმიდისა წარსამართებელად მეფობისა ჩვენისათვის და სადღეგრძელოდ ძისა ჩვენისა ლეონისათვის და საოხად სულისა ჩვენისათვის ამინ“ (ბოჭორიძე, 1994, 111).

XVII საუკუნეში იმერეთის მეფე გიორგი III აშენებს ამბროლაურის დვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელიც სამწუხაროდ 1925 წელს დაანგრიეს ანტირელიგიური კამპანიის დროს. გიორგი ბოჭორიძემ ნანგრევებს შორის იპოვა რამდენიმე წარწერიანი ქვა. ერთ-ერთზე გკითხულობთ: „ქ წ. ადიდნეს ლთ-ნ ორთავე შინა ცხორებათა მეფეთ-მეფე გიორგი და თანამეცხედრე მისი დედოფალთ-დედოფალი თამარ და ძენი მათნი ალექსანდრე, როსტომ და მამკაი აწდა უკუნისამდე ა-ნ“ (ბოჭორიძე, 1994, 139). იქვე აღმოჩნდა მეორე დაზიანებულ წარწერიანი ქვაც შემდეგი შინაარსით: [ქ წ ადიდენ] მეფე გიორგი სო.....[ადაშენა] ეკლესია [ესე] ყოვლად წმიდისა ლ-თის მშობელისა საოხად.....სულისა....მისისათვის “ (ბოჭორიძე, 1994, 139).

რაჭის ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობაში განსაკუთრებით დიდია წვლილი ადგილობრივი ერისთავების ხელისუფლებისა.

ნიკორწმინდის ეკლესიის მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მოთავენი სწორედ რაჭის ერისთავები უნდა იყვნენ. ამის დასტურია ის მრავალრიცხვანი წარწერები ნიკორწმინდის ტაძარზე, რომელშიც რაჭის არაერთი ერისთავის სახელია მოხსენიებული. ბალვაშებს ნიკორწმინდის გარდა დიდებული ეკლესია აუშენებიათ პატარა ონშიც.

დღეს ეს ტაძარი რაკეთის წმიდა ნიკოლოზის სახელითაა ცნობილი.

მასზე გაკეთებულ ეპიგრაფიკულ წარწერებში ვკითხულობთ: „წმიდაო ნიკოლაოზ საკვირველომოქმედო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მფარველ ექმენ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა კახასა და ლთს (?) რომელთა აღაშენეს წმიდაი ეკლესიაი ესე...” (ბოჭორიძე, 1994, 67).

რაჭის საეკლესიო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას დებულობს ჭარელიძეთა საგვარეულო, რომლებმაც როგორც ცნობილია ბალვაშების დამცრობის შემდეგ რაჭის ერისთავობა მიიღეს XIV საუკუნეში. მათ რეზიდენცია უნდა ჰქონოდათ სორში. გადმოცემის თანახმად სორის ჯვარცმის სახელობის ეკლესია აუგია რაჭის ერისთავს ქველი ჭარელიძეს. (თაყაიშვილი, 1963, 25). დღეს-დღეობით ძნელია გადაჭრით იმის თქმა ნამდვილად მისი აშენებულია თუ არა ეს ტაძარი, მაგრამ ამ საგვარეულოს რომ ქტიტორული დვაწლი მიუძღვის მის წინაშე, ამას ცხადყოფს ერთ-ერთი ჭარელიძის ფრესკული გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში (სავარაუდოდ ეს უნდა იყოს არჩილ ჭარელიძე) (ბოჭორიძე, 1993, 218). (ერთ-ერთი ფრესკის წარწერაში ვკითხულობთ: „წმიდაო გ-ი მრავალძალისაო მეუხ და მფარველ ექმენ წ-ე ღუ-თისა ჭარელისძესა ქველსა) (თაყაიშვილი, 1963, 25). ასევე ამ ეკლესიის კედლებზე და ჯვარ-ხატებზე მოთავსებულია მრავალრიცხვანი წარწერები რომლებშიც ამ საგვარეულოს წარმომადგენლებია მოხსენიებული. მაგალითად არაერთი ხატის წარწერა იხსენიებს მირიან ჭარელიძეს და მის ცოლს ნათელს (თაყაიშვილი, 1963, 28-30).

დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწევიან რაჭაში ჩხეიძეთა საერისთავო სახლის წარმომადგენლებიც: შოშიტა III (1696–1731წწ.) XVIII საუკუნის დასაწყისში ანახლებს სორის ჯვარცმის ეკლესიას. (თაყაიშვილი, 1963, 25, ბოჭორიძე, 1994, 215). მის საკურთხეველში

რელიგიური შინაარსის ფრესკებს შორის მოიპოვება მხედრული წარწერა: „ქ ჰოი მაცხოვარო პირო მ-ლთსა მე ერისთავი შოშიტა შემიწყალე“ (თაყაიშვილი, 1963, 25). ეკლესიათა აღმშენებლობის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა როსტომ რაჭის ერისთავი—სოლომონ I-ის მოწინააღმდეგე და ცნობილი რენეგატი. მან ბარაკონის ძველი ეკლესიის ადგილას 1753 წელს დვოისმშობლის სახელობის დიდებული ტაძარი ააგებინა ქართლელ ხუროთმოძღვარს—ვინმე ავთანდილ შულავრელს. როსტომი ასევე მოიხსენიება ველტყევის (სხვავის) იოანე ნათლისმცემლის სახელობის უდაბნოს ეკლესიის წარწერაში: „ქ მე თვითმპყრობელმან ლიხთ—რაჭისამან ერისთავმან როსტომ აღვაშენე უდაბნო ველტყევისა ეკლესია ნათლისა მცემელისა განსაძლიერებლად და წელმრავლობისა“ (ბოჭორიძე, 1994, 191). როგორც ვხედავთ როსტომ რაჭის ერისთავს ხელახლა აუგია ველტყევის უდაბნოს ეკლესია, რაც შეეხება თავად მონასტერს იგი აქ როსტომამდე გაცილებით ადრე არსებობდა (ბერაძე, 1983, 111-116).

რაჭის ეკლესია—მონასტრების აღმშენებლობაში დიდ მონაწილეობას ღებულობს ცალკეული ფეოდალური საგვარეულოებიც. საერისთავო სახლის წარმომადგენლებზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, ახლა გვსურს რაჭის მსხვილი ფეოდალური სახლების როლზეც გავამახვილოთ ყურადღება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა—წულუკიძეების, ლაშხიშვილების, იაშვილების, ჯაფარიძეების, კვიტაშვილების და სხვათა საგვარეულოები.

წულუკიძეები რაჭაში XV საუკუნიდან ჩანან, თუმცა მათი ყოფნა აქ გაცილებით ადრეც არის სავარაუდო. (სოსელია, 1981, 43 ; ბერაძე, 1983, 88.) განსაკუთრებით ძლიერდება ეს გვარი XVI–XVIII საუკუნეებში. XVI საუკუნეში ნიკორწმინდის ეკლესიის დიდი მოამაგე ჩანს დავით წულუკიძე და მისი ოჯახი. ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე საეკლესიო ნივთმა, რომლის წარწერებშიც ამ ოჯახის წევრებია მოხსენიებული.

წინწასაძლოდი დროშა—ჯვრის წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. წ. პო ჯ[უ]რო ქ[რისტესა]ო რ[ომელ]ი სხურებულ [იქმე]ნ უბიწოთა მით სისხლითა ქრისტე[ი]სითა, გევედრებით ჩ[უ]ენ დავით წულუკიძე და თ[ანა]მეცხედრე ჩ[უ]ენი, ლაშხისშვილისა ასული ფარსანგიჯავარ და ძენი ჩ[უ]ენნი, რ[აი]თა მცველ და მფარველ გ[უ]ექმნე ყოვლისაგან ბოროტისა და აოტნე უჩინარნი იგი მტერნი სულთა და ხორცო ჩემთანი, ამინ, ამინ, ამინ“. დავით წულუკიძეს ნიკორწმინდის ტაძრისათვის შეუწირავს ნუსხურად ნაწერი სახარება და მისი ჩასაბრძანებელი ბუდე, რომელიც ძვირფასი თვლებითა და ხატებითაა მოჭედილი. სახარების ბუდეზე გაკეთებულ ერთ—ერთ ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „პო დიდო მდდელთმოძღვარო წმიდაო ნიკოლოზ, გევედრებით [ჩვენ, დავით წულუკიძე და თანამეცხედრე ჩუენი ფარსანგიჯავარ ლაშხის]სვილის ასული და ძენი ჩვენი ივანე და ქაიხოსრო. რომელმან შეგამპვე წმიდაი ესე ს[ახარება].“ (ბოჭორიძე, 1994, 121).

XVII საუკუნეში მერაბ წულუკიძე აშენებს ხოტევის და თლუდის ეკლესიებს. ხოტევის ეკლესიის დასავლეთის კედელზე მოიპოვებოდა შემდეგი წარწერა: „ქ. პო სამებით ქადაგებულო მიუწდომელო და გარეშემოუწერელო სიტყვავო და [ძალო] და თანარსო მამისა და სულისა წმიდისაო მაცხოვარო პირო მდთისაო რათა ვიგულეთ და [აღვა]შენეთ ეკლესია ესე შენი ჩვენ წულუკიძემ მერაბ და თანამეცხედრემ ჩვენმა ჩიჯავაძის ქალმა სახსრადა და საოხათ სულისა ჩვენისათვის და ძეთა ჩვენთა] გიორგის და ქაიხოსროს წარსამართებლათ აღვაშენეთ და დავახატვინეთ და შევამპვეთ ხატითა და ჯვარითა და წიგნითა მაცხოვარო ხოტევისაო ტაძარი შენი...ქაბ სამას სამოცდა[ოთხსა]. (ბოჭორიძე, 1994, 143). – ამრიგად როგორც ამ წარწერიდან ვგებულობთ, ხოტევის ეკლესია 1676 წელს აუგია მერაბ წულუკიძეს მაცხოვრის სახელზე. აღნიშნული პიროვნება თავის

ოჯახის წევრებთან ერთად გამოსახულია თლუდის „ტეხისის“ წმიდა გიორგის ეკლესიის ფრესკებზეც. აქ მერაბს და მის მეუღლეს ანიკას ხელთ უპყრიათ ეკლესიის მოდელი რაც მათ ქტიტორობაზე მეტყველებს.

XVIII საუკუნეში პაატა წულუკიძე უნდა აშენებდეს ჭელიშის დანგრეული ეკლესიის ადგილას ბაზილიკურ ეკლესიას, რომელმაც ფრიად დაზიანებული სახით დღევანდლამდე მოადწია. (ხელაია, განთიადი, 1915, № 10).

რაჭის საეკლესიო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას დებულობს ლაშხიშვილების ფეოდალური საგვარეულოც. მათ სოფელ ბუგეულში ჰქონდათ კარის ეკლესია, რომელიც დვთისმშობლის სახელზე იყო აგებული. ამ ეკლესიაში ლაშხიშვილთა არაერთი ფრესკული გამოსახულება მოიპოვება—მათგან ორი—ლაშხიშვილი ლაშხა და მისი მეუღლე მარეხი ეკლესიის მოდელით ხელში არიან წარმოდგენილი, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ ისინი ეკლესიის აღმშენებლები არიან. (თაყაიშვილი, 1963, 67). ეს ეკლესია და ლაშხიშვილთა აქ წარმოდგენილი პორტრეტებიც XVI საუკუნისაა. მიქარწმინდის ეკლესიის დვთისმშობლის ხატის წარწერა იხსენიებს ფეშანგი ლაშხიშვილს და მის მეუღლეს ულუმპიას. (თაყაიშვილი, 1963, 68). აღნიშნული პირები ასევე მოხსენიებული არიან იმავე ეკლესიის ჯვრის წარწერაში მეფე გიორგისთან და მის შვილ ლეონთან ერთად. წარწერაში ვკითხულობთ „წმიდაო მიქელ გაბრიელ მთავარანგელოზნო მეოს და მფარველად ექმენ მეფეთ—მეფესა გიორგის, ძეთა მათს ლეონს, მთავარანგელოზო უშველე ფეშანგის ლაშხიშვილსა, მეუღლესა მისსა ულუმპიას, ამინ უფალო“. (თაყაიშვილი, 1963, 70)—ამ წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი და მისი შვილი ლეონი არიან იმერეთის მეფეები—გიორგი II (1565—1587) და ლეონ I (1587—1590), ფეშანგი ლაშხიშვილიც მაშასადამე XVI საუკუნის მე-II ნახევრის მოღვაწეა.

ამავე ეპლესიის მაცხოვრის ხატის წარწერა იხსენიებს ვარდან ლაშხიშვილს და მის დედას ანუსიას. (თაყაიშვილი, 1963, 69).

ერთ დროს რაჭის ძლიერ ფეოდალურ სახლს წარმოადგენდა გარაფანიძების გვარი. როგორც თამაზ ბერაძეს აქვს გარკვეული ისინი რაჭაში კახაბერიძეების დამცრობის შემდეგ დამკვიდრებულან და მათი მამულის ნაწილიც დაუკავებიათ. (ბერაძე, 1983.). გარაფანიძეები მოხსენიებული არიან ღების ეპლესიის ხატების წარწერებში. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერაში გაითხულობთ: „ზეცისა ძალთა უხორცოთა ერისმთავარო გაბრიელ, მეოხ ექმენ წინაშე ღუთისა მიქელს და ფურთუხს და ივანეს გარაფანისძეთა და შვილთა მათთა] დღესა მას განკითხვისასა“ (ბოჭორიძე, 1994, 265). თითქმის ანალოგიური წარწერა მოიპოვება მეორე—მიქაელ მთავარანგელოზის ხატზეც. (ბოჭორიძე, 1994, 26).

XIV–XV საუკუნეების ერთი ხელნაწერის მინაწერი იხსენიებს გოგნია გარაფანიძეს. მას მამული შეუწირავს ჭელიშის მონასტრისათვის და სამაგიეროდ სულის მოსახსენიებელი აღაპიც გაუჩენია. (ბოჭორიძე, 1994, 87–88).

XV–XVII საუკუნეებში რაჭის უძლიერეს ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა ჯაფარიძეები. მათ საგვარეულო ეპლესია ჰქონდათ სოფელ ქვემო ბარში. რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი იხსენიებენ სოფელ სპასკოეს, რომელიც როგორც გიორგი ბოჭორიძეს აქვს გარკვეული ბარის მაცხოვრის სახელობის ეპლესია უნდა იყოს. აქ მოიპოვება ჯაფარიძეთა საგვარეულო „ეგვტერები ანუ აკლდამები: (სამხრეთით—სამამო, ჩრდილოეთით სადედო) (ბოჭორიძე, 1994, 194).

ამბროლაურის ეპლესიის წარწერა იხსენიებს მთავარეპისკოპოსს სვიმონ ჯაფარიძეს: „ქ. წ. ლმერთო და წმიდაო ამბროლაურისა ლვთისმშობელო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი ჯაფარიძე სვიმონ“ (ბოჭორიძე, 1994, 140).

მთავარეპისკოპოს სვიმონ ჯაფარიძეს იხსენიებენ ტოლოჩანოვი და იევლევიც. (იევლევი, 1969, 107–108).

რაჭის საეკლესიო ცხოვრებაში თავისი წვლილი შეუტანიათ იაშვილების საგვარეულოსაც. ამ გვარის ერთ-ერთ უცნობ წარმომადგენელს ბეთლევში აუშენებია დვთისმშობლის სახელობის ეკლესია. გიორგი ბოჭორიძემ რომლის დროსაც ეკლესია შედარებით კარგ ფორმაში იმყოფებოდა, სამხრეთის კედელზე დაჩოქილი მამაკაცის პორტრეტის გვერდით ამოიკითხა დაზიანებული წარწერა: „.....ლი იასშვილი სა..ა..ნისა, რომლისაგან აღე[შენა ეკლე]სია სახელსა ზედა [ბეთ]ლემ[ისა] დვთისმშობელისასა. ქორონიკონსა რპა“ (ბოჭორიძე, 1994, 152.). ამრიგად როგორც წარწერიდან ჩანს ეკლესია 1493 წელს აუშენებიათ.

გარდა	ცალკეული	საგვარეულოებისა	რაჭის
საეკლესიო—აღმშენებლობით	საქმიანობაში აქტიურად	მონაწილეობდა	
მრევლიც.	შუა საუკუნეებში საერისთავოს მოსახლეობა ცალკეულ		
ხევებად იყოფოდა.	ხევს თავისი სალოცავი გააჩნდა,		
რომელიც ამ ხევის მიერ იყო აშენებული.	ამ მხრივ საინტერესოა		
სხვავის ჯგარის შემდეგი წარწერა: „ქ. უხორცოთა მთავარო გაბრიელ,			
მეოს და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობს შენსა			
რატის რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს და ააშენენ			
აზნაურნ[ი ეკლ]ესიასა შენსა შემავალნი და მოხევენი და ხევნ[ი], და			
ეკლესიისა შვილნი “ (ბოჭორიძე, 1994, 190).— წარწერიდან კარგად ჩანს			
რომ სხვავის ტაძარი მთელი ხევის და შესაძლებელია ხეობებისაც			
(ხევნი)—საეკლესიო ცენტრია და არა ერთი რომელიმე სოფლისა,			
ცხადია პარალელურად არსებობს ცალკეული სოფლების ტაძრებიც			
თუ კერძო ფეოდალთა კარის ეკლესიებიც და . ა. შ. მაგრამ ეს სხვავის			
ეკლესია აშკარად უფრო მასშტაბური მნიშვნელობისაა.			

ასეთივე ხევის საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა ფარახეთის ეკლესია რომელიც განთქმული სალოცავის, მრავალძალის წმიდა გიორგის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული. წმიდა გიორგის ხატის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „წმიდაო მრავალძალო ფარახეთისაო მეოხ და მფარველ ექმენ ხევსა ფარახეთს...” (ბოჭორიძე, 1994, 206). მეორე წმიდა გიორგის ხატის წარწერა ასევე იხსენიებს ფარახეთის ხევს: „წმიდაო გიორგი შეიწყალე ესე ხევი ფარახეთისა” (ბოჭორიძე, 1994, 207).

ამავე ხევის აშენებული ჩანს ფარახეთის მთავარანგელოზის ეკლესია – ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა მისი შიგა მხატვრობა. გარდა სასულიერო შინაარსის თემებისა, აქ მთელი რიგი საგვარეულოების წარმომადგენელთა ფრესკებია მოცემული თავიანთი წარწერებით. აქ ვკითხულობთ:

1. სუმბატ არიშიძეს შეუნდოს ღმერთმან ამინ. 2. ტოგონიძეთა....დიდთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 3. ჩილუნაძეს მომავალთა მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 4. თუღულაშვილსა (თუ თუღულაშვილსა) შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 5. ცინარიძესა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 6. გელბახიანს, შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 7. ცერგელაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 8. ტერტიაშვილს (?) შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 9. შოთაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 10. ტაბუცაძეთა დიდთა [შეუნდოს ღმერთმან, ამინ]. 11. ფა....შეუნდოს ღმერთმან, [ამინ] (გიორგი ბოჭორიძე ვარაუდობს რომ აქ შესაძლოა ფარქოსაძე ეწეროს). 12. ვაშაბერიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 13. გუერაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. 14. ერაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. (ბოჭორიძე, 1994, 211–213).

როგორც თამაზ ბერაძე შენიშნავს ეს ეკლესია აუშენებია და მოუხატია ხევს, ფეოდალთა და გლეხთა საგვარეულოებს ერთად. (ბერაძე, 1983, 126).

სორის ეკლესიის სახარების ერთი—ერთი მინაწერი იხსენიებს—სორის ხევს. (თაყაიშვილი, 1963, 38). ასევე წესის ველიეთის წმიდა გიორგის ეკლესიის ხატის წარწერა იხსენიებს წესის ხევს: „[წმიდა] გიორგი [შეიწ]ყალე ხევი წესისაი“. (ბოჭორიძე, 1994, 169). კიდევ ერთი ხევის საეკლესიო ცენტრი უნდა ყოფილიყო დების მაცხოვრის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიის ჯვარცმის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. მოგვიჰდინებია ჩვენ გოგრიჭიანსა და ქ. მიქელს შიოსა, კიდევა გიორგისა და [ნ]იკოლოზ საქაოს დღეგრძელობი[თა] სამუნოსა ცხოვნებითა ამინ უფალო მცხვარო გაუმარჯვე დებისა ხევსა... (ბოჭორიძე, 1994, 262–263).

როგორც თამაზ ბერაძე აღნიშნავს: „ყოველი ხევის მფარველად და პატრონად მისი ეკლესიის მთავარი ხატი ითვლებოდა. ყოველი კომლი ვალდებული იყო ამ ხატის დღეობაზე მისულიყო, რომელიც წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე იმართებოდა, სასმელ—საჭმელი მიეტანა და საერთო პურისჭამაში მონაწილეობა მიეღო“. (ბერაძე, 1983, 136). ამ მხრივ საინტერესოა სორის ეკლესიის შესახებ გიორგი ბოჭორიძის მიერ დაცული შემდეგი ცნობა: „...ეკლესიის სამხრეთით არის პატარა გორაკი „ნაციხური“ . ძველად აქ სამრეკლო ყოფილა...ამ ადგილას დღესასწაულის დროს თემობა, ანუ თემად დასხდომა სცოდნიათ. (ბოჭორიძე, 1994, 224). თუ რა სახის იყო ეს თემობა ანუ იგივე ხევის მთავარი დღესასწაული ძალზედ საინტერესოდ აქვს აღწერილი თეოდორე შარაბიძეს, რომლის ნაწერიც თამაზ ბერაძეს აქვს გამოქვეყნებული თავის ნაშრომში.

* * * * *

რაჭაში საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩანს დაწინაურებული სამონასტრო ცხოვრებაც: მაგალითად თამაზ ბერაძე სოფელ ლიხეთში არსებულ სამონასტრო კომპლექსს ადრეფეოდალური ხანით ათარიღებს. ბერ—მონაზვნურ ცხოვრებას რომ უძველეს ხანაში ეყრება

რაჭაში საფუძველი, ამის ერთ-ერთ მოწმობას უნდა წარმოადგენდეს ის გარემოებაც, რომ არაერთი მონასტერი (ჭელიში, სხვავა) აქ უდაბნოს სახელითაა ცნობილი—რაც იმაზე მეტყველებს—რომ ბერ—მონაზვნური ცხოვრება ამ ადგილებში ჯერ კიდევ მაშინ აღმოცენდა, როცა აქ ბერული ცხოვრების განსაკუთრებული, მეუდაბნოე წესით მცოვრები პირები მოღვაწეობდნენ. როგორც ცნობილია მეუდაბნოე ცხოვრების ფუძემდებლად საქართველოში წმიდა ასურელი მამები გვევლინებიან, რომლებიც მე—VI საუკუნეში მოვიდნენ ქართლში. თუ აქვა იმ მოსაზრებასაც გავიზიარებთ, რომ რაჭაში ქრისტიანობა მცხეთიდან უნდა გავრცელებულიყო და ეს რეგიონი გარკვეულ დრომდე მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში ჩანს, მაშინ შეიძლებოდა დაგვეშვა ვარაუდი, რომ მეუდაბნოე ცხოვრებაც აქ ქართლიდან გავრცელდა და იგი წმიდა ასურელი მამების თანადროულადაა აღმოცენებული ამ რეგიონში.

რაჭაში თავიდანვე განვითარებული ჩანს ბერ—მონაზვნური ცხოვრების სხვადასხვა სახეობა: აქ გვხვდება როგორც დაყუდებულ ბერთა ქვაბულები, ასევე განდეგილთა უდაბნოები და სამონასტრო კომპლექსები.

როგორც დავით მერკვილაძე აღნიშნავს: „მეუდაბნოეობა ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში სამონაზვნო—განდეგილური ცხოვრების სტილს გულისხმობს. შესაბამისად, მეუდაბნოენი ის ქრისტიანი სასულიერო პირები არიან, საბერო მოღვაწეობის ამ ყველაზე მძიმე წესით რომ გადაუწყვეტიათ უფლისადმი სამსახური (მერკვილაძე, 2005, 4). იმავე ავტორის აზრით უდაბნო: „...თავისი პირდაპირი და შესაბამისად, თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავს ისეთ სივრცეს, არეს სადაც არ მოიპოვება დაბა (მრ. დაბანი, დაბნები) – ე.ი. დასახლებული პუნქტი (პუნქტები) ანუ დაუსახლებელი უდაბო/უდაბნო ადგილია.....ასეთი დაუსახლებელი—„უდაბნო”/ უშენობო არეები

კი იდეალურ გარემოს წარმოადგენდა საბერო—ასკეტიკური მოღვაწეობისათვის. ამიტომ რელიგიური მოსაზრებით განმარტოებისა და საერო ცოვრებისაგან თავის დაღწევის მიზნით ამგვარ უდაბნო ადგილებში გადახვეწილ განდეგილებს ეწოდებოდათ მეუდაბნოენი.....შემდგომ აქ აღმოცენებულ მონასტრებს ინერციით კვლავ უდაბნოდ მოიხსენიებდნენ. (მერკვილაძე, 2005, 5-7) — ამ მხრივ ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო რაჭაშიც –თუ დავაკვირდებით უდაბნოდ წოდებულ ჭელიშისა და სხვავის მონასტრებს დავინახავთ რომ ისინიც ასეთივე დაუსახლებელ, მოსახლეობისგან მოშორებულ ადგილებში წარმოიშვა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ აქ თავდაპირველად განდეგილი, მეუდაბნოენი ცხოვრობდნენ და შემდგომ აღმოცენდა ამ ადგილებში მონასტრები.

ბერ–მონაზვნური ცხოვრების განსაკუთრებულ წესს გულისხმობს დაყუდებული ცხოვრებაც. რაჭაში ასეთი წესით მცხოვრები ბერები რომ ადრიდანვე უნდა ყოფილიყვენ, ამის დასტურს წარმოადგენს ჭელიშის უდაბნოში არსებული გამოქვაბულები და „სადაყუდებულო“, რომელიც გიორგი ბოჭორიძეს ყველაზე ადრინდელ კერად მიაჩნია ჭელიშში. (ბოჭორიძე, 1994, 53). განდეგილი ბერები რომ მრავლად მოღვაწეობდნენ რაჭაში ამას გვიდასტურებს სოლომონ II-ის სიგელი მრავალძალის მონასტრისადმი სადაც ვკითხულობთ: „....წმინდა და სასწაულთმოქმედი ეკლესია შენი იყო ძველთაგან მონასტერ წმინდა საკრებულო, სადა იგი აწცა იხილვებიან ჭვაბნი სადაყუდებულონი“. (სხირტლაძე, 1967, 58). განდეგილი ბერები ჭელიშის მონასტერში XIX საუკუნეშიც ცოვრობდნენ, მაგალითად 1813 წლის ერთ საბუთში მოხსენიებულია: „მარტო მყოფი მონა ხვთისა ზაქარია“ (ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16).

რაჭაში სხვადასხვა ეპოქაში არაერთი მონასტერი ფუნქციონირებდა, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეული იყო: ჭელიშის (უდაბნოს)

დვთისმშობლის სახელობის, ნიკორწმინდის წმიდა ნიკოლოზის სახელობის, ლეპნარის წმიდა გიორგის სახელობის, მრავალძალის წმიდა გიორგის სახელობის, სხვავის (უდაბნოს) იოანე ნათლისმცემლის სახელობის, სორის ჯვარცმის სახელობის მონასტრები. ქვემოთ შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე:

მრავალძალის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერი

მრავალძალის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერი ზემო რაჭაში სოფელ მთისკალთაში დგას. იგი X–XI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ეკლესია თავდაპირველად ერთნავიანი, დარბაზული ტიპის შენობა ყოფილა, მაგრამ 1894 წელს საფუძვლიანად გადაუკეთებიათ დ ტაძარსაც ჯვარ–გუმბათოვანი სახე მიუღია. სელუხლებელი დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთის მხარე. (ბოჭორიძე, 1994, 202; თაყაიშვილი, 1963, 56; ბერაძე, 1983, 118).

მე–XVIII საუკუნეში ტაძარი მოინახულა ცნობილმა მოგზაურმა გიულდენშტედტმა. მის დროს მრავალძალს ჯერ კიდევ ძველი ფორმა ჰქონდა შენარჩუნებული. მკვლევარის აღწერილობაში ვკითხულობთ: „ბრავალძალში არის ქვის პატარა ეკლესია მიძღვნილი წმიდა გიორგისადმი, რომელმაც ეს სოფელი უნდა დაიცვას მტრის ყველა შემოსევისაგან. კედლებზე ხატია წმინდა მხედარი მრავალნაირი ფერებით შეღებილი და სპილენძზე და ვერცხლზე ამოტვიფრული. მას (ეკლესიას) აქვს ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი, რამდენიმე ისარი, შუბი, ვერცხლის შანდალი და ორი, ვერცხლით მოვარაყებული ხარის რქა (ყანწი) დვინის დასალევად. ყველაფერი ეს თურქი ან სპარსი მხედართმთავრისათვის უნდა ჰქონდეთ ჩამორთმეული. შესასვლელის თავზე, ქვაზე, ჯვარი არის გამოკვეთილი, რომლის ორივე მხარეს არის

შემდეგი ასოები: „წ-ო გ-ი მხ ეფ-ვ სლსა იოვანეს“ (გიულდენშტედტი, 1962, 119).

მრავალძალის ტაბარი რომ მთელს რაჭაში განთქმული სალოცავი იყო ამაზე ნათლად მეტყველებს XV–XVI საუკუნეების ერთი ხატის წარწერა: „წმიდათ მრავალძალო ფარახეთისაო მეოხ და მფარველ ექმენ ხევსა ფარახეთს“ (ბოჭორიძე, 1994, 206). ამ მხრივ ასევე საინტერესოა სორის ჯვარცმის ეკლესიის ერთ–ერთი ფრესკა და მისი წარწერა. ეკლესიის ჩრდილო კედელზე დახატულია მამაკაცი (ერისთავი?) დაჩოქილი და ხელგანპყრობილი აღმოსავლეთისაკენ შემდეგი წარწერით: „წმ. გი მრავალძალისაო მეუხ და მფარველ ექმენ წ-ე ღ-თისა ჭარელისძესა ქველსა“. (ბოჭორიძე, 1994, 217). გიორგი ბოჭორიძე ფრესკას და წარწერასაც მე–XIII საუკუნით ათარიღებს.

მრავალძალის ეკლესია განთქმული იყო არა მარტო რაჭაში, არამედ მთელ საქართველოშიც. ვახუშტის გადმოცემით მისთვის ოქროს ხმალი შეუწირავს ცნობილ დამპყრობელს შაჰ–აბაზს. ამ ამბავს ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „.....ბარის წყალს ზეით არის მთაში მრავალძალის ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა შააბაზ I ხრმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ, არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხმალი მისი პკიდავს მუნ: (ბაგრატიონი, 1973, 765) – ამ ხმალის შეწირვის ისტორიას საინტერესოდ მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი: „.....შაჰ–აბასმა შენიშნა რომ ლუარსაბ მეფის ბედის შესახებ მოლაპარაკების დროს (რაც ქალაქ გორში მიმდინარეობდა) –იმერეთის ელჩები აფიცებდნენ გიორგი სააკაძეს წმიდა გიორგის სახელით და მისი სასწაულთმოქმედი ხატით იმერეთის დაბა მრავალძალში, რომელიც იმერლების უდიდესი სათაყვანებელი სალოცავი იყო. შეიტყო რა ეს შაჰმა გადასცა იმერეთის დიდებულებს, მდიდრულად შემკული

თავისი ხმალი საჩუქრად მათ მიერ თაყვანისცემულ ტაძარს და სთხოვა ეს საჩუქრი ტაძრის კედელზე დაეკიდათ “. (სხირტლაძე, 1967, 58).

მრავალძალი რომ ძველთაგანვე სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა ამას ცხადყოფს ერთი სიგელის შინაარსიც, რომელსაც სიმონ სხირტლაძემ მიაკვლია. მასში ვკითხულობთ: „.....ჩვენ კეთილმსახურებით მორწმუნენი და დამსდებელნი სასოებისა ჩვენისანი, მრავალძალსა და საკვირველო მოქმედსა ხატსა შენსა ზედა, მპყრობელი სრულიად იმერეთისა დავითიან ბაგრატოანი მეფე იმერთა სოლომონ, და თანამეცხედრე ჩვენი დადიანის ასული დედუფალი მარიამ, გიძღვნით გუჯარსა ამას სასოებით სახსენებლათ და განსაძლიერებლად ჩვენდა, და საოხად სულისა და ცხოვრებისა ჩვენისა წარმართებად კეთილდღეობით; ესრეთ რომელ წმინდა და საწაულომოქმედი ეკლესია შენი, იყო ძველთაგან მონასტერ წმინდა საკრებულო, სადა იგი აწცა იხილვებიან ქვაბნი სადაყუდებულონი და ცვლილებისაგან დაუწყნარებელთა დროთასა შექმნილიყო საერისკაცოდ“ . (სხირტლაძე, 19, 56). ამრიგად როგორც ამ სიგელიდან ვგებულობთ მრავალძალში ძველად აქტიური ბერ-მონაზვნური ცხოვრება ყოფილა გაჩაღებული და აქ დაყუდებულ ბერებსაც უმოღვაწნიათ. სამწუხაროდ ჭირს ზუსტად განსაზღვრა თუ როდის დაიწყო აქ მონასტრული ცხოვრება. სიმონ სხირტლაძე ვარაუდობს რომ მონასტერი აქ ძალიან ადრე: „.....თვით არაბების ბატონობის ხანაში შეიძლებოდა ყოფილიყო. (სხირტლაძე, 1967, 56).

მრავალძალში XIX საუკუნის დასაწყისისათვის მონასტერი გაუქმებულია. 1809 წელს სოლომონ II მრავალძალის ეკლესიას: „რომელიც იყო პირველ საერისთო და მერმე სამეფო“ გადასცემს ჯრუჭის მიტროპოლიტს დავით წერეთელს. (ბერაძე, 1983, 119). 1839 წლის ცნობითაც მრავალძალი სამრევლო ეკლესიაა. მის აღწერილობაში ვკითხულობთ: „სოფელსა მრავალძალს, წ-ის გიორგის

ეკლესია – ქვის ამაზედ არიან მღუდელნი სიმონ სხირტლაძე (55 წლის) გიორგი სხირტლაძე (78 წლის). ამ ეკლესიას ჰყავს მრევლი ნდ (54). (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 1689).

სხვავის (უდაბნოს) იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი

სხვავის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (მას სხვადასხვა სახელითაც იხსენიებენ: ველტყევის მონასტერი, სხვავის უდაბნო, რაჭის უდაბნო და სხვა) მდებარეობდა რაჭაში სოფელ სხვავიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით. სამწუხაროდ წყაროთა სიმცირის გამო ჭირს იმის დადგენა თუ რა დროიდან იწყება აქ ბერ–მონაზვნური ცხოვრება. მონასტერი განსაკუთრებით ძლიერი ჩანს გვიანფეოდალურ ხანაში.

გიორგი ბოჭორიძემ მონასტერში ნახა ქვა, რომელზედაც შემდეგი შინაარსის მხედრული წარწერა მოიპოვებოდა: „ქ. მე თვითმკყრობელმან ლიხო რაჭისამან ერისთვამან როსტომ ალვაშენე უდაბნო ველტყევსა ეკლესია ნათლისმცემელისა განსაძლიერებლადა და წელმრავლობისა“ (ბოჭორიძე, 1994, 191). ამ წარწერისა და 1754 წლით დათარიღებული ერთი სიგელის მიხედვით გიორგი ბოჭორიძე ასკვნის რომ ეკლესია აშენებულია როსტომ რაჭის ერისთავის მიერ. თამაზ ბერაძემ გაარკვია რომ მონასტერი აქ როსტომის ერისთავობამდე ფუნქციონირებდა. პატივცემულმა მკვლევარმა მიაკვლია ველტყევის მონასტრისადმი შეწირულობის ორ საბუთს, რომლებიც 1740 წლით თარიღდება (ბერაძე, 1983, 115–116).

სხვავის მონასტერი აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა ატლასშიც – „ნათლისმცემლის უდაბნოს“ და „ნათლისმცემლის მონასტრის“ სახელწოდებით. (ბერაძე, 1983, 117).

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეკლესიის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. დამპრობელი ყოველნაირად ცდილობდა ეკლესია–მონასტრების

შემცირებას, რათა რაც შეიძლებოდა ნაკლები თანხები დაეხარჯა მის შესანახად. 1835 წელს ეგზარქოსმა ევგენიოსმა წერილობით მიმართა იმერეთის ეპისკოპოს სოფრონიოსს, თუ რომელი მონასტრები უნდა გაუქმებულიყო და რომელი დარჩენილიყო იმერეთში. ამ დროს რაჭაში სამი მონასტერი ფუნქციონირებდა: ჭელიშის დვთისმშობლის მიძინების, სორის მაცხოვრის ჯვარცმის და სხვავის იოანე ნათლისმცემლის. გადაწყდა რომ ჭელიშის მონასტერი დარჩებოდა ხოლო უკანასკნელი ორი მონასტერი კი უნდა გაუქმებულიყო.

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა სხვავის მონასტერი მე-XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მაინც განაგრძობდა ფუნქციონირებას. ამ დროს მონასტრის წინამდღვრად ჩანს არქიმანდრიტი პანტელეიმონი. მის გარდა მონასტერში ამ დროს მოღვაწეობდნენ შემდეგი სასულიერო პირები:

1. მღვდელმონაზონი იოსტას (წერეთელი). 2. მღვდელმონაზონი გერმანე. 3. მღვდელმონაზონი კირილე. 4 მღვდელმონაზონი მაკარი (ქ.ც. ა. ფ. №21, ს №№ 536; 1981; 2121; 2488).

1841 წლის 30 ოქტომბერს სხვავის მონასტრის წინამდღვარი პანტელეიმონი გარდაიცვალა. მონასტრის მართვა მიანდეს ჭელიშის მონასტრის წინამდღვარს. ასე უნდა გაგრძელებულიყო მე-XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. 1865 წელს კი სხვავის მონასტერში მოღვაწე მღვდელმონაზონი მაკარი (ჯაფარიძე) უკვე წინამდღვრადაა დასახელებული. (ქ.ც.ა. ფ. №21, ს. № 9310; № 10848).

1871 წელს მონასტრის წინამდღვარი მღვდელმონაზონი მაკარი (ჯაფარიძე) გარდაიცვალა. მონასტერში დარჩა ერთი მღვდელმონაზონი გერასიმე. ამის გამო კვლავ დაისგა სხვავის უდაბნოს გაუქმების საკითხი. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ცდილობდა სამრევლო ეკლესია მაინც შეენარჩუნებინა სხვავაში, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს მოხერხდა, რადგან როგორც ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი

სწერდა მას: „...მონასტერი სხვავისა არ არის მახლობელად სოფლისა და არც მოხდება მრევლის მღუდლისაგან მონასტერსა შინა მსახურება, პირველ სიშორისა გამო და მეორე არავინ მომსმენი წირვა-ლოცვისა ხალხნი მივლენ და არც არავინ იმყოფებიან იქ...” (ქ.ც.ა. ფ. №21, ს. № 10576). ბოლოსდაბოლოს 1873 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი ჭელიშის მონასტრის წინამდვარს მაკარის ატყობინებს: „საქართველო-იმერეთის უწმინდესის და უმართებულესის სინოდის კანტორამ უქაზითა თვისითა ...მაცნობა მე რომელ უმაღლესად დამტკიცებულ არს ია-ს ნოემბერს ჩყობ წელსა განჩინება...შესახებ დაუქმებისა სხვავის მონასტრისა მით რათამცა იგი იქმნეს მიწერილ ყოველის თვისის ქონებით კუთვნილობითა და მამულითა ჭელიშის მონასტრისადმი და ამა უკანასკნელისადმი იმა ვალდებულების დადებითა რომელ დაიცვას და შეინახოს შენობანი დაუქმებულის მონასტრისა და ხანდისხან აღსრულება წირვა-ლოცვისა პატივდებისა გამო ორასის წლიურის არსებობისა მისისა “ (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 10576, 18).

სხვავის მონასტერი მთელს რაჭაში განთქმული ყოფილა არა მარტო როგორც სალოცავი არამედ როგორც გაჭირვებულთა და მოგზაურთა შემწე. ამის შესახებ ძალზედ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა 1885 წელს გაზეთ „დროებაში“, აქ ვკითხულობთ – „.....ამავე სოფლის მთაში (იგულისხმება სოფ. სხვავა – გ. გ.) ყოფილა ქვ. მონასტერი იოანე ნათლისმცემელისა. ამ მონასტერს ერთ დროს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონია ხალხისგან და მეფეებისგანაც. ეს მონასტერი ყოფილა ცნობილი მშვენიერი მდებარეობით უდაბურ ადგილას, ტყით, მინდვრით, სათევზე წყლით („ფასკნარა“ და „გიორგის ტბა“), ძვირფასი ნივთებით და სამკაულით. მონასტერს ჰყოლია ყმები, ჰქონია ზვრები და სახნავი ადგილები, რომელთაგან სცხოვრებდა მონასტრის კრებული. ეს მონასტერი მით უფრო შესანიშნავია, რომ როგორც მომსწრენი ამბობენ იგი ყოფილა მხსნელი და მფარველი

გაჭირვებულთა მგზავრთა, ზამთარში რაჭიდგან ქართლ-კახეთში და იქიდგან უკანვე რაჭას მომავალთა. ვინც არ იცის რაჭის ამბავი და მისი მდებარეობა, იმას არ შეუძლიან დააფასოს მონასტრის წინამდღვართა და მორჩილთა შრომა და მოღვაწეობა. ამის დაფასება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც უნახავს რაჭა, მისი მდებარეობა და იცის მისი გარემოება. როგორ? მკითხავს მკითხველი. აი როგორ: რაჭა არის საზოგადოდ მთიანი ქვეყანა, ხოლო ის მთა, რომლის ძირშიაც მდებარეობს ეს მონასტერი, სხვებზე უმაღლესია. როგორც მთა ადგილას, რასაკვირველია აქ თოვლიც დიდი იცის და ბუქიც. ამისთვის ყოველი წინამდღვარი (თავისი სინდისით) მოვალე იყო ვალდებულად გაეხადნა ყოველი თავისი მორჩილი, რომ ამ მთაზე გაჭირვებულ მოგზაურთათვის შემწეობა მიეცათ. ამ მორჩილთ ჰქონიათ გამართული თავიანთი კალათები და შიგ შესაფერი სურსათი. როდესაც თურმე ქარ-ბუქი ასტყდებოდა ეს მორჩილი აიღებდნენ კალათებს, დაიჭერდნენ ხელში ნიჩბებს, ზოგნი სხვა საჭირო იარაღს და გასწევდნენ თავიანთ დანიშნულ გზაზედ გაჭირვებულ მგზავრთა საძებნელად. როდესაც ნახავდნენ თოვლში ჩაფლულ კაცს და გრძნობა მიხდილს, ჯერ ადგილობრივ მოაბრუნებდნენ საჭმელ-სასმელით, მერე წამოიყვანდნენ მონასტერში, სადაც გამართული იყო განსაკუთრებული პალატი. აქ დააწვენდნენ თბილად, მოუვლიდნენ ორ-სამ დღეს, საჭიროებისა დაგვარად და მერე წამოიყვანდნენ თავიანთ სახლში. ამ კეთილი საქმისათვის ეს მამანი არაფერ სასყიდელს არ იღებდნენ. ამას მოქმედებდნენ მხოლოდ თავიანთ სულის სამეოხოდ და არა სხვა რაიმე განზრახვით. (დროება, 1885, №26).

სხვავის მონასტერი გვიანფეოდალური ხანის რაჭაში ყველაზე მდიდარ მონასტერს წარმოადგენდა. იგი უამრავ მიწებს ფლობდა,

რომელიც მონასტრის გაუქმების შემდეგ ჭელიშის უდაბნოს გადაწვა.
(იხ. დანართი №1)

სხვავის მონასტერი ოდითგანვე განთქმული იყო ძვირფასი საეკლესიო ნივთებითა და ხელნაწერი წიგნებით. მონასტრის გაუქმების შემდეგ მთელი ეს ქონება ჭელიშის მონასტერში გადაიტანეს. მე-XX საუკუნის დასაწყისში ამბროსი (ხელაია) გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მის დროს უკვე ძნელი იყო იმის დადგენა, ჭელიშის მონასტრის ქონებიდან რა ეკუთვნოდა საკუთრივ სხვავის მონასტერს. ასევე ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ბოჭორიძის ნაშრომებიდანაც არ ჩანს ჭელიშში აღწერილი ნივთებიდან რომელი ეკუთვნოდა სხვავის მონასტერს. საბედნიეროდ ქუთაისის სახელმწიფო არქივში მუშაობისას ჩვენ გავეცანით სხვავი მონასტრის ქონების 1849 წლის აღწერილობის ნუსხას. (იხ. დანართი №2). ეს სია ჯერ კიდევ მაშინაა შედგენილი, სანამ სხვავის მონასტრის ქონებას ჭელიშში გადაიტანდნენ. ამრიგად იგი დიდ დახმარებას გვიწევს იმის დადგენაში, თუ რა ნივთებია ჭელიშის მონასტერში საკუთრივ სხვავიდან გადატანილი.

ზემოაღნიშნული სიის გარდა ჩვენ მოგვეპოვება ჭელიშის მონასტრის ქონების რამდენიმე აღწერილობა. (იხ. დანართი №) (ქ.ც.ა. ფ. №21, ს. №3651; ს. №4974; ს.№ 7677). ისინიც მსგავსად ამ ნუსხისა მაშინაა შედგენილი, სანამ იქ სხვავის მონასტრის ნივთებს გადაიტანდნენ (1846, 1853, 1860 წლები). ამრიგად ამ ორი ნუსხის (სხვავის და ჭელიშის) ერთმანეთთან შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ბოჭორიძის მიერ აღწერილი ჭელიშის მონასტრის ნივთებიდან რომელი ეკუთვნოდა საკუთრივ სხვავის მონასტერს. მაგალითად სხვავიდან უნდა იყოს გადატანილი ჭელიშში ექვთიმე თაყაიშვილთან მე-6 ნომრად დასახელებული საარქიმანდრიტო მიტრა. (1849 წლის სხვავის ქონების ნუსხაში ეს ნივთი მე-18 ნომრადაა მოცემული იხ. დანართი №2). მეცნიერი მას შემდეგნაირად აღწერს;

„საარქიმანდრიტო მიტრა, მარგალიტისებრი მძივებითა და მრგვალი მედალიონებით შემკული. მედალიონებს შუაში დიდი თვალი უზის, ირგვლივ წვრილები. ამასთანავე მიტრას ამკობენ მოთქროვილი ვერცხლის ხატები. ზემოთ არის „ყდ წა” ძითურთ. ქვემოთ სამი ხატი: ტახტზედ მჯდომარე მაცხოვარი, „ყდ წა” და იოანე ნათლისმცემელი, სრულის ტანით. შემდეგ ხატი ჯვარცმისა. ზემოთ ოთხი მახარობელია გამოქანდაკებული მრგვალ მედალიონებზე, ქვემოთ კი ოთხი სერაფიმ-ქერუბიმი, ასევე მედალიონებზედ. ხატებსა და მედალიონებს წარწერები ხუცური აქვთ. (თაყაიშვილი, 1963, 74).

სხვაგის მონასტრის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს ექვთიმე თაყაიშვილთან მე-5 ნომრით აღწერილი დიდი ვერცხლის ჯვარიც (თაყაიშვილი, 1963, 74). (1849 წლის სიაში იგი მე-3 ნომრადაა დასახელებული—იხ. დანართი №2). ასევე „მამათა ცხოვრება” (ექვთიმე თაყაიშვილთან მე-4 ნომრადაა აღწერილი, (თაყაიშვილი, 1963, 80), 1849 წლის სიაში კი —29 ნომრად—იხ. დანართი №2) — და მრავალი სხვა ნივთი თუ ხელნაწერი. ექვთიმე თაყაიშვილის (და სხვა მკვლევარების) მიერ ჭელიშის მონასტერში აღწერილი არც ერთი ზემოთ დასახელებული ნივთი არ არის მოხსენიებული 1871 წლამდე შედგენილ ამავე მონასტრის ქონების ნუსხებში, სამაგიეროდ შეტანილია სხვაგის მონასტრის 1849 წლის საინვენტარო სიაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავის დროზე ისინი ამ მონასტრის კუთვნილება იყო და მხოლოდ 1872 წელს (იოანე ნათლისმცემლის სახელობის უდაბნოს გაუქმების) შემდეგ მოხვდა ჭელიშის მონასტერში.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდგომ შეიძლება ითქვას რომ რაჭაში საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრება და ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, საკმაოდ დაწინაურებული იყო მთელი შუასაუკუნეების მანძილზე.

მეორე თავი

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო 1544–1820 წლებში

§ 1 ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება

ა) საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი

ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ ჩვენს განკარგულებაშია ძირითადად ორი დოკუმენტი.

პირველი—ეს არის ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელი, რომელშიც იმერეთის მეფე აღნიშნავს ნიკორწმინდაში საეკლესიო კათედრის დაარსებას და პირველ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელ ჩხეტიძეს ასახელებს. აქვე ჩამოთვლილია ის სოფლები და გლეხები, რომელიც მეფეს ახლად დაარსებული კათედრისათვის შეუწირავს, მოხაზულია საეპისკოპოსოს საზღვრები.

მეორე სიგელის ავტორი არის თავად ნიკორწმინდის ეპისკოპოსი მანოელ ჩხეტიძე. ეს საბუთი მოიპოვება მე-XI საუკუნის ძეგლის „ნიკორწმინდელის დაწერილის” მეორე გვერდზე. აქაც ძირითადად იმ საკითხებზეა საუბარი, რაზედაც პირველ დოკუმენტში. ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელი რამდენჯერმერა გამოცემული.

1884 წელს იგი დაბეჭდა დ. ფურცელაძემ წიგნში: „Церковные гуджары”. მაგრამ აღნიშნული პუბლიკაცია ხარვეზებით განხორციელდა. სიგელი გამომცემელს შეცდომით 1434 წლით აქვს დათარიღებული. (ფურცელაძე, 1884: 129).

1897 წელს ჩვენთვის საინტერესო სიგელი გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ (1854–1916) ქრონიკების მე-II ტომში (ჟორდანია, 1897, 379).

მკვლევარი მას 1534 წლით ათარიღებს. (როგორც ცნობილია სიგელს ბოლოში უწერია რომ იგი დაიწერა ქორონიკონსა სკიბ-ბაგრატის მეფობის მეოთხე ინდიქტიონს). თედო ჟორდანია ქორონიკონს სკიბ (=

1544 წელს), კითხულობს როგორც სკბ (= 1534 წელს). ამასთან მიაჩნია რომ სიგელის ინდიქტიონის აღნიშვნაში შეცდომაა დაშვებული და უნდა იყოს არა მეოთხე, არამედ ოცდამეოთხე, რაც ასევე 1534 წელს გვაძლევს ($1510 + 24 = 1534$ წელს).

ზემოაღნიშნული საბუთი გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძეს 1912 წელს გამოცემულ ნაშრომში: „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“ სიგელს მეცნიერი 1544 წლით ათარიღებს (კაკაბაძე, 1912: 11)

1974 წელს ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელი დაბეჭდა ისიდორე დოლიძემ „ქართული სამართლის ძეგლების მე-V ტომში. ისიდორე დოლიძეც ამ საბუთს 1544 წლით ათარიღებს (დოლიძე, 1974: 651-654)

თედო ქორდანიას ნაშრომზე მითითებით ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას 1534 წლით აღნიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი (თაყაიშვილი, 1991: 183)

1534 წელს მომხდარად მიიჩნევს ამ ამბავს მამისა ბერძნიშვილიც. (ბერძნიშვილი, 1979, 21).

თამაზ ბერაძე 1983 წელს გამოცემულ ნაშრომში „რაჭა“ ნიკორწმინდის კათედრის დაარსებას 1544 წლით ათარიღებს. (ბერაძე, 1983: 111).

როგორც უკვე ვთქვით 2003 წელს უურნალ „ორნატში“ გოჩა გუგუშვილმა დაბეჭდა სტატია: „ნიკორწმინდის ეპარქია“. ჩვენთვის საინტერესო ფაქტს მკვლევარი 1534 წლით ათარიღებს. (გუგუშვილი, „ორნატი“, 2003: 54)

ამრიგად, როგორც ვხედავთ აღნიშნული სიგელის დათარიღებასთან და მაშასადამე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მკვლევარებისა: (თედო ქორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, მამისა ბერძნიშვილი, გოჩა გუგუშვილი) ნიკორწმინდაში

საეკლესიო კათედრის დაარსების თარიღად 1534 წელს მიიჩნევს.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი (სარგის კაპაბაძე, ისიდორე დოლიძე, თამაზ ბერაძე) თვლის რომ რაჭაში საეპისკოპოსო 1544 წელს ჩამოყალიბდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ რომ ზემოთდასახელებული მკვლევარებიდან არც ერთს, გარდა თედო ქორდანიასა, სპეციალური მსჯელობა თუ რატომ ერთ ან მეორე თარიღს ემხრობოდა არ გაუმართავს.

ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების თარიღად 1534 ან 1544 წელი სხვა ნაშრომებშიცაა დასახელებული, მაგრამ რადგანაც მათი ავტორები ჩვენთვის საინტერესო საკითხს მხოლოდ გაკვრით და არაპირდაპირ ეხებიან, ამიტომ მათ შესახებ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ.

როგორც ცნობილია ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის სიგელი დათარიღებულია შემდეგნაირად: „...დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქორონიკონსა სკიბ, თვესა აგვისტოსა თ, ხელითა გიორგი აბაშიძისათა, ნებითა დმრთისათა.” (დოლიძე, 1965, 651).

მკვლევართა იმ ნაწილისათვის რომლებიც ამ სიგელს 1534 წლით ათარიღებენ ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს წარმოადგენს საბუთის ქორონოკონისა და ბაგრატის მეფობის ინდიქტიონის ერთმანეთთან შეუსაბამობა. საქმე იმაშია რომ ბაგრატ III-ის მეფობის მე-4 წელი იყო 1514 წელს და არა 1544 წელს, როგორც ამას საბუთის ქორონიკონი (სკიბ) უჩვენებს. ამიტომ თედო ქორდანია თვლიდა რომ აქ დამწერს გამორჩა ასოები და უნდა ყოფილიყო არა მეოთხე, არამედ ოცდა-მეოთხე ინდიქტიონი. ბაგრატ III-ის მეფობის ოცდამეოთხე ინდიქტიონი კი 1534 წელს გვაძლევს. ამიტომაც მკვლევარმა ქორონიკონიც (სკიბ) 1534 წლად წაიკითხა. ამას ხელს ისიც უწყობდა რომ სიგელში ქორონიკონიც არ არის მთლად ზუსტი წესით მოცემული, ვინაიდან თუ

დამწერს 1544 წელი უნდოდა აღენიშნა, მაშინ უფრო სწორი იქნებოდა დაეწერა სლბ (200+30+2), ვიდრე სკიბ (200+20+10+2). ჩვენ მიგვაჩნია რომ ამგვარი მსჯელობა არ არის მართებული. სიგელში მეფობის მე-4 ინდიქტიონის ოცდამეოთხედ შესწორება იმ საბაბით რომ დამწერს გამორჩა სიტყვა, არ ჩანს გამართლებული, ვინაიდან ჩვენ ბაგრატ III-ის სხვა სიგელებიც მოგვეპოვება, სადაც ქორონიკონსა და ინდიქტიონს შორის თითქმის ასეთივე შეუსაბამობაა. ეს არის ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელი გელათის მონასტრისადმი და იმავე მეფის მიერ ბოძებული სიგელი ცირდილაძეთადმი. ორივე მათგანი 1545 წელსაა გაცემული. შედარებისთვის მოგვყავს ორივე საბუთის დათარილება: (გელათის შეწირულობის სიგელი): „ დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქ-კსა სლგ, [თ]ვესა ივნისსა იბ, ხელითა ფრიად ცოდვილისა გიორგი აბაშიძისათა. (დოლიძე, 1965, 183-190). (ცირდილაძეთა სიგელი): „ დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქ-კსა სლგ, თვესა ივლისსა ი-თ ხელითა გიორგი აბაშიძისათა, ამინ” (კაკაბაძე, 1925, 135).

ამრიგად როგორც ვხედავთ 1545 წლის ამ ორ სიგელშიც მსგავსად ჩვენთვის საინტერესო საბუთისა ბაგრატის მეფობის მე-4 ინდიქტიონია აღნიშნული, მაშინ როცა ბაგრატი ამ დროს 34 წლის გამეფებული იყო. ამიტომ მიგვაჩნია რომ რადგანაც ერთი და იმავე პირის მიერ დაწერილ სამ სხვადასხვა საბუთში ბაგრატის მეფობის მეოთხე ინდიქტიონია დასახელებული აქ შემთხვევითობასთან და ინდიქტიონის აღნიშვნისას რაიმე სიტყვის გამორჩენასთან არ უნდა გვქონდეს ადგილი და თედო ჟორდანიას მიერ ნიკორწმინდის საბუთის ქორონიკონის აღდგენაც (მეოთხეს მაგიერ ოცდამეოთხე) არ არის სწორი. წინააღმდეგ შემთხვევაში გელათის მონასტრისა და ცირდილაძეთა სიგელების მეოთხე ინდიქტიონიც ოცდამეოთხედ უნდა

აღგვედგინა, მაგრამ მაშინ კვლავ შეუსაბამობას მივიღებდით, ვინაიდან ქორონიკონი 1545 წელს მოგვცემდა, ინდიქტიონი კი 1534 წელს.

ამრიგად ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გავარკვიოთ ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის სიგელის ქორონიკონი „სკიბ“, მისი დამწერის აზრით რომელ წელს აღნიშნავდა— 1534 წელს თუ 1544 წელს. ამის გარკვევაში ჩვენი აზრით დახმარების გაწევა შეუძლია იმავე ბაგრატ III-ის 1545 წლის სიგელებს. ამ საბუთების ქორონიკონი—სლგ (233) ნიკორწმინდის სიგელის ქორონიკონისაგან განსხვავებით არავითარ ეჭვს არ იწვევს და იგი 1545 წელს გვაძლევს. ამრიგად სიგელის თარიღიდან ვგებულობთ რომ მისი დამწერის— გიორგი აბაშიძის აზრით ბაგრატის მეფობის მე-4 ინდიქტიონი 1545 წელს შეესაბამება, ხოლო რაკი ნიკორწმინდის სიგელის დამწერიც გიორგი აბაშიძეა და რაკი ეს საბუთიც მისი აზრით ბაგრატის მეფობის მე-4 ინდიქტიონსაა გაცემული, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ მასში მოყვანილი ქორონიკონი— სკიბ 1544 წელს გულისხმობს და არა 1534 წელს. ის გარემოება რომ სამივე ამ საბუთში მეფობის ინდიქტიონი მეოთხეა, ხოლო ქორონიკონი სხვადასხვა— 1544 და 1545 წლები ადვილი ასახსნელია: ნიკორწმინდის საბუთის გაცემისას 1544 წლის 9 აგვისტო იყო, გელათის და ცირდილაძეთა საბუთების გაცემისას 1545 წლის 12 ივნისი და 19 ივლისი. როგორც ვხედავთ პირველი საბუთის გაცემიდან სრული ერთი წელი ჯერ კიდევ არ იყო გასული და ამიტომ დამწერისათვის კვლავ მე-4 ინდიქტიონია. ჩვნთვის ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს რომ ამ სიგელების დამწერი გიორგი აბაშიძე სცდება ბაგრატ III-ის მეფობის ინდიქტიონის გამოანგარიშებისას. ეს ცალკე საკვლევი საკითხია. ჩვენს ინტერესს შეადგენდა იმის გარკვევა, თუ რომელ წელს გულისხმობდა ნიკორწმინდის სიგელის დამწერი გიორგი აბაშიძე ქორონიკონში სკიბ, რათა ამით ავტომატურად დაგვედგინა რაჭაში საეკლესიო კათედრის

დაარსების თარიღი. ამის საშუალებას კი სამივე ამ სიგელის მონაცემების ერთმანეთთან შედარება იძლევა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული შეცდომებისა ეს საბუთები სანდოა და მათ ნამდვილობაში არც ერთ მკვლევარს ჯერ-ჯერობით ეჭვი არ შეჰქარვია.

ამრიგად ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის სიგელი 1544 წლის 9 აგვისტოს უნდა იყოს გაცემული. ხოლო რაკი ეს სიგელი რაჭაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების საბუთს წარმოადგენს, ამიტომ აღნიშნული ფაქტიც 1544 წლით უნდა დავათარიდოთ.

მეორე საბუთი რომელიც ნიკორწმინდაში საეკლესიო კათედრის დაარსებაზე მოგვითხრობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის მანოელ ნიკორწმინდელის სიგელი, რომელიც XI საუკუნის ცნობილი ძეგლის „ნიკორწმინდელის დაწერილის“ მეორე გვერდზეა მოთავსებული.

1897 წელს იგი შემოკლებით გამოაქვეყნა თედო ქორდანიამ ქრონიკების მეორე ტომში, ისე რომ სიგელის ქორონიკონი არ დაუბეჭდია. (ჟორდანია, 1897, 49).

შემდეგ ეს საბუთი გამოსცა სარგის კაკაბაძემ 1912 წელს. (კაკაბაძე, 1912, 4-6). სიგელის ბოლოში მოთავსებული ქორონიკონი მან წაიკითხა როგორც „სლვ“ (236) და აქედან გამომდინარე საბუთი მან 1548 წლით დაათარიდა. (იქვე სარგის კაკაბაძე აღნიშნავდა რომ ქორონიკონში ასო „ვ“ კარგად გაირჩეოდა, ხოლო „ს“-ს და „ლ“-ს წაკითხვა საეჭვო იყო).

1920 წელს მეცნიერმა შეცვალა თავისი მოსაზრება და ქორონიკონის „რვ“-დ (106) წაკითხვით საბუთი 1418 წლით დაათარიდა. (კაკაბაძე, 1920, 4). სარგის კაკაბაძე აცხადებდა რომ „ქორონიკონ რვ“, ასომთავრულად დაწერილი იკითხებოდა თავისუფლად.

ჩვენთვის საინტერესო საბუთში ფულის ერთეულად იხსენიება შაური, რომელიც როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია XVI

საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის ხმარებაში. აქედან გამომდინარე სარგის კაკაბაძემ კვლავ შეცვალა თავისი მოსაზრება და 1924 წელს დაბეჭდილ ნარკვევში „ეგრეთ წოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ” საბუთის თარიღად ისევ 1548 წელი აღიარა. (კაკაბაძე, 1924, 242).

სარგის კაკაბაძის მოსაზრებათა ამ ცვლილებებისა და იმის გამო რომ მე-XV საუკუნით დათარიღებულ საბუთში, ხმარებაში მე-XVI საუკუნეში შემოსული ფული იხსენიებოდა—ივანე ჯავახიშვილმა ეს მინაწერი ნაყალბევად მიიჩნია და განაცხადა: „თუ საბუთი 1418 წელს დაწერილად აცხადებს თავისთავს და შიგ შაური იხსენება, ამნაირი ტლანქი ანაქრონიზმის გამო ის საჭვროდ და ნატყუარად უნდა იქნეს ცნობილი”. (ჯავახიშვილი, 1982, 93). უნდა აღინიშნოს რომ ეს საბუთი არ იძლევა იმის საფუძველს რომ იგი ნატყუარად მივიჩნიოთ.

მინაწერი აშკარად მე-XVI საუკუნისაა. მასში მოხსენიებული არიან ცნობილი ისტორიული პირები— ნიკორწმინდის პირველი ეპისკოპოსი— მანოელ ჩხეტიძე და იმერეთის მეფე ბაგრატ III. სიგელში საუბარია ახლადდაარსებული ეპარქიის საზღვრებისა და მეფის მიერ შეწირული მამულების შესახებ. შინაარსის მხრივ საბუთი ძალზედ უახლოვდება ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელს ნიკორწმინდის ტაძრისადმი, რომლის ნამდვილობაში ეჭვი არავის შეპპარვია. ორივე სიგელში საუბარია ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდის ეპარქიის დაარსებაზე და ამ მხრივ საბუთების რეალიები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება საბუთის ქორონიკონს— სარგის კაკაბაძე აცხადებდა რომ „ვ” ასო კარგად იკითხებოდა, საეჭვო იყო „ს”-ს და „ლ”-ს წაკითხვა. იმის გამო რომ საბუთი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უეჭველად მე-XVI საუკუნეშია შედგენილი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ ქორონიკონის პირველი ასო უნდა იყოს „ს” (200). როგორც გავარკვიეთ ნიკორწმინდაში საეკლესიო კათედრა 1544 წელს დაარსდა. საბუთის

შინაარსიდან გამომდინარე კი იგი საეპისკოპოსოს დაარსების ახლო წლებში ჩანს გაცემული. ყოველივე ამის გამო ჩვენი აზრით ქორონიკონის მეორე ასო უნდა იყოს „ლ” (30) და საბუთი მართლაც 1548 წელს უნდა იყოს გაცემული.

ბ) ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების წინაპირობები.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპარქიას წარმოადგენდა. იგი მე-XVI საუკუნეში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ იქნა დაარსებული და მოიცავდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს-რაჭას. აღნიშნულ კუთხეში საეკლესიო კათედრის ჩამოყალიბება განპირობებული იყო როგორც წმინდა რელიგიური ფაქტორებით, ისე იმ პოლიტიკური სიტუაციითაც, რომელიც მაშინ იმერეთის სამეფოში იყო შექმნილი. ამიტომ ამ მოვლენის სწორად გაშუქებისათვის ორივე მომენტის გათვალისწინება აუცილებელია.

მე-XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან როგორც ცნობილია საქართველოს მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ქვეყანა საგარეო მტრების თარეშმა და შინააშლილობამ მოიცვა. ბუნებრივია რომ საერთო ვითარების სურათი, სხვა სფეროებთან ერთად ეკლესიის ცხოვრებაზედაც აისახა. ქართული ეკლესია ისევე როგორც მთელი ქვეყანა დაქვეითების გზას დაადგა. საერო ფეოდალებმა თანდათანობით მიიტაცეს ეკლესიის კუთვნილი მამულები. პირველი დიდი დარტყმა ამ მხრივ ქართულმა ეკლესიამ მე-XIII საუკუნის 60-იან წლებში განიცადა, როდესაც მსხვილმა დიდებულებმა მეფის თაოსნობით მისთვის საუკუნეების მანძილზე შეწირული მამულების გამოწირვა დაიწყეს. მომდევნო ხანებში ამას დაერთო კიდევ უფრო საშიში პროცესი. ეს იყო საეკლესიო სეპარატიზმი, რომელიც სათავეს იღებდა და საზრდოობდა საერო ფეოდალებისაგან. სამცხის ათაბაგებისა და ბაგრატ მე-II-ის უგუნურმა პოლიტიკამ, რომელსაც ზურგს ანტიოქიის პატრიარქების ანტიქრისტიანული ქმედებები უმაგრებდა, ის შედეგი გამოიღო, რომ მე-XV–XVI საუკუნეებში მცხეთის იურისდიქციას თანდათანობით ჩამოსცილდა დასავლეთ საქართველოსა და სამცხის ეკლესიები (ჯაფარიძე, 1999, 182), ისე რომ

მე-XV საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოზი უკვე თვითმწყსობის უფლებით სარგებლობს და მას ადგილობრივი ეპისკოპოსები ირჩევდნენ. რაჭაც, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთი კუთხეთაგანი აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოში მოექცა.

საქართველოს დაშლამ როგორც პოლიტიკურად, ასევე საეკლესიო ადმინისტრაციის მხრივ ქვეყანაში ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის მოშლას. აი როგორ ახასიათებს შექმნილ ვითარებას ერთ-ერთი საეკლესიო კრების განჩინება, რომელიც მე-XVI საუკუნის შუა ხანებში იქნა მოწვეული იმერეთში: „ დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა, კაცის კლუა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხუა და უხუედრობა” (კაკაბაძე, 1919, 3). ბუნებრივია რომ საეკლესიო ცხოვრება დაქვეითებული იყო რაჭაშიც, ისე რომ მე-XVI საუკუნეში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების წინ ერთ დროს აყვავებული ნიკორწმინდის მონასტერი ბაგრატ მე-III-ის სიგელში უკვე „დაკნინებულ მონასტრადაა“ წოდებული.

ბაგრატ მე-III-ს, როგორც მართლმადიდებელ მეფეს კარგად ჰქონდა გათავისებული ეკლესიის უდიდესი სულიერი და ზნეობრივი მნიშვნელობა, ამიტომ იგი გამეფებისთანავე ენერგიულად შეუდგა ეკლესიის განმტკიცება-გაძლიერებას. მან დასავლეთ საქართველოს არაერთ ეკლესიას დაუბრუნა მიტაცებული მიწები ან ახალი შესწირა. წამოიწყო დიდი საამშენებლო საქმიანობა ეკლესიებში. მისივე თაოსნობით აფხაზეთის კათალიკოზის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს.

ბაგრატ მე-III-მ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსებას. 1529 წელს მან ქუთაისის საეპისკოპოსო სამ ნაწილად გაჟყო და მის ბაზაზე გელათისა და

ხონის ეპარქიები დააარსა. ცოტა მოგვიანებით ამას მოჰყვა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაფუძნებაც.

რაჭაში (და საერთოდ დასავლეთ საქართველოში) ახალი საეპისკოპოსო კათედრის დაარსების უმთავრესი მიზანი ცხადია იქ მოშლილი საეკლესიო ცხოვრების აღდგენა იყო. მაშინ როცა ამ კუთხის სასულიერო ცენტრი ნიკორწმინდა „დაკნინებულ მონასტრად“ იყო ქცეული, ადვილი წარმოსადგენია სხვა ეკლესია-მონასტრები რა დღეში იქნებოდა. საჭირო იყო ენერგიული მოქმედება რათა დარღვეული სასულიერო ცხოვრების რიტმი აღმდგარიყო. ამის გაკეთება რაჭიდან მოშორებული ქუთაისიდან ძნელი იყო, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებოთ რომ შინაფეოდალური ბრძოლისა და დაპირისპირების გამო დასავლეთ საქართველოში მიმოსვლა გაძნელებული იყო. ახლა კი როცა რაჭას საკუთარი ეპისკოპოსი ეყოლებოდა ეკლესიის მდგომარეობას ეს ამ კუთხეში საგრძნობლად განამტკიცებდა.

ბაგრატ III არა მარტო ახალი საეპისკოპოსოების დაარსებაზე ფიქრობდა, არამედ ამასთან ერთად ენერგიულად ზრუნავდა ეპისკოპოსთა უფლებებისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე. მე-XVI საუკუნის შუა ხანებში მისი ინიციატივით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ეპისკოპოსთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა საკმაოდ მკაცრად განსაზღვრა: „ეპისკოპოზის საქმე ეს გაგვიჩენია და გავაჩინეთ: რომელმანცა ეპისკოპოსმან მისსა საყდარსა განეშოროს თვინიერ ოცის დღისა თუ არ პატრონისა მიზეზისა და საქმისათვის და ანუ სამწყსოსა შიგან სიარულისაგან თავი ხელთ არა ჰქონდეს და ანუ აგად არ იყოს, ანუ მისსა სამწყსოსა შიგან ქორეპისკოპოზსა გაუწყვეტლად არ არონინებდეს და სჯულის საქმესა და მღუდელმონაზონის საქმეს, მისსა სამწყსოსა ეკლესიების საქმესა მართლა არ მწყსობდეს, არ მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაც

ძალებუას მისს საყდარს არ აშენებდეს, არ კაზმევდეს, ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს, და რომელმანცა ეპისკოპოსმან, რაც სჯულის კანონსა შიგან არ ეწეროს იმას გარეთ ანუ უხუედრობისა და სვიანობისა საქმესა ზედან ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, შეჩუენებული იყოს წმიდათაკრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არის წმიდათ მოციქულთასა და მისის საყდრისაგან ექსორია იქმნას... (კაკაბაძე, 1919, 4).

მეორე მხრივ კრებამ ხაზი გაუსვა ეპისკოპოსთა დიდ უფლებებს და განაცხადა: „...რომელიც ანუ დიდი, ანუ მცირე, ანუ თავადი, ანუ აზნაური, ანუ გლეხი ეპისკოპოზე წინააღუდგეს და მართლითა სამართლითა და განკითხვით ქორეპისკოპოზე სასჯულო არ მოაკითხვინონ, შეჩვენებული იყოს“ (კაკაბაძე, 1919, 4).

ბუნებრივია ასეთი დიდი მოვალეობისა და უფლებების მქონე სასულიერო პირის ყოფნა რაჭაში საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების აღდგენას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს.

გარდა წმინდა საეკლესიო და საზოგადოებრივი ფაქტორებისა, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება გარკვეული პოლიტიკური სიტუაციითაც იყო შეპირობებული. ამ მომენტის გათვალისწინების გარეშე კი ცხადია სრული სურათის დახატვა გაძნელდება.

როგორც ცნობილია მე-XV საუკუნეში საქართველოს ერთიანი მონარქია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, თანდათანობით ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები და სამცხის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები. ეს მოვლენა არ წარმოადგენდა ერთჯერად აქტს, არამედ იგი დროში საქმიოდ გაწელილი, ხანგრძლივი პროცესი იყო.

XVI საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკური ვითარება საკმაოდ რთული იყო. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ოდიშის და გურიის საერისთავოების საკითხი. დადიანმა და

გურიელმა ჯერ კიდევ XIV საუკუნის დასაწყისში წამოიწყო აქტიური ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სერიოზულ წარმატებას კი ამ მხრივ მათ XV საუკუნის 60-იან წლებში მიაღწიეს, როდესაც იმერეთის მეფეთა ყმობისაგან განთავისუფლდნენ და ძველ ვალდებულებათაგან მხოლოდ „ლაშქრობა და ქვეგანწესება“ შერჩათ. XVI საუკუნეში ისინი ამ სამსახურზედაც უარს ამბობენ. მაგრამ უბედურება ის იყო რომ არა მარტო დადიან-გურიელი, არამედ სხვა წვრილი სათავადოებიც განკერძოების გზაზე ადგნენ და სამეფო ხელისუფლებას ადარ ემორჩილებოდნენ. პარტიკულარიზმი ეპოქის მთავარ ნიშად იყო ქცეული. ცხადია სახარბიელო ვითარება ამ მხრივ არც რაჭაში იყო შექმნილი. მას შემდეგ რაც დავით ნარინმა დალატის გზაზე შემდგარი რაჭის ერისთავი დასაჯა და აქ საერისთავო გააუქმა, ეს მხარე გარკვეული ხნით სამეფო დომენად იქცა და მას უშუალოდ მეფე მართავდა. რაჭას ხშირად აფარებდნენ თავს აჯანყებული უფლისწულები თუ იმერეთის ტახტის მაძიებელი პრეტენდენტები. ამასთან ამ კუთხიდან გამოყვანილი ძალის მნიშვნელობა ხშირად გადამწყვეტი ჩანს ამ უკანასკნელთა წარმატებისათვის. ცხადია ამ რეგიონის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდიდა ის ფაქტი, რომ იგი სამეფოს სასაზღვრო მხარეს წარმოადგენდა და რაჭის მტკიცედ პყრობაზე ბევრად იყო დამოკიდებული როგორც ჩრდილოეთის საზღვრების უსაფრთხოება, ასევე ზოგადად ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების წარმოება.

XIV–XVI საუკუნეებში რაჭაში თანდათან წინაურდებიან ცალკეული ფეოდალური საგვარეულოები–ჭარელიძეების, გარაფანიძეების, იაშვილების, ჯაფარიძეების, ჩხეტიძეების, წულუკიძეების და სხვ. XIV საუკუნის მიწურულს აქ საერისთავოც აღდგა. როგორც აღვნიშნეთ ფეოდალური განკერძოებულობის მხრივ აქაც რთული ვითარება იყო შექმნილი. ამ დროს რაჭაში განსაკუთრებით დაწინაურებული იყო

ჯაფარიძეთა საგვარეულო, ისე რომ მეფე მათ წინააღმდეგ რაიმე გადამჭრელი ზომების მიღებას ერიდება. ეს მომენტი კარგად ჩანს ცნობილი სასისხლო სიგელის მონაცემებიდან, რომელშიც სვანებისა და ჯაფარიძეების საქმეა გარჩეული. ჯაფარიძეებისაგან შეწუხებულმა სვანებმა დადიანის პირით იმერეთის მეფეს— ალექსანდრე II-ს სთხოვეს დახმარება, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯაფარიძეთა წინააღმდეგ გადამწყვეტ მოქმედებაზე უარს ამბობს იმ მოტივით რომ ჯაფარიძენი: „მწუხად მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩეუმელნი დამეკარგუიანო“ (ინგოროვა, 1941, 32). მართალია ამ შემთხვევაში ჯაფარიძენი მეფის პოლიტიკის გამტარებლები ჩანან, ვინაიდან მათი სახით მეფე თავისუფალ სვანეთზე ხელის დადებას უნდა ცდილობდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ალექსანდრე II-ის ზემომოყვანილი სიტყვებიდან მაინც ნათლად ჩანს თუ რამდენად შორს არის წასული რაჭაში (და არა მარტო აქ) ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოთა გაძლირება.

აი ასეთი იყო ვითარება იმერეთის სამეფოში, როდესაც 1510 წელს ტახტზე ავიდა ბაგრატ III. როგორც ვნახეთ ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა ბრძოლა ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ და სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. მაგრამ საჭირო იყო ისეთი ძალის მონახვა, რომელზე დაყრდნობითაც მეფე ამ პრობლემის მოგვარებას შეძლებდა. მარტო საერო ფეოდალების იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი სეპარატისტული ტენდენციებით იყო დაავადებული. ამიტომაც ბაგრატ III-მ სავსებით კანონზომიერად თავის მხარდამჭერ და დასაყრდენ ძალად ეკლესია მიიჩნია. საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესია ყოველთვის სამეფო ხელისუფლების გვერდით იდგა ქვეყნის გაერთიანებისა და ფეოდალური სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს საკმაოდ კარგად ჰქონდა შეგნებული

ბაგრატ III-ს და ყოველმხრივ ცდილობდა ეპლესიის აღდგენა-განმტკიცებას თუნდაც იმიტომაც რომ შემდეგში გაძლიერებული და ფეხზე დამდგარი ეპლესია მეფეს უფრო მძლავრად დადგომოდა გვერდში ფეოდალების ურჩობის ალაგმვაში. ეს მომენტი ერთ-ერთი განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო ბაგრატ III-ისათვის როდესაც იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს აარსებდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს რაჭაში საეკლესიო კათედრის დაარსების თვით კონკრეტული თარიღიც—1544 წელი. ეს არის პერიოდი როდესაც ბაგრატ III სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ოსმალეთის იმპერიისა და მოღალატე ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგოს შენარჩუნებისათვის. წინა—1543 წელს მეფემ ქარალაქის სისხლიანი ბრძოლა გადაიხადა და ელოდა ოსმალთა ახალ შემოსევას. (მომდევნო 1545 წელს მოხდა კიდევ სოხოისტას ცნობილი ბრძოლა). ასეთ კითარებაში, როდესაც მეფე ნიკორწმინდაში საეკლესიო კათედრას აარსებს, ეს უკვე ნათლად მიუთითებს იმაზე თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაგრატ III გაძლიერებული ეპლესიის გვერდში დოგმას.

ცხადია თუ რაჭაში ეპლესია და სასულიერო ძალები გაძლიერდებოდნენ ეს ბაგრატ III-ის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ეპისკოპოსს ხომ მეფე ნიშნავდა, თანაც მდვდელომთავრის სიძლიერე ბევრწილად სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე იყო დამოკიდებული და იგი ყოველთვის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას უჭერდა მხარს. ამასთან ეპისკოპოსობა ისეთი თანამდებობა იყო, რომელსაც განსხვავებით საერო ფეოდალებისაგან, მემკვიდრეობითი ტენდენციები არ ახასიათებდა. ყოველივე აქედან გამომდინარე ისეთი მაღალი საეკლესიო ხელისუფალის გაჩენას, როგორიც ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო, არა მარტო ეპლესის აღდგენა—განმტკიცებისათვის უნდა შეეწყო ხელი, არამედ ამასთან

ერთად მეფის მომხრე პოლიტიკური ძალებიც უნდა გაეძლიერებინა, მეფის ურჩი ძალები კი მოეთოვა. ამიერიდან ნიკორწმინდის კათედრა ერთგვარ ცენტრად უნდა გადაქცეულიყო რაჭაში სამეფო ხელისუფლების მომხრეებისათვის. თანაც ეპისკოპოსი თავისი მაღალი სასულიერო იერარქიისა და მის ხელში არსებული საეკლესიო ძალაუფლების (ეკლესიიდან განკვეთა-შეჩვენება და სხვა სასჯელები) გამო უფრო მეტად გაბედავდა დაპირისპირებოდა აქ მეფის მოწინააღმდეგა მსხვილ ფეოდალებს.

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების სახით ბაგრატ III თავის დასაყრდენ ძალას იჩენდა არა მარტო რაჭის, არამედ მთელი სამეფოს მასშტაბითაც, ვინაიდან ისინი არასოდეს დარჩენილან ვიწრო, ერთი კონკრეტული მხარის მწყემსმთავრებად და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფოს პოლიტიკურ თუ კულტურულ-სულიერ ცხოვრებაში.

აი ასეთია ის პოლიტიკური თუ საეკლესიო წანამდვრები, რომელთაც განაპირობეს რაჭაში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება.

გ) ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები

ახლადდაარსებული ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელში ასეა მოხაზული: „გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხევის თოთენდაერს მთას აქადა, ოკრიბის მთას აქადა, მთა დვალეთისა, ლები, გლოლა, ყისონ გამომდინარე რიონი და სრულად რაჭა ასკის წყალს გამოდმა” (კაკაბაძე, 1912, 8).

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის მანოელ ნიკორწმინდელის სიგელიც, სადაც ხაზგასმულია რომ ბაგრატ III-მ ნიკორწმინდას შემოსწირა: „სარაჭოს გზას აქეთ (აქ ორი სტრიქონი წაუკითხველია—ს.კ.) წის გიორგის მთის (სა?)ჯინიბოს აქათ დართ(ის?) და ბიტას (ბუჯას?) შემოდმა...” (კაკაბაძე, 1912, 4)

ამრიგად თუ დავაკვირდებით ბაგრატის მიერ მოხაზულ ტერიტორიას დავინახავთ რომ ახალი ეპარქიის ჩამოყალიბება საქართველოს ისტორიული კუთხის-რაჭის ფარგლებში მომხდარა: სიგელის მკაფიო გამოთქმა: „სრულიად რაჭა ასკის წყალს გამოდმა” ამის დამადასტურებელია.

ამ მხრივ ოდნავ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. დიდი ქართველი ისტორიკოსის მიხედვით: „ხოტევს ზეით, ამის წყალსვე ერთვის აგარის ხევი. ამ ხევზედ არს ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ—დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭის” (ბაგრატიონი, 1973, 764).

როგორც ვხედავთ ვახუშტი ბაგრატიონი ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ჩრდილო—აღმოსავლეთ საზღვარს გლოლას ქვევით ავლებს. რაც შეეხება საკუთრივ გლოლას და მთის რაჭის სხვა სოფლებს, იგი მას ნიქოზელის სამწყსოში განიხილავს: „ლიახუს გაღმა, არს ნიქოზს ეკლესია დვთაებისა დიდი გუმბათიანი, ადაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა, მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასუა ეპისკოპოზი, ზის დღესაც

მწყემსი კავკასიანთა დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა დებითურთ” (ბაგრატიონი, 1973, 370).

როგორც ზემოთ ვნახეთ ბაგრატ III-ის სიგელში, ახლადდაარსებული ნიკორწმინდის სამწყსოში დები და გლოლაცაა დასახელებული. მართლაც ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელიდან ვიცით რომ ეს სოფლები, რომელიც მანამდე სვანებს ეკუთვნოდათ, XVI საუკუნის დასაწყისიდან უკვე რაჭის შემადგენლობაშია. ამიტომ თამაზ ბერაძე ვახუშტის ამ ცნობას მცდარად მიიჩნევს. (ბერაძე, 1983, 149). თუმცა გოჩა გუგუშვილი ეთანხმება ვახუშტის ამ ცნობას და აღნიშნავს: „ადრიდანვე შიდა ქართლის უძველესი ნიქოზის ეპარქიის იურისდიქცია და საზღვრები ქართველთა მონათესავე ტომზე მაღნარ-დვალეთზე, კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე დურძუკთა და ოსთა ტომებზე ვრცელდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტების შემდეგ ამ ვრცელ ქრისტიანულ თემებთან ნიქოზელ მდგდელმთავარს უსაფრთხო კავშირის დამყარება მხოლოდ მთის რაჭის მეოხებითდა, აქაური გზების გავლით შეეძლო”. (გუგუშვილი, 2003, 68)

ჩვენი აზრით XVI საუკუნეში, როდესაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დაარსდა გლოლა და დები ახლადდაარსებული ეპარქიის ფარგლებში შედიოდა, მაგრამ გვაფიქრებს ერთი გარემოება: ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც თავის დროის გამოჩენილ მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს კარგად უნდა სცოდნოდა რა ტერიტორიები შედიოდა ნიკორწმინდელისა და ნიქოზელის სამწყსოში. როგორც ცნობილია მან 1724 წელს საქართველო მამამისთან ერთად სწორედ რაჭის გავლით დატოვა. ასე რომ ვახუშტის შეეძლო აქ ზუსტი ინფორმაცია მიეღო ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრების შესახებ. ყოველივე აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვახუშტის ცნობა XVIII საუკუნის სინამდვილეს შეესაბამებოდეს და მის დროს

მთის რაჭა გარკვეული სნით მართლაც ყოფილიყო ნიქოზელის სამწყსოში, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებოთ, რომ XVI საუკუნისათვის როცა აქ ეპარქია დაარსდა, წყაროების მკაფიო ჩვენების გამო ეს მომენტი გამორიცხულად მიღვაჩნია.

**§ 2. ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურული სახე,
ეპიგრაფიკული წარწერები და მხატვრობა.**

ნიკორწმინდის ბრწყინვალე ტაძარი XI საუკუნეშია აგებული ბაგრატ III-ის და რაჭის ერისთავების—კახაბერიძეების ფეოდალური სახლის თაოსნობით. იგი საქართველოს სხვა დიდებული კათედრალების—სვეტიცხოველის, ალავერდის, ბაგრატის ტაძრის მსგავსად საქართველოს გაერთიანების სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს და ამ მხრივ ჩვენი სამშობლოს ამ დიადი ეპოქის ერთგვარ მატიანედ გვევლინება.

ტაძრის მშენებლობა 1010–1014 წლებში უნდა დასრულებულიყო. ამის დადგენის საშუალებას კი გვაძლევს დასავლეთის შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილი წარწერა: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შინა შენსა მეოხებითა წმიდისა მღვდელთმოძღურისა ნიკოლოზისაითა“. (Brosset, 1851, XII, 55; Уварова, 1894, 133–135; კაკაბაძე, 1929, 102; ბოჭორიძე, 1994, 95; თაყაიშვილი, 1963, 84). წარწერაში ბაგრატი მოხსენიებულია რანთა მეფედ, რანი კი მან 1010 წელს აიღო. ბაგრატ III 1014 წელს გარდაიცვალა. ამიტომ ეს წარწერაც და მაშასადამე ტაძრის დასრულებაც 1010–1014 წლებში უნდა დამთავრებულიყო.

ეპლესია აგებულია ქრისტიანობის დიდი წმინდანის—IV საუკუნის მოღვაწის, მირონ—ლუკიის მთავარეპისკოპოს—ნიკოლოზის სახელზე. აქედან არის წარმომდგარი თვით ტაძრის სახელწოდებაც. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც—ეპლესია აუშენებიათ უდიდესი სიწმინდის—წმიდა ნიკოლოზის მკლავის ნაწილის საპატივცემულოდ. (ივერია, 1902, № 183). ეს სიწმინდე მართლაც იყო დაბრძანებული ნიკორწმინდის ტაძარში XX საუკუნეში. ამ საუკუნის 20–იან წლებში

გაჩაღებული ანტირელიგიური კამპანიის დროს წმიდა ნიკოლოზის მკლავის ნაწილი გადმოსვენებულ იქნა ქუთაისის მუზეუმში (ბოჭორიძე, 1994, 110), შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

XI საუკუნეშივე ნიკორწმინდა საკმაოდ მძლავრ სამონასტრო კერას წარმოადგენს. ნიკორწმინდელის დაწერილიდან ვგებულობთ რომ მონასტერი მამულებს ფლობდა 31 გეოგრაფიულ პუნქტში: აქედან 19 რაჭაში მდებარეობდა (ნიკორწმინდა, ხოტევი, ხოტევის აგარა, ველიშეული, ბეთაბრელი, სამი ჯვარი, ზნაკვის აგარა, ჯვარისა, ძირაგეული, ხივში, მეტეხარა, შხრო, ხევხმელი, შომიეთი, ველიშეული, ზახლეული, ქუმელოანი, შქმერი) – დანარჩენი კი ოკრიბაში (ჯვარისა, საწირე, ბობოთი) და არგვეთში (მუხურა, ცხილათი, ჩიხა, ბაჯითი) (ბერძნიშვილი, მე-XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი) 1979). მონასტერს გააჩნდა საკმაოდ მდიდარი მეურნეობა, მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ქვისა და ხის შენობები (მაგალითად – ნიკორწმინდაში მონასტერს ჰქონდა ქვის სასაწნეხლე, რომელშიც 16 ჭური იყო მოთავსებული, ასეთივე ლვინის დასაწურავი შენობა ჰქონდა საწირეშიც – 10 ჭურით).

XI–XIII საუკუნეებში ნიკორწმინდა რაჭის ერისთავების–კახაბერიძეების საგვარეულო მონასტერი უნდა ყოფილიყო. ტაძარზე კახაბერიძეთა გვარის არაერთი წარმომადგენლის სახელია აღმართის „ნიკორწმინდელის“ ავტორიც ამ საგვარეულოს წარმომადგენელი – ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერაში მოხსენიებული კახაბერყოფილი კირილეა. ცხადია ასეთი ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს მფარველობა ნიკორწმინდის მონასტრის დაწინაურებას და აქ საეკლესიო ცხოვრების აღორძინებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ როგორც ცნობილია XIII საუკუნის 80–იან

წლებში დავით ნარინმა რაჭის ერისთავი დალატისათვის სასტიკად დასაჯა და საერისთავოც გააუქმა. ბუნებრივია მათი სახით მონასტერმა გავლენიანი მფარველი დაკარგა, რაც მისი დასუსტების ერთ-ერთი მიზეზი უნდა გამხდარიყო.

XVI საუკუნეში ერთ დროს ბრწყინვალე ტაძარი „დაკნინებულ მონასტრადაა“ ქცეული. ასეა ის მოხსენიებული იმერეთის მეფის ბაგრატ III –ის სიგელში. როგორც ცნობილია ბაგრატმა 1544 წელს ნიკორწმინდის ტაძარი საეპისკოპოსო კათედრად გადააქცია და იქ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი დასვა. როგორც ჩანს მეფეს საამისოდ გარკვეული აღმშენებლობითი საქმიანობაც უწარმოებია ტაძარში. მას უნდა გულისხმობდეს მისი შემდეგი სიტყვები: „...ვიგულსმოდგინეთ და ხელვჰყავით აღმშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა“. (ეორდანია, 1897, 379). იმერეთის მეფეს ხატებით და სხვა საეკლესიო ნივთებით შეუმკია ტაძარი. აქედან მოყოლებული ბუნებრივია ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები თუ მეფეები ყურადღებას არ მოაკლებდნენ ამ დიდებულ ტაძარს. მართლაც იმავე XVI საუკუნეშივე არაერთი ცნობა მოგვეპოვება ბაგრატ III–ის თუ მისი მემკვიდრეების მიერ ნიკორწმინდისათვის ხატების და მიწა-მამულის შეწირვის თაობაზე – ისე რომ მომდევნო XVII საუკუნეში, როდესაც რუსმა ელჩებმა ტოლოჩანოვმა და იევლევმა მოინახულეს ნიკორწმინდა, ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ მისი სილამაზით და მორთულობით: „....16 ივნისს ნიკიფორე და ალექსი....ალექსანდრე მეფის ციხე – ქალაქში, რაჭაში მივედით, რომელიც საქართველოს მეფეს თეიმურაზს აქვს ბოძებული სარჩოდ. აქ წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ქვის დიდი საყდარია, საოცარი ნახელავია. გარედან საყდარი მოჩუქურთმებულია და ქვაზე ამოჭრილია საუფლო დღესასწაულები, წინასწარმეტყველები, მოციქულები, მოწამენი. შიგნით საყდრის კედლები მოხატულია. ადგილობრივი, ქართული ხელობის ხატები

ოქროთი არის მოჭედილი, სახელდობრ შარავანდედი და სამოსელი. სახატეებიც ვერცხლითაა მოჭედილი და ალაგ-ალაგ დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული, შარავანდედები კი ოქროსაგან არის გაკეთებული და შემკულია მინანქრით და მარგალიტებით, ხოლო საეკლესიო ჭურჭლები, ბარძიმ-ფეშუმი და ტრაპეზის ჯვარი ოქროსაგან არის ნაკეთები. სახარებაც ოქროთი არის მოჭედილი. საყდრის გარშემო ქვის ზღუდეა, რომელსაც ორი ალაყაფის კარი აქვს გაკეთებული. ამ საყდარში მეფის მახლობელი ნათესავებია დამარხული, კუბოები საყდრის კედლებშია ჩატანებული და ზედ ხავერდი და ოქროს ვარაყიანი ატლასია ფარდასავით ჩამოფარებული". (ტოლოჩანოვი, 1970, 108–109).

XVII საუკუნეში ნიკორწმინდის ეკლესიაში დიდ აღმშენებლობით საქმიანობას აწარმოებენ წულუკიძეთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები. ეკლესიის შიდა მხატვრობაც სწორედ მათივე შესრულებული უნდა იყოს. აქ გარდა რელიგიური სცენებისა, წულუკიძეთა გვარის არაერთი წარმომადგენელია გამოსახული (მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). ზოგიერთ მათგანს ხელთ ეკლესიის მოდელი უჭირავს, რაც უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ეკლესიის შეკეთება–მოხატვაში მათ გარკვეული წვლილი შეუტანიათ.

ნიკორწმინდის ტაძრის შესახებ ცნობებს გვაწვდის მე–XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი: „...ხოტებს ზეით, ამის წყალსვე ერთვის აგარის ხევი. ამ ხევზედ არს ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილდიდშენი “. (ბაგრატიონი, 1973, 764).

მე–XVIII საუკუნეში ნიკორწმინდის ტაძარი მოინახულა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ანტონ გიულდენშტედმა. მისი დახასიათებით ნიკორწმინდა: „...მდებარეობს კირქვიანი მთის მწვერვალზე, სხარტალიდან პირდაპირი ხაზით დასავლეთისაკენ

მხოლოდ ხუთ ვერსზე. მას აქვს თლილი ქვისაგან ნაშენი ჯვარის ტიპის ეკლესია, 20 ნაბიჯი სიგრძისა და 15–სიგანისა“. (გიულდენშტედტი, 1962, 131). მას ეკლესიაში მრავლად უნახავს წმინდა გიორგისა და სხვა წმინდანების ხატები ბერძნული წარწერებით. აქვე გერმანელი მეცნიერი გვაწვდის ცნობას თურქების მიერ ნიკორწმინდის ტაძრის გაძარცვის შესახებ, რაც მის მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე მომხდარა. გიულდენშტედტი არა მარტო ტაძრის, არამედ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საცხოვრებელი სახლის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას: „ეპისკოპოსის საცხოვრებელი ხისგანაა აშენებული, მაგრამ ის ალბათ უდიდესი და ყველაზე წესიერად აგებული შენობაა იმერეთში “— წერს გერმანელი მოგზაური. მისი სიგრძე 35 ნაბიჯი, ხოლო სიგანე—25 ნაბიჯი ყოფილა.

მე-XIX საუკუნის I ნახევარში ნიკორწმინდა მოინახულა ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ მისი სილამაზით აღფრთოვანებული უცხოელი წერს: „ჩუქურთმა და მხატვრობა, რომელიც ჰყარავს გუმბათს, კედლებს, კამარებს და სტოათ დიდად ხელოვნურია. მე არ მინახავს ამდენად მდიდრულად მორთული ტაძარი არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს საქართველოში. როგორც ქართულის ყაიდის ყველა ტაძრები, ნიკორწმინდის პირი, გარდა კუწუბებისა, შესანიშნავია ხუროთმოძღვრების მხრითაც. ვიმეორებ, მე არსად მინახავს ამისთანა მდიდარი ჩუქურთმა, ამისთანა ხელოვნება და არც არა ცოტაოდნად ამის მსგავსი მაინც “ (მერკვილაძე, ივერია, 1902, №211, 2).

* * * * *

ნიკორწმინდის ტაძარი ექვსაფსიდიან, ცენტრალურ—გუმბათოვან ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება. (ჩაჩხუნაშვილი, 1988; Н. Северов и Г. Н. Чубинашвили-Кумурдо и никорцминда; ბოჭორიძე, 1994, 94; ციციშვილი, 1955, 62; ბერიძე, 1974, 145). ეკლესიის გუმბათი დაყრდნობილია

ნახევარწრიული ფორმის აფსიდებზე. ნიკორწმინდის ტაძრის სიგრძე – 14,5 მეტრია, სიგანე–11 მეტრი, ხოლო სიმაღლე – 20–25 მეტრი. (ბოჭორიძე, 1994, 94). ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭეები და სამწირველო. კარიბჭეები თავდაპირველად სამი მხრიდან–დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით აუშენებიათ, მაგრამ დღეისათვის ჩრდილოეთის მხრიდან კარიბჭე აღებულია, თუმცა ტაძარს ცხადად ეტყობა მისი არსებობის კვალი. კარიბჭეების აშენების თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. 6. სევეროვის და გ. ჩუბინაშვილის აზრით დასავლეთის და სამხრეთის კარიბჭეები და აგრეთვე სამხრეთის მინაშენი XI საუკუნეშია აშენებული. (Н. Северов и Г. Н. Чубинашвили, , 23). მაცულევიჩის და ამირანაშვილის აზრით კარიბჭეები იმთავითვე იყო გათვალისწინებული ტაძრის მშენებლობისას და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. (მაცულევიჩი, „ენიმკის მოამბე”, III, 1938, 25–31; ამირანაშვილი, 1950, 171). გიორგი ბოჭორიძის აზრით კარიბჭეები: „თუ იმავე დროს არა, ყოველ შემთხვევაში, იმავე საუკუნეში მაინც არიან აშენებული....სამწირველო უფრო გვიანდელი ხანისაა და უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს. (ბოჭორიძე, 1994, 94).

ნიკორწმინდის ტაძარი 16 სარკმლითაა განათებული, რომელთაგან 12 გუმბათზეა მოთავსებული. აღსანიშნავია რომ ნიკორწმინდის გუმბათი, მანგლისთან ერთად ერთადერთია საქართველოში, რომელმაც თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე. (ჩაჩხუნაშვილი, 1988).

X–XI საუკუნეების ქართული ტაძრის არქიტექტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაგებობების დეკორატიულ გაფორმებას. ამ მხრივ ნიკორწმინდის ტაძარს ნამდვიდად გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიული ძეგლების მრავალფეროვან გალერეაში. რელიეფური გამოსახულებების სიდიადით, ჩუქურთმების სიმდიდრით და ორნამენტული გაფორმებით

მას ნაკლებად თუ შეედრება სხვა ცნობილი არქიტექტურული ძეგლები. ნიკორწმინდის რელიეფურ სცენებში ცხადია უმთავრესი ადგილი რელიგიურ თემატიკას უკავია. როგორც ნიკორწმონდის რელიეფების ცნობილი მკვლევარი ნათელა ალადაშვილი აღნიშნავს, ტაძარზე გამოსახული თითოეული კომპოზიცია დასრულებულ, დამოუკიდებელ და განზოგადებულ ხასიათს ატარებს. ამასთან: „.....აქ ადგილი აქვს სცენათა განსაზღვრულ, მოფიქრებულ შერჩევას, რის შედეგადაც ტაძრის ფასადები შინაარსობლივადაც უკავშირდებიან ერთმანეთს ერთ მთლიან სისტემაში“ (ალადაშვილი, 1957, 132). (ნიკორწმინდის რელიეფების შესახებ მსჯელობა ძირითადად ნათელა ალადაშვილის ნაშრომის მიხედვით გვაქვს მოცემული—მ.მ.)

რელიგიური ხასიათის სცენებით განსაკუთრებით მდიდრულადაა გაფორმებული ფასადები და ტაძრის ტიმპანები, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე სახურავის ქვემოთ სამმაგ დეკორატიულ ჩარჩოში წარმოდგენილია ფერისცვალების სცენა —იესო ქრისტე, მოსე და ელია წინასწარმეტყველებთან ერთად. იქვე გამოსახული არიან მოცემულები. კომპოზიციის მარჯვნივ და მარცხნივ კი მოცემულია მხედრების — წმიდა გიორგის და წმიდა თევდორეს ფიგურული გამოსახულებები. კომპოზიციაში მაცხოვრის ფიგურა მშვიდ და გაწონასწორებულ მდგომარეობაშია მოცემული. წინასწარმეტყველთა ოდნავ მოხრილი, მაცხოვრისაკენ მომართული სხეულები მათ მოწიწებას გამოხატავს უფლისადმი. განსაკუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდება მოციქულთა გამოსახულებები, რაც მათ სხვადასვა მდგომარეობაში წარმოდგენით და ხელის მტევნების ემოციური გადიდებითა და მოძრაობითაა მიღწეული.

სამხრეთის ფასადის ფრონტონზე მოცემულია ქრისტეს მეორედ მოსვლის სცენა. კომპოზიციის შუაში გამოსახულია მაცხოვარი, რომელსაც თან ახლავს ოთხი ანგელოზი. ისინი ორ რეგისტრად არიან

დანაწილებული. ანგელოზთა ქვედა წყვილს ხელში უჭირავს საყვირები. მათი დაძაბული პოზების, სხეულის ნაწილების მკვეთრი დაპირისპირების ფონზე წარმოდგენილია მაცხოვრის მშვიდი ფიგურა, ექსპრესიულად გადიდებული, მაკურთხევები მარჯვენით. (ალადაშვილი, 1957, 32).

იმავე სამხრეთის მხარეს, ტიმპანზე გამოსახულია ჯვრის ამაღლების სცენა. კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია კვარცხლბეჭვებული მოთავსებული დიდი ზომის ჯვარი, რომელსაც ოთხივე მხრიდან ანგელოზები ამოსდგომიან.

დასავლეთის ფასადის წვეროში, სამმაგ დეკორატიულ ჩარჩოში წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი იესო ქრისტეს გამოსახულება, რომელსაც კურთხევის ნიშნად მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეველი. ჩარჩოს ორივე მხარეს მოთავსებულია დისკოები, რომლებიც უხვადაა გაფორმებული სხვადასვა სახის ორნამენტებით. მაცხოვრის გვერდით გვხვდება გირჩების გამოსახულებებიც, რომლებიც მკვლევართა აზრით შეიძლება იყოს მინიშნება ქრისტეზე – როგორც სიცოცხლის წყაროზე. (ალადაშვილი, 1957, 19).

იმავე დასავლეთის მხარეს შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებული კომპოზიცია ქრისტეს დიდების განსახიერებას წარმოადგენს. შუაში გამოსახულია ფეხზე მდგომი მაცხოვრის ფიგურა, რომელსაც ორივე მხრიდან ამოსდგომიან მისკენ მიმართული მხედრები: წმიდა გიორგი და წმიდა თევდორე.

ნიკორწმინდის რელიეფური სცენები არ უნდა იყოს ერთი ოსტატის ნამუშევარი. როგორც მკვლევარები შენიშნავენ-აქ სამი სხვადასხვა შემოქმედის ინდივიდუალური ხასიათი ჩანს. (ალადაშვილი, 1957, 50). ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ტაძრის რელიეფური სცენები მათთვის დამახასიათებელი შესრულების მანერით პირობითად შეიძლება ასე განაწილდეს: – პირველ ოსტატს უნდა ეკუთვნოდეს –

დასავლეთის და სამხრეთის პორტალთა ტიმპანების რელიეფები, ცალკე ოსტატის ნამუშევარი ჩანს ჩრდილოეთის პორტალის ტიმპანი, და აგრეთვე განსხვავებული მიღომის და გადაწყვეტის გამო ცალკე – მესამე ოსტატის შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს ტაძრის ზედა ნაწილები – სამი რელიეფური სცენა – ფერისცვალება აღმოსავლეთ ფასადზე, ქრისტეს მეორედ მოსვლა – სამხრეთის ფასადის ფრონტონზე და მაკურთხეველი ქრისტეს ფიგურა–დასავლეთის ფასადზე. (ალადაშვილი, 1957, 38).

ნიკორწმინდის ტაძარი განსაკუთრებით გამოირჩევა ფრინველთა და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით. მკვლევართა სამართლიანი შენიშვნით ამ მხრივ მას ნაკლებად თუ შეეძრება საქართველოში სხვა რომელიმე ტაძარი. ნიკორწმინდის ტაძრის როგორც გუმბათზე, ასევე მის სხვა მონაკვეთებზედაც მრავლადაა წარმოდგენილი ცხოველთა და ფრინველთა ისეთი რეალური და ფანტასტიკური გამოსახულებები როგორიცაა: ფრთოსანი ცხენები, ლომები, ფასკუნჯი, სირაქლემა, სენმურვი (ძაღლჩიტა), ქათამვეშაპი და სხვა. ცხოველთა ზოგიერთ გამოსახულებას განმარტებითი წარწერაც ახლავს თან. ასეთია მაგალითად: ფასკუჯი, ქათამვეშაპი, სირაქლემი. (ალადაშვილი, 1957, 74–75).

ნიკორწმინდის ტაძრის შიგა მხატვრობა მოგვიანო ხანისაა და იგი მე–XVI–XVII საუკუნეებით თარიღდება. რელიგიური შინაარსის სცენებიდან აქ წარმოდგენილია: „ჯვრის ამაღლება“, „ვედრება“, „შობა“, „მირქმა“, „ნათლისლება“, „ფერისცვალება“, „იერუსალიმში შესვლა“, „ჯვარცმა“, „ჯოჯოხეთის წარტყმევნა“, „მაცხოვრის ამაღლება“, „ქრისტეს მეორედ მოსვლა და განკითხვა“. ტაძარში ასევე მრავლადაა წარმოდგენილი მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, ეკლესიის მამათა, წმიდა მხედართა და ანგელოზთა გამოსახულებები.

რელიგიური შინაარსის ფრესკების გარდა ნიკორწმინდის ტაძარი მდიდარია ისტორიულ პირთა პორტრეტების მხრივაც. სამწუხაროდ აღნიშნული მხატვრობა გვიანდელი პერიოდისაა—ძირითადად მე–XVI–XVII საუკუნეების, მაგრამ ძალზედ საყურადღებოა, ვინაიდან აქ წულუკიძეთა ფეოდალური გვარის მთელი ოჯახებია წარმოდგენილი, რომელთაგან ბევრი ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირები იყვნენ, ცხადია ტაძარში უფრო ძველი დროის მხატვრობაც იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს განახლების დროს დაიფარა.

ისტორიულ პირთა პორტრეტები ძირითადად ეკლესიის აფსიდებშია წარმოდგენილი ცალკეული ოჯახების სახით.

ჩრდილო—აღმოსავლეთ აფსიდში გამოსახული არიან წულუკიძეთა საგვარეულოს შემდეგი წევრები: მანდილოსანი, რომლის პორტრეტსაც აქვს შემდეგი წარწერა: „თანამეცხედ[რე]....ჭილაძის ქალი ელენე. იქვე მის გვერდით დახატულია მისი მეუღლე რომლის გამოსახულებაც დაზიანებულია. წარწერიდან ვგებულობთ რომ ეს არის გიორგი წულუკიძის ფრესკა. გიორგი ბოჭორიძის და ოლია სოსელიას აზრით ეს გიორგი წულუკიძე არის ის პიროვნება, რომელიც იხსენიება იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის 1651 წლის საფიცრის წიგნში. (ბოჭორიძე, 1994, 107, სქოლიო 171; სოსელია, 1981, 66). ო. სოსელიას ვარაუდით, ასევე ეს გიორგი წულუკიძე შეიძლება იყოს 1696–1714 წლებში კათოლიკოს გრიგოლ ნემსაძისათვის ფიცის მიმცემი პირი. (სოსელია, 1981, 66). მომდევნო მამაკაცის პორტრეტი დაზიანებულია. სამწუხაროდ დაზიანებულია წარწერაც. გიორგი ბოჭორიძე მას კითხულობს როგორც: „.....ა წულუკიძე “ (ბოჭორიძე, 1994, 107). როგორც ჩანს ექვთიმე თაყაიშვილის დროს ეს წარწერა შედარებით კარგად ჩანდა და ამიტომ იგი მას კითხულობს როგორც : „ლომინა“ – თუმცა იქვე აღნიშნავს რომ წარწერა ცუდადაა შენახული. (თაყაიშვილი, 1963, 88). მის გვერდით დახატულია მისი მეუღლე,

რომლის ფრესკასაც აქვს შემდეგი წარწერა: „ქორთობის ქალი ელენე თანამეცხედრე მისა“. ჩრდილო—აღმოსავლეთ აფსიდში წულუკიძეთა მესამე ოჯახიცაა წარმოდგენილი. მამაკაცის პორტრეტს აქვს წარწერა: ბეჟან წულუკიძე, იქვეა მისი მეუღლის და შვილის ფრესკებიც შემდეგი წარწერებით: ჩიჯ[აგაძ]ის ქალი [ხ]აზუა თანამეცხედრე მისი, ბეჟანის ძე ვარადებულ.

ო. სოსელიას ვარაუდით ბეჟან წულუკიძე მე-XVII საუკუნის II ნახევრის მოღვაწეა. იგი უნდა იყოს პაატა წულუკიძის შვილი და ცნობილი ფეოდალის მერაბ წულუკიძის ძმა. პატივცემული მკვლევარის მოსაზრება შემდეგ მონაცემებს ემყარება: აგარის ეკლესიის ერთი ვერცხლის ფეშუმის წარწერაში მერაბ წულუკიძე აცხადებს: „.....ძმა ნიკორწმინდლათ დამისვამს და მეორე ძმა კიდე ხოფს სოფლათ დამისვამს ნასუჯუნევს ხორგას სასახლე მისი შემავლის კაციანათა და ხონი კიდე სულათა. (თაყაიშვილი, 1963, 41–42).

ო. სოსელიას მიაჩნია რომ წარწერაში ნახსენები მერაბ წულუკიძის მეორე ძმა, რომელსაც მან ხორგას სასახლე მისცა არის ბეჟან წულუკიძე, ვინაიდან ჩვენ გაგვაჩნია ერთი საბუთი, რომელშიც საუბარია ბეჟან წულუკიძის მიერ კათოლიკოს გრიგოლ ნემსაძისათვის „ხორგას ნაპარკაოს სასახლის მიყიდვაზე “— მაგრამ ამ შემთხვევაში პატივცემული მკვლევარის მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან ზემოაღნიშნული საბუთის კონტექსიდან გამომდინარე აშკარაა რომ მერაბ წულუკიძე საუბრობს თავისი ძმის ხობის ეპისკოპოსად დასმაზე (და არა ხოფს სოფლად დასმაზე, როგორც ეს ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემაშია მოცემული, ვფიქრობთ ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომის გამო) — ბეჟან წულუკიძე კი საერო პირი ჩანს. თუმცა ისიც აშკარაა რომ ამ უკანასკნელს როგორც მერაბ წულუკიძესთან ისე მის ხობელ ძმასთან ძალზე ახლო ნათესაური

კავშირი აქვს, ვინაიდან მერაბ წულუკიძის მიერ ძმისთვის ნაბოძებ ხორგას სასახლეზე მიუწვდება ხელი.

ჩრდილო-დასავლეთ აფსიდში წარმოდგენილი ისტორიულ პირთა პორტრეტები დაზიანებულია და მათი ვინაობის გარკვევა ჭირს. (თაყაიშვილი, 1963, 88; ბოჭორიძე, 1994, 107; კაკაბაძე, 1929, 104).

მამაკაცს და ქალს ომლებიც ცოლ-ქმარი უნდა იყვნენ, ხელთ უპყრიათ ეკლესიის მაკეტი. იქვე გამოსახულია მაცხოვარი, რომელიც ორივე ხელით აკურთხებს მათ. მანდილოსნის პორტრეტის წარწერას გიორგი ბოჭორიძე შემდეგნაირად კითხულობს: „თან[ა]მეცხედრე [მისი] ჩი.....ს კოპ[ა]ძის ქალი ანა – იქვე სქოლიოში კი მიუთითებს რომ აქ ძველი და ახალი პერიოდის წარწერები უნდა იყოს ერთმანეთში შერეული. (ბოჭორიძე, 1994, 107, სქოლიო 174). ექვთიმე თაყაიშვილი ამ წარწერას არ იხსენიებს, სარგის კაკაბაძე კი კითხულობს როგორცჩი[ჟავაძის ?] ქალი ანა. (კაკაბაძე, 1929, 104). ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით აქ წარმოდგენილი პირები უნდა იყვნენ დავით წულუკიძე, მისი მეუღლე ლაშხიშვილის ასული ფარსანგიჯავარი და შვილები – ივანე და ქაიხოსრო (თაყაიშვილი, 1963, 88) – მაგრამ თუ გიორგი ბოჭორიძის და სარგის კაკაბაძის მიერ ქალის პორტრეტის წარწერას მართებულად ჩავთვლით წაკითხულად, მაშინ ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება მიუღებელი ჩანს. ეკლესიის მოდელის ქვეშ წარმოდგენილია ყმაწვილის პორტრეტი (გიორგი ბოჭორიძის ვარაუდით შეიძლება ორისაც) – დაზიანებული წარწერით: და ქაიხოსრო.

ჩრდილო-დასავლეთ აფსიდში კიდევ დახატულნი არიან შემდეგი პირები:

1. მამაკაცის დაზიანებული პორტრეტი წარწერით „დათუნ...“ (ექვთიმე თაყაიშვილი მას არ ახსენებს).
2. მერაბ ძე დათუასი ;

3. მამაკაცი რომლის სახელსაც გიორგი ბოჭორიძე კითხულობს როგორც „ბერი”, სარგის კაკაბაძე კი ბეჟან (ბოჭორიძე, 1994, 107; კაკაბაძე, 1929, 104).

4. ნიკო[ლო]ზ (ექვთიმე თაყაიშვილი მას არ ახსენებს).

5. ლევან;

6. [სექ]ნია წულუკიძე.

მე-2 ნომრით მოხსენიებული მერაბ ბე დათუასი გიორგი ბოჭორიძის აზრით არის მე- XVII საუკუნის ცნობილი ფეოდალი – მერაბ წულუკიძე – ხოტევისა და აგარის ეპლესიების ამგები, რომელიც თავს ლევან დადიანის გაზრდილად მიიჩნევდა. იგი თავის ოჯახის წევრებთან ერთად იხსენიება აგარისა და ხოტევის ეპლესიების წარწერებში. მისი მეუღლე იყო ჩიჯავაძის ქალი ანა. ყავდა ორი შვილი – გიორგი და ქაიხოსრო. ოლია სოსელიას აზრით მერაბ წულუკიძე იყო ლევან დადიანის ვეზირის – პაატა წულუკიძის შვილი. (სოსელია, 1981, 64). ეს ის პაატა წულუკიძეა, რომელსაც ვახუშტი პაატა წუწეს უწოდებს და რომელიც იმერეთის მეფის გიორგი III-ის მტრობის გამო ოდიშში იყო გახიზნული. აგარის ეპლესიის წარწერაში მერაბ წულუკიძე აღნიშნავს რომ ის ლევან დადიანის გაზრდილია: „მე დადიანმან გამზარდა ლევან მდთივ დოვლათიანმან“ (თაყაიშვილი, 1963, 41). ოლდა სოსელიას აზრით: „ლევან დადიანის გაზრდილი მხოლოდ პაატა I წუწეს შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო“. (სოსელია, 1981, 65, სქოლიო 127). ამრიგად თუ ო. სოსელიას მოსაზრებას გავიზიარებთ მერაბ წულუკიძის მამის ვინაობის შესახებ, მაშინ გიორგი ბოჭორიძის მოსაზრება, რომ მერაბ ბე დათუასი – მერაბ წულუკიძეა – მიუღებელი ჩანს. ამ საკითხთან დაკავშირებით გვებადება ფრთხილი ვარაუდი – მერაბ წულუკიძის პორტრეტად ხომ არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩრდილო–დასავლეთ აფსიდში ეპლესიის მაკეტით წარმოდგენილი პიროვნება. ამას გვაფიქრებინებს მის გვერდით

გამოსახული მისი მეუღლის ფრესკის წარწერა— რომელსაც სარგის კაპაბაძე კითხულობს როგორც ჩი[ჯავაძის] ქალი ანა. ამ სახელის და გვარის მატარებელი პიროვნება კი როგორც აღვნიშნეთ მერაბ წულუკიძის მეუღლე იყო. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მათ გვერდით დახატული ყმაწვილის პორტრეტის წარწერაც, საიდანაც ვგებულობთ რომ მას ქაიხოსრო ერქვა. გიორგი ბოჭორიძე იქვე მეორე ყმაწვილის ფრესკის არსებობასაც ვარაუდობს. აგარისა და ხოტევის ეპლესიების წარწერებიდან კი ვიცით რომ მერაბ წულუკიძეს ორი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთს მართლაც ქაიხოსრო ერქვა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდის მოხატულობა ძლიერ დაზიანებულია. აქ წარმოდგენილია ისტორიულ პირთა შემდეგი პორტრეტები: 1. პაატა წულუკიძე. ოლდა სოსელია მას აიგივებს მე-XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილ მოღვაწესთან, რომელსაც ვახუშტი „პაატა წუწკს“ უწოდებს და რომელიც იმერეთის მეფის გიორგი III-ის მტრობის გამო ლევან დადიანთან იყო შეხიზნული.

2. მანდილოსნის პორტრეტი დაზიანებული წარწერით: „.....ქალი თეთრუა (თაყაიშვილის წაკითხვით). ო. სოსელიას იგი პაატა წულუკიძის მეუღლედ მიაჩნია და აიგივებს ნიკორწმინდის ტაძრის სამწირველოს წარწერაში მოხსენიებულ თეთრო ლაშხიშვილთან. (სოსელია, 1981, 64–65).

3. მამაკაცის პორტრეტი, რომლის წარწერაც დაზიანების გამო არ იკითხება. ექვთიმე თაყაიშვილი აქ კიდევ ერთი მამაკაცის გამოსახულებას არჩევს, რომლის წარწერაც ასევე დაზიანების გამო არ იკითხება. (თაყაიშვილი, 1963, 89).

ეპლესიის დასავლეთ ნაწილში მარჯვენა მხარეს დახატული არიან:

1. ნიკოლოზ ხოპარი წულუკიძე. იგი ბერის სამოსშია წარმოდგენილი და როგორც მკვლევარები შენიშნავენ უნდა იყოს XVI საუკუნის მოღვაწე ნიკოლოზ ხობელი. (სოსელია, 1981, 64).

შემორჩენილია მის მიერ ხობის ეკლესიისადმი მიცემული 1569 წლის შეწირულობის სიგელი. (კაკაბაძე, 1921a, 19–21).

2. ბეჟანან წულუკიძე კაციას ძე. ოლია სოსელიას იგი მე–XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ მიაჩნია (სოსელია, 1981, 67).

ნიკორწმინდის ტაძარი ძალზედ მდიდარია ისტორიული მნიშვნელობის ეპიგრაფიკული წარწერებით, რომლებიც არაერთი საკითხის გარკვევაში გვეხმარება.

1. ეკლესიის დასავლეთ კარიბჭის თავზე, წმიდა თევდორეს და წმიდა გიორგის ბარელიეფების ირგვლივ ნახევარწრიული ფორმის ლამაზი ხელით შესრულებული ასომთავრული წარწერაა მოთავსებული : „ქ[რისტ]ე, ძ[ე]ო ღ[მრ]თ[ი]ს[ა]ო, ა[დი]დე სიმრთელ[ი]თ და დღეგრძელ[ო]ბ[ი]თ შ[ე]ნ მ[იე]რ გ[ვი]რგ[ვი]ნ[ო]ს[ა]ნი ბ[ა]გრ[ა]ტ აფხ[ა]ზთა და რანთა მ[ე]ფედ ა ქ[ა]რთველთა კურაპალ[ა]ტი და გაზ[ა]რდე ძე მ[ა]თი გ[იორგ]ი ნებასა შ[ი]ნ[ა] შ[ე]ნსა, მ[ო]ხ[ე]ბ[ი]თა წმიდ[ი]სა მდდ[ე]ლთმ[ო]ბდ[უ]რისა ნ[ი]კ[ო]ლ[ო]ზის[აი]თა. “— აღნიშნული წარწერა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1008–1010 წლებითაა დათარიღებული. (ბოჭორიძე, 1994, 95; ბერაძე, 1983, 108 და სხვ.)

2. ეკლესიის დასავლეთ კედლის სარკმლის გვერდით მოთავსებულია ჩამოგრძელებული ასომთავრული წარწერა, რომლის ქვედა ნაწილი შემდეგ დროში მიშენებულ დასავლეთის ეკვდრის სახურავს დაუფარავს. წარწერა ქარაგმების გახსნით შემდეგნაირად იკითხება: „წმიდაო ნიკოლაოზ შეიწყალე გიორგი მოძღვარი ამის წმიდისაი ეკლესიისა. (მოყვანილია გიორგი ბოჭორიძის წაკითხვა). (ბოჭორიძე, 1994, 96–97; თაყაიშვილი, 1963, 86–87; კაკაბაძე, 1929, 103). აღნიშნული წარწერის დათარიღება ზემოდასახელებული მკვლევარებიდან მხოლოდ გიორგი ბოჭორიძეს მოეპოვება. წარწერას იგი ეკლესიის აშენების დროს – XI საუკუნეს მიაკუთვნებს. (ბოჭორიძე, 1994, 96).

3. დასავლეთ კარიბჭის დასავლეთ კედელზე, ზემოთ ჯვარია გამოსახული წარწერით: „ძელი ცხორებისა“, აქვე მოიპოვება შემდეგი ასომთავრული წარწერა: „წო ნკზ მ-ხ ეყვ წ-ე ჭა კხ-ბრსა და რტ-ს ამინ“. გიორგი ბოჭორიძე და ექვთიმე თაყაიშვილი ამ წარწერას ქარაგმების გახსნით შემდეგნაირად კითხულობენ: „ წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა კახაბერს და რატის ამინ“. (ბოჭორიძე, 1994, 96–97; თაყაიშვილი, 1963, 85). სარგის კაკაბაძე „რატის“ მაგივრად კითხულობს „რამინს“ (კაკაბაძე, 1928, 109). ასევე ბროსეს ამ წარწერაში მოყვანილი რატის და კახაბერის სახელები წაუკითხავს როგორც ლევონ კახაბერი. (Brossset, 1851, 56). ორივე ეს მცდარი წაკითხვა საფუძვლიანად აქვს გაკრიტიკებული გიორგი ბოჭორიძეს. (ბოჭორიძე, 1994, 96, სქოლიო 124).

4. დასავლეთის კარიბჭის დასავლეთ კედლის სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში მოიპოვება მრგლოვანი წარწერა, რომელიც ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია. წარწერა ასე იკითხება: „წო ნკლზ მლდ.....მეოხ ექმენ წ-ე ღ-თისა დ-ფლსა ევფემიას ასოვილსა სოვილკელისა ე-ევისა რატისასა ამინ“. აღნიშნული წარწერა თავიანთ ნაშრომებში არაერთ მეცნიერს აქვს მოყვანილი. (Brossset, 1851, 59; ქუთათელაძე, ივერია, 1894, 54; უვაროვა, 1894, 131, სურ. 106; კაკაბაძე, 1929, 103; ბოჭორიძე, 1994, 99–100; თაყაიშვილი, 1963, 86). ქარაგმების გახსნით მკვლევარები (გიორგი ბოჭორიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე) მას შემდეგნაირად კითხულობენ: „წმიდაო ნიკოლოზ მლგდელთ–მოძღვარო, მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა დედოფალთ–დედოფალსა ევფემიას, ასულსა სოვლკურთხეულისა ერისთავთ ერისთავისა რატისსა, ამინ“.

ზემომოყვანილი ორი წარწერა (№№–3–4) მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ვინაიდან აქ წარმოდგენილი არიან რაჭის ერისთავთა ფეოდალური სახლის წევრები. თუ ვინ უნდა იყვნენ

კახაბერი და რატი ამას უფრო გვიკონკრეტებს ნიკორწმინდის ტაძრის მაცხოვრის ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „ქ. მე კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურხევ[უ]ლისა ერისთავთერისთავისა რატისმან მოვჭედე ხატი ესე ჯუარცუმისაი ნუგეშინისმცემელად და სალხინებელად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებელად ძისა ჩემისა ერისთავთერისთავისა, რაჭის ერისთავისა რატისად“ (ბოჭორიძე, 1994, 111; კაკაბაძე, 1929, 105; თაყაიშვილი, 1963, 89–90 და სხვა) – როგორც ვხედავთ აქ ერისთავთა სამი თაობის წარმომადგენლები არიან მოხსენიებულები : ერისთავი რატი, რომელიც უკვე გარდაცვლილია, მისი შვილი კახაბერი, რომელიც წარწერის შესრულების დროს ბერად ყოფილა აღკვეცილი – კირილეს სახელით და ამ კირილეს შვილი რატი, რომელიც ამ დროს მოქმედი რაჭის ერისთავი ჩანს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში განხხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული ამ წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობის შესახებ და ვინაიდან ისინი რაჭის პირველი ერისთავები უნდა იყვნენ – აქედან გამომდინარე საერისთავოს დაარსების შესახებაც. გიორგი ბოჭორიძეს მიაჩნია რომ ნიკორწმინდის ტაძრის აშენება ერთ-ერთი მთავარი იმპულსის მიმცემი უნდა ყოფილიყო რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბებისა. მკვლევარი თვლის, რომ ნიკორწმინდის წარწერებში (ჩვენს მიერ მე-3 და მე-4 ნომრად მოყვანილი წარწერები) მოხსენიებული რატი და ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერაში ნახსენები ერისთავთ-ერისთავი რატი ერთი და იგივე პირია, ოდონდ რადგანაც მე-3 წარწერაში რატი უტიტულოდ იხსენიება, მიაჩნია რომ ამ დროს ის ჯერ კიდევ არ არის რაჭის ერისთავი, მომდევნო წარწერების შესრულების დროს უკვე რაჭის საერისთავო ჩამოყალიბებულია და მას ეს სახელო მიღებული აქვს. (ბოჭორიძე,

1994, 46–47). გიორგი ბოჭორიძის მიერ შედგენილი რაჭის ერისთავთა ქრონოლოგიური სია ასე გამოიყურება :

კახაბერი და რატი — XI საუკუნის II ნახევარი

|

ევფემია — კახაბერ-ყოფილი კირილე — XI საუკუნის ბოლო

|

ერისთავთ-ერისთავი, რაჭის ერისთავი რატი — XI საუკუნის ბოლო—XII საუკუნის დასაწყისი.

სარგის კაკაბაძეს ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი რატი გაიგივებული პყავს კლდეკარის ცნობილ ერისთავ რატისთან, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა ბაგრატ III-სთან. მატიანე ქართლისაის მიხედვით 990 წლის მახლობლად კლდეკარის ციხეში გამაგრებულ რატის მეფემ აღყა შემოარტყა. ერისთავმა ვეღარ გაუძლო შეტევას და იძულებული გახდა დანებებულიყო: „გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ მეფესა და მისცა ციხე თვისი მეფესა ბაგრატს და თვით დაჯდა მამულსა თვისსა არგვეთს. “ (ქართლის ცხოვრება, 1955.). სარგის კაკაბაძის აზრით კახაბერ-ყოფილი კირილე იყო ამ კლდეკარის ერისთავ რატის მეორე შვილი (ლიპარიტის შემდეგ) – და რაჭის ერისთავთა გვარის დამწყები, რის გამოც რაჭის ერისთავთ XI – XIII საუკუნეებში ეწოდებოდათ კახაბერისძენი (კაკაბაძე, 1929, 105). მკვლევარს ჯვარცმის ხატი ნიკორწმინდის ეკლესიის მთავარ ხატად მიაჩნია და მის მოჭედვას ტაძრის აშენების თანადროულად ვარაუდობს – აქედან გამომდინარე კი კახაბერის მოღვაწეობას X საუკუნის დასასრულით ათარიღებს. (კაკაბაძე, 1929, 105).

თამაზ ბერაძეც მიიჩნევს რომ რაჭის ერისთავები ბაღვაშთა ფეოდალური საგვარეულოდან მომდინარეობენ. მკვლევარის აზრით ბაგრატ III-ის თანამედროვე კლდეკარის ერისთავ რატის პყავდა ვაჟი

ლიპარიტი. ამ უკანასკნელს კი ჰყავდა სამი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთს – რატის ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავობა უბოძა. თამაზ ბერაძე ამ რატის აიგივებს 1021 წელს შირიმნის ბრძოლაში დაღუპულ რატი ლიპარიტისძესთან და აგრეთვე ნიკორწმინდის ხატის წარწერაში მოხსენიებულ რატი ერისთავთან. მისი აზრით რატის დაღუპვის შემდეგ რაჭის ერისთავი გახდა ამ უკანასკნელის ვაჟი-კახაბერი, რომელიც დაახლოებით 10 წლის შემდეგ ბერად აღიკვეცა კირილეს სახელით და ერისთავობა თავის ვაჟს რატის გადაულოცა. (ბერაძე, 1983, 75–76).

ო. სოსელიაც ეთნემება მოსაზრებას რომ რაჭის ერისთავები ბაღვაშთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები უნდა იყვნენ, ოღონდ აკრიტიკებს სარგის კაკაბაძის იმ ვარაუდს, რომ ჯვარცმის ხატის ჩარჩოს წარწერაში მოხსენიებული რატი ბაგრატ III-ისთანამედროვე კლდეკარის ერისთავია. მკვლევარი აცხადებს: „.....ჯერ ერთი ამ უკანასკნელს გარდა, ამავე ხანაში ბაღვაშთა სახლში შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა, მეორე რატიც, რომელსაც რაჭის ერისთავობა ჰქონდა. შემდეგ რაც მთავარია კლდეკარის ერისთავ-ერისთავ რატის მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა, რომელსაც ლიპარიტი ერქვა.....ზემომოყვანილი წარწერის რატის კი ჰყავს ძე კახაბერი, რომელიც ბერობაში კირილედ იწოდება – გ. ი. ქს რატი და კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი რატი სხვადასხვა პირია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სარგის კაკაბაძეს კახაბერი კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი რატის „მეორე შვილად“ მიაჩნია.....თუმცა ამის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ მოაქვს. ასეთი საბუთი არც არსებობს. (სოსელია, 1973, 69, სქოლიო 4).

5. დასავლეთ კარიბჭის დასავლეთ კედელზე, ჩრდილოეთით მდებარე კუთხეში, ქვაზე, რომელიც ტაძრის ერთ-ერთი შეკეთების დროს უკუღმა დაუდევთ, მოიპოვება ასომთავრული წარწერა. აღნიშნული წარწერა

არაერთ მკვლევარს აქვს მოყვანილი თავის ნაშრომში, რადგან ყველაზე სრული და ზუსტი ტექსტი გიორგი ბოჭორიძეს მოეპოვება, ამიტომ ჩვენ ამ უკანასკნელის წაკითხვა მოგვყავს აქ: „ აწ-ო ნ-კლ მე-ხ [ეგ]ვ მეფ-ს გ-ს მ-ს [მ...] ჭ-ში ავ-ნე ნიკო[ლ-ზ] წმიდელმან ს-ე[ძ]ემნ მელქ-ზდკ ა[ღ]ნ “. ქარაგმების გახსნით გიორგი ბოჭორიძე ამ წარწერას ასე კითხულობს: „ წმიდაო ნიკოლაოზ მეოხ ეყავ მეფეს გიორგის მის მ[ოწყალებით?] ჭელიში ავაშენე ნიკოლაოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქიზედეპ, ამინ “ (ბოჭორიძე, 1994, 98).

ზემომოყვანილ ტექსტში სიტყვა ჭელიში პირველად ამოიკითხა ამბორისი ხელაიამ (ხელაია, განთიადი, 1915, № 10, 25). ადსანიშნავია რომ მის გარდა აღნიშნულ სიტყვას კითხულობს გიორგი ბოჭორიძეც. დანარჩენი მკვლევარები კი კითხულობენ როგორც „ჭირში“ (Уварова, 1894, 130, სურ. 105) ან საერთოდ დიად ტოვებენ მას. (თაყაიშვილი, 1963, 86; კაკაბაძე, 1929, 103; Brosset, 1851, 59, XII, № 3; ქუთათელაძე, 1894, 54).

ამბორისი ხელაია წარწერას XI საუკუნით ათარიღებს, ვინაიდან მასში მოხსენიებული მეფე გიორგი მიაჩნია ბაგრატ IV-ის შვილად. რაც შეეხება ნიკორწმინდელის გვარს, მისი ვინაობა როგორც ბროსესთვის ასევე მისთვისაც გაურკვეველი დარჩა. გიორგი ბოჭორიძეს წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე – იმერეთის მეფე გიორგი II-დ მიაჩნია, ხოლო ნიკორწმინდელის სახელს ისევე როგორც ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვები კითხულობს როგორც „მელქისედეპ საყვარელიძეს“ და აიგივებს ცნობილ გელათელ ეპისკოპოსთან, რომელიც მე-XVI საუკუნეში მოღვაწეობდა. ჩვენი აზრით გიორგი ბოჭორიძის დათარიღება სავსებით მართებულია. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსებზე საუბრისას გარკვეული გვაქვს რომ მელქისედეპ საყვარელიძე ნიკორწმინდის კათედრაზე დაახლოებით 1565–1573 წლებში უნდა ყოფილიყო და მაშასადამე აღნიშნული წარწერაც ამ წლებში უნდა იყოს შესრულებული.

6. სამხრეთ კარიბჭის კედელზე მოიპოვება მხედრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „[ქ ჯ]ვარო ქრისტესო გა[ნ]უსვენე სასუფე[ვე]ლსა თეთროს ლ[ა]შხიშვილის ქალსა მის შვილსა ქაიხოსროს წულუკიძეს. (ბოჭორიძე, 1994, 102; თაყაიშვილი, 1963, 84). გიორგი ბოჭორიძე აღნიშნულ წარწერას XVII საუკუნით ათარიღებს.

7. მარი ბროსეს ნიკორწმინდის ტაძარში ჩრდილოეთის სარკმელთან უნახავს წარწერიანი ქვა, რომელიც შემდეგ დროში, როგორც გიორგი ბოჭორიძე ვარაუდობს ძირს ჩამოვარდნილა და გამოუყენებიათ ტაძრის იატაკად. დღეს-დღეობით აღნიშნული წარწერა ძალზედ დაზიანებულია და მისი გარჩევა ჭირს. გიორგი ბოჭორიძე შეეცადა ბროსეს წაკითხვისა და საკუთარი დაკვირვების საშვალებით აღედგინა ტექსტის შინაარსი. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „[წმიდაო ნიკოლოზ მდდელთ]მთავარო, მეოხე ექმენ და მფარველ წინაშე დმრთისა ნ[ია]ნ[ი]ას ე[რისთავთ ერისთავსა და ნ]ოე[ლისიმოსს]. (ბოჭორიძე, 1994, 101). დიმიტრი ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ვინაიდან ნოელისიმოსის ტიტულს მხოლოდ ბაგრატ IV ატარებდა, ამიტომ ბროსეს ეს წარწერა სწორად არ აქვს გადმოდებული და ნიანიას მაგივრად ბაგრატი უნდა წერებულიყო, მაგრამ გიორგი ბოჭორიძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს: „წარწერაში ბაგრატი კი არ არის მოხსენიებული, არამედ ნიანია, ეს სახელი დღესაც კარგად იკითხება” (ბოჭორიძე, 1994, 101).

§ 3. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ვინაობისა და ზეობის წლების დადგენას მეტისმეტად ართულებს შესაბამისი წყაროების სიმცირე. ამ მხრივ ჩვენ არათუ მათი მწყემსმთავრობის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენას ვერ ვახერხებთ, არამედ უნდა ჩავთვალოთ რომ ბევრი მღვდელმთავრის სახელიც კი არ ვიცით. მაგალითად XVII საუკუნის 70–80—იან წლებში ნიკორწმინდის კათედრა ეკავა სვიმონ ნიკორწმინდელს. მისი უახლოესი მომდევნო მწყემსმთავარი გერმანე წულუკიძე კი XVIII საუკუნის შუა სანებში ჩანს. ცხადია მათ შორის დროის ასეთი დიდი მონაკვეთის არსებობის გამო სხვა ეპისკოპოსის (შეიძლება ერთზე მეტისაც) მწყემსმთავრობაცაა სავარაუდო, მაგრამ საამისო ცნობებმა ჩვენამდე არ მოაღწია. არის შემთხვევებიც როცა ზოგიერთი იერარქის მხოლოდ სახელი ვიცით, მაგრამ ვერ ხერხდება დადგენა თუ რა გვარისა იყო იგი. (ასეთია: იოაკიმე, ნიკოლოზი და სილივისტრო). მიუხედავად ამისა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის მეცნიერული შესწავლის ცდა აუცილებელია.

ეპისკოპოსი საკმაოდ დიდი უფლებების და პასუხისმგებლობის მქონე სასულიერო პირი იყო. XVI საუკუნეში იმერეთში ჩატარებული საეკლესიო კრება მღვდელთმთავრებს ავალებდა მკაცრი თვალყური ედევნებინათ ეპარქიაში როგორც სარწმუნოებრივი მდგომარეობისათვის ასევე ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობისათვის. ის ფაქტი რომ არაერთმა ეკლესია–მონასტერმა (მათში დაცული ძვირფასი ხატებით და საეკლესიო ნივთებით) ჩვენამდე შედარებით კარგ ფორმაში მოაღწია, ბევრწილად განპირობებული იყო აქ საეპისკოპოსოს არსებობით. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები ყოველთვის დიდ უურადღებას აქცევდნენ თავიანთ სამწყსოში არსებული ეკლესია–მონასტრების (პირველ რიგში ცხადია–საკუთრივ

ნიკორწმინდის ტაძრის) შეკეთება—განახლებას: „....მე რადგან დიდი შრომა მაქვნდა ჩემს მონასტერზედ და მსურდა შემკობა და შემოსავალი ცოტა იყო, ამისთვის მინდოდა რომ შემოსავალი განმემრავლებია “— წერდა ერთ სიგელში სოფრონ ნიკორწმინდელი. (დოლიძე, 1970, 1123). „ წმინდაონ ნიკოლოზ მეოხ ეყავ მეფესა გიორგის. მის მოწყვალებით ჭელიში აღვაშენე ნიკორწმინდელმან საყვარელიძემან მელქისედეკ “— ვკითხულობთ სხვა შემთხვევაში ნიკორწმინდის ტაძრის კედელზე (ბოჭორიძე, 1994, 98).—ასეთი ფაქტები კი ბევრია და ისინი ნათლად მეტყველებენ ამ მხრივ საეპისკოპოსოს მნიშვნელობაზე.

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები აქტიურად მონაწილეობდენ იმერეთის სამეფოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1809 წელს წესში დაბეჭდილ „სავედრებელი დვორისმშობლისა“—ში ვკითხულობთ: „ყოვლად სამდვდელო ნიკოლაოს წმიდელ არხიეპისკოპოსი სოფრონ შემწე ექნა სტამბისა ამის საჭიროთა ნივთთა ზედა“ (ციტ. კეზევაძე, 2003, 3). ნიკორწმინდის ერთ—ერთი ხელნაწერის ბოლოში კი აღნიშნულია: „.....ყოვლად სამდვდელომან ნიკოლაოს წ—ისა დიდმან არხიეპისკოპოსმან სოფრონიოს მიბრძანა აღწერა ამა მეტაფრასისა....“ (თაყაიშვილი, 1963, 103).

როგორც აღვნიშნეთ ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურობდნენ. მაგალითად თუ ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ რომ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის კარზე გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში და ოფიციალურ ნადიმებში ხშირად იღებს მონაწილეობას ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი დავითი (საყვარელიძე). ასევე როდესაც სოლომონ II ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად გაემართა მას თან ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრონ წულუკიძე ახლდა— ასეთი ფაქტები კი

მრავალია. ამრიგად როგორც ვხედავთ ნიკორწმინდელი მღვდეთმთავრები საკმაოდ ენერგიული და მრავალმხრივი მოღვაწეები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ იმერეთის სამეფოს სულიერ -კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ წყაროების სიმცირე, როგორც აღვნიშნეთ არ გვაძლევს მათი საქმიანობის სრულყოფილად გაშუქების საშუალებას.

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსებიდან ჩვენთვის მხოლოდ 12 იერარქის სახელია ცნობილი. ზეობის წლების მიხედვით მათი რიგი ასე განლაგდება:

1. მანოელ ჩხეტიძე.

მანოელ ჩხეტიძე მე-16 ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იყო. იგი 1529 წელს ბაგრატ III-ს ახლადდაარსებული ხონის ეპარქიის პირველ მღვდელმთავრად დაუდგენია. ეს ამბავი მოხსენიებულია ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში: „მეფე-მეფემან ბაგრატ განყო ლიხო-იმერი სამ საეპისკოპოზოდ... გააჩინა ხონელ ეპისკოპოსად მჩხეტისძე მანოელ”(ქართლის ცხოვრება, 1959, 493; უორდანია, 373; პარიზის ქრონიკა, 42)

1544 წელს იგი ბაგრატ III-ს ახლადჩამოყალიბებული ნიკორწმინდის კათედრაზე გადაუყვანია. ამრიგად მანოელ ჩხეტიძე პირველ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გვევლინება. იმერეთის მეფე მას „წმიდა და ღმერთშემოსილ, ანგელოზთა მობაძავ მღდელთ-მთავარეპისკოპოზს” უწოდებს.(დოლიძე, 1970, 651; კაკაბაძე, 1912, 6) ჩვენამდე მოაღწია თავად მანოელ ნიკორწმინდელის მიერ გაცემულმა სიგელმაც, სადაც იგი იმერეთის მეფის მიერ ნიკორწმინდის კათედრაზე მისი დანიშვნის შესახებ მოგვითხრობს: „ქ. დეთით გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ გა) ნაახლა და კდ აღაშენა ეკლესია (წმიდის მღვდელთ მძღვრის ნკზის...და დამ(ადგინ)ა მე განმგედ და ეფისკოპოსად უ(დი)რსი და ცოდვილი მღვდელ მთვრი მანოელ და განუჩინეს რაჭის შე(სავალი) და

სასჯლო და საკურთხი ადგილნი...”(კაკაბაძე, 1912, 4). ეს სიგელი 1548 წელს უნდა იყოს გაცემული. მაშასადამე ამ დროს იგი კვლავ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსია. სამწუხაროდ წყაროების მეტისმეტი სიმცირის გამო არ ხერხდება დაზუსტება თუ რამდენი წელი განაგებდა მანოელ მღვდელმთავარი აღნიშნულ კათედრას. ვიცით რომ იგი შემდეგში მაწყვერელი ეპისკოპოსი გახდა. ამის შესახებ საუბარია ნიკორწმინდის ერთ-ერთ ხელნაწერში: „...ჩხეტიძესა მანოელსა მაწყვერელსა შ-ნს...მანოელსა (მ-ნოლსა) მწყვერელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს დ-ნ”(თაყაიშვილი, 1991, 183). მანოელს ბაგრატ III-ის სიცოცხლეშივე უნდა დაეტოვებინა ნიკორწმინდის კათედრა, რადგან იმავე მეფის დროსვე ნიკორწმინდელად სხვა ეპისკოპოსი-იოაკიმე ჩანს. ამრიგად მანოელ ჩხეტიძის მღვდელმთავრობა ნიკორწმინდის ეპარქიაში-1544 წლიდან დაახ. XVI ს-ის 50-იანი წლების I ნახევრით უნდა დათარიღდეს.

2. იოაკიმე ნიკორწმინდელი.

ნიკორწმინდის ეპარქიის რიგით მეორე მღვდელმთავრად ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან მოჩანს იოაკიმე. იგი მოხსენიებულია ბაგრატ III-ის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების ამსახველ ოქმში და როგორც ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამტკიცებს კრების მიერ მიღებულ საეკლესიო კანონებს.

იოაკიმე ნიკორწმინდელს ამავე წყაროზე დაყრდნობთ იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც. იგი მის მოღვაწეობას და საერთოდ კრების გამართვას XVII ს-ის დასაწყისით ათარიღებს (ბაგრატიონი, 1973, 284), მაგრამ როგორც თავის დროზე მარი ბროსემ, თედო უორდანიამ და სარგის კაკაბაძემ გამოარკვიეს, დიდი ქართველი ისტორიკოსი ამ შემთხვევაში ცდება, ვინაიდან კრებაში მონაწილე სასულიერო პირები ამ დროს არ მოღვაწეობდნენ. (კაკაბაძე, 1919, 8).

აღნიშნული კრების ჩატარება როგორც ბატონმა გიორგი მჭედლიძემ გაარკვია 1557–1562 წწ. უნდა მომხდარიყო (მჭედლიძე, 2008, 171)–და შესაბამისად ითაკიმეს ამ კრებაში მონაწილეობა გვაძლევს საშუალებას რომ მისი ნიკორწმინდის კათედრაზე ყოფნა დაახლოებით XVI ს-ის 50-იანი წლების II ნახევრით და 60-იანი წლების დასაწყისით დავათარიდოთ, ვინაიდან 1565 წლამდე მაინც ნიკორწმინდის კათედრაზე უკვე სხვა მღვდელმთავარი-ამბროსი ბაქრაძე ჩანს.

3. ამბროსი ბაქრაძე.

ამბროსი ბაქრაძე მოხსენიებულია ორი სხვადასხვა დროის სიგელში, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ დიდი ხნით არიან დაცილებული, ამიტომ მისი მღვდელმთავრობის წლების განსაზღვრა საკმაოდ ჭირს. ამბროსი ბაქრაძე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად დასახელებულია ლეონ იმერთა მეფის 1591 წლის შეწირულობის სიგელში ნიკორწმინდის ტაძრისადმი. (კაკაბაძე, 1921a, 34-35), მაგრამ ამავე სიგელიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ იგი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო გიორგი II-ის დროსაც. ლეონ მეფე მას მიმართავს: „...რაც სხვა წიგნი და სიგელი ან ბატონის ჩუენისაგან და ან ჩუენგან გქონდეს, არც ის მოგიშალოთ...” (კაკაბაძე, 35) – როგორც ამ ადგილიდან ჩანს ამბროსი ბაქრაძეს სიგელები ჰქონია ნაბოძები არა მარტო ლეონისაგან, არამედ მისი მამის–ე. ი.–გიორგი II-ისგანაც, მაშასადამე იგი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ყოფილა გიორგი II-ს დროსაც.

მღვდელმთავარეპისკოპოსი ამბროსი მოხსენიებულია აგრეთვე ბაგრატ III-ის ნიკორწმინდის ტაძრისადმი შეწირულობის ერთ უთარიდო მინაწერში: „ქ. ჩვენ ლთისაგან ამაღლებულმან პატრონმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ელენე ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოვიკითხეთ წმინდის

ნიკოლაოზეს შეწირული სოფელი და ვითაცა პირველ პაპა მამათა განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მდდელ მთავარ ეფისკოპოზეს ამბროსეს რცხილათი ბუჯას აქეთ სრულად სამნი გვარნი მოსახლენი გაბისაძენი, ჩაფიძენი, გამეზარდაშვილნი, რომ ამ სოფელსა და მიწასა და ადგილში არას კაცს ხელი არა ქონდეს რა, ვითაცა უწინვე ყოფილიყო და უდრობით განრყვნილიყო... (კაკაბაძე, 1912, 10) .

ალბათ სადაცო არ უნდა იყოს რომ აქ მოხსენიებული მღვდელმთავარი ამბროსი და ლეონ მეფის 1591 წ. სიგელის ამბროსი ბაქრაძე ერთი და იგივე პირი არის. მაგრამ სირთულეს ქმნის იმის დადგენა თუ ვინ არის მეფეთ-მეფე ბაგრატ და თანამეცხედრე მისი დედოფალთ-დედოფალი ელენე. ბუნებრივია ვიფიქროთ რომ აქ იგულისხმება ბაგრატ III იმერეთის მეფე და მისი მეუღლე ელენე (როგორც ამას ვარაუდობს კიდეც ამ მინაწერის გამომცემელი სარგის კაკაბაძე) მაგრამ ამ ვარაუდს თითქოს რამდენიმე გარემოება უშლის ხელს. მინაწერის ავტორი მიმართავს ამბროსი ბაქრაძეს: „ვითაცა პირველ პაპა-მამათა ჩვენთაგან განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ...რცხილათი ბუჯას აქეთ სრულად...” (კაკაბაძე, 1912, 10). როგორც ცნობილია რცხილათი 1548 წ. ბაგრატ III-მ მანოელ ჩხეტიძის ეპისკოპოსობაში შესწირა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს(კაკაბაძე, 1912, 5). აქედან გამომდინარე თუ ამბროსი ეპისკოპოსისადმი ნაბოძები სიგელის ავტორიც იგივე ბაგრატ მესამეა მაშინ რატომ საუბრობს იგი რცხილათის მამა-პაპათა მიერ შეწირვაზე და რატომ არ ასახელებს უფრო ახლო წარსულში თვით მის მიერ ამ სოფლის შეწირვის ფაქტს. ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ისიც რომ ბაგრატ III-ის სიგელის უკანა გვერდზე პირველი ორი მინაწერი ეპუთვნის გიორგი II-ს და მის შვილს ლეონს და ჩვენთვის საინტერესო მინაწერი მხოლოდ ამათ შემდეგ არის

მოთავსებული. (ყოველ შემთხვევაში სარგის კაკაბაძის მიერ ასეთი თანმიმდევრობითაა ისინი დაბეჭდილი)- არადა თუ ჩავთვლით რომ ეს ბაგრატ III-ის მინაწერია მაშინ ქრონოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე ჯერ ეს მინაწერი უნდა ყოფილიყო და შემდეგ უფრო გვიანდელი-გიორგი II-ისა და ლეონის მინაწერი. მაგრამ თუ ვიტყვით რომ სიგელის მინაწერის ავტორი ბაგრატ მესამე არ არის მაშინ გასარკვევია რომელ ბაგრატს ეკუთვნის იგი. ამ შემთხვევაში ყვერადღებას იპყრობს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში შემდეგი ადგილი: „იმერთა მოიყვანეს ძე კონსტანტინესი ძისა ბაგრატ მეფისა როსტომ და დასუეს მეფედ. არამედ ამან როსტომ ვერა მტკიცედ დაიპყრა მეფობა...ამავ ქორონიკონს იხილა გურიელმან გიორგიმ საქმე როსტომისა, შეიკრიბნა სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატ ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა, ვერ წინააღუდგა როსტომ, წარუხუნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს, განუმაგრა ციხე ქუთათისა და მიუდგინა ძე თვისი მამია ბაგრატს... (ბაგრატიონი, 1973, 281). ეს ბაგრატი ძალიან მცირე ხანი უნდა ყოფილიყო მეფე, თუმცა შეიძლებოდა დაგვეშვა ვარაუდი რომ სიგელის მინაწერის ავტორი ეს ბაგრატია. მაგრამ ჯერ ერთი არ ვიცით რა ერქვა მის მეუღლეს, მეორეც-მინაწერში ბაგრატის მეუღლედ ელენეს მოხსენიება ამ ვარაუდის დაშვებას მაინც ამნელებს, ვინაიდან ასეთი სახელი ბაგრატ III იმერთა მეფის მეუღლეს პქვიოდა და ასეთი დამთხვევა ცოტა დამაფიქრებელია. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავუშვათ ვარაუდი რომ მინაწერის ავტორი ბაგრატ III-ეა. აქედან გამომდინარე კი ამბოსი ბაქრაძის ნიკორწმინდელობა შემდეგნაირად უნდა დათარიდდეს: პირველად მას ნიკორწმინდის კათედრა უნდა სჭეროდა მე-XVI-სის 60-იანი წლების პირველ ნახევარში. შემდეგ იგი რაღაც მიზეზების გამო გადამდგარა აღნიშნული თანამდებობიდან, ვინაიდან დაახ. მე-XVI ს-ის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ნიკორწმინდელად მელქისედეკ საყვარელიძე

ჩანს. მისი გარდაცვალების შემდეგ კი-70-იან-90-იან წლებში ნიკორწმინდელად კვლავ ამბროსი ბაქრაძე გვევლინება.

იგი საკმაოდ ენერგიული მღვდელმთავარი ჩანს. როგორც ზემოთ ვნახეთ მის დროს ნიკორწმინდის კათედრას შესწირეს სოფელი რცხილათი. ასევე ლეონ მეფემ 1591 წელს ამბროსი ბაქრაძეს უბოძა ხონჭიორი და ჭელიში: „...დოთივ გუირგუინოსანმა მეფეთ-მეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნიდა სიგელი შეგიწყალეთ და გი[ბოძეთ] თქვენ ნიკოლწმიდელსა ბაქრაძესა ამბროსეს მას ჟამსა ოდეს თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხონჭიორი სრულობით და ჭელიში და ნამარნევს მჯედლიძენი...აგრევე კისორეთს ლომთაძენი მათითა მამულითა სამართლიანითა და ჩხეტიძე ლომინი მისითა მამულითა დღეს რისაცა მქონებელი იყოს და აგრევე რაჭას ესტატეს გარეყანიბის შვილები მისითა მამულითა” (კაკაბაძე, 1921a, 34-35).

4. მელქისედეკ საყვარელიძე.

მელქისედეკ საყვარელიძე ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იყო. 1529 წელს ბაგრატ III-მ იგი გენათელ ეპისკოპოსად დაადგინა. 1548 წელს იგი კვლავ გენათელი ეპისკოპოსია. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მელქისედეკი იხსენიება ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის კედლის ასომთავრულ წარწერაში: „წმიდაო ნიკოლაოზ, მეოხ ეყავ მეფეს გიორგის მის მ[ოწყალებით ?] ჭელიში ავაშენე ნიკოლაოზ წმინდელმან საყვარელიძემან მელქიზედეკ, ამინ” (ბოჭორიძე, 1994, 98: ოყაიშვილი, 1963, 86).

მელქისედეკს ნიკორწმინდის კათედრა 1565 წლის შემდეგ უნდა დაეკავებინა, ვინაიდან მანამდე სხვა პირი ჩანს აქ. 1573 წელს გიორგი II-ის შეწირულობის წიგნში კი ის უპვე გარდაცვლილადაა მოხსენიებული. აქედან გამომდინარე მისი ნიკორწმინდელობა 1565-1573 წწ. შორისაა საძიებელი.

5. ნიკოლოზ ნიკორწმინდელი.

შემდეგი ეპისკოპოსი ომელიც ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ნიკორწმინდის კათედრაზე ჩანს არის ნიკოლოზი. (სამწუხაროდ მისი გვარი არ ვიცით). იგი იხსენიება იმავე ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის სიგელის ერთ-ერთ მინაწერში: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე ოთარმან იაშვილმან და მეუღლემან ჩემმან წერეთლის ქალმან თვურო და შვილმან ჩვენმან ქაიხოსრო, შვილმან ჩვენმან და მომავალმან ყოველმანვე თქვენ ნიკოლწმინდელსა მდდელთ მოძღვარსა ნიკოლოზს და წმიდასა მდდელთ მოძღვარსა ნიკოლოზს და საყდარსა ტაძა(sic) ჯვარცმისასა ასრედა ამა პირსა ზედან რომე მოგვიხდა ცოდვისა საქმე და დიდად საკანონო ცოლი შევირთეთ ჩვენისა განაყოფისა ცოლ-ყოფილი და დიდისა შეხვეწითა ბატონისა მეფისა გიორგისათა შეგეხწენი (sic) გადარიბებულნი სხვას გარეთ შევსწირეთ საოხად სულისა ჩვენისა და სახსრად შევსწირეთ სამისდღეოდ სხვავას კვირიკესშვილი გლეხი ერთი მის ყოვლისფერით... (კაკაბაძე, 1912, 11).

როგორც ვხედავთ სიგელში იხსენიება მეფე გიორგი და მისი თანამეცხედრე დადიანის ასული თამარი. ს. კაკაბაძის სამართლიანი შენიშვნით აქ საუბარი უნდა იყოს გიორგი III-ზე (1605-1639). იგი იმერეთში 1605 წ. გამეფდა. 1637 წ. ნიკორწმინდელად სხვა პირი-სვიმონ ჩხეტიძე იხსენიება. ამრიგად ნიკოლოზის ნიკორწმინდელია დაახ. 1605-1637 წწ. შორის უნდა ვეძიოთ.

6. სვიმონ ჩხეტიძე.

სვიმონ ჩხეტიძე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოხსენიებულია 1637 წ. გიორგი III-ის შეწირულობის სიგელში, რომელიც თედო ქორდანიას აქვს გამოქვეყნებული შემოკლებით. მასში ვკითხულობთ: „...ჩუენ [მეფემან გიო]რგი და ძემან ჩემმან [პირმშომა] ალექსანდრე და მამ[უკამა მოგახსენეთ ესე] შესაწირავი თქუენ---მხნესა მხედარ[სა წ-სა

გიორგის ?] და მას შინა დადგინდებულსა ნიკოლოზმიდელსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმონს...შემოგვიწირავს ჩ-ნი კერძო ესფოფოა მღრღელაძე...ქ-კს ტკე (1637) (ჟორდანია, 1897, 452).

მკვლევარი თამარ ქორიძე სვიმონის ნიკორწმინდელობას 1637 წლამდე ვარაუდობს, აღნიშნულ წელს კი თვლის რომ მან ქუთათლობა მიიღო, მაგრამ რა წყაროზე დაყრდნობით ღებულობს ამ ვარაუდს კონკრეტულად არ უთითებს (ქორიძე, 2000, 155).

გოჩა გუგუშვილი სვიმონ ჩხეტიძის შესახებ აღნიშნავს რომ იგი ნიკორწმინდლად 1660 წლამდე იყო. (გუგუშვილი, 2003, 63). სვიმონთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ბაგრატ IV-ის 1660 წლის ნიკორწმინდის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელის შემდეგი ადგილი: „ესე წიგნი მოგართვი თქვენ ნიკორწმინდელს ლორთქიფანიძეს გედევანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე კურთხეულს ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შეწირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს ჰქონოდა... (კაკაბაძე, 1921a, 64). როგორც ვხედავთ აქ სვიმონ ნიკორწმინდელი გამოყვანილია ბაგრატ IV-ის მამის (ე. ი. ალექსანდრე III-ის) თანამედროვედ. ალექსანდრე III კი იმერეთის ტახტზე 1639-1660 წწ. იმყოფებოდა. მაშასადამე სვიმონის ნიკორწმინდელობა 1637 წლის შემდეგაცაა სავარაუდო. როდის მიიღო მან ქუთათლობა, სამწუხაროდ ამის დაზუსტება ვერ ხერხდება. ვიცით მხელოდ ის რომ 1651-52 წწ. როდესაც იმერეთში ტოლოჩანოვი და იევლევი იყვნენ იგი უპვე ქუთათელი ეპისკოპოსი იყო, ნიკორწმინდელად კი დავით მიტროპოლიტი (საყვარელიძე) ჩანს. ამრიგად სვიმონ ჩხეტიძის ნიკორწმინდელობა დაახლოებით შეიძლება 1637-1652 წწ. შორის ვეძიოთ.

7. დავით საყვარელიძე.

დავით საყვარელიძე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოხსენიებულია 1659 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ სიგელში. ამ წელს მას

ნიკორწმინდის ტაძრისათვის შეუწირავს ხივშს მცხოვრები ლაზარე დონაძე მისი ცოლ-შვილით. აღნიშნული საბუთის ქორონიკონი 1559 წ. იძლევა, მაგრამ როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავს ხელის მიხედვით იგი უფრო მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის და თანაც სწორედ ამ პერიოდში ჩანს ნიკორწმინდის კათედრაზე დავითის სახელის მატარებელი ეპისკოპოსი. ამიტომ მკვლევარი მას სავსებით სამართლიანად 1659 წლით ათარიღებს. ამ საბუთის დავით საყვარელიძეს იგი აიგივებს ბაგრატ IV-ის 1669 წლის წერილში მოხსენიებულ დავით ნიკორწმინდელთან. (კაკაბაძე, 1921a, 63).

დავით საყვარელიძე უნდა იყოს აგრეთვე ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობაში მოხსენიებული დავით მიტროპოლიტი. აღწერს რა ნიკორწმინდის ეკლესიას და მის სიწმინდეებს, რუსი ელჩი აღნიშნავს რომ: „ეს საყდარი დავით მიტროპოლიტის გამგებლობაშია, დავით მიტროპოლიტის გამგებლობაშია ორი მონასტერი, სოფლები და დაბები...” (იევლევი, 1969, 109). ასევე როდესაც ტოლოჩანოვი და იევლევი რაჭიდან ქუთაისში გამოემგზავრნენ ისინი დავით მიტროპოლიტმა გამოაცილა. თავისი ნაშრომის ბოლოს ალექსი იევლევი იმერეთის ეკლესია-მონასტრების და სასულიერო პირების ჩამონათვალში მასაც იხსენიებს: „ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის (სახელობის) საყდარი, მიტროპოლიტი დავით...” (იევლევი, 1969, 167).

დავით მიტროპოლიტი როგორც ნკორწმინდელი ეპისკოპოსი ხელს აწერს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის 1651 წლის 9 ოქტომბრის ფიცის წიგნს (იევლევი, 1969, 175).

მიუხედავად ყოველივე ამისა მკვლევართა ნაწილი იმავე ტოლოჩანოვისა და იევლევის ნაშრომებზე დაყრდნობით მიიჩნევს რომ მათი ელჩობის დროს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო სვიმონ ჯაფარიძე (ბერაძე, 1983, 92; გუგუშვილი, 2003, 63). აღნიშნული პიროვნება მართლაც არის მოხსენიებული რუსი ელჩების

აღწერილობაში: „კრისულა მდინარეს იქნა ”-წერს ალექსი იევლევი „მთებში, მდ. რიონის ნაპირას სიმონ არქიეპისკოპოსის საცხოვრებელია. არქიეპისკოპოსის სადგომში მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ხის ეკლესიაა. სიმონ არქიეპისკოპოსმა კაცი გამოგვიგზავნა, ეკლესიაში სალოცავად მიგვიწვია, იმ დროს სწორედ წირვა მიმდინარეობდა, ჩვენ ელჩები, ნიკიფორე და ალექსი ეკლესიაში მივედით, არქიეპისკოპოსი საყდრის წინ შემოგვეგბა...არქიეპისკოპოსის „სამფლობელოშიაც” სოფლებში საყდრები ზოგი ქვისაგან და ზოგი ხისაგანაც არის ნაგები. კოშკები და პალატები სათოფურებიანია.” (იევლევი, 1969, 107-108).—როგორც ვხედავთ აქ ერთი სიტყვითაც კი არ არის მითითებული რომ სვიმონ ჯაფარიძეს რაიმე კავშირი აქვს ნიკორწმინდასთან. ის ფაქტი რომ მას სამფლობელო გააჩნია რაჭაში, მათ შორის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, სადაც წირვას ატარებს, სულაც არ ნიშნავს რომ სიმონი აუცილებლად ნიკორწმინდის ეპისკოპოსია. როგორც ცნობილია იგი ჯაფარიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისი ძმა იყო ცნობილი თავადი, მოლარეოუჩეუცესი ლომკაც ჯაფარიძე. ელჩების მიერ დასახელებული „არქიეპისკოპოსის სამფლობელო” კი სწორედ ჯაფარიძეთა სათავადოში მდებარეობდა. ასე რომ სიმონ არქიეპისკოპოსი რაჭაში სოფლებს და მათ შორის მთავარანგელოზის ეკლესიასაც უნდა ფლობდეს როგორც კერძო ფეოდალი (ჯაფარიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი) და არა როგორც ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი.

სვიმონ ჯაფარიძე იხსენიება ამბოლაურის ეკლესიის ხატის წარწერაშიც: „ქ. წ. ლმერთო და წმიდაო ამბოლაურისა ლვთისმშობელო დაიცვვ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარეპისკოპოზი ჯაფარიძე სვიმონ” (ბოჭორიძე, 1994, 139-140) —არც აქ არის რაიმე მითითება მისი

ნიკორწმინდის კათედრაზე ყოფნის შესახებ. ოა თქმა უნდა ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში მას მართლაც სჭეროდა ნიკორწმინდის კათედრა, მაგრამ ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობის დროს, მათი მკაფიო ჩვენების გამო რომ ნიკორწმინდის ტაძარი: „დავით მიტროპოლიტის გამგებლობაშია” – სვიმონ ჯაფარიძის ნიკორწმინდელობა გამორიცხულად მიგვაჩნია.

8. გედეონ ლორთქიფანიძე.

იგი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოხსენიებულია ორ სიგელში: პირველი ეს არის ბაგრატ IV-ის 1660 წ. შეწირულობის წიგნი ნიკორწმინდის ტაძრისადმი. ამ საბუთით იმერეთის მეფე გედეონს სწირავს ბაჯს მცხოვრებ დათუა მღდელაძეს: „...ესე წიგნი მოგართვი თქვენ ნიკორწმინდელს ლორთქიფანიძეს გედევანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე კურთხეულს ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შეწირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორმინდელს ჰქონდა და ახლა თქვენც შემოგვეხვეწეო და გიბოძეთ ბაჯს ისივ გლეხი დათუა მღდელაძე, რაც მაშინ მამული ჰქონდა იმიანად ის გლეხი გვიბოძებია (კაკაბაძე, 1921a, 64).

მეორე სიგელი არის 1664 წ. შეწირულობის წიგნი გელათის მონასტრისადმი სადაც გედეონი მოხსენიებულია როგორც „გენათელ-ნიკოლოზწმიდელი” ეპისკოპოსი (კაკაბაძე, 1921a, 69). ამრიგად იგი ნიკორწმინდის კათედრაზე 1660-1664 წწ. ჩანს. 1669წ. ბაგრატ IV-ის წერილში ნიკორწმინდელ მღვდელმთავრად დავითია მოხსენიებული. სამწუხაროდ წყაროების სიმცირის გამო ვერ ვარკვევთ ვინ იყო ეპისკოპოსი 1664-69 წწ. შორის-გედეონი თუ დავითი. (უფრო სავარაუდოა ეს უკანასკნელი).

9. სვიმონ წულუკიძე.

სვიმონ წულუკიძე ნიკორწმინდელ მწყემსმთავრად ჩანს ერთ უთარიდო სიგელში. ამ საბუთის მიხედვით იგი მთის წმიდა გიორგის წირავს შავრას მცხოვრებ გლეხს ნასხიდა დვალს. აქვე მოთხოვობილია ამ გლეხის თავგადასავალიც: „შემოგწირეთ კნინი და მცირე ესე შესაწირავი შავრას გლეხი დვალი ნასხიდა მისის ყოვლისფერით, ასრე და ამა პირსა ზედა რომე ლაშხიშვილის ყიფილიყო, ლაშხიშვილს ლომინ ერისთვისაგან გამორთმეოდა და ერისთვისაგან ჩვენ გვიყიდია და ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს...”(კაკაბაძე, 1921a, 81). ამ საბუთის გამომცემელი ს. კაკაბაძე მას დაახ. 1680-1685 წწ. და საზოგადოდ XVII ს-ის II ნახევრით ათარიდებს. როგორც ვნახეთ საბუთში სვიმონ წულუკიძესთან ერთად მოხსენიებულია ლომინ ერისთავი. ამ მომენტზე დაყრდნობით ო. სოსელია ს. კაკაბაძის მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს რომ: „XVII ს-ის II ნახევრის რაჭის ერისთავები ცნობილი არიან...მაგრამ ამ დროს ლომინ ერისთავი არ გვხვდება”–ო. (სოსელია, 1966, 111, სქ237). მაგრამ იგივე მკვლევარი წულუკიძეთა სათავადოზე საუბრისას აღნიშნავს რომ სიმონ წულუკიძე მერაბ წულუკიძის ძმაა და მაშასადამე მე-XVII ს-ის II ნახევრის მოღვაწეა. (სოსელია, 1973, 67).

ჩვენი აზრით სვიმონ ნიკორწმინდელი მართლაც მე-XVII ს-ის მოღვაწე და ცნობილი ფეოდალის მერაბ წულუკიძის ძმა უნდა იყოს. ამ მხრივ ინტერესს იწვევს აგარის ეკლესიის ფეშეუმის წარწერა: „ქ. წმიდაო გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო შემომიწირავს მე წულუკიძეს მერაბს ჩემთვინს ჯერ სადღეგრძელოთა მერმე სულის საოხათ ორი ფეშეუმი, ერთი კამარა, ერთი ვერცხლის კობზი (sic) ორი ვერცხლის ნიტრა(sic), ერთი სამდუღრავი და ერთი საზედაშე. მე დამიჭირავს წულუკიძეს მერაბს ჯინჭროლსა და იწროთას შუა გაღმა ჭრებალო და ზოგიში მათს გარდალმა ოკრიბა და ტყილბური და ძმა ნიკორწმინდლათ დამისვამს და მეორე ძმა კიდევ ხოფს

ხოფელათ...(თაყაიშვილი, 1963, 41-42). ეს წარწერა დაახ. მე-XVII ს-ის 70-80-იან წლ. უნდა იყოს გაკეთებული, ვინაიდან ეკლესია რომელსაც ეს ფეშეუმი შესწირეს ამ წლებშია აგებული. სვიმონის ნიკორწმინდელობაც დაახ. XVII-ს-ის 70-80-იანი წლ. უნდა დათარიღდეს.

10. გერმანე წულუკიძე.

გერმანე წულუკიძე იყო მე-XVIII ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. იგი მერაბ წულუკიძისა და დარეჯან აბაშიძის შვილი იყო.(სოსელია, 1973, 68). ვახუშტის მიხედვით 1742 წელს- გრიგოლ ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ გერმანე წულუკიძე აფხაზეთის კათალიკოსი გამხდარა (ბაგრატიონი, 1973, 913). დღეს-დღეობით ვახუშტის ეს ქრონოლოგია საეჭვოდაა მიჩნეული(ლომინაძე, 1954, 136), თუმცა ფაქტია ის რომ გერმანე თავდაპირველად მართლაც აფხაზეთის კათალიკოსი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს არაერთი სიგელის მონაცემები. მაგ. 1769 წლის გელათის შესწირულობის სიგელში სვიმონ ნუქიფიშვილი აცხადებს: „...იმედაძე ჩემი მწყალობელის ბატონის პირველ კათოლიკოსის გერმან ნიკოლაოზწმინდელის ნაყიდი არის...”(კაკაბაძე, 1921b, 39-40)-აქედან ისე ჩანს რომ გერმანე უკვე კათოლიკოსი აღარ არის, მაგრამ ნიკორწმინდელად კი ისევ ის უნდა იყოს. აღნიშნულ საეპისკოპოსო კათედრაზე იგი პირველად 1756 წელსაა დასახელებლი. ამ წელს დედამისმა დარეჯან აბაშიძის ასულმა ნიკორწმინდას მამული შესწირა და სწორედ ამ საბუთშია მოხსენიებული გერმანე „ნიკოლაოზწმინდელათ” (ლომინაძე, 1954, 136). ასევე 1759 წლის ტყვეობა გაუსყიდველობის ხელწერილს სხვა ეპისკოპოსებთან ერთად გერმანე ნიკორწმინდელიც აწერს ხელს. (ჟორდანია, 1967, 261)-მაშასადამე ამ წელსაც აღნიშნული კათედრა მას უჭირავს. 1773 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში კი ნიკორწმინდელად უკვე სხვა პირი-სილივისტროა დასახელებული. იგი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოხსენიებულია

სხვა უთარიდო სიგელშიც, რომელიც სოლომონ I-ის ზეობის წელი თარიღდება. 1784 წლის საბუთში ნიკორწმინდელად კვლავ გერმანე წულუკიძეა დასახელებული. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით კი მას ნიკორწმინდის კათედრა 1792 წელსაც უჭირავს. ჭელიშის მონასტრის ძმათა 1842 წლის ნამსახურეობის სიაში მდგდელმონაზონ სვიმონის შესახებ ნათქვამია რომ იგი: „გურთხეულ არს ყდ სამღუდელო ნიკორწმინდელის გერმანე არხიეპისკოპოსისაგან ჩლებ ივნისის კდ.”(4).

11. სილივისტრო ნიკორწმინდელი.

სილივისტრო ნიკორწმინდელი ეპისკოპოსად როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ორ საბუთში იხსენიება. პირველი ეს არის—1773 წლის სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი, სადაც მოწმეთა შორის დასახელებულია: „ნიკოლოზწმიდელი სილივსტრო”(კაკაბაძე, 1921b, 47). მეორე კი არის უთარიდო საბუთი რომელიც სოლომონ I-ის ზეობის წლებით თარიღდება. მასში საუბარია აგიაშვილებისა და ნიუარაძეების სამამულო დავაზე რომელიც მეფეს გაურჩევია. საბუთში ვკითხულობთ რომ სადაო მიწა-წყლის სანახავად: „...აგიაშვილმა და ნიუარაძენმა ორივემ ბატონის კაცები წეიტანეს: ნიკოლაოსწმიდელი მთავარეპისკოპოსი სილივისტრო, წულუკიძე გიორგი, თამაზა მესხი და სხვანიც”. (დოლიძე, 1965, 275). სამწუხაროდ სიგელიდან არ ჩანს თუ ვინ არის და რა გვარისაა ეს პიროვნება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება—ამ პერიოდის სიგელებში ხშირადაა მოხსენიებული აღნიშნული სახელის მატარებელი საეკლესიო მოღვაწე—სილივისტრო ლოდობერიძე. იგი იყო მეფის კარის მწირველი და სოლომონის მიერ გაცემული არაერთი საბუთის დამწერი. 1776წელს კაცია დადიანს სილივისტრო საირმის წინამძღვრად დაუდგენია: „...კემიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე სანახებისა ჩვენისა მხრისა ადგილებით იმერელი...დოდაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაი მანცა ჯერ იჩინა მამობა უდაბნოსა...”(კაკაბაძე, 1921b, 31)—ვკითხულობთ

შესაბამის საბუთში. აღნიშნულ თანამდებობაზე სილივისტრო ჩანს 1771 წელსაც, შემდეგ კი მისი ხსენება წყდება. გვებადება ფრთხილი ვარაუდი—ხომ არ არის 1771 წლის სიგელის სილივისტრო დოდაბერიძე და 1773 წლის საბუთის სილივისტრო ნიკორწმინდელი ერთი და იგივე პიროვნება? სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით გარდა სახელების დამთხვევისა სხვა ხელჩასაჭიდი მონაცემები არ გაგვაჩნია.

12. სოფრონ წულუკიძე.

სოფრონ წულუკიძე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს უკანასკნელი მღვდელთმთავარი გახლდათ. ო. სოსელიას აზრით იგი იყო გიორგი IV წულუკიძის ძმისწული. (სოსელია, 1973, 75). იმავე მკვლევარის მიხედვით კი გიორგი IV-ს ორი ძმა ჰყავდა— პაატა III და ბერი I. (სოსელია, 1973, 71).

სოფრონ წულუკიძე საარქივო მასალების მიხედვით 1762 წელს ჩანს დაბადებული. როგორც ბატონმა მერაბ კეზევაძემ გაარკვია, მას სასულიერო განათლება ნიკორწმინდის ტაძარში მიუდია თავის ნათესავ— გერმანე ნიკორწმინდელთან. (კეზევაძე, 2003, 5). 1778 წელს სოფრონი ექვთიმე გენათელმა გელათის მონასტერში ბერად აღკვეცა და იეროდიაკვნადაც დაასხა ხელი. ისი ნიკორწმინდლად აღსაყდრების თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. გოჩა გუგუშვილი აღნიშნავს, რომ სოფრონი ნიკორწმინდელად 1775 წლიდან იხსენიება. როგორც ჩანს პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში ეყრდნობა 1775 წლის სოლომონ პირველის შეწირულობის სიგელს, რომელიც სარგის კაკაბაძეს აქვს გამოქვეყნებული. (კაკაბაძე, 1921b, 49-50). ამ სიგელის უკანა გვერდზე, მის დამამტკიცებელთა შორის იხსენიება სოფრონ ნიკორწმინდელიც. მაგრამ ჩვენი აზრით, ასე ადრე სოფრონის ნიკორწმინდელობა საეჭვოა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებო მისი დაბადების ზემომოყვანილ თარიღს—1762 წელს. მაშინ სოფრონი 1775

წლისათვის სულ რაღაც 13 წლის ბავშვი იქნებოდა. ამიტომ ვფიქრობთ, ხომ არ არის ამ სიგელზე მისი ხელრთვა უფრო მოგვიანებით გაკეთებული. მერაბ კეზევაძეს სოფრონის ნიკორწმინდლად აღსაყდრება 1785 წელს მომხდარ ფაქტად მიაჩნია., მაგრამ ამ თარიღის გაზიარებასაც ხელს უშლის რამდენიმე დოკუმენტის მონაცემი. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია პეტრე ერისთავის შეწირულობის სიგელი ნიკორწმინდის ტაძრისადმი. იგი 1787 წლით თარიღდება და ამ დროს ნიკორწმინდელად გერმანე წულუკიძეა მოხსენიებული. (სცსსა, ფონდი № 1448, საბ. № 6800). ასევე ჩვენ მოგვეპოვება ერთი გვიანდელი საარქივო ჩანაწერი. ეს არის ჭელიშის მონასტრის წინამდგრის სვიმონ წულიკიძის ნამსახურების სია, სადაც აღნიშნულია რომ იგი: „კურთხეულ არს ყ—დ სამდუდელო ნიკორწმინდელის გერმანე არხიეპისკოპოსისაგან ჩდებ ივნისის კდ (1792 წლის 24 ივნისი—მ.მ.)” (ქიმ, ჭელიშის არქივი). სამაგიეროდ, 1793 წლიდან სოფრონი უკვე არაერთ სიგელშია დასახელებული ნიკორწმინდელ მღვდელმთავრად.

სოფრონ ნიკორწმინდელი საკმაოდ ენერგიული მღვდელმთავარი იყო. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გაცემულმა არაერთმა სიგელმა, საიდანაც კარგად ჩანს თუ როგორ მზრუნველობას იჩენდა იგი მისი ეპარქიის მიმართ და განსაკუთრებით ნიკორწმინდის ტაძრისადმი: „...რაოდენ შესაძლო იყო ვიღვაწე ვ—ა უწყის უფალმან წყალობისამან ლ—ნ მამულით თუ გლეხის შოვნითა თუ ადგილის შემატებითა და სხვითა საეკლესიო სახმარებითა. (ქიმ, საბ. № 734)—აღნიშნავს სოფრონი არაერთ სიგელში.

სოფრონ ნიკორწმინდელი აქტიურად ეხმარებოდა თავისი ეპარქიის მცოვრებლებს. ჩვენამდე მრავალმა სიგელმა მოაღწია, საიდანაც კარგად ჩანს თუ როგორ შეეწევა იგი არაერთ ადამიანს—ფულით თუ მამულით ან სხვა რაიმე საჭიროებით. მაგალითად ერთ სიგელში

ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ უდ სამღვდელოს ნიკოლაოს წმინდელ არქიეპისკოპოს სოფრონიოსს მე დავითა გიორგობიანმა და მისმა შვილებმა ერთობით და დადიშელმა თემმა თქვენ უდ სამღვდელოებას შემივედრეთ და თეთრი გვასესხე ოცდა ათი მარჩილი” (სცსა, ფონდი №1448, საბ. № 6800). სხვაგან კიდევ ვკითხულობთ: „...ჩვენ უდ სამღვდელომან ნიკოლაოსწიდელ არხიეპისკოპოსმან სოფრონ ესე საუკუნო მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულად და თავდადებით მოსამსახურეს ჩვენს გაზდილს ყმას მოურავს და ჩვენის ოჯახის სახლთუხუცესს კეთილშობილს ჯანელიძეს სიმონს და ძესა შენსა იოანეს ასე და ამა პირსა ზედა რომ ჩვენის ეკლესიის ყმა ივანიკა ჯმუხაძე უშვილოთ გარდაგვიშენდა და რადგან მას მახლობელი განაყოფი და მოძმე სახლის კაცი არავინ ყავდა მისი ადგილ მამული ჩვენ დაგვრჩა და....გიბოძეთ შენ და ძესა შენსა ” (ქიმ, საბ.№ 732) – ასეთი შინაარსის სიგელები როგორც აღვნიშნეთ საკმაოდ მრავლადაა მოღწეული ჩვენამდე.

სოფრონი დიდად ზრუნავდა თავის ეპარქიაში კულტურული სფეროს განვითარებისათვის. მისი დაკვეთით არაერთი ხელნაწერია გადაწერილი. მაგალითად ნიკორწმინდის ეკლესიის 1808 წლის მეტაფრასის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „ ყოვლითა სათნოებითა განმშვენებულმან და აღმკობილმან კაცმან ზეცისა ნაწილისამან ყოვლად სამღვდელომან ნიკოლაოს წისა დიდმან არხიეპისკოპოსმან სოფრონიოს მიბრძანა აღწერა ამა მეტაფრასისა...” (თაყაიშვილი, 1963, 103). 1809 წელს კი მისი თაოსნობით სოფელ წესში სტამბაც გაიხსნა, სადაც არაერთი სასულიერო ხასიათის ლიტერატურა დაიბეჭდა.

სამწუხაროდ, ასეთმა ენერგიულმა მღვდელთმთავარმა რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ განხორციელებული ექსპანსიის დროს ძალზედ ნეგატიური როლი შეასრულა. მაშინ როცა სოლომონ

II, დოსითეოზ ქუთათელი, ექვთიმე გენათელი და სხვა პატრიოტული ძალები დამპყრობელს საკადრის პასუხს სცემდნენ, სოფრონი რუსეთის მხარეზე იყო გადასული და მოძალადებს ერთგულად ემსახურებოდა, რისთვისაც რუსებმა სათანადოდაც დააჯილდოვეს — 1820 წელს ის იმერეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა. 1924 წელს კი წმ. ანას I ხარისხის ორდენი ებოძა.

სოფრონ წულუკიძე გარდაიცვალა 1842 წლის 1 იანვარს დაკრძალულია ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ამრიგად თუ ყოველივე შემოადნიშნულს შევაჯამებთ შეიძლება ითქვას რომ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები, ისე როგორც მათი თანამედროვე სხვა ეპარქიათა გამგებლებიც, საკმაოდ ენერგიული და მრავალმხრივი მოღვაწენი იყვნენ და მიუხედავად წყაროების მეტისმეტი სიმცირისა მათი ქრონოლოგიური რიგის მეცნიერული შესწავლის ცდა აუცილებელია.

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სია (XVI—XIXსს.)

1. მანოელ ჩხეტიძე — 1544—XVI ს. 50—იანი წწ. I ნახ.
2. იოაკიმე ნიკორწმინდელი — XVI ს. 50—იანი წწ. II ნახ.— 60 იანი წწ. დასაწ.
3. ამბროსი ბაქრაძე— XVI ს. 60—იანი წწ. I ნახ, 70—90-იანი წწ.
4. მელქისედეკ საყვარელიძე—1565—1573 წწ.
5. ნიკოლოზ ნიკორწმინდელი—1605—1637 წწ. შორის.
6. სვიმონ ჩხეტიძე—1637—1652 წწ. შორის.
7. დავით საყვარელიძე—XVII ს. —ის II ნახ.
8. გედეონ ლორთქიფანიძე— 1660—1664 წწ.
9. სვიმონ წულუკიძე— XVII ს.—ის II ნახ.
10. გერმანე წულუკიძე—1756—1792 წწ. შორის.
11. სილივისტრო ნიკორწმინდელი —XVIII ს.—ის II ნახ.
12. სოფრონ წულუკიძე—1793—1842 წწ.

§ 4. ნიკორწმინდის ეპარქიის სამეურნეო ვითარების ზოგიერთი ასპექტი

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ყმა-მამულისა და მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლას განსაკუთრებით ართულებს შესაბამისი მასალების სიმცირე. სამწუხაროდ ნიკორწმინდის ეპარქიის შესახებ XVI–XVIII საუკუნეებისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება ყმა-გლეხთა და ბეგარა -ვალდებულებათა ისეთი ნუსხები, როგორიცაა მაგალითად— 1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარი ან ცაგერისა და ხონის საყდრების გამოსავლის დავთრები, სადაც საეპისკოპოსოს ყმების ერთიანი აღწერილობაა მოცემული თავიანთ ბეგარა-გამოსალებთან ერთად. ამ მხრივ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმ მცირერიცხოვანი სიგელ-გუჯრებით, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. აღნიშნული სახის წყაროები ძირითადად წარმოადგენს ნიკორწმინდის ტაძრისათვის ცალკეული პირების მიერ სხვადასხვა დროს ყმა-მამულის ბოძების საბუთებს. ისინი მართალია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ეპარქიის მიწათმფლობელობისა და ყმათმფლობელობის შესახებ, მაგრამ ცხადია საეპისკოპოსოს სოციალური ისტორიის სრული სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით რთულია. ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა მე–XIX საუკუნის დასაწყისისათვის. ჩვენ მოგვეპოვება 1819 და 1825 წლების ნიკორწმინდის ყმათა აღწერის ერთიანი ნუსხები, სადაც ეპარქიის თითქმის ყველა ყმის სახელი და გვარია მოცემული. ასევე დასახელებულია მათზე დაკისრებული ნატურალური თუ ფულადი გადასახადები, ოჯახის წევრთა რაოდენობა (მამრობითი სქესის) და სხვა მონაცემები. ვინაიდან სოციალური ურთიერთობები დროში შედარებით ნელა იცვლებოდა, ამიტომ ამ პერიოდის მონაცემები უფრო ადრინდელ ეპოქაზედაც გვიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას. ამასთან რადგანაც საქართველოს

ეკლესიაში (და საეპისკოპოსოებში) გავრცელებული
მიწათმფლობელობის ფორმები, ბეგარა—ვალდებულებები და
სამწყსო—გადასახადები მეტნაკლებად ერთნაირი იყო, ჩვენ
ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსათვის აღნიშნული საკითხების
კვლევისას შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა ეპარქიების მასალების
მოშველიება და საკითხის განზოგადოებულად შესწავლა.

როგორც აღვნიშნეთ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება
იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სახელთანაა დაკავშირებული.

ბაგრატმა ახლადდაარსებულ კათედრას საკმაოდ მრავალრიცხოვანი
მამულები შესწირა, რაც ოფიციალური დოკუმენტით – მეფის სიგელით
იქნა დადასტურებული. (კაკაბაძე, 1912, 6–8; დოლიძე, 1963, 649–654).
აღნიშნული საბუთის მიხედვით მეფეს ნიკორწმინდის ეპარქიისათვის
ყმა—მამული შეუწირავს შემდეგ სოფლებში :

ნიკორწმინდაში — 6 კომლი და 3 პარტახი; საკუთრეულში (?)— 1
კომლი; უყეშს — 6 კომლი და 3 პარტახი; თლუდს — 9 კომლი და 1
პარტახი; ზემო თლუდს — 1 კომლი; ხოტევს — 4 კომლი და 1 პარტახი;
იწას — 6 კომლი; დვარდიას — 5 კომლი; ბაჯს — 8 კომლი და 2 პარტახი;
ლადისს — 12 კომლი; შვარას — 1 კომლი; მეტეხარას — 1 კომლი; ზნაკვას
— 3 კომლი; ხონჭიორს — 7 კომლი—ამრიგად სულ ბაგრატ III-ს 14
სოფელში შეუწირავს 70 კომლი გლეხი და 10 პარტახი მამული.

სიგელში იმერეთის მეფე ხაზგასმით აღნიშნავს რომ
დასახელებული ყმა—მამული მან სამეფო დომენიდან შესწირა
ეკლესიას და ამიტომ ყოველი კაციდან „მოუდევარია“: „ესე სოფელი
და დაბანი, ასრე ჩემი ნასამართლი შემიწირავს, რომე არას კაცისა
ძალად წანალები არ არის“ (კაკაბაძე, 1912, 7). აქევე ვხვდებით ერთ
საინტერესო მომენტს: გარაყანიძეთა ერთი ოჯახი უშვილოდ
გადაგებულა და თავისი მამული მეფისათვის უანდერძებია, ბაგრატ
III-ს კი იგი ნიკორწმინდისათვის შეუწირავს. მეფეს ეს მომენტი

საგანგებოდ აღუნიშნავს სიგელში, რათა გარაფანიძეთა სხვა ოჯახი ამ მამულის გამო ეკლესიას არ შედავებოდა: „რაცა გარაფანიძისეული სოფლები არის, გარაფანიძე უშვილო იყო და მე მიანდერძა მისი მამული და მე შემოვსწირე და მისთვის არავინ რას მემართლების და ესე გარაფანიძე შორს განაყოფი არის და არცარა ამასთან საქმე აქვს“ — აცხადებს ბაგრატი. (კაკაბაძე, 1912, 7).

ზოგიერთი ფეოდალის სოფელი, რომელიც როგორც ჩანს ნიკორწმინდის ეკლესიისათვის განსაკუთრებით სასურველი და მოსახმარად მოსახერხებელი იყო, იმერეთის მეფეს სხვა სოფლებით შეუცვლია და ეკლესიისათვის ისე შეუწირავს. ამასაც ბაგრატ III საგანგებოდ აღნიშნავს, რათა მერე ამ საგვარეულოს წარმომადგენლებმა პრეტენზია არ გამოთქვან: „რაცა წულუკიძისეული სოფლები არის ყველასათვის სანაცვლო მამული მიმიცემია, და მისთვის არავინ რას მემართლების, ამისთვის რომე სხვითა მამულითა შემიჯერებია. არას წულუკიძისა ნათესავსა კაცსა რაც შემიწირავს, იმასთანა საქმე არა აქვს რა“. (კაკაბაძე, 1912, 7).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბაგრატ III თავის მთავარ დასაყრდენ ძალად ეკლესიას მიიჩნევდა და ყოველნაირად ცდილობდა მის გაძლიერებას. აღნიშნული პოლიტიკა მისი შვილისა და შვილიშვილის დროსაც გრძელდებოდა. ნიკორწმინდის ეპარქია მთელი XVI საუკუნის მანძილზე იმერეთის მეფეთა ზრუნვის მხრივ ერთ—ერთი გამორჩეული იყო. გიორგი II-ს (1565–1587) მამამისის შეწირულობა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსადმი კიდევ უფრო გაუმრავლებია და მისთვის ახალი ყმა—მამულიც უბოძებია. აღნიშნული შეწირულობის შესახებ საუბარია გიორგი II-ის ორ სიგელში. (ისინი მინაწერების სახით მოიპოვება ბაგრატ III-ის 1544 წლის 9 აგვისტოს ნიკორწმინდისადმი ბოძებული სიგელის უკანა გვერდზე). ამ საბუთების მიხედვით გიორგი II-ს და

მის შვილს ლეონს ნიკორწმინდის გადასისათვის ყმა—მამული შეუწირავს შემდეგ სოფლებში:

ზემო ღვარდიას — 2 კომლი; ქვემო ღვარდიას — 22 კომლი; ღვარდიას — 1 კომლი; ხოტევს — 2 კომლი; მეტეხარას — 6 კომლი; ნიკორწმინდას — 3 კომლი; ზემო თლულს — 2 კომლი; შვარს (შავრას?) — 2 კომლი—სულ — 8 სოფელში 40 კომლი გლეხი. (კაკაბაძე, 1912, 9).

იმერეთის მეფეთა ტრადიციული მფარველობა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსადმი გიორგი II-ის შვილის ლეონ I-ის (1587—1591 წწ). დროსაც გაგრძელდა. თავისი მეფობის ხანმოკლე მანძილზე მან საკმაოდ მრავალრიცხოვანი მამულები და ყმა—გლეხები შესწირა ტაძარს. ჩვენამდე მოაღწია ლეონ მეფის 1591 წლის შეწირულობის სიგელმა, რომლითაც მეფემ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს ამბროსი ბაქრაძეს უბოძა ხონჭიორი და ჭელიში სრულად, ნამარნევს — მჟედლიძენი და კისორეთს—ლომთაძეები. ასევე: „ჩხეტიძე ლომინი მისით მამულითა დღეს რისაც მქონებელი იყოს და აგრევე რაჭას ესტატეს გარეყანიძის შვილები მისითა მამულითა“. (კაკაბაძე, 1921 a, 35).

მომდევნო XVII საუკუნიდან შეწირულობები ნიკორწმინდის ტაძრისადმი საგრძნობლად კლებულობს. ამ საუკუნეში სამეფო შეწირულობის მხოლოდ ორი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი. პირველი — ეს არის გიორგი III-ის 1637 წლის შეწირულობის სიგელი, რომლითაც მან ეკლესიას შესწირა მდვდელაძის ბეგარიდან ორი—მესამედი და მეორე—ბაგრატ IV-ის შეწირულობის წიგნი, რომლითაც მეფემ ადრევე მამამისის მიერ ბაჯს შეწირული გლეხი დათუა მდდელაძე ხელახლა შესწირა ნიკორწმინდის ტაძარს და ეპისკოპოს გედეონ ლორთქიფანიძეს. (კაკაბაძე, 1921 a, 64). სამეფო შეწირულობის ფაქტების ასეთი სიმცირე ცხადია წყაროების ჩვენამდე მოუღწევლობით უნდა აიხსნას, თუმცა გასათვალისწინებელია სხვა მიზეზიც: მე-XVII საუკუნეში იმერეთი როგორც ცნობილია

შინააშლილობამ და ანარქიამ მოიცვა, სამეფო ხელისუფლება ძალზედ დასუსტდა და ამიტომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს სათანადო უურადღებას ვედარ აქცევდა.

მე-XVII საუკუნიდან ჩანს კერძო შეწირულობებიც: გიორგი წულუკიძე ნიკორწმინდის ტაძარს წირავს ერთ კომლ გლეხს, ასევე მერაბ წულუკიძე და ოთარ იაშვილი ამ საუკუნეში ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავენ თითო კომლ გლეხს. (კაკაბაძე, 1912, 10-11).

1620–1640 წლებში იოსებ წულუკიძე იჩენს აღაპს და სამაგიეროდ ტაძარს სწირავს ერთ კომლ გლეხს. 1659 წელს ეპისკოპოსი დავით საყვარელიძე ნიკორწმინდას სწირავს ერთ კომლ გლეხს. (კაკაბაძე, 1921 a, 52).

მე-XVIII საუკუნიდან ცნობები ნიკორწმინდის ტაძრის მიწათმფლობელობის შესახებ კვლავ მატულობს. 1775 წელს სოლომონ I-მა ნიკორწმინდას შესწირა სოფელი რცხილათი. აქვე, ამ საბუთიდან ვგებულობთ ამ სოფლის კუთვნილების ისტორიასაც: „რცხილათი სოფელი პირველ ჩვენთა მამა–პაპათაგან თქვენთვის შემოეწირათ.

მერმე ჟამთა ვითარებისაგან და სოფლის შფოთთა მიმქცევისაგან ის ჩვენთა ძველთაგან შემოწირული სოფელი საერისკაცოდ გამხდარიყო, მერმეთ როდესაც შეწევნითა შენითა ხელთ ვიგდეთ, კვალად განგიახლეთ გუჯარი ესე და თქვენდავე შემოგვიწირავს, როგორც პირველ შემოწირული ყოფილა“ (კაკაბაძე, 1921 b, 50). რცხილათის ნიკორწმინდის ტაძრისადმი შეწირულობის შესახებ ცნობები მე-XVI საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს სოფელი მოხსენიებულია მანოელ ჩხეტიძის მიერ გაცემულ სიგელში. საერთოდ ამ საბუთში საუბარია ნიკორწმინდის კათედრის დაარსებაზე და მისთვის შეწირულ მამულებზე. მაგრამ იქ სადაც რცხილათია მოხსენიებული, აღნიშნული სიგელი საკმაოდ დაზიანებულია და ჭირს გაგება იმისი თუ ვის შესწირა ბაგრატ მეფემ იგი – ნიკორწმინდას თუ იქვე მოხსენიებულ

მთის წმიდა გიორგის ტაძარს. მის გაგებაში კი გვეხმარება ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც ბაგრატ III-ის 1544 წლის სიგელის მეორე გვერდზე მოიპოვება: „მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლაოზს შეწირულნი სოფელი და ვითაცა პირველ პაპა-მამათა ჩვენთაგან განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მღვდელმთავარ ეფისკოპოზს ამბროსეს რცხილათი ბუჯას აქეთ სრულად სამნი გვარნი მოსახლენი—გაბისაძენი, ჩაფიძენი, გამეზარდაშვილნი რომ ამ სოფელსა და მიწასა და ადგილში არას კაცს ხელი არა ქონდეს რა“ (კაკაბაძე, 1912, 10). ამრიგად, როგორც ამ მინაწერიდან ნათელი ხდება, რცხილათი მე-XVI საუკუნეში ნიკორწმინდის ტაძრისათვის შეუწირავს მეფეს. შემდეგ არეულობისა და შფოთის დროს საერო ფეოდალებს მიუტაცებიათ, მაგრამ ბოლოს გარკვეულ მომენტში სამეფო სოფელი გამხდარა და სოლომონ I-საც თავისი თავდაპირველი მფლობელის – ნიკორწმინდის კათედრისათვის დაუბრუნებია. ნიკორწმინდის მფლობელობაში იყო სოფელი რცხილათი მე-XIX საუკუნის დასაწყისშიც. 1819 წელს ტაძარს ამ სოფელში 24 კომლი გლეხი ეკუთვნოდა. (ქ.ც.ს.ა. ფ. №21, ს. № 1845).

1794 წელს სოლომონ II-მ ნიკორწმინდის ტაძარს სოფრონ ნიკორწმინდელის თხოვნით განუახლა შეწირულობა. მეფემ ნიკორწმინდას შესწირა 6 კომლი გლეხი. აქედან სამი კომლი სოფელ ბუგეულში, სამი–სოფელ აბანოეთში.

ნიკორწმინდას მე-XVIII საუკუნეში არც კერძო შემწირველთაგან მოკლებია ყურადღება: გიორგი წულუკიძე, იმერეთის დედოფალი მარიამი, ბარბარე ბატონიშვილი, მერაბ წულუკიძე, პეტრე ერისთავი—ეს იმ პირთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში არაერთხელ შესწირეს ნიკორწმინდის ტაძარს ყმა-მამული.

ჩვენს ნაშრომს ბოლოში ერთვის ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსადმი ყმა-მამულის შემწირველთა არასრული სია. (დანართი №5) თუ აქ მოყვანილ მონაცემებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ რომ ეკლესიისათვის შეწირულ ქონებაში ყველაზე დიდი ადგილი სამეფო ხელისუფლების მიერ ბოძებულ ყმა-მამულს უკავია. ამ მხრივ სამეფო შეწირულობები არა მარტო რაოდენობის მხრივ განსხვავდებოდა კერძო შეწირულობებისაგან, არამედ მიზანდასახულობის მხრივაც: საქმე იმაშია, რომ კერძო შემწირველთა ძირითად მიზანს სამაგიერო წირვის ან აღაპის გაჩენა წარმოადგენდა. მართალია აღნიშნული მომენტი სამეფო შეწირულობის დროსაც იგულისხმებოდა, მაგრამ აქ მაინც გადამწყვეტი უფრო სხვა, სახელწიფოებრივი ფაქტორი ჩანს—როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული სამეფო ხელისუფლებისათვის ეკლესია ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა და ამიტომ იგი ყოველთვის ცდილობდა ეკლესიისათვის ყმა-მამულის და ქონების შეწირვით რაც შეიძლებოდა მეტად განემტკიცებინა ეს ორგანიზაცია. სამეფო შეწირულობის დროს სწორედ ეს მომენტი ჩანს გადამწყვეტი და არა სამაგიერო წირვის ან აღაპის გაჩენა, რომელიც, ვიმეორებთ — თავისთავად იგულისხმებოდა.

საეპისკოპოსოს მიწათმფლობელობა და ყმათმფლობელობა განსხვავებულ ხასიათს ატარებდა, რაც დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა პირობით იყო ნაყიდი ან შეწირული ესა თუ ის მამული ან გლეხი ეკლესიისათვის. ეს მომენტი ყოველთვის ხაზგასმული იყო შესაბამის საბუთებში. მაგალითად: ბაგრატ III-მ დაარსებისას ნიკორწმინდის კათედრას შესწირა 70 კომლი გლეხი, მეფე ამ გლეხების ჩამოთვლის შემდეგ იქნა აღნიშნავს თუ რა სახისაა ეს შეწირულობა: „აწ შემოგწირეთ მცირე და კნინი ესოდენი სოფელი და დაბანი თქვენ, წმიდასა მდდელომოძღვარსა ნიკოლოზს მისითა მზღვრითა და სამართლიანითა წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სათიბითა,

სახნავითა, ჭალითა, სათევზითა, ტყითა, სანადიროთა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა ერთობილითა ყოვლითურთ უნაკლულოდ ასრე რომე: რაცა ამა სოფელსა და დაბანსა გამოსავალი და ბეგარა გამოვიდოდეს, ესენი სრულიად წმიდასა მღდელთმთავარეპისკოპოსსა ნიკოლწმიდელსა მიებარებოდეს და არას კაცის ხელი არა მიხვდებოდეს (დოლიძე, 19, 653). — ამრიგად როგორც ვხედავთ აღნიშნული გლეხები თავიანთი მიწა-წყლით ნიკორწმინდის ეკლესიის სრულ საკუთრებაში გადადის და მათგან გამოღებული ბეგარაც უკლებლივ ნიკორწმინდელისაა. განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ მხრივ გიორგი II-ისა და მისი შვილის ლეონ I-ის შეწირულობის საბუთებში. მეფეს და მის შვილს ნიკორწმინდის საყდრისათვის XVI საუკუნის მეორე ნახევარში 40 კომლი გლეხი შეუწირავს. ეს გლეხები ტაძრისადმი დამოკიდებულების ხასიათის მიხედვით შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ:

პირველ კატეგორიაში შევა 4 სოფელი — 27 კომლი გლეხით. ამათგან გამოღებული ბეგარა, მსგავსად ბაგრატ III-ის შეწირულობისა სრულად ეკლესიისაა. ამრიგად ამ გლეხების მიმართ ეკლესია სრულ მესაკუთრედ გვევლინება.

მეორე კატეგორიაში შევა სოფელი მეტეხარა — 6 კომლი გლეხით. ამთგან გამოღებული ბეგარის მხოლოდ ნახევარი ეკუთვნის ეკლესიას, ნახევარი როგორც ჩანს მეფისაა. ამასთან ბეგარის გარდა ამ გლეხებს ეკლესიის სასარგებლოდ ევალებოდათ მუშაობა და სამსახური.

და ბოლოს მესამე კატეგორიის ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ სამი სოფელი შვიდი კომლი გლეხით — ამათგან გამოღებული ბეგარის ერთი მესამედი ეკლესიისაა, ორი მესამედი კი მეფეს რჩება. ამასთან

წინა შემთხვევისაგან განსხვავებით ამ გლეხებს მუშაობა და სამსახური მეფის სასარგებლოთ მართებოთ და არა ეკლესიისა.

ამრიგად როგორც ვხედავთ პირველ და მეორე შემთხვევაში ეკლესია გლეხების მესაკუთრედ გვევლინება, ვინაიდან ისინი ეკლესიისადმი პირად დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მეფეს მხოლოდ მათგან გამოღებული ბეგარის ნახევარი ეკუთვნის, სხვამხრივ სამეფო ხელისუფლებას ამ გლეხებზე უკვე ხელი აღარ მიუწვდება.

მესამე შემთხვევაში პირიქითაა – ნიკორწმინდის საეპისკოპოსო მხოლოდ ბეგარის 1/3 ნაწილს ღებულობს, სხვამხრივ კი ამ ბეგარის გადამხდელი გლეხების მიმართ არავითარი უფლებები არ გააჩნია, ვინაიდან პიროვნულად ისინი კვლავ სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

როგორც ვხედავთ მეორე და მესამე კატეგორიის გლეხების მიმართ ეკლესია და სახელმწიფო საერთო მესაკუთრეებად გვევლინებიან.

ეკლესია ფლობდა როგორც ყმა-გლეხებით დასახლებულ მიწა-წყალს, ასევე დაუსახლებელ ადგილებსაც ან ამოწყვეტილი, აყრილი გლეხის კარ-მიდამოს, რომელსაც პარტახი (პარტახტი) ეწოდებოდა. პარტახს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა საეკლესიო მიწათმფლობელობაში. ეს კარგად ჩანს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საბუთებიდანაც. მაგალითად – ბაგრატ III-მ 1544 წელს ნიკორწმინდის ტაძარს 70 კომლ გლეხთან ერთად 10 პარტახი მამულიც შესწირა. ასევე გიორგი II-მ XVI საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებულ მამულთან ერთად ნიკორწმინდის ეკლესიას ხუთი პარტახი მამულიც შესწირა.

პარტახს ისევე ედო ბეგარა, როგორც დასახლებულ მამულს. ამ ბეგარას კი ის იხდიდა, ვისაც პარტახი „საჭმელად“ მიეცემოდა. ეს მომენტი კარგად ჩანს სხვადასხვა სიგელების მონაცემებიდან. მაგალითად გელათის მონასტრის 1570 წლის კოხურის ბეგრის ნუსხაში

მებეგრე გლეხების ჩამონათვალის ბოლოს აღნიშნულია: „რვა პარტახტი სხვა არის და რაც ამ კაცებს მართებს თითოს გლეხსა, ისრე თითოს პარტახს მართებს და ისრე გარდაიხადოს, ვინც დაესახლოს და ან ვინც ჭამოს“. (კაკაბაძე, 1921 a, 28).

საეკლესიო გადასახადებს შორის ყველაზე მთავარი, რომელსაც გლეხები იხდიდნენ იყო ბეგარა. ბეგარა ძირითადად მიწის ჭერასთან დაკავშირებული გადასახადი იყო. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა საბუთებიდან. მაგალითად, გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელი თავის ერთ-ერთ სიგელში აღნიშნავს: „ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდაო“ (კაკაბაძე, 1921 a, 78). ასევე მე-XVI საუკუნის ერთი ნახევიდობის სიგელში ვკითხულობთ: „ესე დაწერილი წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგახსენეთ თქნ გელათსა ხახვილისა საკრთხევლისა დთისმშობელსა და მას შინა დამკვიდრებულთა ძმათა.....მთხილარაში დასთვეაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა ასრე ვითა სადამდისა ვცოცხალ ვიყოთ ჩნ და ჩნი შვლნი და ჩნი შვილისშვილნი და მომავალნი და სადამდისა ისი მამული ჩნ და ჩნსა ნათესავსა ჰქონდეს, მადამდისი მისი ბეგარა ხატს არა მოეშალოს და თუ ოდესმე მოეშალოს ბეგარა მამული ხატსავე დარჩეს.“ (კაკაბაძე, 1921 a, 5-6).

ბეგარა შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის. მაგალითად, იყო: „თავი ბეგარა“, „მართალი ბეგარა“, „სხვაი ბეგარა“, „ძღვენი“, „სამასპინძლო“ და სხვა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ IV, 1973, 193-194).

ბეგარა მოიცავდა როგორც ნატურალურ, ასევე ფულად გადასახადსაც. ნატურალურ გადასახადში შედიოდა: ხორცი, ღვინო, პური, ღომი, ყველი, კვერცხი, ერბო, ზეთი, თაფლი, თევზი, სანთელი, საკმეველი და სხვა. მაგალითად, სოფელ რცხილათში 1819 წლისათვის ნიკორწმინდის ეპარქიის სასარგებლოდ 24 კომლი გლეხი

იხდიდა გადასახადებს. აქედან ; ორ კომლს (თითოეულს ცალ-ცალკე) ედო-2ფოხალი ღომი, 2 ქათამი. 4 კომლს (ასევე თითოეულს ცალ-ცალკე)-2 ფოხალი ღომი, 2 ქათამი, 6 ჩაფი ღვინო და ასე შემდეგ. (კაკაბაძე, 1928, 84).

როგორც აღვნიშნეთ ბეგარას გლეხები არა მარტო ნატურით, არამედ ზოგჯერ ფულითაც იხდიდნენ. საერთოდ გვიან შუასაუკუნეებში შეიმჩნევა ნატურალური გადასახადის ფულით შეცვლის ტენდენცია. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. მაგალითად, 1819 წლიდან ნიკორწმინდის ეპარქიის ყმებს ზემონახსენებ რცხილათში (ასევე სხვა სოფლებსაც) ნატურალური ბეგარა ფულადი გადასახადით შეეცვალა და 100 მანეთი შეადგინა. (კაკაბაძე, 1928, 84-85). საერთოდ XIX საუკუნის დასაწყისში ნიკორწმინდის ეპარქიის კუთვნილი 151 კომლი გლეხი საეპისკოპოსოს სასარგებლოდ 711 მანეთს იხდიდა. (ქ.ც.ა. ფ. №21, ს. №1845). საეპისკოპოსოს გლეხებს გარდა ფულადი თუ ნატურალური გადასახადებისა, ეკლესიის სასარგებლოდ „მუშაობა და სამსახურიც“ ევალებოდათ. ეს ორი მომენტი შესაბამის საბუთებში ყოველთვის გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ასეა ეს იმერეთის მეფის გიორგი II-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის სიგელშიდაც. ტაძრისადმი შეწირული გლეხების ჩამოთვლის შემდეგ მეფე აღნიშნავს: „.....ამათის ბეგრის ნახევარი და მუშაობა და სამსახური სრულობით საყდრისა ქნან“—აქვე კი სხვა შეწირულობის ჩამოთვლისას აღნიშნულია: „ამათის ბეგრის მესამედი შემოგვიწირავს და მოგვიხსენებია. სხვა მუშაობა და სამსახური ჩვენი იყოს“ (კაკაბაძე, 1912, 9) – ამრიგად აქ ბეგარა გარკვევითაა გამოყოფილი სამსახურისა და მუშაობისაგან. საერთოდ ეს ორი განსხვავებული ვალდებულება იყო. პირველი თუ მიწის ჭერასთან იყო დაკავშირებული, მეორე პირად დამოკიდებულებაზე იყო დამყარებული. ეს მომენტი ძალზედ კარგად

არის დაფიქსირებული გაბრიელ ცაგერელის 1656 წლის შეწირულობის წიგნში: „ დათუა თედორაშვილისა ბეგარა თემისათვის მიმიცემია: ოყურეშელი მივიდეს გიორგობას დღეს იმ გლეხისასა და მისცემდეს ის გლეხი ოყურეშელს თემსა: ერთს კარგს გასუქებულს ტახს, ერთ კარგს ცხვარსა, ხუთს გოროს დვინოსა, ერთს გოროს პურსა და ერთს გოროს ლომსა, ერთის თეთრის სანთელსა, ერთი ბიშტის საკმეველსა.....და იმ თევდორასშვილს ცაგერელი ბეგარასა ნურასა სთხოვს, სხვა ნადობა, ლაშქრობა, სამსახური ცაგერლისა არის (ხაზი ჩვენია – მ. მ.). (დოლიძე, 1970, 520).

„მუშაობა“ და „სამსახური“ როგორც ბაბილინა ლომინაძემ გაარკვია ერთმანეთისაგან შინაარსით განსხვავებული სოციალური ტერმინებია. მუშაობა საერთოდ ყმა-გლეხისათვის დაკისრებულ მოვალეობას წარმოადგენდა და იგი მას ავალდებულებდა საჭიროებისდა მიხედვით ყოველგვარი ფიზიკური სამუშაო შეესრულებინა. მათ შორის სამშენებლოც, სამინდვრეც და სხვა. (ლომინაძე, 1954, 109).

რაც შეეხება „სამსახურს“, იგი უფრო მსახურის მოვალეობას წარმოადგენდა და გამოიხატებოდა სენიორის პირად ხლებაში, ლაშქრობაში და სხვა.

საეპისკოპოსო ფლობდა არა მარტო ყმა-გლეხებს, არამედ აზნაურებსაც. საეპლესიო აზნაურთა ძირითად მოვალეობას ეპისკოპოსის და მისი ამალის გამასპინძლება და აგრეთვე ხლება და ლაშქრობა წარმოადგენდა: „ათმან აზნაურშვილმან ზროხიანი კარგი საჭმელი თვის თავი[თ] გვაჭამოს, რარიგადცა თავი ესახელებოდეს“ – ვკითხულობთ აფხაზეთის საკათალიკოსო სოფლის დარჩელის აზნაურიშვილთა ვალდებულებაში. (კაგაბაძე, 1928, 10).

ცხადია თავისი აზნაურები ჰყავდა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსაც. 1819 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს 8 სოფელში ჰყავდა 23 კომლი აზნაური, რომელნიც

ფლობდნენ 17 კომლ გლეხს და 991 ქცევა მიწას. მათი დვინის შემოსავალი დაახლოებით 3619 კოკას შეადგენდა.

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების დამოკიდებულების ხასიათს თავისი საეკლესიო აზნაურებისადმი კარგად გადმოგვცემს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს მოურავისა და სახლთუხუცესის – სვიმონ ჯანელიძის ისტორია. ერთგული სამსახურისათვის სვიმონი სოფრონიოს ნიკორწმინდელს აზნაურობის ხარისხში აუყვანია და მისთვის მრავალრიცხოვანი ყმა-მამულიც უბოძებია. მის შესახებ საუბარია სოფრონ წულუკიძის 1801 წლის 28 აგვისტოს წყალობის წიგნში, რომელიც ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული : „..... ჩუენ ფ-დ სამღვდელომან ნიკოლაოსწმინდელ არხიეპისკოპოსმან ს-ფრონიოს ადგიწერეთ და გიბოძეთ წიგნი ესე მტკიცედ ფ-დ უცვალებელი სიგელი არა უამიერ არამედ სამარადისო და საუკუნო შენ ჩუენის ეკლესიის მემეკვიდრეს აზნაურს ჯანელიძეს სვიმონს ძეთა და მომავალთა შენთა ესრეთ და ესე ვითარად რომელ უამთა ვითარებისაგან და სოფლისა მიმოკუეთებათაგან განსხვავებულიყო გვარი შენი და დამდაბლებული იყო სახლი მამისა შენისა. აწ ჩუენ გამოვიძიეთ ძველთა გუჯარსა შინა და ვსცანით წინაპარნი შენნი კეთილ შობილად და გვარი შენი ჯანელიძედ და მივხედეთ რა ესევითარსა ცნობასა ჭეშმარიტების გამოძიებითა ჩუენცა ესრეთ დაგიმტკიცეთ ჩუენის ხელის მოწერით და ბეჭდის დასხმითა და აღგიყვანეთ პირველსავე შენსა ადგილსა სააზნაუროსა და მოვიყიდენ საკუთარითა საფასითა ჩემითა აგარაკნი გლეხნი და მამულნი საკეთილშობილონი. ვიყიდე გლეხი ერთი ნიკორწმიდას მოსახლე გიორგი წულუკიძისაგან კობახიძე გოგიტი და ძმა მისი პეტრიკა ბასილიკი, ივანიკი და კოკოლიკი მათის ცოლ-შვილით და მათის საცხოვრებელით რომლის მქონებელნი იყვნენ კ-დ ვიყიდე გლეხი მეორე მისვე გიორგი წულუკიძისაგან ბუგეულს მოსახლე მჭელიძე

გონიერი და მისი შვილი შოშიკი და მისი ძმისწულები მახარიკას შვილები. მათის ცოლშვილით და მათის ყოფით. ვიყიდე კდ გლეხი ერთი ალმასხან იაშვილისგან კრიხს მოსახლე ლაშხი დავთიკი და მისი ძმისწულები მათის ცოლ-შვილით და მათის ყოფით. ვიყიდე კდ გლეხი ერთი სოჩხელის (?) ყიფიანისაგან წყნორს მოსახლე ზაუტასშვილი ზაუტა [მისის ცოლშვილით და მისის ყოფით. ვიყიდე კუალად გლეხი ერთი გიორგი წულუკიძისაგან ნიკორწმიდას მოსახლე ჯიბუხაძე დავითიკი მისის ცოლ-შვილით და მისის ყოფით, გარდა ამისა მოვიყიდენ ნიკორწმიდას პარტახი მამუკელა ჯიმუხაძის და თაზიკას სეულობა. თავისის სამოსახლოთი სამართლიანის საზღვრით – გარდაღმა ხერხმელამდის ტყით, ველით, წყლით, წისქვილით, სათიბით, სამარხით, საძებრით და უძებრით რომლისაც მქონებელნი ყოფილიყვნენ და ამათთან კდ გიბოძე ორნი გლეხნი. ნიკორწმინდას მოსახლენი ნებუნის შვილები ნასხიდიკა და მისი შვილები გლახუა, ბუჭალა, ბეჟანა და კოკოლა და მეორე გლეხი პატიელა და მისი შვილები ბერიკა, გიგია, იესიკა და სოსიკი მათის ცოლ-შვილით და მათის ყოფით.

ესე ყოველნი ზემო აღწერილნი გლეხნი და მამულნი გიბოძე, გიწყალობე და დაგადგინე მტკიცედ და შეურყეველად თვისითა სამართლიანითა საზღვრითა უსადეოდ ყოველთა მიერ და ყოველთაგან მკვიდრთა ამის ქუეყანისათა. სიმდაბლისა, ერთგულებისა და მორჩილებით მსახურებისათვის შენისა..... “ (ქ. ი. მ, საბ. № 732).

ეს ვრცელი ამონაწერი აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ იგი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კარგად აჩვენებს საეკლესიო სენიორისა და ყმის ურთიერთობის ხასიათს. თუ ეს უკანასკნელი ერთგულად მოემსახურებოდა ეპლესიას და ეპისკოპოსს, მას შეიძლებოდა წოდებრივ საფეხურზედაც აემაღლებინა თავი. სხვათაშორის სვიმონ

ჯანელიძეს აზნაურობა იმავე სოფრონ ნიკორწმინდელის თხოვნით 1807 წელს სოლომონ II-მაც დაუმტკიცა.

აქვე გვინდა შევეხოთ ნიკორწმინდის 1819 წლის ყმათა აღწერილობის ნუსხას, რომელიც დაცულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში. (დანართი №6). აღნიშნული ცნობები მრავალმხრივაა საინტერესო. მასში მოცემულია ეპარქიის ყველა ყმის სახელი და გვარი, მამაკაცთა რიცხვი თითოეულ ოჯახში, მოსავლის წლიური ოდენობა და სახნავ—სათესი ფართობის მოცულობა. ასევე რაც განსაკუთრებით საინტერესოა, მოცემულია ინფორმაცია თუ რა რაოდენობის ბეგარას იხდიდნენ ესა თუ ის გლეხები ეპარქიის სასარგებლოდ (სამწუხაოდ აღნიშნული სახის ცნობები ნაკლულია და მასში მხოლოდ რამდენიმე სოფლის მონაცემებია შესული, მაგრამ ზოგადი წარმოდგენისთვის თუ რა სახის იყო საეკლესიო ბეგარა, ეს ცნობებიც საკმარისია).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ნიკორწმინდის საეპისკოპოსო — 14 სოფელში ფლობდა 151 კომლ გლეხს. აქედან საკუთრივ რაჭის ოლქში (ნიკორწმინდა, უყეში, აბანოეთი, ბუგეული, შავრა, ლადიში, თხმორი, ბარეული, ცახი, ხონჭიორი) ფლობდა — 99 კომლს, ხოლო ქუთაისის ოლქში (რცხილათი, ჩხარი, წყნორი, ძმუისი) — 52 კომლ გლეხს. ფულზე გადაყვანის შემდეგ ყმა-გლეხების გადასახდელმა ნატურალურმა ბეგარამ შეადგინა — 714 მანეთი.

იმისათვის რომ ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ რა რაოდენობის ნატურალური პროდუქცია შედიოდა ეპარქიას, მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს: როგორც აღვნიშნეთ ქუთაისის ოლქის 4 სოფელში საეპისკოპოსო ფლობდა — 52 კომლ გლეხს. მათგან ნიკორწმინდის საყდარი ღებულობდა: 34 გირვანქა სანთელს (ერთი გირვანქა დაახლოებით ნახევარ კილოგრამს იწონიდა — ე. ი. ამ შემთხვევაში დაახლოებით — 17 კოლოგრამი), 17 კოდ, 18 ფოხალ და 63 ბათმან

ლომს (რაჭაში ერთ კოდში – 8 ფოხალი შედიოდა (ჯაფარიძე, 1973, 109), ასევე ერთი კოდი დაახლოებით 5 ბათმანს შეიცავდა. (ბათმანი დაახლოებით 7,3 კგ-ს იწონიდა, კოდში კი – 33 ან 41 კილოგრამი ეტეოდა. (ჯაფარიძე, 1973, 99). ამრიგად თუ ამ მონაცემებს კოდებში ვიანგარიშებთ, მაშინ დაახლოებით 30-32 კოდი ანუ 1 ტონამდე გამოვა. ასევე საეპისკოპოსოს ამ სოფლებიდან შემოდიოდა 302 ჩაფი დვინო და 69 ქათამი. ფულზე გადაყვანის შემდეგ ამ გადასახადებმა შეადგინა 218 მანეთი.

გარდა ყმა-გლეხებისა და მიწა-წყლისა საეპისკოპოსოს შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამწყსო-საეპარქიო გადასახადებს. მას იხდიდა საეპისკოპოსოში შემავალი ყველა მართლმადიდებელი მცხოვრები – როგორც მაღალი წოდებიდან, ასევე დაბალი ფენებიდანაც. თუმცა როგორც ბაბილინა ლომინაძემ გაარკვია: „მოსახლეობაზე დაკისრებული სამწყსო გადასახადები მკაცრად იცავენ სოციალურ განსხვავებულობას. გარკვეულ სოციალურ ჯგუფს მხოლოდ გარკვეული სახის სამწყსო გადასახადი ადევს, ისე რომ ამ უკანასკნელის სახეობის მიხედვით სავსებით შესაძლებელი ხდება გადამხდელის სოციალური კუთვნილების დადგენა“ (ლომინაძე, 1960, 104).

საეპისკოპოსოს მოსახლეობა რელიგიური მომსახურებისათვის თავისი მწყემსმთავრის სასარგებლოდ იხდიდა შემდეგი სახეობის გადასახადებს: 1. დრამა; 2. სახუცო; 3. ნიშანი; 4. საწირავი; 5. სამრევლო; 6. საკანონო; 7. სასჯულო; 7. საკურთხი და სხვა. ასევე მოსახლეობას მართებდა ეპისკოპოსის „ჩაყენება“ და „მასპინძლობა“. (ლომინაძე, 1960, 105; სოსელია, 1966, 150). ზემოთჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს პირველი სამი სახეობის გადასახადი და ჩვენც უფრო დაწვრილებით მათ განვიხილავთ:

დრამა. დრამა გლეხობაზე დაკისრებული ძირითადი სამწყსო გადასახადი იყო. როგორც ბაბილინა ლომინაძე აღნიშნავს, მას იხდიდა აგრეთვე წვრილი აზნაურიშვილი და ბოგანო. (ლომინაძე, 1960, 106).

დრამა თავდაპირველად ფულადი გადასახადი უნდა ყოფილიყო. ეს კარგად ჩანს სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნიდან.

მის ძველ ნაწილში, რომელსაც გამომცემელი ისიდორე დოლიძე XV საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს, დრამა ფულადი გადასახადია. მისი რაოდენობა ერთიდან ათამდე მერყეობს. მაგრამ იმავე საბუთის ახალ ნაწილში, რომელსაც მე—XVII საუკუნით ათარიღებენ დრამა უკვე ნატურალურ გადასახადათაა ქცეული და წარმოადგენს კომლზე ერთ კოდ პურს. (დოლიძე, 1970, 198-206). როგორც მანოელ ჩხეტიძის სიგელიდან ჩანს ნატურალური გადასახადი ყოფილა დრამა ნიკორწმინდის საეპისკოპოსოშიც და იგი აქაც ერთ კოდ პურს უდრიდა. (კაკაბაძე, 1912, 5).

სახუცო. სახუცო გადასახადი მანოელ ნოკორწმინდელის სიგელში შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ეპისკოპოსს: „მდდელთაგან წელსა შ—ა მარჩილი მიეცემოდეს დიაკონთაგან ო რუბი“ (კაკაბაძე, 1912, 5). სახუცოს შესახებ საუბარია 1761 წლის საბუთში, რომელიც სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრების მიერ ხონის ტაძრისათვის განწესებულ გამოსავლის სიგელს წარმოადგენს: აქ ნათქვამია რომ ხონის საეპისკოპოსოში სახუცო ისევე განაწესეს, როგორც საქუთათლო—საგენათლოს მართებს მესამე წელიწადს— მარჩილი მდდელსა და ორი რუბი —მთავარს “ (დოლიძე, 1970, 845). — უნდა აღინიშნოს რომ ეს ადგილი ერთგვარ გაუგებრობას ჰქადებს, რადგან გარკვევით არაა მითითებული ვინ იხდის სახუცოს — მდვდელი და დიაკონი ოუ პირიქით — მდვდელსა და დიაკონს უხდიან. ოლია სოსელია 1761 წლის სიგელის მონაცემებზე დაყრდნობით მიიჩნევს რომ სახუცოს მდვდელსა და მთავარდიაკონს უხდიან. (სოსელია, 1966, 150).

ამ მოსაზრებას, როგორც დავინახეთ არ ეთანხმება, ზემოთ მოყვანილი მანოელ ნიკორწმინდელის სიგელის მონაცემები, სადაც აშკარად არის მითითებული რომ მდვდელი და დიაკონი იხდის ამ გადასახადს და არა პირიქით. საკითხის გასარკვევად მივმართოთ სხვა წყაროებს. წილკნელის 1660 წლის სარგოს წიგნში ერთ ადგილას აღნიშნულია: „ქ. ბოდორნის დეკანოზს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. მიტომ აძევს სახუცო (რომ) საყდარს ბევრი შემოსავალი აქვს, ყმაც ყავს“. (ჩხეტია, 1925, 19) – ამ ციტატიდან ნათელია რომ სახუცო სასულიერო პირს – დეკანოზს მართებს წილკნელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ. ასევე კათალიკოზ ევდემოზ დიასამიძის 1701 წლის სიგელში აღნიშნულია: „ამ ჩვენს დეკანოზსა სახუცო არც სხოვებია და ნურც დღეის უკან სთხოვენ და ამის სახლს მაგათმა მდვდელმა უხუცოს“. (დოლიძე, 1970, 627-628) – აქაც აშკარაა რომ სახუცოს გადამხდელად სასულიერო პირები—დეკანოზი და მდვდელი მოიაზრება. ბაბილინა ლომინაძის აზრითაც სახუცოს – მდვდელი იხდიდა. (ლომინაძე, 1997, 15). ამრიგად „სახუცო“ არის გადასახადი, რომელსაც სასულიერო პირები (დიაკონი, მდვდელი, დეკანოზი) უხდიდა ეპისკოპოსს.

ნიშანი. ნიშანი იყო ერთდროული გადასახადი, რომელსაც მიცვალებულის პატრონი იხდიდა. (ლომინაძე, 1960, 151). ნიშანი მართებდა მაღალ სოციალურ ფენას: აზნაურებს, თავადებს, მთავრებს, მეფეს, ეპისკოპოსებს. (ლომინაძე, 1960, 105). ასე იყო ეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოშიც. მანოელ ნიკორწმინდელის საბუთში აღნიშნულია, რომ ეპისკოპოსს უნდა მიერთვას: „დიდებულთა და აზნაურთაგან ნიშანი“. (კაკაბაძე, 1912, 5).

ნიშანში იგულისხმებოდა გარდაცვლილის საუკეთესო პირადი ნივთები: მამაკაცისათვის „ შეკაზმული ცხენი “, „ სუფრის იარაღი და თასი, ქალისათვის: – ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გარდასახურავი. (ჩხეტია, 1925, 9–26). როგორც

ოლია სოსელია შენიშნავს ნიშანში ზოგჯერ მიწა-მამული და ყმა-გლეხებიც შეიძლებოდა შესულიყო. (სოსელია, 1966, 151). – მაგალითად 1768 წელს ბეჭან ყიფიანი გენათელ ეპისკოპოსს გედეონ ლორთქიფანიძეს უცხადებს: „.....ესე საფიცარი და პირი მოგართვი მე ყიფიანმა ბეჭან თქვენ გენათელსა ბატონს გედაონს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ნიშანი მემართა თქვენი და სხვა ვერა გიშოვეთ რა და მაშინა ყიფიანისოული მოგართვით მიწა-საყანა (sic).....” (კაკაბაძე, 1921a, 77).

ნიშანი როგორც წყაროებიდან ჩანს საკმაოდ მძიმე გადასახადი იყო და დიდებულნი ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ მისგან, მაგალითად 1814 წელს იოანე ცაგერელმა ნიშნის გადახდისაგან გაანთავისუფლა დავით გელოვანი. (დოლიძე, 1970, 1122).

თუ ერთ შემთხვევაში მღვდელმთავარი ათავისუფლებს „ნიშნის“ გადახდისაგან აზნაურს, მეორე შემთხვევაში – პირიქით ეპისკოპოსი ცდილობს ისეთ ოჯახს დააკისროს ეს ვალდებულება, რომელსაც იგი მანამდე არ ემართა. ამ მხრივ საინტერესოა სოფრონ ნიკორწმინდელის 1814 წლის სიგელი ჩიკვაიძეთადმი: „რადგან თქვენ ჩვენი სამწყსო იყავით და აზნაურიშვილი“ — მიმართვს სოფრონი ჩიკვაიძეს—„ნიშნის თხოვნა დაგიწყეთ, რომელიც არასოდეს არას ნიკოლაოსწმინდელს არ ეთხოვნა. მაგრამ მე რადგან დიდი შრომა მაქვნდა ჩემს მონასტერზედ და მსურდა შემკობა და შემოსავალი ცოტა იყო, ამისთვის მინდოდა რომ შემოსავალი გამემრავლებია“. (დოლიძე, 1970, 1123). მაგრამ შემდეგ ჩიკვაიძეს დაუფიცებია, რომ მას ნიკორწმინდელის ნიშანი არასოდეს არ მართებდა და სოფრონსაც თავი დაუნებებია. აქ ყურადღებამისაქცევი ის არის, რომ დავით ჩიკვაიძე, რომელიც ნიკორწმინდელის სამწყსოში შედის, ნიშანს არ იხდის, რაც ძნელი ასახსნელია. საერთოდ ეპისკოპოსები ამ გადასახადის გადახდას საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

მაგალითად ნონოწმინდელი ეპისკოპოსი თავის სამწყსოს ერთ-ერთ დიდებულს ასე მიმართვს, ნიშანი: „.....თუ მე არ მომეცემაო, მე შენი რაღა ეპისკოპოსი ვიქნებიო და შენის ოჯახიდამ ჩემს ეკლესიას რა სარგებელი ექნების“ (ლომინაძე, 1960, 105).

ამრიგად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობა და მრავალრიცხოვანი ყმა-მამული გააჩნდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

მესამე თავი

ჭელიშის მონასტრის ისტორიისათვის

§ 1. ეპიზოდები ჭელიშის მონასტრის ისტორიიდან (XI–XX სს.)

ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი მდებარეობს რაჭაში, მდინარე შარეულას ღრმა და ულამაზეს ხეობაში. ნიკორწმინდიდან დაახ. 4–5 კილომეტრის დაშორებით. მას ჩრდილოეთით თავს დასცეკერის ქვაყუნტულას მაღალი მთა, სამხრეთ აღმოსავლეთით კი აღმართულია საშევარდნოს კლდეები, სადაც მდებარეობს „უძველესი ბერთა ქვაბულები „სადაყუდებულო“. მონასტერს მარჯვნიდან ჩამოუდის მდინარე შარეულა, რომელიც ოდითგანვე სავსე იყო კალმახით. აქვე მიწიდან ამოდის ბუნებრივი წყალი, რომელსაც „ბატონის წყაროს“ ეძახდნენ.

უძველესი წერილობითი ცნობა რომელშიც ჭელიშის მონასტერი იხსენიება არის XI საუკუნის ოთხთავის ანდერძი. ეს წიგნი მაცხოვრის ხატან ერთად მის გადამწერს მწირ ნიკოლოზს შეუწირავს ჭელიშის მონასტრისათვის „....მე უნდომან და ყოველთა ქრისტიანეთა უნარჩევესმან, ფრიად ცოდვილმან ცუდსახედელმან მწირმან ნიკოლოზ, მმისა დანიელ ხანბაშურის გაზრდილმან, მოვიგე ჩემითა ნამუშაკევითა, ხატი მაცხოვრისა მინაისა, ყოვლად შემკული თუალ - მარგალიტითა და მუნ შინა ძელი ჭეშმარიტი. და მევე დავწერე უამსა სიბერისა ჩემისასა ოთხთავი კამარითა და ხატითა და ზანდუკითა ყოვლითურთ სრული. და მოვჭედე მინაითა და თუალითა და რაიცა სიგლახაკისგან შესაძლებელი იყო შევამკე და...სასოებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაითა, მამისისა სამოღუიწყოსა შინა

მკვდრითა ძმათაითა, შევწირე და მოგახსენე ყოვლად [წმიდისა] ღმრთისმშობელისა მონასტერსა ჭელიშს..." (ბოჭორიძე, 1994, 86)

გიორგი ბოჭორიძის აზრით, ანდერძის ავტორი ნიკოლოზ მწირი უნდა იყოს, იგივე ნიკოლოზ სოხასტრელი, XI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე. იგი მოხსენიებულია იმავე ოთხთავის ყდის წარწერაში და 1047 – 1053 წლების გელათის სახარების თარგმანის მინაწერში (ბოჭორიძე, 1994, 84). ამრიგად XI საუკუნეში ჭელიშში უკვე ჩვეულებრივი სამონასტრო ცხოვრებაა გაჩაღებული. ანდერძი იხსენიებს აქ დამკვიდრებულ ძმებს – ე. ი. – ბერ- მონაზვნებს, ჭელიშის ლვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელსაც მწირი ნიკოლოზი ძვირფას ნივთებს წირავს, მათ შორის მაცხოვრის ხატს, მინანქრით მოჭედილსა და მრავალი ძვირფასი თვლით მორთულს . გიორგი ბოჭორიძის სამართლიანი შენიშვნით: თუ XI საუკუნეში აქ იწერება, იჭედება და იმკობა ასეთი შესანიშნავი ძეგლები, ცხადია, რომ მისი კულტურის დასაწყისი უფრო ადრინდელ დროს მიეკუთვნება" (ბოჭორიძე, 1994, 53). მართლაც იმავე მკლევარის აზრით აქ ყველაზე ადრინდელი ხანის უნდა იყოს მონასტრის გამოქვაბულები ბერთათვის და სადაყუდებულო. (ბოჭორიძე, 1994, 53).

ამის შემდეგ ჭელიშის მონასტერი მოხსენიებულია გოგნია გარაყანიძის ადაპტი, რომელიც ზემოდსახელებული ოთხთავის 205 ფურცელზეა მოთავსებული: „ქ. [სახელით]ა ღმრთისათა და ყოლადწმიდისა ღმრთისმშო[ბელ]ისათა მარადის ქალწულისა მარიამისათა ესე წიგნი [მ]ე გოგნიამან გარაყანიძემან დავწერე ჩემისა სულისა აშთახდისა დღესა შემოვსწირე ყოლადწმიდასა ღმრთისმშობელსა სულისა ჩემისა საოხად გოდელიაური ონსა მამული... გინცა და რამანცა ძემან კაცისამან ჭელიშსა გამოახვას... რისხავსმცა მამა ძე და სულიწმიდა... (ბოჭორიძე, 1994, 87–88) მინაწერს გიორგი ბოჭორიძე XIV–XV საუკუნეებით ათარიღებს,

მე-16 საუკუნეში ჭელიშის დანგრეული ეპლესია აუშენებია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს მელქისედეკ საყვარელიძეს. იგი ამის შესახებ მოგვითხრობს ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის კარიბჭის წარწერაში: „წმიდაონ ნიკოლაოზ, მეოხე ეყავ მეფეს გიორგის მის მოწყალებით?] ჭელიში ავაშენე ნიკოლაოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქისედეკ, ამინ“. (ბოჭორიძე, 1994, 98). როგორც ვხედავთ ნიკორწმინდელ მღვდელმთავარს ჭელიშის ეპლესია აუშენებია გიორგი II იმერთა მეფის თანადგომით - და დახმარებით. გიორგი II გამეფდა 1565 წ. (რეხვიაშვილი, 1989, 54) რაც შეეხება მელქისედეკ საყვარელიძეს, იგი 1573 წელს უკვე გარდაცვლილად იხსენიება. (კაკაბაძე, 1921a, 31) ამრიგად ჭელიშის ეპლესიის რესტავრაცია - 1565 - 1573 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.

1591 წელს ლეონ იმერთა მეფემ ჭელიში ხონჭიორთან ერთად ნიკორწმინდის ეპისკოპოსს ამბროსი ბაქრაძეს უბოძა: „....მეფეთ-მეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გი[ბოძეთ] თქვენ ნიკორწმინდელსა ბაქრაძესა ამბროსეს, მას უამსა ოდეს თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხონჭიორი სრულობით და ჭელიში და ნამარნევს მჯედლიძენი...“ (კაკაბაძე, 1921a, 34 -35).

XVII საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ 1637 წ. ჭელიში იმერეთის მეფემ გიორგი მეორემ გელათს შესწირა: „....ქ... ჩუენ... მეფეთ მეფემან გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ - დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან თამარ და ძემან ჩუენმან პირმშომან ალექსანდრე და მამიამა შემოგწირეთ...[გელათს] ჭელიშის საყდარი ყ-დ წ-ის მისის მამულითა...“ (ჟორდანია, 1897).

როგორც ვნახეთ XVI საუკუნეში ჭელიში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების ხელშია და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ეს ეპლესია

გეოგრაფიულად მათ სამწყსო ეპარქიში შედიოდა. მაგრამ ცოტა გაუგებარია თუ რატომ ჩამოართვა გიორგი –III–მ მათ ეს ტაძარი და გელათის საეპისკოპოსს გადასცა. ამბოსი ხელაია თავის საუკუნალო სტატიებში აღნიშნავს, რომ XVII–XVIII საუკუნეებში ჭელიშის მონასტერი ითვლებოდა გელათის ქონების დასაცავ ადგილად მტრის შემოსევის დროს. თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები ხდება გიორგი მესამის მიერ გადადგმული ნაბიჯიც. XVII საუკუნის 30 - იანი წლები ეს ის პერიოდია როდესაც უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს მთავარს ლევან მეორე დადიანს შორის. ეს უკანასკნელი იწყებს გამანადგურებელ თავდასხმებს იმერეთზე. შესაძლოა გარკვეული საფრთხის ქვეშ დადგა გელათის მონასტრის ძვირფასეულობაც და ამიტომაც გადასცეს მას განძთსაცავად მიუვალ და ყოველმხრივ დაცულ ხეობაში არსებული ჭელიშის მონასტერი.

აქვე დგება ერთი საკითხიც XIV–XVII საუკუნეებში არის თუ არა ჭელიშში სამონასტრო ცხოვრება ? სამწუხაროდ წყაროების მეტისმეტი სიმცირე ამის გადაჭრით თქმის საშუალებას არ იძლევა. როგორც ვნახეთ ამ პერიოდის წყაროებში ჭელიშის ეკლესია 4 ჯერ არის მოხსენიებული, მაგრამ სიტყვა მონასტერი ან ბერები არსად არ გვხვდება. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მე-17 საუკუნეში იგი გელათის მონასტრის განძთსაცავს წარმოადგენდა, მაშინ უფრო სავარაუდოა რომ აქ სამონასტრო ცხოვრებაც ყოფილიყო, ვინაიდან ჭელიშში ბერების ყოფნა ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ძვირფასი საეკლესიო ნივთების მოვლა - პატრონობისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ამბოსი ხელაიას მიერ დაფიქსირებული ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ჭელიშის ეკლესია დაუნგრევიათ ოსმალებს რაჭაში ერთ-ერთი სამხედრო ექსპედიციის დროს. მკვლევარი მომოიხილავს რა ისტორიულ წყაროებს, სადაც ოსმალთა

რაჭაში ლაშქრობაზეა საუბარი, ასკვნის რომ ჭელიშის მონასტრის დარბევა უნდა მომხდარიყო XVII საუკუნეში, კერძოდ კი –1679 წელს, როდესაც არჩილ მეფეს დადევნებულმა ოსმალებმა დაარბიეს რაჭა. ვახუშტი ბაგრატიონი ამ ამბებს ასე გადმოგვცემს: „.....არჩილ მეფე წარვიდა რაჭას და რაჭველთა შეკრეს მთა. მიჰყვნენ ოსმალნი არჩილს. მაშინ ხრეითს მთასა ზედა უწყეს რაჭველთა ცემა თოფთა და.....უმეტეს ოსმალნი მოსწყვიტნეს. არამედ სიმრავლითა სძლეს ოსმალთავე, გარდვიდნენ რაჭას, მოსწუნეს, მოსტყუვნეს, უპმოქცენ და დადგნენ კუახჭირს“. (ბაგრატიონი, 1973, 843)– გადმოცემის თანახმად ჭელიშში, მიუხედავად ეკლესიის დარბევისა და დანგრევისა, სამონასტრო ცხოვრება მაინც არ შეწყვეტილა. ამბოსი ხელაიას თქმით: „ მონასტრის ძმებს აუშენებიათ ხის ეკლესია და არ ჩაუქრიათ ის ლამპარი–ქრისტეს ნათელი, რომელიც აქ ანთებული იყო ძველის–ძველი დროიდან“. იქვე მკვლევარი ამატებს რომ: „ ადგილი, სადაც იყო აშენებული ეს ხის ეკლესია, ჩემს იქ ყოფნის დროს აღნიშნული იყო შარეულას მეორე ნაპირზე ხის ჯვარითო “. (ხელაია, განთიადი, 1915, № 10, 32). – ამრიგად თუ აქ მოთხოვილ ამბებს დავუჯერებთ, გამოდის რომ XVII საუკუნეში ჭელიშში საკმაოდ მძლავრი სამონასტრო ცხოვრება ყოფილა. რაც შეეხება, დღეს–დღეობით აქ შემორჩენილ ქვის ბაზილიკურ ეკლესიას, მის აშენებას სამონასტრო ტრადიცია პაატა წულუკიძეს მიაწერს, რომელიც XVIII საუკუნის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. (ხელაია, განთიადი, 1915, № 10, 25).

მე-18 საუკუნეში ჭელიშის მონასტერს უნდა იხსენიებდეს ცნობილი მოგზაური გიულდენშტედტი, მართალია იგი მის სახელს არ აკონკრეტებს მაგრამ აღწერილიბიდან აშკარაა რომ აქ საუბარია ჭელიშის მონასტერზე: „....5 აგვისტო, 1772 წელი. დღეს დიღით გავედი ნიკორწმინდიდან. გზა 1/2 საათი მიღიოდა სამხრეთ

დასავლეთისაკენ ამჟამად დამშრალი მდინარე ხერგის კალაპოტის გაყოლებით. ეს მდინარე გაზაფხულზე ადიდდება ხოლმე და მოაქვს ხეები. მისი ისედაც ცოტა წყალი მთლიანად იკარგება კირქვიანი კლდეების ხეობაში, რომელშიც ის ხმაურით მიედინება აქედან 1 საათში ჩრდილოეთით—ჩრდილო დასვლეთით კვლავ გამოდის კლდეებიდან... 200 ნაბიჯი სიგანის ღრმა, კირქვიანი კლდეების ხევში ორ ადგილას წყალი ამოდიოდა... ამ ხეობის აღმოსავლეთ ციცაბო კედელზე, აქ გამომდინარე წყალზე, რომელიც მდ. შაურულას სახელით მოედინება რიონისკენ ბარენულას და ბაჯს შორის, არის განდეგილთა სადგომი (უდაბნო) რომელშიც 10 ბერი ცხოვრობს. (გიულდენშტედტი, 1962, 131)

ჭელიშში (და საერთოდ რაჭაში) განსაკუთრებით ძლიერი იყო სამონასტრო ცხოვრება XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. ყველაზე მეტი შეწირულობის საბუთებმაც სწორედ ამ პერიოდიდან მოაღწია ჩვენამდე. ამ სიგელების მიხედვით რაჭის ეკლესია—მონასტრები საკმაოდ მძლავრ და მდიდარ სასულიერო კერებს წარმოადგენდა მათში მოღვაწე სამღვდელო დასითა და ყმა—მამულით. 1796 წლის ერთ საბუთში, რომლის მიხედვითაც ჭელიშის უდაბნოს გლეხი შესწირა ბეჟან წერეთელმა, მოწმეებს შორის დასახელებულია: „...წინამძღვარი გრიგოლ, დავით ბერი ჭოხონელიძე, ნიკოლოზ სურდულაძე, ბერი ნეთსაძე ბესარიონ, მარკოზ ბერი, დავით ნასრაძე ბერი, დიაკვნები—იოსელიანი ნიკოლოზა და სხვები თხმუთმეტ—თექვსმეტამდისი” (კაკაბაძე, 1921b, 110)-ამრიგად როგორც ვხედავთ ამ დროისთვის მონასტრებში 20 მდე სასულიერო პირი მოღვაწეობდა. სწორედ რაჭის ეკლესია—მონასტრების ეს სიძლიერე იყო ერთ—ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ კუთხის სასულიერო წოდებამ საკმაოდ დიდი და აქტიური როლი ითამაშა XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ

ბრძოლაში. მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენადაც მძლავრი იყო მათი პროტესტი დამპყრობლის მიმართ, იმდენად ულმობელი იყო ამ უკანასკნელის რეაქცია და მისი გამანადგურებელი შედეგები.

XIX საუკუნეში რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაც. ალექსანდრე I-ის 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით გაუქმდა ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკაფალია და იგი რუსეთის უწმიდეს სინოდს დაუმორჩილეს. სულ მალე ამას მოჰყვა იმავე იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულება საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შექმნის შესახებ, რაც იმას ნიშნავდა რომ მონობის უღელი ამჟამად დასავლეთ საქართველოს ეკლესიასაც ედგმებოდა. სასულიერო კანტორა მუშაობას 1815 წლის მაისიდან შეუდგა და მას სათავეში ეგზარქოსი ჩაუყენეს. (Maxaradze, 1942, 54). ცხადია აღნიშნული დაწესებულების უპირველეს ამოცანას საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობა წარმოადგენდა, რისთვისაც რადიკალური საეკლესიო რეფორმების გატარება იყო საჭირო. ამ საქმის მოსაგვარებლად 1819 წლის ივნისში იმერეთში ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი ჩამოვიდა. მისმა უხეშმა საეკლესიო პოლიტიკამ სულ მალე იმერეთში დიდი აჯანყება გამოიწვია, რის გამოც რუსულმა ხელისუფლებამ დროებით უკან დაიხია, თუმცა ცხადია რეფორმის გატარებაზე მათ ხელი არ აუღიათ და მომდევნო წლებში ის მაინც განახორციელეს.

ამ დროს ყოფილი იმერეთის სამეფო ოთხ ოკრუგად იყო დაყოფილი. (გაჭრიძე, 1999, 114). რაც შეეხება საეკლესიო ადმინისტრაციის მხრივ იმერეთი-ქუთაისის, გელათის, ხონის და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებისაგან შედგებოდა. რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეპარქიების შემცირება იყო. იმერეთში

გადაწყვეტილი იყო ერთი ეპარქიის დატოვება. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1812 წელს პქონია რუსეთის იმპერატორს მიღებული, მაგრამ მაშინ სათანადო კანდიდატურის შეურჩეველობის გამო ეს საკითხი გადაუდვიათ. (მჭედლიძე, 2008, 244). 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით ზემოთდასახელებული საეპისკოპოსოების ბაზაზე ოფიციალურად ჩამოყალიბდა იმერეთის ეპარქია, რომელსაც სათავეში ნიკორწმინდის ყოფილი ეპისკოპოსი სოფრონ წულუკიძე ჩაუყენეს, რომელიც ფაქტობრივად 1820 წლის აპრილიდან ასრულებდა ამ მოვალეობას.

როგორც აღვნიშნეთ რეფორმის შემდეგ საეკლესიო—სამონასტრო ცხოვრება იმერეთში რადიკალურად შეიცვალა. ეკლესია—მონასტრებს ჩამოართვეს მათი ყოფილი მიწა წყალი და ყმა გლეხები და საეკლესიო ხაზინას გადასცეს. ამიერიდან მონასტრებს ხაზინიდან უნდა მიეღოთ გასამრჯელო, რაც თავის რჩენისთვის არასაკმარისი იყო. ნატურალური გადასახადები ფულადით შეიცვალა, რამაც მკვეთრად გააუარესა საეკლესიო გლეხების მდგომარეობა. (Акты, т. VI ყ.I, 577; პავლიაშვილი, 2008, 43). ეკლესია—მონასტრები შეამცირეს და შემოიდეს მათი „საბლადოჩინო” მართვა.

1822 წ. იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი საქართველის ეგზარქოსს სოხოვდა რუსეთის მსგავსად გელათისა და ჭელიშის მონასტრებიც შტატის მონასტრებად შეერაცხა და მიენიჭებინა გელათისათვის პირველი კლასის, ხოლო ჭელიშისათვის მეორე კლასის მონასტრის ხარისხი. ამაზე საქართველოს ეგზარქოსი იმერეთის ეპისკოპოსს სწერს: „...ვინა[ითგან] საქართველოს მონასტერნი არა გაყოფილ არიან კლასთა ზ—ა, ამის[გამო]...ხელმძღვანელობას უწმინდესის სინოდისათა არ ძალუმს თანხმობა წარმოდგინებასა რათა დანიშნული იქმნან შტატისად [გაენა]თის მონასტერი და ჩელიშის უდაბნო და უფრო აღყვანასა ზედა მათსა კლა[სსა] შ—ა”.

იქვე იოანე ეგზარქოსი არიგებს არქიეპისკოპოსს რომ მონასტრები იმერეთში უნდა დარჩნენ: „პლსა” დებულება[სა] ზა, და ეძლიოსთ წინამდუართა (და) მონაზონთა მათ შა განწესებულ(თა) მათდამი განსვენებულის ეგზარხოსის მიტროპოლიტის ოცნებილაკტეს დროს ჯამაგირი და ნუდარ აკურთხებო მონო(ზონად) და მდუდლად ანუ დიაკონად თვინიერ წარმოდგინებისა სინოდის კანტო(რი)სადმი. მსახურნი ვითარ მოუცილებლად საჭირონი განწესებულნი იქმნან... ჩელიშის მონასტერში ხუთი კაცი და აღარ ერთმეოდესთ მათ გამოსაღები ფულად სასარგებლოდ ეკლესიისა.” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 52, 1 -3)

საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები თანხა დაეხარჯა ეკლესია მონასტრების შენახვისათვის. ამის გამო XIX საუკუნის 30-იან წლებში დაისვა მონასტრების გამსხვილების საკითხი. ის მონასტრები რომლებშიც სასულიერო პირები ცოტა იყო ან უნდა გაუქმებულიყო, ანდა რომელიმე სხვა მონასტერზე უნდა მიწერილიყო. ამ დროისათვის იმერეთის ეპარქიაში შემდეგი მონასტრები ფუნქციონირებდა:

1. გელათის ღვთისმშობლის შობის.
2. ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების.
3. სხვაგის იოანე ნათლისმცემლის.
4. სორის მაცხოვრის ჯვარცმის.
5. კაცხის მაცხოვრის ამაღლების.
6. ვანის მთავარანგელოზის.
7. ხონის წმინდა გიორგის.
8. ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის.
9. სოხასტრის მაცხოვრის (დედათა).
10. ვანის მაცხოვრის ფერისცვალების.
11. მღვიმევის ხელოუქმნელი ხატის.
12. გოგნის ღვთისმშობლის მიძინების.
13. მოწამეთის დავით და კონსტანტინეს.
14. ტაბაკინის წმიდა გიორგის.
15. კვერეთის ღვთისმშობლის მიძინების.
16. საჯავახოს იოანე ნათლისმცემლის.

1835 წელს ეგზარქოსმა ევგენიოსმა ორჯერ გაუგზავნა წერილი იმერეთის ეპისკოპოსს შეკითხვით, თუ რომელი მონასტრები უნდა დარჩენილიყო ან გაუქმებულიყო იმერეთის ეპარქიაში. სოფრონ წულუკიძის აზრით უნდა დარჩენილიყო შემდეგი მონასტრები:

- | | |
|--------------|---------------|
| 1. გელათის | 6. მოწამეთის |
| 2. ჭელიშის | 7. საჯავახოს |
| 3. კაცხის | 8. შემოქმედის |
| 4. სოხასტრის | 9. ჯუმათის |
| 5. მღვიმევის | |

რაც შეეხებოდა ხონის, სორის და ჭალატყის მონასტრებს, მათში მოღვაწე ბერ-მონაზვნები უნდა გადაყვანილიყო გელათის და ჭელიშის მონასტრებში, ხოლო ისინი სამრევლო ეკლესიებად დარჩენილიყო. სხვავისა და ვანის მონასტრებში კი ბერები გარდაცვალებამდე დარჩებოდნენ, შემდეგ კი ეს მონასტრებიც გაუქმდებოდა.

ამის შემდეგ სორი, როგორც მონასტერი არც ერთ აღწერაში აღარ გვხვდება. 1839 წლის რაჭის ეკლესიების ნუსხაში, სორის ჯვარცმის ტაძარი უკვე სამრევლო ეკლესიად იწოდება, რომელშიც დადგენილი იყო მღვდელი დავით მინდელი.(ქ.ც.ა. ფ. №21, ს № 1689, 3). როგორც ჩანს მასში მოღვაწე ბერები მართლაც ჭელიშის მონასტერში გადაიყვანეს. რაც შეეხება სხვავის მონასტერს მას მე-XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი განაგებდა. 1865 წელს კი აქ მოღვაწე მღვდელმონაზონი მაკარი (ჯაფარიძე) - უკვე მონასტრის წინამდღვრადაა დასახელებული, (ქ.ც.ა, ფ № 21, ს. № 9310, 13; ს. № 10848, 3), რაც იმას ნიშნავს რომ სხვავის მონასტერი ჭელიშე მიწერილი აღარ იყო. მართლაც ამ წლიდან ჭელიშის მონასტრის წინამდღვრის ხელფასს - 400 მანეთს-100 მანეთი მოაკლდა (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 9437, 5). 1871წელს სხვავის მონასტრის წინამდღვარი მაკარი

გარდაიცვალა. (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 11467, 1). მონასტერში დარჩა ერთი მღვდელმონაზონი - გერასიმე. 1872 წლის სინოდის განკარგულებით სხვავის მონასტერი გაუქმდა და მისი ქონება ჭელიშის მონასტერს გადაეცა. აქედან მოყოლებული-1923 წლამდე რაჭაში ერთადერთ მონასტერს ჭელიშის უდაბნო წარმოადგენდა, რაც ცხადია მის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდიდა. 1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ სიმონ ჭელიძე წერდა: „იყო დრო როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებას. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკლესიებში და ატკბობენ ყურს მშვენიერი კითხვითა.“ (ჭელიძე, ივერია, 1903, № 3131, 2).

1911 წლის მონაცემებით ჭელიშის მონასტრის შემოსავალი 1080 მანეთს შეადგენდა, საიდანაც მონასტრის წინამდღვარს ეძლეოდა ხელფასი-400 მანეთის ოდენობით. ასევე 4 მღვდელმონაზონი ღებულობდა-80-80 მანეთს (ჯამში 320მან.). ერთი ბერდიაკონი-60 მანეთს. 2 მორჩილი კი-50-50 მანეთს. (ქ.ც.ა. ფ. №21, ს. №24547, 34).

* * * * *

მე- 19 საუგუნეში ჭელიშის მონასტერში არაერთხელ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები რის შედეგადაც საფუძვლიანად შეკეთდა როგორც დვთისმშობლის მიძინების მთავარი ტაძარი, ასევე სხვა შენობა-ნაგებობებიც. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ მხრივ არქიმანდრიტი იოანეს (იოსელიანი) წინამდღვრობის ხანა. (1864 – 1852). ამ დროს ჭელიშის ეკლესია საკმაოდ მბიმე მდგომარეობაში ყოფილა. 1847 წლის სექტემბერში არქიმანდრიტი იოანე ეპისკოპოს დაგითს (წერეთელი) სწერდა: „...მდებარე რაჭას მეორე ხარისხოვანის ჭელიშის მონასტერი, ეკლესია დვთისმშობლის მიძინებისა მიყვანილ

არს ფ—დსა სიძველესა და დაცემასა შინა....მით რომელ ს—დ არა აქვს ეკლესიის კარიბჭესა სახურავი, რომელიც ქონია სახურავად ყავარი იგი დაძუელებული არს და დამპალი არს და გადაუტანია ქარსა, რომელიცა მოსალოდებელ არს მომავალსა ზამთარში, გასტეხოს თოვლმა და წვიმამა ეკლესიის ცის თაღი და ჩამოიქცეს დაუხურაობისა გამო...” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 33898, 1). იოანე არქიმანდრიტს გადაუწყვეტია ეკლესია თუნუქით დაეხურა. საამისოდ მას 200 მანეთის ღირებულების მასალა გამოუწერია რუსეთიდან. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ეკლესიის შიგნითაც. ამ დროს ტაძრის კედლები თეთრად გაილესა, კარიბჭის იატაკი კი გათლილი ქვის ფილებით დაიგო. ეკლესიას აღარც კანკელი ჰქონდა. იოანე არქიმანდრიტმა მისი დამზადება თბილისში შეუკვეთა. მართლაც 1848 წელს გაკეთდა ტილოს კანკელი, რომელიც მოუხატავს მხატვარ ანტონ გეგელიძეს. მასზე 33 სხვადასხვა წმინდანის ხატი იყო გამოსახული. კანკელი სიმაღლეში 5 არშინი და 3 ვერშოკი იყო, ხოლო სიგრძეში 8 არშინი. მისი დამზადება მონასტერს 168 მანეთი დაჯდომია.

ამ დროს ჭელიშის მინასტერში აშენდა ახალი სამრეკლოც. ძველი ხის სამრეკლო ძალზე დაზიანებული იყო, ისე რომ დღე -დღეზე მოელოდნენ მის ჩამონგრევას. იოანე არქიმანდრიტმა მის ადგილზე ახალი, ხის სამრეკლო ააშენებინა. მის აგებას 50 მანეთი დასჭირვებია. სარემონტო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა მონასტრის ხელოსანი სიმონ შავლაძე. მონასტერს ყველა სამუშაოს შესრულება 633 მანეთი დაუჯდა. (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 3898, 8)

შედარებით მცირე მასშტაბის სამუშაოები ამის შემდეგაც არაერთგზის ჩატარდა მონასტერში: მაგ. 1857 წელს არქიმანდრიტმა ონიფანტემ (ნადირაძე) შეაკეთა საწინამდღვრო სახლი. 1856 წელს იგი ეპისკოპოს გერმანეს ხწერდა: „ახლადაშენებული საწინამდღვრო სახლი

აღნიშნულის მონასტრისა ორთვალიანი არა არის შესრულებული დახურვითა, რომელი უკეთუ ამ წლამდე არ დაიხურა გაფუჭდება თოულითა...” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 6359, 1). ამიტომ არქიმანდრიტი აღნიშნული საჭიროებისათვის თანხის გამოყოფას სთხოვდა იმერეთის ეპისკოპოსს. მართლაც მას ხაზინამ 85 მანეთი გამოუყო. ამ თანხით ჭელიშის მონასტრის წინამდღვარმა არა მარტო გადახურა საწინამდღვრო სახლი, არამედ გაუკეთა მას ახალი კარები, ფანჯარა, ბუხარი, აივანი, და ა. შ.

1864–66 წლებში იღუმენმა იოსებმა (ბაქრაძე) კვლავ შეაკეთა საწინამდღვრო სახლი, რისთვისაც მას 100 მანეთი დაუხარჯავს. (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 8170, 12).

1877 და 1888 წლებში შეიღება დვოისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის სახურავი, ასევე შეკეთდა ბერების - დიონისის, გერასიმეს, მეთოდის, ანტონის, სენაკები. (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 17805, 1; ს. № 14046, 1).

1889 წელს არქიმანდრიტმა მაკარიმ (ჯანელიძე) ჭელიშის მონასტერში ახალი სამრეკლოს აშენება წამოიწყო. საამისოდ მონასტერში მოწვეულნი იქნენ ცნობილი მშენებლები ვასილ და ივანე ბერეკაშვილები. სამრეკლოსათვის ქვის მოგროვება წარმოებდა სოფელ ზნაკვის მახლობლად მდებარე კლდიდან. სულ მონასტერში მიტანილი იქნა 42 ურემი ქვა და აი–1889 – 90 წწ. ჭელიშის მონასტერში აშენდა ქვის ორსართულიანი სამრეკლო. (იგი დღესაც ამშვენებს მონასტერს, მასში გახსნილია წმინდა ამბროსი ხელაიას სახ. ეკლესია, სადაც პერიოდულად აღევლინება წირვა). სულ ახალი სამრეკლოს აგებისათვის დახარჯულ იქნა 840 მანეთამდე. აქედან 600 მანეთი მარტო ოსტატებმა - ვასილ და ივანე ბერეკაშვილებმა მიიღეს თავიანთ გასამრჯელოდ.

1892 წელს არქიმანდრიტმა ნიკიფორემ ნიკორწმინდელ
ხელოსნებს გიორგი კობახიძეს და პავლე ჯავახიძეს ექვს ოთახიანი
საწინამძღვრო სახლი ააგებინა, რაშიდაც მათ 400 მანეთი გადაუხადა.

1891 წელს ჭელიშის მონასტერს თავს დაესხნენ მძარცველები.
გაზეთი „ივერია“ წერდა: „ავაზაკთა გუნდმა აქეთაც იჩინა თავი 26
ივნისს, დადამებისას, ჭელიშის მონასტერს დაესხნენ ავაზაკი,
რიცხვით სულ რვა კაცი, ყველანი ქვეითნი. გალავანში მაშინ
გადამხტარან როდესაც ბერები ეპლესიაში ყოფილან ყველანი შესული
სალოცავად და გადაუკეტნიათ გარედან კარები, გარედ მხოლოდ
რამოდენიმე მოსამსახურება დარჩენილა. იმათვის მოუთხოვიათ
ფული, ნივთეულობა და ამას არ დასჯერებიან: რაც რამ სანოვაგე
უგდიათ ხელში, ისიც თან წაუდიათ.“ (დათეშიძე, 1891, ივერია, № 143,
2). როგორც ჩანს ასეთი ფაქტები საკმაოდ იყო გახშირებული, ამიტომ
1897 წელს გადაწყდა ჭელიშის მონასტრისთვის ქვის გალავანი
აეშენებიათ. 1897 წ ნოემბერს ბესარიონ ეპისკოპოსი თავად ქაიხოსრო
წერეთელს ურჩევდა ის 500 მანეთი რომელიც მას ჭელიშის
მონსტრისთვის სურდა შეეწირა, აღნიშნული საქმისთვის
გამოეყენებინათ: „თქვენ მიერ განზრახული შეწირულებით შევზღუდოთ
წინამძღვარი, მმანი და აგრეთვე მთელი მონასტერი ავაზაკების
დაცემისაგან, მათგან წარტაცებისაგან, ესე იგი შევზღუდოთ
მონასტერი ქვის გალავნით, რომელი გალავნიც დაიცავს
წინამძღვარს და მმებს - იუდების მიერ შევიწროებისაგან.“ (ქ.ი.მ, №
6474 (ჭელიშის მონასტრის არქივი), 38). გალავნის მშენებლობა 1898
წელს დასრულდა.

* * * * *

სახელგანთქმულ და მთელს რაჭაში პატივცემულ მონასტერს
განსაკუთრებით გაუჭირდა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ,
ათეისტური შხამით მოწამლული საზოგადოება ათასნაირად

ავიტოებდა ბერებს. 1917 წლის 18 დეკემბერს მონასტრის წინამდღვრის თანამდებობის აღმასრულებელი იღუმენი იოანე –ქუთათელ მიტროპოლიტს წერდა: „წაგვართვეს წრეუნდელი შემოსავალი, არაფელი მოგვცეს, არაფელი გაგვივიდა, თქვენი ბრძანებაც მოსვლია და გუბერნატორის მარა არარას იძლევიან...” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 26196, 2). უკეთესი მდგომარეობა ჭელიშის მონასტერს არც მომდევნო წლებში დასდგომია. იგივე იღუმენი მიტროპოლიტს ატყობინებს: „ცუდ მდგომარეობაში ვართ მონასტერი, მცველი არ გვყავს...ამ მარხვის შემდეგ ზეთი, სანთელი, ზედაში, სებისკვერიც არ იქნება....ძლივ ამ მარხვის აქუს მონასტერს, იმასაც არ გვანებებენ, მოდიან ხალხი, გვასესხე ან მოგვეციო ან ნუ ხართ აქაო. არაფელი გვაქვს. იმას არ ჯერათ, გვექადნიან, შიშქვეშ ვართ...” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 27212).

ჭელიშის მონასტერი საბოლოოდ 1923 წლის ანტირელიგიური კამპანიის დროს დაიხურა.

§ 2. ჭელიშის მონასტრის წინამდღვრები

ჭელიშის მონასტრის წინამდღვრთა შესახებ ცნობები მხოლოდ მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან მოგვეპოვება. პირველი წინამდღვარი, რომლის ვინაობაც ვიცით არის ზაქარია გურგენიძე. სამწუხაროდ ამ პერიოდის წინამდღვრების შესახებ ჩვენი ცოდნა მეტად ნაკლებია.

მათზე მხოლოდ ცალკეული სიგელ-გუჯრებიდან ვგებულობთ. მე-XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან სიტუაცია რადიკალურად იცვლება. რუსეთის იმპერიის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ დაიწყეს საეკლესიო მოდვაწეთა-ნამსახურეობითი სიების შედგენა, სადაც მათი დაწვრილებითი ბიოგრაფია იყო მოცემული, ამიტომ ამ პერიოდიდან ჭელიშის მონასტრის წინამდღვართა შესახებ გაცილებით სრული ინფორმაცია მოგვეპოვება.

წინამდღვარი მონასტერში საქმაოდ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მას ევალებოდა მონასტრის მართვა-გამგეობა – როგორც – ეკონომიკურ, ასევე სულიერ-ზნეობრივ ასპექტიც. ფეოდალურ ეპოქაში წინამდგვარს ცალკე შემოსავალი გააჩნდა რომელსაც “საწინამდგრო” ეწოდებოდა. XIX საუკუნიდან მონასტრის წინამდგრები ხაზინიდან დებულობდნენ ხელფასს. მაგ. ჭელიშის მონასტრის წინამდღვართა ხელფასი დაახლოებით 400 მანეთს შეადგენდა. გარდა ხელფასისა მონასტრის მიწა-წყლიდან მოწეული მოსავლის მესამედიც მისი იყო. წინამდგვარს მონასტრის მართვაში ეხმარებოდა იკონომოსი, რომელსაც სასულიერო კრებულიდან ირჩევდნენ, მას ძირითადად სამეურნეო ფინანსურ საკითხებში და მონასტრის ქონების დაცვში ევალებოდა წინამდგრის შემწეობა.

ჩვენს მიერ დადგენილია ჭელიშის მონასტრის 18 წინამდგვარი (ორი მათგანი წინამდგრის მოვალეობის შემსრულებელი იყო.) ჭელიშის მონასტრის წინამდგრების (მასში მოღვაწე ბერებთან ერთად) დიდი დამსახურება მიუძღვოდა იმაში რომ მიუხედავად ყოველმხრივ

არასახარბიელო სიტუაციისა, მონასტერი 1923 წლამდე ფუნქციონირებდა. მათი სია კი ქრონლოგიური პრინციპის მიხედვით ასე განლაგდება:

1. ზაქარია (გურგენიძე)

ზაქარია წინამდღვარი მოხსენებულია 1788 წლის პაატა წულუკიძის შეწირულობის წიგნში. ამ წელს მას ჭელიშის მონასტრისთვის შეუწირავს: „...ზემოთლებს (sic) გლეხი გურგენიძე თავათ შენი წინამდღვრის შვილი ზაქარიას ძე ხუცესი გიორგი და მისი ბიძის მარკოზ ბერის შვილები მდვდელი სვიმონ და დავით მათის ცოლშვილით, ალაგ – მამულით...” (კაკაბაძე, 1921b, 93).— როგორც ამ საბუთიდან ჩანს ზაქარია ზემო თლულიდან ყოფილა და მისი შვილიც სასულიერო პირი ყოფილა. აქვე გგებულობთ რომ იგი გვარად გურგენიძე ყოფილა.

ზაქარია ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად მოხსენენიებულია 1793 წლის მანუჩარ ყიფიანის შეწირულობის საბუთში. აღნიშნული სიგელი შემდეგნაირადაა დათარიღებული: „ აღიწერა წიგნი ესე ხელითა წულუკიძის ხუცის მდივნის გურგენიძის მდვდლის გიორგისათვის ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს წინამდღრობასა ზაქარიასასა თვესა იანვარსა ოცდახუთსა დღესა სამშაბათსა...” (კაკაბაძე, 1921 b, 102). 1795 წლიდან ჭელიშის მონასტერში სხვა პიროვნება – გრიგოლ დაჩიბერიძე ჩანს წინამდღვრად. ამრიგად ზაქარია გურგენიძის მმართველობის ხანა 1788–1795 წლებს შორისაა საძიებელი. 1808 წელს ბარბარე ბატონიშვილმა გლეხი შესწირა ნიკორწმინდის ტაძარს. სიგელის ბოლოში მის დამწერად დასახელებულია არქიმანდრიტი ზაქარია. ასევე 1812 წლის ნიკოლოზ იაშვილის შეწირულობის სიგელში ჭელიშის მონასტრისადმი აღნიშნულია რომ საბუთი დაწერილია: “ ხელითა არქიმანდრიტის ზაქარიასითა.” (კაკაბაძე, 1921 b, 162, 170)—

სამწუხაროდ ჭირს იმის დადგენა არის თუ არა არქიმანდრიტი ზაქარია ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი ზაქარია გურგენიძე.

2. მღვდელმონაზონი გრიგოლ (დაჩიბერიძე)

მღვდელმონაზონ გრიგოლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი (ხელაია). იგი მას მეტად ენერგიულ წინამდღვრად წარმოგვიდგენს და თავის პუბლიცისტურ წერილში აღნიშნავს რომ მის „წმიდა ცხოვრებაზე და შრომის მოყვარეობაზე უდაბნოს ძმათა შორის ახლაც არი დარჩენილი ხსოვნაო”–ო. (ხელაია, ცხოვრება, 1916, № 1–3, გვ.28). გრიგოლი გვარად დაჩიბერიძე ყოფილა (იქვე). კათოლიკოს ამბროსის ჭელიშის მონასტრის წინამდღვრობის დროს მონასტრის არქივში უნახავს მისი ხელით გადაწერილი ნუსხა იმ ნივთებისა, რომლებიც მღვდელ-მონაზონს მონასტრისთვის თავისი დვაწლით შეუმატებია. ამ სის მიხედვით ირკვევა რომ გრიგოლ წინამდღვრის თხოვნით ჭელიშის მონასტრისთვის ერთი წყვილი ზარი შეუწირავს ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე-II-ს: აღნიშნული ზარები მონასტერში იმყოფებოდა არქიმანდრიტ ამბროსის წინამდღვრობის დროსაც. ისინი აღწერილი აქვს აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილს. მათზე შემდეგი სახის წარწერებია მოთავსებული: „ქ. ჩვენ მეფემან სრულიად საქართველოისამან ირაკლი მეორემან ჩამოვასხმევინეთ ერთი წყვილი ზარი ესე ჭელიშის ლვთიმშობლის მონასტრისათვის. ვინც ამ მონასტერს გამოახვას, ლვთისმშობლისაგან ეზღოს მერმესა მას საუკუნესა. წელსა აპრილის ქას უპგ (=1795). (თაყაიშვილი, 1963, 83) (თითქმის ანალოგიურია მეორე წარწერაც). – ამრიგად გრიგოლი 1795 წლის აპრილში უკვე ჭელიშის მონასტრის წინამდღვარია.

მღვდელ-მონაზონი გრიგოლი ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად მოხსენიებულია აგრეთვე 1796 წლით დათარიღებულ ბეჭან წერეთლის შეწირულობის სიგელში, რომლითაც მან ჭელიშის უდაბნოს

მონასტერს შესწირა ქედისუბანს მცხოვრები ხუცესი ტიმოთე გოქსაძე და მისი ძმები გოგია და იოვანე. სიგელში მოწმეებს შორის პირველად სწორედ „წინამდღვარი გრიგოლია“ დასახელებული. (კაკაბაძე, 1921 b, 110). აღნიშნული პიროვნება როგორც ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი მოხსენიებულია 1807 წლის საბუთშიც რომელიც წერეთლებმა მისცეს სოფრონ ნიკორწმინდელს: „.....გრიგოლ ბერს აბაშიძისგან თომაძე ხუცესი ეყიდა ცოლიან-შვილებიანად და ადგილი ვერსა ეშოვნათ დასასახლებათ და მეტი სიყვარული გვქონდა (sic) გრიგოლისაც და მისი მონასტრისაც, მევიდა და ალაგს გვევედრა.....“ (კაკაბაძე, 1921b, 152).

1811 წელს მონასტრის წინამდღვრად სვიმონ წულუკიძე იქნა დადგენილი. საფიქრებელია რომ მან სწორედ გრიგოლ დაჩიბერიძე შეცვალა ამ თანამდებობაზე, ასე რომ მდვდელ-მონაზონ გრიგოლის წინამდღვრობა დაახ. 1795–1811 წლებს შორის უნდა ვეძიოთ.

მოგვეპოვება 1805 წლის ერთი დოკუმენტი რომელშიც ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად სხვა პიროვნება – დანიელია დასახელებული. (ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ) სამწუხაროდ წყაროების მეტისმეტი სიმცირე არ გვაძლევს იმის გარკვევის საშუალებას თუ რა მოვლენასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული წინამდღვართა ასეთი მონაცელება.

3. წინამდღვარი დანიელი

დანიელი ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად დასახელებულია 1805 წლის შეწირულობის სიგელში. ჯერ კიდევ 1793 წელს ზაქარია გურგენიძის წინამდღვრობის დროს მანუჩარ ყიფიანმა და მისმა ძმამ კაცომ მონასტერს შესწირეს ტოლას მცხოვრები შიშინასშვილები. 1805 წელს იგივე პირებს ძველი შეწირულობა განუახლებიათ და მონასტრისთვის ახალი შეწირულობაც გაუჩენიათ. სიგელში ვკითხულობთ: „... და კვალად გულმან ჩვენმან გვითქვა კეთილისა ამის

საქმისა ქვნა და სულითა და ხორცითა სარგებელისა და შემოუსწირეთ გლეხი ხვანჭკარას ტყეჩელაშვილი...გოგია, მოგიელა, ივანე და თანდილა..."(ქ. ც. ს. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 28). ამავე დროს ორივე ეს სიგელი ერთ საბუთად გაუერთიანებიათ და ამიტომაც ამჟამად იგი ორ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს და დათარიღებულია შემდეგნაირად: „...აღიწერა ხელით წულუკიძის კარის მწირველის მღვდლის გურგენიძის გიორგისათა წელსა ქრისტეს განხორციელებითგან ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს წინამდღვრობასა ზაქარიასასა და კვალად შემდგომად ქტეს აქეთ ათას რვას და ხუთსა წინამდღვრობასა დანიილისასა...”(იქვე) -წყაროებიდან არ ჩანს როდის გახდა ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი დანიელი, რა გვარის იყო ის ან რა სასულიერო ხარისხში იმყოფებოდა.

4. არქიმანდიტრი სვიმონი (წულუკიძე)

სვიმონ წულუკიძე დაიბადა 1778 წელს (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3330, 55). მან საეკლესიო განათლება (საღვთო წერილი, წერა და გალობა) მიიღო ნიკორწმინდის ეკლესიაში ეპისკოპოს სოფრონ წულიკიძესთან. 1799 წელს იმავე მღვდელმთავარმა სვიმონი ბერად აღკვეცა ჭელიშის მონასტერში, ხოლო-1806 წელს იერო-დიაკვნად აკურთხა. სულ მალე მას მღვდელ მონაზვნადაც დაასხეს ხელი.

1811 წელს სვიმონ წულუკიძე აიყვანეს იღუმენის ხარისხში და დანიშნიეს ჭელიშის მონასტრის წინამდღვარად, მეორე წელს კო-არქიმანდრიტობაც უბოძეს.

სვიმონი საკმაოდ ენერგიული საეკლესიო მოღვაწე აღმოჩნდა ამიტომ იგი 1823 წელს დანიშნეს ვაკის ოლქის საეკლესიო ქონების მმართველად, ხოლო 1827 წელს იმერეთის საეკლესიო შემოსავლების ხაზინადრად. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 2163; იხ. კეზევაძე, 2006, 68). ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გაცემულმა არაერთმა საბუთმა საიდანაც ჩანს რომ იგი კარგად ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ

მოვალეობას- როგორც ხაზინადრობას, ასევე მონასტრის წინამდღვრობასაც, მაგრამ მიუხედავად ამისა 1838 წელს სვიმონ არქიმანდრიტი ორივე თანამდებობიდან გადააყენეს და საეკლესიო სამართალში მისცეს. ამის მიზეზი გახდა საბუთების მოუწესრიგებლობა და საეკლესიო ხაზინისთვის ფულის დაკლება. მასთან ერთად სამართალში მისცეს მისი მოადგილე მდვდელ-მონაზონი ანტონი და გაენათის მონასტრის წინამდღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ჩხეიძე). სვიმონ არქიმანდრიტს და მის მოადგილეს ანტონს სასულიერი კანტორა 944 მანეთის დაკლებას ედავებოდა. (სხვა ადგილას – 1256 მანეთია მითითებული). (ქ. ც ა, ფ. № 21, ს. № 3147, 2). საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაადგინა რომ არქიმანდრიტები-სვიმონი და ნიკოლოზი გადაყენებული ყოფილიყვნენ თანამდებობიდან, მათი მამულები გადასცემოდა საეკლესიო ხაზინას და შემოსული ფულით გასტუმრებულიყო დაკლებული თანხა (იქვე).

სვიმონ წინამდღვარი 6 წლის მანძილზე (1838 წლის 19 აგვისტოდან – 1845 წლის 31 იანვრამდე) იმყოფებოდა საეკლესიო სასჯელის ქვეშ. (ქ.ც.ა, ფ.№ 21, ს. № 3330, 55) ბოლოსდაბოლოს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გაითვალისწინა სიმონ არქიმანდრიტის მოხსენება და გამოარკვია შემდეგი: მისგან საეკლესიო ხაზინის ფული 600 მანეთი უსესხებია იმერეთის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს თავის ნათესავის-ლევან წულუკიძისათვის საკარმიდამო ადგილის შესაძენად. სოფრონ წულუკიძე სვიმონ არქიმანდრიტს დაპირებია რომ ამ ფულს იგი თავისი ჯამაგირიდან გაუსტუმრებდა, მაგრამ შემდეგ მას ეს პირობა არ შეუსრულებია. აღსანიშნავია რომ სვიმონის განცხადება სასამართლოს წინაშე დაადასტურა ხუთმა მდვდელმა, ასევე ფიციო დაამტკიცა ზემონახსენები საკარმიდამო ადგილის გამყიდველმა სიკოლალაძემ და მყიდველმა ლევან წულუკიძემ. ყოველივე აქედან

გამომდინარე სინოდალურმა კანტორამ არქიმანდრიტი სვიმონ წულუკიძე გაანთავისუფლა ყოველგვარი ბრალდებისგან, დაუბრუნა უკან საკუთარი მამულები, რომელიც საეკლესიო ხაზინისთვის იყო გადაცემული და რაც მთავარია-სვიმონი კვლავ აღდგენილ იქნა თავის თანამდებობაზე- მას დაევალა ჭელიშის მონასტრის მართვა. ვინაიდან საეკლესიო ხაზინისათვის დაკლებული ფული უკვე მისი მამულებიდან და წინამდღვრობის ხელფასიდან იყო გასტუმრებული, ამიტომ კანტორამ დაადგინა რომ სვიმონ წულუკიძეს სოფრონისათვის ნასესხები ფული 600 მანეთი ამ უკანასკნელის მამულებიდან მისცემოდა.

სვიმონი ჭელიშის მონასტრის წინამდღვრობის თანამდებობის შემსრულებელი იყო 1845 წელს, შემდეგ კი იგი გადაყვანილი იქნა გელათის მონასტრის წინამდღვრად. (კეზევაძე, 2006, 68).

ამრიგად არქიმანდრიტი სვიმონ წულუკიძე დაახ. 28 წლის მანძილზე განაგებდა ჭელიშის მონასტერს- 1811- 1838 — 1845 წლის 31 იანვრიდან—დეკემბრამდე.

სვიმონ წულუკიძე გარდაიცვალა 1853წ. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ტაძარში. მისი საფლავის ქვაზე შემდეგი შინაარსის წარწერაა: „აქა განისვენებს მაღალი-დირსი არქიმანდრიტი და კავალერი სვიმონ, ტომით თავადი წულუკიძე 68 წლის, 8 წელს გამგებელი დიდის მონასტრის გელათის. გარდაიცვალა 1852 წელსა 26 აგვისტოს, ხოლო ფიქალი ესე დავსდეთ სახსოვრად მეგობრობისა მისისა მეგრელიის თავადმა დადიანმა დავით” (კეზევაძე, 2006, 143).

სვიმონის წინამდღვრობის დროს (1841–1842 წლების მონაცემების მიხედვით) ჭელიშის მონასტრის კრებული შემდეგი სასულიერო პირებისაგან შედგებოდა:

1. მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი. იგი 1779 წელს დაიბადა. მონაზვნად აღუპვეცავს არქიმანდრიტ სვიმონს 1811 წელს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 1945).
2. მღვდელ-მონაზონი სვიმონი – მღვდელმონაზვნად უკურთხებია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს – გერმანეს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 1945).
3. მღვდელ-მონაზონი იოაკიმე – იოაკიმე დაბადებული ჩანს 1795 წელს. მას მორჩილება ჭელიშის მონასტერში გაუტარებია. იქვე უსწავლია საღვთო წერილი. 1814 წლის 6 აგვისტოს სოფრონ ნიკორწმინდელს ის ბერად აღუპვეცავს. იმავე წლის 8 სექტემბერს კი მისთვის ბერ-დიაკვნად დაუსხამთ ხელი. ამ ხარისხში მან 14 წელი გაატარა. 1828 წელს იოაკიმე მღვდელმონაზვნად აკურთხეს.
4. მღვდელ-მონაზონი სვიმონი (ჭელიძე). იგი დაბადებულა 1777 წელს მღვდლის ოჯახში. სასულიერო განათლება მიუღია ჭელიშის მონასტერში. 1812 წელს ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს – სოფრონს მისთვის დიაკვნად დაუსხამს ხელი და გაუმწესებია სოფელ შავრის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში. მალე სვიმონი დაქვრივებულა და ბერად წასვლა გადაუწყვეტია. 1817 წლის 10 დეკემბერს ის მღვდელმონაზვნად უკურთხებიათ. სვიმონ ჭელიძე გარდაიცვალა 1843 წელს.
5. მღვდელ-მონაზონი სვიმონი – დაბადებული ჩანს 1775 წელს გლეხის ოჯახში. სასულიერო განათლება მიუღია ხოტევის ეკლესიაში მღვდელ მიქელ ჭიჭინაძესთან. 1810 წლის 12 ივნისს მისთვის სოფრონ წულუკიძეს დიაკვნად დაუსხამს ხელი და გაუმწესებია ხოტევის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში. დაქვრივების შემდეგ, 1816 წლის 3 აგვისტოს იგი მღვდელ-მონაზვნად უკურთხებიათ და გაუმწესებიათ ჭელიშის მონასტერში. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 1945).
6. მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე – მამა ქრისტეფორე ამ დროისათვის მონასტრის ყველაზე ხანდაზმული წევრი იყო. იგი

დაბადებულა 1762 წელს. მღვდელმონაზვნად უკურთხებია აფხაზეთის კათოლიკოს – გერმანეს – 1775 წლის 3 მარტს სხვავის მონასტერში. (იქვე).

7. მღვდელ–მონაზონი გერასიმე (კაციტაძე) – ცნობები მისი ბიოგრაფიის შესახებ არ გვაქვს, გარდაიცვალა 1836 წლის 2 აგვისტოს ჭელიშის მონასტერში. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 475).

5. არქიმანდრიტი იოანე (იოსელიანი).

იოანე იოსელიანი დაიბადა 1787 წელს (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3651, 10). მან სასულიერო განათლება (წერა კითხვა და საეკლესიო გალობა) შიო მღვიმის მონასტერში მიიღო ქართულ ენაზე, შემდეგ კი რუსულად ისწავლა თბილისის ფერისცვალების მონასტერში.

1813 წელს იგი დიაკონად აკურთხეს, ხოლო 1819 წელს აღკვეცეს ბერად. იმავე წელს მას მღვდელ–მონაზვნადაც დაასხეს ხელი. 1822 წლიდან იოანე თბილისის ფერისცვალების მონასტერში მოღვაწეობს. იგი აქ ეკონომოსის თანამდებობას ასრულებს. 1828-1835 წლებში იოანე სასულიერო სემინარიის ეკონომოსია, 1835 წლიდან კი განამწევეს საეკლესიო გლეხებისა და მამულების გამგედ. ამავე დროს იგი შიომღვიმის მონასტრის წინამდღვარია. 1843წ. 18 ივლისს იგი არქიმანდრიტად აკურთხეს. 3 წლის შემდეგ კი – 1846 წლის 22 მაისს სვიმონ წულუკიძის გელათში გადმოყვანის გამო იოანე არქიმანდრიტი ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად იქნა დანიშნული. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3651, 17). მონასტერში იგი 1846წ. 16 ნოემბერს მივიდა.

იოანე არქიმანდრიტის წინამდღვრობის ხანა ჭელიშის მონასტრისთვის საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. როგორც ზემოთ ავლიშნეთ 7 წლის მანძილზე (1838-1845 წლებში) სვიმონ წულუკიძის სამართალში მიცემის გამო ჭელიშის მონასტერს წინამდღვარი არ ჰყავდა. ცხადია ყოველივე ამას თავისი კვალი უნდა დაემჩნია ისედაც ღარიბი მონასტრისათვის, რასაც აღნიშნავს კიდევაც იოანე დავით

მიტროპოლიტისადმი გაგზავნილ წერილში: „რაჭის უეზდსა შინა მდებარე ჭელიშის ღუთისმშობლის მიძინების მონასტერი არს დიდსა სიღარიბესა შინა, უქონლობისა გამო სანთლისა, საკმლისა, სებისკვრისა და ზედაშისა, ვინადგან დროსა შტატის წყობილებისასა შემთხვევისა გამო საქმისა შემდგომად არა ყოფილა მუნ წინამდღვარი მის მონასტრისა არხიმანდრიტი სიმეონი, ამის გამო ვიდრე აქამომდე დაშოუნილ არს წარუდგენელად სასულიეროს მთავრობაში და აწ აქამომდე დიდის ღონისძიებით ვცდილობდი საშუალობასა და ვსყიდულობდი ჩემის ჯამაგირიდგან სანთელს, საკმელს, სეფისკვერსა და ზედაშს, რომელსაცა წლის წლამდინ არამცირედი ხარჯი მოუნდება.....“ (ქ. ც.ა, ფ. № 21, ს. 4949, 1) – იოანე თხოვს დავით მიტროპოლიტს უშუამდგომლოს მის მონასტერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა სხვა შტატის მონასტრების მსგავსად ჭელიშის მონასტერსაც გამოუყოს თანხა აღნიშნული საჭიროებისათვის. მართლაც სასულიერო კანტორამ იოანე არქიმანდრიტს ნება დართო მონასტრის ბერებისათვის განკუთვნილი მონარჩენი ფულიდან დაეხარჯა აღნიშნული საჭიროებისათვის წელიწადში 50 მანეთი.

ცხადია იოანე არქიმანდრიტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მონასტერში წირვა-ლოცვის საჭირო რიგზე გამართვას. 1847 წლის 29 მაისს იგი დავით მიტროპოლიტს თხოვს დიაკვნად გრიგოლ ფოფხაძის კურთხევას: „მოუცულებელის უსაჭიროესოებისათვის მაქუს პატივი უპატივცემულესად მოვახსენო თქვენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობასა, რომელ დიდთა და საუფლოთა დღესასწაულთა, აგრეთვე სახელმწიფოთა დღესასწაულთა გარდახდისათვის მონასტერსა შა მრავალგზის მაქუს დაბრკოლება უდიაკვნობის გამო, ამისთვის უმორჩილესად მოვახსენებ და ვსთხოვ თქვენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობას, რომელ ქმნათ მწყემსთავრული მოწყალება და

განკარგულება და მოკურთხოთ მთავარდიაკონი....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3856, 1).

არქიმანდრიტმა იოანემ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ჭელიშის მონასტრის შენობათა შეკეთება-განახლებას. ამ მხრივ მას მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მონასტრის წინაშე. სწორედ იოანეს სახელს უკავშირდება ჭელიშის მონასტრის ეკლესიის დახურვა თუნუქით, ახალი ხის სამრეკლოს აშენება, ახალი კანკელის დამზადება და. ა. შ. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3898, 1-9). ამ მხრივ საინტერესოა ის ნუსხა, რომელიც არქიმანდრიტ იოანეს მიერ ჭელიშის მონასტრისათვის შემატებული ნივთების რაოდენობას ასახავს. ეს სია შემდეგნაირად გამოიყურება :

1. ფილონი წითელი შტოფისა, ოლარი მისივე.
2. სტიხარი ხარისა სამკლავე ნაკერი.
3. სარტყელი.
4. სადიაკნო სტიხარი შტოფისა სამკლავე და გინგილა მისივე.
5. სახარება ახალი, რუსეთში დაბეჭდილი, ოქროს ვარაყით შეკრული, წითელის ხავერდით, რომელსა აქუს მახარებლები თუნუქისა, ერთის თუმნით, ეკლესიის ფულით ნაყიდი.
6. ერთი ოდიკი თეთრს ტილოზედ დახატული.
7. ორი წყვილი შანდლები, ტრაპეზედ დასადგმელი თუნუქის რუსულის ხელოვნებისა.
8. ოთხი ხატების წინ დასაკიდებელი კანდლები.
9. ორი დავითნები რუსულის სტამბისა ძველები.
10. საყდარში დადგმული დიდი შკაფი.

სახლებთაგან:

1. ერთი ოდა ძველი ქვითკირის პალატზედ დადგმული ყავრით [მო]ჭედილი, რომელსაც აქუს ერთი ოთახი და მეორე სალარო.
2. ერთი ძველი საკრებულო სახლი ფიცრისა ყავრით დახურვილი.

3. ერთი სახაბაზო ნაძვის სისა ყავრით დახურვილი.
4. ორი ბედლები ყავრით დახურვილი.
5. ბერების სენაკები – ხუთი ფიცრისა ყავრით დახურვილი და ერთი მათგანი სრულიად დაუხურავი. (ქ. ც. ა, ფ. № 4974, 20).

არქიმანდრიტი იოანე ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის სინოდმა 1852 წლის 5 აპრილს წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. იოანე არქიმანდრიტი ჭელიშის მონასტერს ექვს წელზე მეტ ხანს განაგებდა. (1846 წლის 22 მაისიდან – 1852 წლის დეკემბრამდე). 1852 წელს სინოდის განჩინებით იგი გელათის მონასტრის წინამძღვრად იქნა გადაყვანილი. ბოლოს ის გურიის ეპისკოპოსადაც აკურთხეს. გარდაიცვალა იოანე 1867 წელს დაკრძალულია ლვოისმშობლის შობის ტაძარში (დასავლეთ მინაშენში), მისი საფლავის ქვაზე მოთავსებულია შემდეგი შინაარსის წარწერა: „ესე არს განსასუენებელი ჩემი, რომელიც მსონავს ამას დავემკვიდრო. გურიის ყოფილი ეპისკოპოზი იოანე შობიდან ო. ვ.-ის წლისა ჩ. ყ. ვ. ზ.-სა წელსა თქმომბრის იდ-სა ტომით იოსელიანი. (კეზევაძე, 2006, 144).

6. არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნიუარაძე).

ნიკოლოზ ნიუარაძე დაიბადა 1798 წელს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3651, 2; № 4974, 10; № 5640, 3). მან საეკლესიო განათლება (საღმრთო წერილი, წერა და გალობა) ჯრუჭის მონასტერში მიიღო. იქვე, 1817 წელს აღიკვეცა ბერად და ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად.

1822 წლიდან – 1825 წლამდე იგი გელათის მონასტერში იმყოფებოდა. ამ წელს კი არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მიერ განწესებულ იქნა ქუთაისის საგათედრო ტაძარში დიაკვნად. 1832 წლის 15 აგვისტოს ნიკოლოზი ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად

1835 წლიდან ნიკოლოზ ნიუარაძე კვლავ გელათის მონასტერში მოღვაწეობს – ამჟამად მას მიენდო წმიდა მარინეს სახელობის

ევკვდრის წინამდღვრობა. პერიოდულად კი – მონასტრის წინამდღვრის აგადმყოფობის ან სხვაგან ყოფნის უამს იგი გელათის მონასტრის წინამდღვრის თანამდებობასაც ასრულებდა.

1849 წლიდან საქართველოს ეგზარქოსის მიერ გადაყვანილ იქნა კაცების მონასტრის წინამდღვრად.

1852 წლის 11 დეკემბერს ნიკოლოზ ნიჟარაძე განწევებულ იქნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად და რაჭის საეკლესიო მამულების გამგედ. სწორედ ჭელიშის მონასტრის წინამდღვრობის პერიოდში იგი აღყვანილ იქნა 1853 წლის 11 ივლისს – ჯერ იღუმენის ხარისხში, ხოლო მომდევნო – 1854 წლის 20 აგვისტოს – არქიმანდრიტადაც აკურთხეს. ეგზარქოს ისიდორეს წერილში ეფთვიმე ეპისკოპოსისადმი აღნიშნულია რომ: „წინამდღვარი.....ჭელიშის მონასტრისა იღუმენი ნიკოლოზ ყურადსაღებად გრძელდოებითისა და განსხვავებული ერთგულებითის ნსახურებისათვის აღყვანილ იქნა ხარისხსა ზედა არხიმანდრიტისსა.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 5640, 4).

არქიმანდრიტ ნიკოლოზის წინამდღვრობის პერიოდში ჭელიშის მონასტერში პრობლემები იყო შექმნილი საეკლესიო მსახურების სფეროში, ვინაიდან მონასტერი განიცდიდა შესაბამისი კადრების სიმცირეს. ნიკოლოზი ერთ-ერთ თავის წერილში ეპისკოპოს ეფთვიმეს სწერს: „თქვენის ყ-დ უსამდუდელოესობისადმი მოკლედ ცნობილი არის რომელ ჩემს მონასტერშიდ არიან ორნი მდუდელმონაზონნი, ორნივე მხოლოდ დიდის ხნეობით მყოფობენ მონასტერშიდ დამამსახურებელნი მისა ოდენ რომ არ მოაკლდენ დადებულსა ჯამაგირსა, თორემ სხვებრ საეკლესიო წიგნთა შინა და მდუდელმოქმედებაშიდ ძლიერ სუსტნი და ამასთანავე არ ყავს ჩემს მონასტერს მედავითნე.....უმორჩილესად ვითხოვ მიიღოთ მწყემსმთავრული ზომა მოპოვებისათვის რწმუნებულსა ჩემდა მონასტრისადმი ერთის მაინც წესიერის მდუდელმონაზონის და

განწესებისათვის....გოგოლაშვილისადმი მორჩილის ჯამაგირის....” (ქ.ც.ა, ფ. № 21, ს. № 5441).

არქიმანდრიტი ნიკოლოზი ჭელიშის მონასტერს განაგებდა 4 წელი – 1856 წლამდე. ამ წელს კი იგი გადაყვანილ იქნა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად.

7. არქიმანდრიტი ონიფანტე (ნადირაძე).

ონიფანტე ნადირაძე დაიბადა 1817 წელს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 8059, 211). იგი სასულიერო წოდებიდან იყო. საეკლესიო განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1842 წლის 24 ივლისს აკურთხეს დიაკონად და განამწევეს ვანის მთავარანგელოზის ეპლესიაში.

1844 წლის 21 მაისს მას მღვდლად დაასხეს ხელი, ხოლო 1851 წელს დანიშნეს ბლადოჩინად. 4 წლის შემდეგ საკუთარი სურვილით გადადგა ამ თანამდებობიდან და 1855 წლის 9 თებერვალს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში.

1856 წლის 9 ივლისს ონიფანტე ნადირაძე დანიშნულ იქნა ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად და რაჭის საეკლესიო ქონების გამგედ.

1859 წლის 3 აპრილს იგი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. დაჯილდოებული იყო საგვერდულით და გაბრწყინებული ჯვრის ტარების უფლებით.

არქიმანდრიტი ონიფანტე, როგორც მისი წერილებიდან ჩანს ჯეროვან უურადრებას აქცევდა მონასტრის სამმო კრებულის გამრავლებას. ამ მხრივ საინტერესოა ნიკორწმინდელი ალექსი კანდელაკის ისტორია. მას თხოვნით მიუმართვს ჭელიშის მონასტრის წინამძღვრისათვის – მორჩილად მიეღო მის მონასტერში. თავის მხრივ ონიფანტე წერილს უგზავნის გერმანე ეპისკოპოსს და მოახსენებს რომ ალექსი კანდელაკი ძალიან კარგი ყოფაქცევისაა, მონასტერსაც ძალიან

სჭირდება მორჩილი და სთხოვს მისი მიღების ნებართვას. (აღსანიშნავია რომ ალექსი კანდელაკი – ბერობაში – ანტონი, ჰელიშის მონასტრის ცნობილი მოღვაწე გახდა. იგი წლების მანძილზე მონასტრის ეკონომოსი იყო, ხოლო მცირე სანს წინამდღვრის მოვალეობასაც ასრულებდა.

1856 წლის 10 ნოემბერს ონიფანტე წერილით მიმართავს გერმანე ეპისკოპოსს და თხოვს თანხის გამოყოფას საწინამდღვროსახლის დასახურავად: „ახლადდუშენებული საწინამდღვრო სახლი აღნიშნულის მონასტრის ორ-თვალიანი არა არს შერულებული დახურვითა, რომელი უკეთუ ამ წლამდე არ დაიხურა გაფუჭდება თოულითა, ამისთვის ვსთხოვ ყოვლადუსამღუდელოესობასა თქვენსა მოგვეცეს მისთვის ყავრის და ლურსმნის ფასად ექვსი თუმანი.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. 6359, 1). არქიმანდრიტ ონიფანტეს მდინარე შარეულას სათავეში დაუდგამს ორთვალიანი წისქვილი და დაუყენებია მეწისქვილე იმ პირობით რომ წისქვილის შემოსავლიდან ნახევარი მისცემოდა მონასტრის კრებულს.

ონიფანტეს წინამდღვრობის დროს ჰელიშის მონასტერს ეწვია თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორი ფურცელაძე. მას დავალებული ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის მასალების შეგროვება ეკლესია-მონასტრებში. 1856 წლის 29 ივლისს მღვდელ-მონაზონი ონიფანტე იმერეთის ეპარქიის მმართველს-არქიმანდრიტ გაბრიელს წერს: „თანახმად წარმოწერილობისა თქუენისა მაღალ დირსებისა კვ ივნისიდამ.....მე მივიღე შესაფერის პატივისცემით ტფილისის სემინარიის პროფესორი დიმიტრი ფურცელაძე ყოვლითა მის მიერ საჭირო მოთხოვნილების აღსრულებითა, რომლისა პატივი მაქუს მოხსენებად” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 6025, 8).

ჭელიშის მონასტერს ონიფანტე ნადირაძე 4 წელიწადი განაგებდა (1856 წლის 9 ივლისიდან – 1860 წლის 31 მაისამდე). შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა გელათის მონასტრის წინამდღვრად. გარდაიცვალა 1865 წელს. დაკრძალულია გელათის მონასტრის ეზოში. მისი საფლავის ქვაზე შემდეგი შინაარსის წარწერაა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრო უკუნისამდე ჩყდე წელსა სექტემბრისა მიიცვალა მაღალ დირსი არხიმანდრიტი ონიფანტე ტომით ნადირაძე, მკითხველო გთხოვთ შენდობას“ (კეზევაძე, 2006, 143)

8. იღუმენი იოსები (ბაქრაძე)

იოსებ ბაქრაძე დაიბადა 1800 წელს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 8059, 191) – აზნაურის ოჯახში. საეკლესიო განათლება (საღმრთო წერილი, წერა და გალობა) მან ჯრუჭის მონასტერში მიიღო მიტროპოლიტ დავით წერეთელთან. მასვე აღუკვეცავს იოსები – 1819 წლის 10 დეკემბერს ბერად, მომდევნო წელს კი დიაკვნადაც დაუსხამს ხელი და მონასტერში გაუმწესებია.

1823 წლის 3 იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით იმერეთის არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა იგი მდვდელ-მონაზვნად აკურთხა, 1837 წელს კი – იოსებ ბაქრაძე დაინიშნა გოგნის უდაბნოს წინამდღვრის თანამდებობის აღმასრულებლად.

1840 წლიდან იგი გელათის მონასტერში მოღვაწეობს.

1850 წლის 30 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ იოსები იღუმენის ხარისხში აიყვანა.

1853 წლის 1 აპრილს სინოდის განკარგულებით იგი კაცხის მონასტრის წინამდღვარი ხდება.

1860 წლის 31 ივლისიდან (ზოგიერთი საბუთის მიხედვით 7 აგვისტოდან – ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 8321, 3) – იღუმენი იოსები გარდაცვალებამდე ჭელიშის მონასტრის წინამდღვარია. იგი 6 წლის

მანძილზე (1860 – 1867 წლები) განაგებდა ჭელიშის მონასტერს. ამ ხნის განმავლობაში ის ყოველმხრივ ცდილობდა მატერიალურად დარიბი მონასტრისათვის რაიმე შეღავათი მოეპოვებინა. 1865 წლის 19 ივნისს იდუმენი იოსები გაბრიელ ეპისკოპოსს სწერდა: „ თვით არა უცნობელ არს მისი მეუფება რომელ ჭელიშის მონასტერს, არცა წინამდებული მონასტრისას და არცა ძმებთა არა აქუს არავითარი შამოსავალი ფულისა, არცა ხორაგთა, არამედ არიან დამოკიდებული თვის განწესებულს ჯამაგირსა ზედა და მოიპოვენ ყოველსავა საჭიროებასა ცხოვრებასა თვისსა სყიდვითა, რომელიც იყო განწესებული ჯამაგირი წინამდებრისათვის ამა მონასტრისა იმა რიცხვიდამ დღეს მოკლებულ არს ასი მანეთი, დანარჩენიდამ წინამდებარმან უნდა შაიტანოს კანდრახტის ფული სამოცდაშვიდი მანეთი, სასარგებლოდ ეკლესიის ხაზინისა, პყრობისათვის საეკლესიო ვენახებთა იჯარით და უნდა მოიპოვოს საზრდელი და ყოველი საჭიროებანი ცხოვრებისათვის თავისა, რომელიცა ძნიად კმა საყოფელ არს ამა ყოველთათვის....” (ქ. ც.ა, ფ. № 21, ს. № 9437, 5) – ამიტომ იგი თხოვს გაბრიელ ეპისკოპოსს მონასტერს ხაზინიდან გამოუყოს გარკვეული თანხა დაძველებული და დარღვეული შენობა-ნაგებობების შესაკეთებლად. მიუხედავად ამ პრობლემებისა მან არაერთგზის მოახერხა როგორც მონასტრის ეკლესიის, ასევე საწინამდებრო სახლისა და ბერთა სენაკების განახლება. მის დროს ჭელისის მონასტრის კრებული შედგებოდა შემდეგი პირებისაგან :

1. მდვდელ-მონაზონი ბესარიონი
2. მდვდელ-მონაზონი დიონისი
3. მდვდელ-მონაზონი ათანასე.
4. იერო-დიაკონი ანტონი – (სია არასრულია)

იღუმენი იოსები გარდაიცვალა 1867 წლის 12 იანვარს თავისი ძმისშვილის სვიმონ ბაქრაძის სახლში. დაკრძალულია ჭელიშის მონასტერში. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 10502, 11).

9. არქიმანდრიტი მაკარი (ჯანელიძე).

არქიმანდრიტი მაკარი (ერისკაცობაში მიხეილ ჯანელიძე) დაიბადა 1817 წელს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 10502, 13).

1834 წლის 24 თებერვალს არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა მას დიაკონად დაასხა ხელი და ქუთაისის საკათედრო ტაძარში განამწევა. იმავე წლის 30 აპრილს კი ეგზარქოს ევსევის ნებართვით მიხეილი აღყვანილ იქნა პროტოდიაკონის ხარისხში. აქედან მოყოლებული მთელი 33 წლის მანძილზე იგი პროტოდიაკონად მსახურობდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში. 1867 წელს ჭელიშის მონასტრის წინამდღვრის იოსების გარდაცვალებასთან დაკავშირებით მან გაბრიელ ეპისკოპოსს სთხოვა ბერად აღკვეცა და აღნიშნულ მონასტერში წინამდღვრად გამწევება. გაბრიელ ეპისკოპოსმა შეიწყნარა მიხეილის თხოვნა და 1867 წლის 28 იანვარს იგი ბერად აღკვეცა მაკარის სახელით. სულ მალე კი მღვდელ-მონაზვნადაც დაასხა ხელი და ჭელიშის მონასტრის წინამდღვრის თანამდებობის აღმასრულებლადაც დანიშნა. 1867 წლის 6 თებერვალს გაბრიელ ეპისკოპოსი მაკარის შესახებ ეგზარქოს ევსევის სწერს: „.....Зная превосходный, нравственный характер просителя и чистую, безукоризнную жизнь его и будучи уверены, что он более всякого другаго достоинъ занять просимое имъ мѣсто я, по пострижении его монаха подъ именемъ Макария, рукоположиль его во Геромонаха и поручивъ исполнение должности настоятеля.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 10502, 8). — აქვე გაბრიელ ეპისკოპოსი თხოვს ეგზარქოსს უშუამდგომლოს მას სინოდის წინაშე, რათა დამტკიცებულ იქნეს მაკარი აღნიშნულ თანამდებობაზე იღუმენის ხარისხში აღყვანით. 1867 წლის 27 ივლისს ევსევიმ მას

შეატყობინა რომ სინოდის 26 მაისის გადაწყვეტილებით მაკარი დამტკიცებული იყო ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად და აღყვანილ იყო იღუმენის ხარისხში.

მაკარი ჯანელიძე საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე (დაახლოებით 25 წელიწადი) განაგებდა ჭელიშის მონასტერს. ჩვენამდე მოადწია არაერთმა მისმა წერილმა, რომელთა ადრესატი ძირითადად გაბრიელ ეპისკოპოსია. ამ წერილებიდან ჩანს რომ არქიმანდრიტი მაკარი ჯანელიძე საკმაოდ ენერგიული და მონასტერზე მზრუნველი პიროვნება იყო. 1867 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში იგი გაბრიელ ეპისკოპოსს მონასტერში ეკონომოსის დანიშვნას სთხოვს: „ დროიდგან შამოსვლისა ჩემისა ამა მონასტერში დავინახე რა, რომელ არა ყოლებია ამა მონასტერსა ეკონომოსი, რომელსა საჭიროდ ვრაცხ დავნიშნავ ამ თანამდებობაზე ამა მონასტრის ძმათაგანს მდუდელ-მონაზონს დიონისს, ვითარცა კეთილ-საიმედოს.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 10399.).

არქიმანდრიტმა მაკარიმ თავისი წინამდღვრობის ხანგრძლივ პერიოდში არაერთი სარემონტო სამუშაო ჩაუტარა როგორც ღვთისმშობლის ეკლესიას, ისე სხვა შენობა-ნაგებობებს. მან 1877 და 1888 წლებში ორჯერ შედება ეკლესიის სახურავი, შეაკეთა საწინამდღვრო სახლი და ბერთა სენაკები. სწორედ მაკარის თაოსნობით იქნა მონასტერში აშენებული ახალი ქვის სამრეკლო (დღეს მასში გახსნილია წმიდა ამბოხისი ხელაიას სახელობის ეკლესია).

წინამდღვარი ყურადღებას არ აკლებდა მონასტრის სამმოს გამრავლებას. მისი თხოვნით არაერთი პირი იქნა მიღებული ჭელიშის მონასტერში. 1887 წელს მისი შუამდგომლობით გაბრიელ ეპისკოპოსმა ჭელიშის მონასტერში გადმოიყვანა მდვდელმონაზონი სპირიდონი და რადგან მონასტერში შესაბამისი ვაკანსია არ იყო, ამიტომ აღნიშნული

პირი მაკარის გარკვეული ხნით თავის ხარჯზე ჰყავდა. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 17278, 7-8). მისივე რეკომენდაციით მონასტერში მიღებულ იქნენ მორჩილები – სიმონ გოგრიჭიანი, იაგორ სოხაძე და სხვები. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 13832/80, 1-2; ს. № 12124, 1-2). 1878 წელს მაკარი თხოვს გაბრიელ ეპისკოპოსს დიაკონად აკურთხოს მონასტრის მორჩილი პარმენ ენუქიძე: „მყოფი მორჩილად რწმუნებულსა მონასტერსა შინა ჩემსა პარმენ ენუქიძე.....შემოსვლიდამ მისისა ამა მონასტერში ასრულებს თვისსა მოვალეობასა კარგათ და ბეჯითად ეკლესიაში სამსახურითა, ეგრეთვე ძმათა მორჩილებითა და თვისებითა, რომელსა დირსად ვპოებ აღყვანად იეროდიაკონობის თანამდებობაზედ ამ მონასტრისთვის. მასთანავე ვპოვებ საჭიროდ რადგან სხვავის მონასტერი არის ისე დაცლილი, ერთის მეტი არავინ იმყოფება და აქ მონასტერში ერთის დიაკონის მეტი არა არის, ამისთვის საჭირო არს დიაკონი მეორე.....“ (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 12128, 1).

არქიმანდრიტი მაკარი 1891 წლამდე განაგებდა ჭელიშის მონასტერს. ბოლოს ის ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის გამო თვითონ გადადგა წინამდღვრობის თანამდებობიდან. 1891 წლის 21 სექტემბრს გაბრიელ ეპისკოპოსი ჭელიშის მონასტრის ეპონომოსს, მღვდელმონაზონ ანტონის წერდა: „ რადგანაც ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი არხიმანდრიტი მაკარი მოხუცდა და ამასთანავე ავათაც არის თვითონ მან სექტებულმა არხიმანდრიტმა მთხოვა სიტყვიერად მოგანდო ნოქვენ მართვა იმ მონასტრისა ვიდრე ახალის ჩემის განკარგულებისადმი და არხიმანდრიტის მაკარის მორჩენისადმი, მით რომ არც თქვენ, არც თქვენმა ძმებმა პატივისცემა და მორჩილება არხიმანდრიტისა არ მოშალოთ და თქვენ თვითონ მოუაროთ და ემსახუროთ არხიმანდრიტსა და ყოველი მისი კანონიერი მოთხოვნილება აღასრულოთ..... “. (ქ. ც. ა. ფ. № 21, ს. № 18630, 1).

არქიმანდრიტ მაკარის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ: „ეპისკოპოს ექვთიმეს (იგულისხმება ექვთიმე წულუკიძე-მ.მ.) მოჰყვა მთავარი დიაკონი მიხეილ ჯანელიძე, საკვირველი ხმის პატრონი (ტენორი), რომლის წირვას მთელი ხალხი მართლა რომ მოწიწებით ისმენდა. ის ათ წელიწადზე მეტს ასრულებდა თავის ძნელ სამსახურს ყველა შემდეგ იმერეთის არქიელებთან. მისი ხმა, როცა ის სახარებას კითხულობდა, განსაკუთრებით კი დიდ-მარხვის პირველი კვირის წირვაზე, ან დიდი ხუთშაბათის ფეხის ბანაზე, ისეთი გრძნობით და ძლიერებით იყო სავსე, რომ მსმენელი ცრემლს ვედარ იკავებდა და ზოგი ხმამაღლაც მოთქვამდა. მე მაშინ ტანზე ბანალი ამებუმგებოდა ხოლმე და დიდხანს შეუჩერებლად მაკანკალებდა. გაბრიელ ეპისკოპოზმა, ჯანელიძე რომ მასთან სამსახურში მოხუცდა და დასუსტდა, მას ბერათ ადკვეცა ურჩია და ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტობა ჩააბარა. (ნიკოლაძე, 1984, 33).

არქიმანდრიტ მაკარის დროს ჭელიშის მონასტრის კრებული შემდეგი წევრებისაგან შედგებოდა:

1.მდვდელ-მონაზონი ანგონი (ერისკაცობაში – ალექსი იესეს ძე კანდელაკი) – დაბადებულა 1834 წელს. მას რაჭაში დაუმთავრებია ორკლასიანი სასულიერო სასწავლებელი რუსულად, ხოლო ქართულად საღვთო წერილი და გალობა შეუსწავლია ნიკორწმინდის მონასტერში დეკანოზ დავით კანდელაკთან. 1856 წელს გამწესებულ იქნა მორჩილად ჭელიშის მონასტერში. 1859 წელს ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი ონიფანტე იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს სთხოვს: „ მყოფი მორჩილად რწმუნებულს ჩემდამო მონასტერსა შა ალექსი იესეს ძე კანდელაკი შემოსვლიდამ მისისა ამ მონასტერში ასრულებს თვისსა მოვალეობასა სამაგალითოდ და ბეჯითად, როგორც ეკლესიაშიდ სამსახურითა, ეგრეთუ ძმათა შორის ლირსებისაებრ

მორჩილებითა და თვისებითა, რომელსაც ვპოვებ მე დირსად და აღყვანად მისსა მღუდელ მონაზვნობის ხარისხსა ზედა, რომლისათვის უდ უმორჩილესად ვითხოვ იქნეს აღკვეცილ მონაზვნად და ხელდასხმულ მღვდელმონაზვნად.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 7214, 1).

1860 წლის 4 ივლისს მღვდელმონაზონმა ონიფანტემ იგი ბერად აღკვეცა და ანტონის სახელი უწოდა. იმავე წლის 11 ივლისს მას ბერდიაკვნად დაასხეს ხელი. 1867 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა მას მღვდელმონაზვნად დაასხა ხელი.

თავისი ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო იგი 1877 წელს ჭელიშის მონასტრის ხაზინადრად დანიშნეს, 1885 წელს კი ეპონომოსადაც განამწევეს. მე-XIX საუკუნის 90-იან წლებში, მონასტრის წინამდღვრების გარდაცვალების ან ავადმყოფობის შემთხვევაში იგი არაერთხელ ასრულებდა წინამდღვრის მოვალეობასაც.

1901 წელს მღვდელ-მონაზონი ანტონი იღუმენის ხარისხში იქნა აღყვანილი. იგი არაერთხელ იყო დაჯილდოებული სხვადასხვა საეკლესიო ჯილდოებით.

2. მღვდელ-მონაზონი დიონისი. იგი დაიბადა 1812 წელს. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც რუსულ ენაზე შეისწავლა საეკლესიო საგნები, ხოლო ქართული „წიგნი და გალობა“ მას ჭელიშის მონასტერში შეუსწავლია. იგი სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა—ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ხონჭიორის ეკლესიაში, ოსეთის სასულიერო კომისიაში. დაქვრივების შემდეგ მამა დიონისი ჭელიშის მონასტერში მივიდა მორჩილად, სადაც 1852 წლის 15 დეკემბერს დავით მიტროპოლიტმა მღვდელმონაზვნად დაასხა ხელი.

ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო მღვდელმონაზონი დიონისი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული ნაბედრენიკით, გულსაკიდი ჯვრით და სხვა საეკლესიო ჯილდოებით. ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი

მაკარი მას ახასიათებდა ოოგორც მარჯვე და კარგი ყოფაქცევის პიროვნებას. (ქ. ც.ა, ფ. № 21, ს. № 15261, 3; ქ. ი. მ, ჭელიშის არქივი).

3. მღვდელმონაზონი მეთოდი. იგი 1830 წელს დაბადებულა. საღვთო წერილი, წერა და გალობა შეუსწავლია მღვდელ – ბესარიონ მიქიაშვილთან. 1868 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა მას იეროდიაკვნად დაასხა ხელი და ჭელიშის მონასტერში განამწესა, XIX საუკუნის 70-იან წლებში კი – მღვდელმონაზვნადაც აკურთხეს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 15261; ქ. ი. მ, ჭელიშის არქივი)

4. მღვდელმონაზონი გრიგოლი. იგი დაბადებული ჩანს 1830 წელს. საღვთო წერილი, წერა და გალობა მამა გრიგოლს შეუსწავლია ჭელიშის მონასტერში მღვდელმონაზონ ბესარიონთან. 1867 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი ბერად აღკვეცა გელათის მონასტერში. 1871 წელს მას ბერ-დიაკვნად დაასხეს ხელი და გადმოიყვანეს ჭელიშის მონასტერში, 1875 წელს კი – მღვდელმონაზვნადაც იქნა იმავე გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 15261 ; ქ. ი. მ, ჭელიშის არქივი).

5. ბერდიაკონი პორფირი. მას საღვთო წერილი, წერა და გალობა შესწავლილი ჰქონდა ჭელიშის მონასტერში მღვდელმონაზონ ბესარიონის ხელმძღვანელობით. იგი 1819 წელს იქნა განწესებული მორჩილად ჭელიშის მონასტერში. 1872 წელს აღკვეცეს ბერად და იმავე წელსვე აკურთხეს ბერდიაკვნადაც. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 15261).

10. არქიმანდრიტი ნიკიფორე (კანდელაკი).

ნიკიფორე კანდელაკი დაიბადა 1831 წელს. (ქ. ი. მ, ს. № 45, 8) მას გელათის მონასტერში შეუსწავლია – საღვთო წერილი და გალობა. იქნა – 1860 წლის 8 მარტს იგი გელათის მონასტრის არქიმანდრიტს ნიკოლოზს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით მონაზვნად აღუავეცავს. იმავე წლის 24 მარტს კი იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს მღვდელ-მონაზვნად დაუსხამს ხელი.

1862–1872 წლებში ნიკიფორე კანდელაკი გელათის მონასტერში მოღვაწეობს – ჯერ ამ მონასტრის მღვდელმონაზონი იყო, შემდეგ წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო 1871–1872 წლებში გელათის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებელი.

1872 წლის 14 ივნისს გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი კაცხის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა, იმავე წელს ნიკიფორე აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში.

1862 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა ნიკიფორე კანდელაკი საგვერდულით დაჯილდოვა, 1877 წელს კი – გულსაკიდი ჯვრით. 1882 წელს იღუმენი ნიკიფორე დაჯილდოებულ იქნა წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით.

1888 წლის 15 მაისს იგი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო 1892 წლის 7 მაისს დაინიშნა ჭელიშის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად, ამავე წლის სექტემბრიდან კი წინამძღვრად.

არქიმანდრიტი ნიკიფორე საკმაოდ ენერგიული წინამძღვარი იყო. მისი თაოსნობით ნიკორწმინდეელმა ხელოსნებმა პავლე კობახიძემ და სეფე ჯავახიძემ 1892 წელს 6 ოთახისაგან შემდგარი ორსართულიანი საწინამძღვრო სახლი ააგეს. (ქ. ი. მ, ს. № 45, 14). 1892–1895 წლებში მას შეუკეთებია აგრეთვე მონასტრის ტაძარი, საფუძვლიანად შეურემონტებია მონასტრამდე მიმავალი საცხენოსნო გზა და აუგია თავლა. ნიკიფორე ჭელიშის მონასტერს განაგებდა 1892 — 1897 წლებში. მის დროს ჭელიშის მონასტრის სამმო კრებული შემდეგი წევრებისაგან შედგებოდა:

1. ეკონომოსი — მღვდელმონაზონი ანტონი
2. მღვდელმონაზონი სპირიდონი
3. მღვდელმონაზონი გერასიმე
4. მღვდელმონაზონი — გრიგოლი

5. იეროდიაკონი – ალექსანდრე
6. შტატგარეთ მყოფი იეროდიაკონი – ბენედიქტე.
11. არქიმანდრიტი დანიელი (ერისკაცობაში დავით გრიგოლის ძე ახვლედიანი ახვლედიანი).

დანიელ ახვლედიანი დაბადებულა 1820 წელს ლეჩეუმის მაზრაში. მას საღვთო წერილი, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მარტვილის ეკლესიაში შეუსწავლია. 1852 წლის 15 ივნისს ეპისკოპოსმა ანტონიმ დანიელი მღვდლად აკურთხა და განამწესა მარტვილის ეკლესიაში. ცოტა ხნის შემდეგ იგი დაინიშნა ლეჩეუმის ეკლესიების ბლაფორჩინად.

1867 წლის 15 ივლისს დანიელი მონაზვნად აღიპვეცა მოწამეთის მონასტერში. 1873 წელს კი დაინიშნა სვანეთის საეკლესიო კომისიის წევრად, სადაც ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო გაბრიელ ეპისკოპოსისაგან მაღლობა დაიმსახურა.

1891 წელს აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, 1897 წლის 24 ივნისს კი – საქართველო–იმერეთის სიხოდალური კანტორის მიერ დანიშნულ იქნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად.

არქიმანდრიტი დანიელი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო არაერთი საეკლესიო ჯილდოთი — 1871 წელს – გულსაკიდი ჯვრით, 1882 წელს — წმიდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, 1891 წელს — ბრინჯაოს ჯვრით.

დანიელის სახელთან დაკავშირებულია მონასტრისათვის ერთიანი ქვის გალავნის შემოვლება, რაზედაც მას საკმაოდ დიდ შრომა გაუწევია (ამის შესახებ იხ. ზემო) — საერთოდ დანიელი მონასტერზე დიდად მზრუნველი პიროვნება ყოფილა. ჭელიშის მონასტრის ეკონომოსი იღუმენი ანტონი იმერეთის მონასტრების ბლაფორჩინის არქიმანდრიტ ბესარიონისადმი გაგზავნილ წერილში დანიელის შესახებ აღნიშნავს: „..... ბევრი ხარჯი ქონდა გაწეული თავის

საკუთრებისაგან მონასტრის ირგვლივ ერთიან ქვის გალავნის შემოვლებასა და სხვა მონასტრის შესახებს საქმეებში და ამგვარს შემთხვევაში.....არ ზოგავდა თავის საკუთრებისაგანაც ხარჯებს.....". (ქ. ი. მ, ს. № 45, 520).

არქიმანდრიტი დანიელი ჭელიშის მონასტერს განაგებდა 1897 –1901 წლებში. იგი 1901 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა.

12. არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია)

(შემდგომში საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი)

1902 წლის 30 მარტის განკარგულებით ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად დანიშნულ იქნა მდვდელ–მონაზონი ამბროსი (ხელაია), იგი ამასთანავე აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

საქართველოს მომავალი კათოლიკოს–პატრიარქი ამბროსი (ერისკაცობაში – ბესარიონ ზოსიმეს–ძე ხელაია) დაიბადა 1861 წლის 7 ოქტომბერს მარტვილში. 1871 –1873 წლებში სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, 1879 წელს კი ჩაირიცხა თბილის სასულიერო სემინარიაში. 1887 წელს აკურთხეს მდვდლად და განაწესეს სოჭის ეკლესიაში. 1897 წელს ბესარიონ ხელაიამ სწავლა განაგრძო ყაზანის სასულიერო აკადემიაში. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – 1899 წელს იგი აღიკვეცა ბერად – ამბროსის სახელზე. 1901 წელს განწესებულ იქნა სოჭუმში მაგრამ თავისი შეურიგებელი ბრძოლის გამო – აფხაზეთში რუსული შოვინისტური პოლიტიკისადმი მცირე ხნის შემდეგ გადმოყვანილ იქნა რაჭაში.

ჭელიშის მონასტერში მისვლისთანავე არქიმანდრიტი ამბროსი ენერგიულად შეუდგა წინამდღვრის მოვალეობის შესრულებას. იგი ცდილობდა მონასტრისათვის ადრინდელი სიცხოველე დაებრუნებინა. როგორც ცნობილია ქართული სამონასტრო ცენტრები რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დაპყრობამდე წარმოადგენდნენ არა მარტო დვორისმსახურების და განმარტოების ადგილს, არამედ დიდ

კულტურულ – საგანმანათლებლო კერძებსაც, სადაც ახალგაზრდები სწავლობდნენ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის წესს და გალობას, ეცნობოდნენ ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე რუდუნებით შექმნილ დიდ სასულიერო მემკვიდრეობას. ცხადია ამ მხრივ გამონაკლისი არც ჭელიშის მონასტერი იყო. 1902 წელს „ივერიაში” სიმონ ჭელიძე წერდა: „.....იყო დრო, როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებას. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკლესიებში და ატკბობენ მსმენელის ყურს საღმრთო წერილის მშვენიერის კითხვითა “ (ჭელიძე, ივერია, 1903, №212, 2). ცხადია რუსეთის ხელისუფლებისათვის ასეთი ვითარება მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს თანდათანობით ჩამოაცილეს ეს უდიდესი მისია და იგი ახლადდაარსებულ სასულიერო სასწავლებლებს გადასცეს, სადაც სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ბუნებრივია აქ არავინ ზრუნავდა მომავალი სასულიერო პირებისათვის მშობლიურ ენაზე მიეცათ განათლება. ასეთი გაუკულმართებული პოლიტიკის შედეგი კი ის იყო რომ საქართველოს ახალგაზრდა სამღვდელოებას უკვე უჭირდა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ ნაკლის გამოსასწორებლად არქიმანდრიტი ამბორსი სემინარიის კურსდამთავრებულებს სთავაზობდა გარკვეული ხნის მანძილზე საღმრთო წერილის კითხვაში ევარჯიშათ ჭელიშის მონასტერში.

1903 წლის 15 სექტემბერს ჭელიშის მონასტერში შეიკრიბა მთელი რაჭის სამღვდელოება. აქვე იყო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდეც. თავყრილობა შეეხებოდა ხალხში განათლებისა და რწმენის გაძლიერების აუცილებლობას. საამისოდ გადაწყდა შექმნილიყო

უფასო ბიბლიოთეკები, დაბეჭდილიყო პატარ-პატარა წიგნაკები წმიდა მამათა და მოწამეთა შესახებ და ხალხში გაევრცელებინათ.

ამბობის ხელაია უდიდეს უურადღებას აქცევდა ჭელიშის მონასტერში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების მოვლა-შესწავლას. ამ მხრივ იგი ჭელიშის მინასტრის სიძველეთა ერთ-ერთ პირველ მკვლევარად გვევლინება. მისი მონასტერში მისვლისას აღმოჩნდა რომ უნიკალური ხელნაწერები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდათ ქართული კულტურისათვის – ნესტიან და მოუვლელ ადგილას იყო უპატრონოდ დაყრილი. ამ დაუდევრობის მიზეზს არქიმანდრიტი ამბობის ძალზე კარგად გვიხსნის და ამიტომ ჯობია თავად მას მოვუსმინოთ: „ჭელიშის სიძველენი (საეკლესიო ნივთები, შესამოსლები და ხელთნაწერები) – 1902 წელს.....მიყრილი იყო კუთხეში და სინესტისაგან მეტათ დაზიანებულიყო. მონასტრის წინამდლვრებს არ ესმოდათ მათი მნიშვნელობა და არ აქცევდნენ მათ ჯეროვან ყურადღებას. ბევრი მათგანი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ სამუდამო დაკარგულია.....რადგან.....ამნაირი შინაარსის წიგნები ახალი რეჟიმის დროს არავის „უნდოდა“ (ხელაია, განთიადი, 1915, № 2). ამბობის ხელაიამ საგულდაგულოდ, ფურცელ-ფურცელ გამოაშრო ძველი ქართული ფოლიანტები და მათი პირველი მეცნიერული აღწერილობაც გამოაქვეყნა. სწორედ ამ დროს მიაკვლია მან „მოქცევაი ქართლისაის“–ახალ, ეგრეთ წოდებულ „ჭელიშურ ვარიანტს“, რომელიც მანამდე ცნობილ შატბერდულ ვარიანტზე სრული იყო. ამ აღმოჩენის ისტორიას საინტერესოდ მოგვითხრობს გივი კობახიძე: „ერთ მშვენიერ დღეს არქიმანდრიტი ამბობის ბოლთას სცემდა მონასტრის ეზოში, მისი ნათელი სახე მზრუნველ ფიქრს მოეცვა. ხელთ პქონდა კრიალოსანი და მისი დამარცვლით იქცევდა თავს. დააბიჯებდა დინჯად, აუჩქარებლად. ერთ მომენტში მას მოეჩვენა,

რომ ეზოს ცენტრალურ ნაწილში, იმ ადგილას რომლის ახლოს ასწლოვანი, ვეებერთელა, ტოტებგაშლილი კაპლის ხე იდგა, მიწა არ გამოსცემდა ჩვეულებრივ ყრუ ხმას, არამედ სიცალიერის ექოს. დაიწყო იმ ადგილას ფეხების ცემა და სიცალიერის ხმა საცნაური გახდა. ამბროსიმ ანაფორა აიკეცა, ჩაიჩოქა და ახლა მუშტის ცემა დაიწყო მიწაზე და კვლავ იმეორებდა ცემას და მიუურადებას. მას თვალი მოჰკრეს სენაკებში მყოფმა ბერებმა და ძალიან გაუკვირდათ და თანაც შეწუხდნენ: რა დამართია ჩვენს წინამდღვარსო. მამა ამბროსიმ მოიხმო ისინი და აუწყა რაში იყო საქმე, თანაც თხოვა მოეტანათ ბარი და წალკატი. იწყეს მიწის თხრა. ცოტა ხანმა განვლო და გამოჩნდა აკლდამის კარი. ახსნეს, შევიდა შიგ ამბროსი და რას ხედავს: ასვენია ჩონჩხი, ალბათ ამ მონასტრის ერთ-ერთი სახელოვანი წინამდღვრისა, რომლის სახელი მხოლოდ ლმერთმა იცოდა და მის თავის ქალასთან კი იდო ტყავის ყდაში ჩასმული, ტყავზე ნაწერი წიგნი. ეს გახლდათ „მოქცევაი ქართლისაი“—ს მეცამეტე საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერი. (კობახიძე, რაეო, 1997, 7).

არქიმანდრიტმა ამბროსიმ თავისი დაუდალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობით სულ მალე მოიხვეჭა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. სოსიკო მერკვილაძე, რომელმაც 1902 წელს რაჭაში იმოგზაურა მის შესახებ წერს: „...ახლო—მახლო სოფელში ჩვენ იმისთანა კაცს არშევეგედრივართ, რომელიც წრფელი გულით არ იყოს გამსჭვალული მამა ამბროსისადმი.

— როგორია ძმობილო თქვენი უდაბნოს ახალი წინამდღვარი? — ვკითხავდით სოფლელებს.

— ლმერთმან კარგი დაგმართოთ, კარგი რამა გვევავს მამა ამბროსი, რომ იტყვიან ლვთის ენა პირი ასხიაო, სწორედ ის არის, აგერ ამ ხნის კაცი გახლავთ და ჯერ მაგისთანა არავინ მოსულა და არც მაგ

დალოცვილისთანა ქადაგება გაგვიგონიაო..... “ (მერკვილაძე, ივერია, 1903, № 131).

13. არქიმანდრიტი გრიგოლი (ჩხაიძე)

გრიგოლ (ერისკაცობაში გიორგი) ჩხაიძე დაიბადა 1821 წელს მდგვდლის ბესარიონ ჩხაიძის ოჯახში. სწავლა მიიღო გურიის სასულიერო სასწავლებელში. 1868 წლის 10 თებერვალს ეპისკოპოს ტარასის მიერ აღკვეცილ იქნა ბერად საირმის მონასტერში. 4 წლის შემდეგ კი იმავე ეპისკოპოსმა მდგდელ-მონაზვნად დაასხა ხელი. გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ გრიგოლ ჩხაიძე განწესებულ იქნა ჯერ გელათის მონასტერში, შემდეგ კი – იმერეთის საარქიერო სახლში – ეკონომოსად. (ქ. ი. მ, №6474, ჭელიშის მონასტრის არქივი).

1898 წელს ეპისკოპოსმა ბესარიონმა იგი იღუმენის ხარისხში აიყვანა და განამწესა კაცხის მონასტრის წინამდღვრად, სადაც 4 წლის მანძილზე საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

1903 წლის 12 ნოემბერს გრიგოლ ჩხაიძე დანიშნულ იქნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად. იღუმენი გრიგოლი, ისევე როგორც მისი წინამორბედები, ყურადღებას არ აკლებდა მონასტრის ცხოვრებას. მან თავისი წინამდღვრობის პერიოდში ჭელიშის მონასტრის ძვირად ღირებული საწნახლებისათვის ახალი სახლი ააშენებინა, რისთვისაც მონასტრების ბლადოჩინს – არქიმანდრიტ ნიკოლოზს 100 მანეთის დახარჯვის უფლებას სთხოვდა.

გრიგოლი ჭელიშის მონასტერს 1903 – 1906 წლებში განაგებდა. ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის იგი არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აღყვანილი. გრიგოლ ჩხაიძის წინამდღვრობის დროს ჭელიშის მონასტერში შემდეგი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ:

1. მონასტრის ეკონომოსი იღუმენი ანტონი
2. მდგდელ-მონაზონი იოანე
3. მდგდელმონაზონი გრიგოლი

4. მდგდელმონაზონი თეოფილე
5. მორჩილის თანამდებობის აღმასრულებელი მწირმონაზონი
ევაგრე
6. მორჩილის თანამდებობის აღმასრულებელი მათე ბოჭორიშვილი

14. არქიმანდრიტი კლიმენტი (ჩიქვანი)

კლიმენტი ჩიქვანი დაიბადა 1851 წელს (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 26184, 29) თავადის ოჯახში. მან საეკლესიო განათლება (საღმრთო წერილი, წერა, კითხვა და საეკლესიო ტიბიკონი) საირმის მონასტერში მიიღო. 1866 წელს აღკვეცილ იქნა ბერად ნამარნევის მონასტერში. 1868 წელს სამეგრელოს ეპისკოპოსმა ტარასიმ მას მდგდელ-მონაზვნად დაასხა ხელი. 1870–1888 წლებში კლიმენტი ჩიქვანი კვლავ საირმის მონასტერში მოღვაწეობს. აქ ერთგული სამსახურისათვის გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი ნაბედრენიკით დააჯილდოვა. 1888–1906 წლებში კლიმენტი ჩიქვანი სვანეთში – ლენჯერის ეკლესიაში იმყოფება. აქაც ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის იგი 1895 წელს იღუმენის ხარისხში აიყვანეს, ხოლო 1902 წელს წმიდა ანას მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. სვანეთში ყოფნის დროს იღუმენმა კლიმენტიმ განსაკუთრებული მატერიალური დახმარება გაუწია ლენჯერის სკოლას, ასევე სხვადასხვა წლებში უფასოდ აღზარდა 35-მდე მოსწავლე.

1906 წლის 12 ნოემბერს იღუმენი კლიმენტი გადაყვანილი იქნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად.

მან 1908 წელს შეაკეთა საწინამდღვრო სახლი, ასევე მონასტრის ორი სხვა სახლი. მონასტრის მიწაზე დარგო ვაზი. მისივე თაოსნობით მონასტერმა შეიძინა ფუტკარი. ამ დარგის შესასწავლად მან მონასტერში სპეციალური მეფუტკრეობის შემსწავლელი კურსებიც კი მოაწყო.

კლიმენტი ჩიქვანი ჭელიშის მონასტერს განაგებდა 1906–1916 წლებში. მის დროს მონასტრის კრებული შემდეგი პირებისაგან შედგებოდა (1908 წლის მონაცემები):

1. მონასტრის იკონომოსი იღუმენი ანტონი მღვდელმონაზონი გარლამი.
2. მღვდელმონაზონი ზაბულონი (ერისკაცობაში – ზაქარია თომას-ძე ჩინჩალაძე).
3. მღვდელმონაზონი იოანე.
4. დიაკონი ევაგრი
5. მორჩილი – ივანე გობეჯიშვილი
6. მორჩილი – იულიანე კანდელაკი

15. იღუმენი პავლე (ჯაფარიძე)

ჭელიშის მონასტრის წინამდღვარი იღუმენი პავლე დაიბადა 1880 წელს (ქ. ც. ა, ფ. 3 21, ს. № 26184, 29). მან პირველდაწყებითი განათლება მიიღო ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში. 1902 წელს განწესებულ იქნა შიო–მღვიმის მონასტერში, სადაც 1910 წლის 10 თებერვალს აღკვეცეს ბერად. იმავე წლის 19 თებერვალს იგი ბერ–დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 21 თებერვალს – მღვდელმონაზვნადაც დაასხეს ხელი. 1912 წლიდან – 1916 წლამდე მღვდელმონაზონი პავლე მოწამეთის მონასტერში მოღვაწეობს. 1916 წლის 31 აგვისტოს დაინიშნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრად. 1916 წლის 20 ოქტომბერს აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. დაჯილდოებული იყო საგვერდულით და გაბრწყინებული ჯვრით.

იღუმენი პავლე ჭელიშის მონასტერს განაგებდა 1916 – 1917 წლებში.

16. იღუმენი იოანე (შანიძე)

იღუმენი იოანე დაიბადა 1852 წელს. მას შემოქმედის მონასტერში შეუეწავლია საღვთო წერილი, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი, შემდეგ კი დაუსრულებია ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

1893 წლის 14 სექტემბერს შემოქმედის მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა გერასიმებმ იგი ბერად აღკვეცა. იმავე წელსვე აკურთხეს იგი ბერ-დიაკვნად და მღვდელმონაზვნადაც დაასხეს ხელი. 1897 – 1904 წლებში იგი კვლავ შემოქმედის მონასტერშია. 1904 წელს კი განამწესეს ჭელიშის მონასტერში. 1917 წელს მღვდელმონაზონი იოანე დანიშნულ იქნა ჭელიშის მონასტრის წინამდღვრის თანამდებობის აღმასრულებლად. ამ თანამდებობაზე იგი 1918 წლის აპრილამდე იმყოფებოდა.

იღუმენ იოანეს მმართველობის დროს განსაკუთრებით გართულდა მონასტრის მდგომარეობა. ამ დროს მონასტრის ძირითად შემოსავალს გლეხებზე იჯარით გაცემული მიწიდან შემოსული პროდუქტები და ფული წარმოადგენდა, რევოლუციური ბანგით გონებადაბნელებული მოსახლეობა უარს ამბობს მონასტრისათვის კუთვნილი გადასახადის მიცემაზე. მასიურად დაიწყო ჭელიშის მონასტრის მიწების დატაცება. 1917 წლის 18 დეკემბერს იღუმენი იოანე ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს წერს: „წაგვართვეს წრეუნდელი შემოსავალი, არაფელი მოგვცეს, არაფელი გაგვივიდა, თქვენი ბრძანებაც მოსვლია და გუბერნატორის, მარა არარას იძლევიან. რაიონის აბრალოულის კომისერი სწერს საზოგადოების კამისერს – არ უსრულებს, ვბრუნდები რაიონის კამისერთან ანბობს რა ვქნა მეო, მივსწერე მარა არ იძლევიან.....ერთი მათ მოწერას აქ წარმოვადგენ, ინებოთ განკარგულება, ეგებ რამე გევიდეს ამ ზამთარში სამყოფი ჭადი მაინც მოგვცესკენ ეგებ “. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 26196, 2).

მდგომარეობა არც მომდევნო წელს გამოსწორებულა. 1918 წლის 8 მარტს იღუმენი იოანე კვლავ უგზავნის ანტონ ქუთათელს თხოვნით წერილს დახმარების შესახებ. ამ წერილში საუბარია ჭელიშის მონასტრის ქონებაზე. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება მისი აქ მოყვანა: „....ამ ჭელიშის მონასტერს აქვს ორი ზვარი ვენახი – ერთი

ამბრალოულის უჩასტების – ხიმშის სოფელში სამი ქცევა ნახევარი და ერთი სახლი შით მარანი, სამი ხე თხილის საწნახელის, ომელშიც ამოვა თითო საწნახელში ღვინო 80 ფუთი.....ზოგში მეტი, ზოგში ნაკლები. ასთე ბოგოულში სახლი და ოთხი საწნახელი.....მცხოვრებლებმა მიწას დაეპატრონენ. ღვინო მაინც არ მოდიოდა მარა ბოგოულში მიწა ოთხი ქცევა არის, მათი ჭკუით არც მოძრავ ქონებასაც გვიპირობენ დანებებას, ძალადობენ ჩვენ, ბერებს გვთხოვენ თვალით არ დაგვენახოთ. ეს მარნები და საწნახლები ხუთი წლის წინეთ ღირდა თითო მარანი თავისი საწნახლებით და მეორე ბოგოულში თითო ყველა მარანი, ყველა სამი საწნახელით და მეორე მარანი ოთხი საწნახელით თითო ხუთასი პ.აქაურ კამისერთან და პრისტავის მაგიერ კამისერთან თხოვნა და საშვალება არ დამიკლია და ეხლა მოვაწევინებ თქვენი მეუფებისადმი ინებოთ განკარგულება ვინაიდან კმაყოფილება ვერ მივიღე მათგან “ (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27256). ცხადია მდგომარეობა მომდევნო ხანებში კიდევ უფრო გაუარესდა

17. მღვდელმონაზონი დომენტი

მღვდელმონაზონი დომენტი ჭელიშის მონასტერს ძალზე მცირე ხნით განაგებდა—1918 წლის აპრილ—ივლისში. მან ჭელიშის მონასტერი 1918 წლის 3 აპრილს ჩაიბარა. 1918 წლის 27 ივლისს კი იგი გადაყვანილ იქნა ქუთაისში.

მღვდელმონაზონ დომენტის დროსაც მონასტერი მოსახლეობისაგან დიდ შევიწროებას განიცდიდა. 1918 წლის 23 აპრილით დათარიღებულ წერილში იგი ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიას შემდეგი შინაარსის მოხსენებას უგზავნის: „თანახმად ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიის მოწერილობისა.....წარმოუდგენ სიას ჭელიშის მონასტრის მოიჯარადოთა. სახელს მამისას და სახელს და გვარს და სოფლების სახელს, კანტრახტების რიცხვს,

რამოდენიმეს ვადა აქვს გასული და რამოდენიმეს არა აქვს გასრული. არავითარი წერილობითი ცნობა არ მიმიღია რომ მონასტერს ქონდეს ადგილ-მამული ჩამორთმეული.....მე თვითონ შევეკითხე.....მახლობელ კომისარ-კომიტეტებს სიტყვიერად და იმათმა გამომიცხადეს ჩვენ არავითარი ბრძანება არ გაგვიცია ხალხში რომ ვითომ მონასტერს ადგილი ჩამორთმეოდეს, მაგრამ ხალხი თავისი ნებით ჩადიან ამ საქმეს.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27355, 12–13)

18. იღუმენი ლავრენტი (მეტრეველ).

იღუმენ ლავრენტის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ძალზედ მწირია. ვიცით რომ საეკლესიო განათლება მან მიიღო სამკლასიან სასულიერო სასწავლებელში, 1892 წელს კი იგი ბერად იქნა აღკვეცილი.

მღვდელმონაზონ დომენტის გადაყვანის შემდეგ ჭელიშის მონასტრის ბერების ნაწილმა ანტონ ქუთათელს სთხოვა მონასტრის წინამდღვრად გელათის ბერდიაკვნის ექვთიმეს დანიშვნა. იმავე დროს მიტროპოლიტს ჭელიშის მონასტერში წინამდღვრად გადაყვანა სთხოვა კაცების მონასტრის წინამდღვარმა იღუმენმა ლავრენტიმ. 1918 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ლავრენტი ანტონ ქუთათელს სწერს: „.....როგორც ვსცანი ჭელიშის მონასტერში თავისუფალი ყოფილა წინამდღვრის ადგილი, ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მაღალყოვლადუსამდგდელოესობას მიაქციოთ თქვენი მოწყალებითი ყურადღება ჩემის დიდის ხნის სამსახურს და გადამიყვანოთ ხსენებულ მონასტერში წინამდღვრად ” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27130, 1)

1918 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისის საეპარქიო საბჭომ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: „კაცების მონასტრის წინამდღვარი იღუმენი ლავრენტი გადაყვანილ იქმნეს მონასტრის წინამდღვრად. რაც შეეხება მონასტრის არჩევანის წესრიგს, მას საბჭო პატივსა დებს,

მაგრამ ერთი მხრით მონასტრის კრებული არ აწერს ხელს და მეორეს მხრით წინამდღვრის ადგილზე არის არჩეული იეროდიაკვანი, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა მიიღოს მონასტრის ცხოვრებაში გამოცდილება და განმტკიცება “ (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27130, 10).

ჰელიშის მონასტერში იღუმენ ლავრენტის წინამდღვრად დანიშვნის შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდა მასა და მონასტრის ხაზინადარ ევაგრის შორის. ეს უკანასკნელი წინამდღვარს ადანაშაულებდა მონასტრის ქონების გაფლანგვაში. თავის მხრივ იღუმენი ლავრენტი ანალოგიურ ბრალდებას უყენებდა მდვდელმონაზონ ევაგრის და ქუთაისის სამიტროპოლიტო საბჭოს წერდა: „....ხსენებული ბერი ხელს მიშლის ეკლესიის მსახურებაში და მაბრკოლებს საწირავად მომზადებაში.....იძულებული შევიქენი მორიდებით მოვაწევინო საცნობლად და ჯეროვანის განკარგულების მოსახდენად თქვენი მაღალ მეუფებისა და ვითხოვ უმორჩილესად ჩემს მოხსენებაზე გამოძიების მოხდენას.....“.

ჰელიშის მონასტერში სიმართლის გამოსარკვევად მივლინებულმა დეკანოზმა სიმონ ჰელიძემ დაადგინა რომ იღუმენ ლავრენტის არავითარი მონასტრის ქონება არ გაუფლანგავს და თუ რაიმე აკლდა მონასტერს, აღმოჩნდა რომ თავად ევაგრის ჰქონდა გასხვისებული. იგრძნო რა თავი დამნაშავედ ევაგრიმ პატიება ითხოვა და ხელწერილი დადო რომ დაემორჩილებოდა წინამდღვარს. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27130).

ლავრენტი მეტრეველი ჰელიშის მონასტრის ბოლო წინამდღვარი იყო. როგორც ცნობილია 1923 წელს მონასტერი დაიხურა. ნიკორწმინდის მცხოვრებმა (ბუტულა შავლაძემ), 2003 წელს გვიამბო რომ ჰელიშის მონასტრის წინამდღვარი იღუმენი ლავრენტი, რომელსაც ის პირადად იცნობდა, მონასტრის დახურვის შემდეგაც არ მოშორებია იქაურობას. მისივე თქმით იგი 1937 –იანი წლების რეპრესიებს შეეწირა.

ამრიგად როგორც ვნახეთ ზემოთწარმოდგენილი ჭელიშის წინამძღვრები აქტიური და თავიანთ მონასტერზე მზრუნველი პიროვნებები იყვნენ. ისინი საკმაოდ მძლავრ რგოლს წარმოადგენდნენ მე-XIX საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა იმ ჯაჭვში, რომლებიც მიუხედავად ყოველმხრივ არასახარბიელო პოლიტიკური თუ საეკლესიო სიტუაციისა, მაინც მუხლჩაუხერელად იღწვოდნენ და იბრძოდნენ დედაქლესიის ასაღორძინებლად.

§ 3. ჭელიშის მონასტრის სამეურნეო ცხოვრების ისტორიიდან
 ჭელიშის მონასტერი ფეოდალურ ეპოქაში ცხადია გარკვეულ
 მიწა-წყალს და ყმა-გლეხებს ფლობდა. სამწუხაროდ ამ პერიოდის
 მონასტრის მეურნეობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები
 საკმაოდ მწირია, ამიტომაც ჭირს ისეთ საკითხებზე მსჯელობა,
 როგორიცაა ჭელიშის მონასტრის მიწათმფლობელობა,
 ყმათმფლობელობა, შემოსავალ-გასავლები, ურთიერთობა სენიორსა და
 ვასალს შორის და. ა. შ. შედარებით კარგადაა ამ მხრივ საქმე მე-XIX
 საუკუნეში. ჩვენამდე მოაღწია მონასტრის მიწა-წყლისა და
 ყმა-გლეხების, ასევე შემოსავალ-გასავლის არაერთმა აღწერილობამ,
 სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მდიდარი ცნობებია დაცული.
 ამ პერიოდის მასალების შესწავლა კი ჩვენ ფეოდალურ ეპოქაზედაც
 გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას, ვინაიდან მე-XIX საუკუნის
 დასაწყისში მაინც, მონასტრის მიწათმფლობელობა და
 ყმათმფლობელობა ჯერ კიდევ წინა საუკუნეების მსგავსი იყო.

ფეოდალურ ეპოქაში ეკლესია-მონასტრები ყმა-მამულს ძირითადად
 ორი გზით იძენდნენ — ეს იყო შეწირულობა და ნაყიდი ან მონაგები
 ქონება. ამასთან განსაკუთრებით დიდი წილი შეწირულ ქონებაზე
 მოდიოდა. (იხ. დანართი №8). მაგალითად ჩვენამდე მოღწეული
 საბუთების მიხედვით ჭელიშის მონასტრის მიწათმფლობელობა და
 ყმათმფლობელობა შუა საუკუნეებში თითქმის მთლიანად
 შემოწირულობებზე იყო აგებული. ცხადია თავისი ადგილი ეკავა თვით
 მონასტრის ნასყიდ ან მონაგებ ქონებასაც, მაგრამ მისი წილი საერთო
 სამონასტრო ქონებაში საკმაოდ მცირე ჩანს, რაც ცხადია ამ ტიპის
 წყაროების ჩვენამდე მოუღწევლობითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

განსხვავებული იყო შეწირულობის ხასიათიც, რაც ყოველთვის იყო
 დაფიქსირებული შესაბამის დოკუმენტში: მაგალითად, მონასტრისათვის
 შეიძლებოდა შეეწირათ როგორც ცარიელი მიწა-წყალი (ყანა,

პარტახი, ტყე), ასევე მხოლოდ ყმა—გლეხი (უმიწოდ), ან ყმა—გლეხი თავისი: „ცოლ—შვილით, სახლ—კარით, ადგილ—მამულით, საფლავ—სამარხით, ჭურ—მარნით, ტყით, მიდურით, გასავალ—გამოსავლით, საყანით, სათიბით, მათის ყოფა—ცხოვრებიანათ, საძებრითა და უძებრით“. ან შეიძლება შეწირული ყოფილიყო ამა თუ იმ გლეხის ბეგარისაგან მხოლოდ გარკვეული ნაწილი. განვიხილოთ თითქული შემთხვევა ჭელიშის მონასტრის მაგალითზე:

1807 წელს წერეთლებმა საყანე მიწა და ტყე შეწირეს ჭელიშის მონასტერს. სათანადო საბუთში აღნიშნულია: „.....გრიგოლ ბერს აბაშიძისაგან თომაძე ხუცესი ეყიდა ცოლიან—შვილებიანათ და ადგილი ვერსა ეშოვნათ დასასახლებათ და მეტი სიყვარული ვგქონდა (sic) გრიგოლისაც და მისი მონასტრისაც, მევიდა და ალაგს გვევედრა.....და იწას ხვედელიანს იქთ (sic) რომ ყანა გვერდი, ის ყანა მოგაროვით, სხტე რომ ჩაყვება მას აქეთ და ხვედელიანს იქეთ მთლათ თავიდგან ბოლომდისი მისი საწისქვილოიანოთ. მას გარდა კიდე იწასვე ორმოცი მარჩილის ტყე მოგვირთმევია (კაკაბაძე, 1921b, 152) — როგორც ვხედავთ აღნიშნულ შემთხვევაში მონასტერს მხოლოდ ცარიელი მიწა და ტყე შესწირეს, რადგან მასზე დასასახლებელი გლეხი მას თავად ჰყავდა.

1788 წელს პაატა წულუკიძემ ჭელიშის მონასტერს შესწირა: „.....გლეხი გურგენიძე თავათ შენი წინამდღვრის შვილი ზაქარიას ძე ხუცესი გიორგი და მისი ბიძის მარკოზ ბერის შვილები მღდელი სვიმონ და დავით მათის ცოლ—შვილით, ალაგ—მამულით.....ყოვლისფერიანათ, რისიც მქონებელი იყოს ან იქნეს რომ ამას ჩვენგან და არც არას ჩვენის მოხელე კაცისაგან ამათ აღარაფერი ეთხოვებოდეს.....“ (კაკაბაძე, 1921b, 93).

ასევე 1805 წელს მანუჩარ ყიფიანმა ჭელიშის მონასტერს შესწირა ხვანჭკარას მცხოვრები ტყეშელაშვილები: „.....გოგიელა, მოგიელა,

ივანე და თანდილა მათის ცოლ-შვილით, სახლ-კარით, საფლავ-სამარხით, ჭურ-მარნით, მამულით, საყანით და სათიბით, საძებრით და უძებრით მათის ყოფა-ცხოვრებიანათ.....” (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 28) — ამ ორ შემთხვევაში შეწირულობა უკვე — „სრულია” — ანუ მონასტერს სწირავენ როგორც მიწა-წყალს, ასევე მასზე დასახლებულ ყმა-გლეხებს. ამ უკანასკნელთ ახალ პატრონთან საბეგრო ვალდებულებები უცვლელად მიჰყვებათ.

იყო მესამე შემთხვევაც — როცა მონასტერს ყმა-გლეხებზე დაკისრებული ბეგარიდან მხოლოდ მოსავლის ნაწილს სწირავდნენ. მაგალითად 1794 წელს გიორგი მასხარაშვილმა ჭელიშის მონასტერს შესწირა მისი ყმის ჩიღუნაძის ბეგრისაგან ოთხი კასრი დვინო, ასევე 1803 წელს კაცია წულუკიძეს ჭელიშის მონასტრისათვის შეუწირავს მოსავლისაგან ათისთავი და. ა. შ. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 3651, 8; ს. № 4974, 19) — აღნიშნული სახის შეწირულობებს მცირე ადგილი როდი ეჭირა მონასტრის შემოსავალში.

როგორც ბაბილინა ლომინაძე აღნიშნავს: „ შეწირულობა უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა. შეწირულობის მიმღები ორგანიზაცია (ეკლესია-მონასტერი) ვალდებული იყო შემწირველისათვის სულის შესავედრებელი წირვა-ლოცვა და აღაპი გაეჩინა“ (ლომინაძე, 1949, 311). ეს მომენტიც, ისევე როგორც შეწირულობა განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. შემწირველისათვის მონასტერში შეიძლებოდა დაეწესებინათ როგორც მარტო სულის მოსახსენიებელი წირვა, ასევე შეიძლებოდა გამართულიყო აღაპიც (როდესაც შემწირველთა სულის მოსახსენიებლად და ცოდვათა შესანდობად იშლებოდა სუფრა მონასტრის კრებულისათვის ან მოსახლეობისათვის) — ყველაფერი კი დამოკიდებული იყო შეწირულობის მნიშვნელობაზე და ხასიათზე.

ჭელიშის მონასტერში აღაპის დაწესების უძველესი ფაქტი XI საუკუნით თარიღდება. დანიელ ხანბაშურის გაზრდილმა – მწირმა ნიკოლოზმა მონასტერს შესწირა მაცხოვრის ძვირფასი ხატი და სახარება, სამაგიეროდ კი გაიჩინა აღაპი ამაღლების წინა ოთხშაბათს და მისი გარდაცვალების დღეს. (ბოჭორიძე, 1994, 86).

შემწირველი ხშირად ეკლესია–მონასტერში თავის მწირველსაც ადგენდა, რომელსაც ევალებოდა მისთვის წირვა–ლოცვის დაყენება და აღაპის გამართვა. ჭელიშის მონასტერში ასეთი მწირველი XIV–XV საუკუნეებით დათარიღებულ ერთ–ერთ მინაწერში ჩანს. გოგნია გარაყანიძემ ჭელიშის მონასტერს შესწირა: „.....გოდელიაური ონს მამული გლეხეთურთ“ (ბოჭორიძე, 1994, 87-88) – სამაგიეროდ გაიჩინა წირვა–ლოცვა დიდმარხვას (აღდგომის წინა მარხვა) და „ერთი აღაპი“ – აღდგომას. მწირველი უნდა ყოფილიყო მისი მოძღვარი რაფაელ ბუაძე, ხოლო როდესაც იგი გარდაიცვლებოდა, ვისაც მისი ნაქონი „დარჩებოდა “ დიდმარხვაც იმას უნდა ეწირა და აღაპიც მისი ხელით გამართულიყო. (ბოჭორიძე, 1994, 87–88).

უფრო გვიან პერიოდში (XVIII საუკუნეში) აღაპის გაჩენის ფაქტი ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან ჭელიშის მონასტერში არ დასტურდება, სამაგიეროდ ხშირია სულის მოსახსენიებელი კერძო წირვის შეკვეთა. მაგალითად 1793 წელს და 1805 წელს მანუჩარ ყიფიანმა და მისმა მმამ კაცომ ჭელიშის მონასტერს შესწირეს გლეხები — ტოლასა და ხვანჭკარაში, სამაგიეროდ გაიჩინეს სულის მოსახსენიებელი წირვა: „...ესე წესდებულება ვყავით თანამოწამებითა მამისა და მონასტერსა შინა მყოფთა კრებულთა თანა რათა ყოველსა წელსა სულის წ–დის შაბათს მამის ჩემის ბერო ყიფიანის თავის წინამდღვარი ან ერთი მღვდელმონაზონი მსხვერპლს შესწირევდეს. ეგრეთვე დღესასწავლსა ფერისცვალებისასა და ტაძრად მიყვანებას წ–დის ხვთისმშობლისას, ჩვენთვის მსხვერპლსა შესწირევდეს.

წინამდგარო და მღვდელმონაზონო ამ დღეთა შინა ლოცვასა და კურთხევასა ყოფდეთ კრებულითურთ: ცოცხალს დაგვლოცევდეთ და მიცვალებულს მოგვიხენებდეთ.

მონასტრის ვალდებულება უფრო ნათლადაა გამოკვეთილი სიგელის ბოლოში სოფრონ ნიკორწმინდელის მტკიცებულებაში: „....მარხვასა შინა მარიამობისასა ერთის მღვდლისაგან დღე ყოველ ეწირვოდეს ყიფიანს მანუჩარს და ძმასა მისსა კაცოს, მათის მეუღლითურთ და დღეთა ფერისცვალებისასა მთლად კრებულმან უწიროს მათვე ვიდრემდის ცოცხალ იყვნენ სადღეგრძელოდ და სასინანულოდ და მერმე ცოდვის მისატევებელად და კვალად შაბათსა სულთაობისასა მთლად კრებულმან უწიროს ბეროს და მეუღლესა მისსა “ (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 28)—ანალოგიური სულის მოსახსენიებელი წირვებია დაწესებული მონასტერში თითქმის ყველა შემწირველისათვის.

* * * *

მე—XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლებამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მისი ქონების აღწერა მოახდინა. ეკლესია—მონასტრებს ჩამოერთვა მათი ყოფილი მიწა-წყალი და ყმა—გლეხები და 1871 წ. ხაზინას გადაეცა. საეკლესიო გლეხთა ბეგარა—ვალდებულებები ფულადი გადასახადებით შეიცვალა, რომელიც ხაზინაში შედიოდა, ხაზინიდან კი — ეკლესია—მონასტრები გარკვეულ თანხას ღებულობდა. 1819 და 1825 წლების კამერალურ აღწერათა მიხედვით ჭელიშის მონასტერი 10 სოფელში 17 კომლ გლეხს ფლობდა. (იხ. დანართი №9) მაგრამ აღსანიშნავია რომ ეს მონაცემები არ უნდა იყოს სრული და ეს ბუნებრივიცაა — ცხადია მონასტრის ყველა მიწა-წყალი არ გადაცემია ხაზინას და როგორც ვნახეთ მას გარკვეული მამულები მაინც დარჩა. მაგალითად— ზემომოყვანილ შეწირულობათაგან ვიცით რომ მონასტერი გარდა

კამერალურ აღწერილობაში დასახელებული სოფლებისა ყმა—მამულს ფლობდა:—აგარაში, კვირიკეწმინდაში, ონში და. ა. შ. ერთი ცნობის მიხედვით კი ხაზინის განკარგულებაში გადასულა ჭელიშის მონასტრის მიწა—წყალი შემდეგ სოფლებში: შხივანა, კრიხი, იწა, აბანოეთი, ჯვარისა, ქედისუბანი, ზნაკვა, ხვანჭკარა, ჩორჯო, პირველი ტოლა, მეორე ტოლა—სულ 97 კომლი. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 35).

ჭელიშის მონასტრისადმი, როგორც სენიორისადმი ყმა—გლეხების დამოკიდებულება განსხვავებულ ხასიათს ატარებდა, რაც დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა პირობით იყო ესა თუ ის გლეხი მონასტრისადმი შეწირული. უმრავლეს შემთხვევაში მათ ძველი ვალდებულებები უცვლელად მიჰყვებოდათ ახალ მეპატრონესტან. ეს მომენტი საკმაოდ კარგად არის დაფიქსირებული ჭელიშის მონასტრის წინამდვრის არქიმანდრიტ მაკარის წერილში, რომელსაც იგი გაბრიელ ეპისკოპოსს უგზავნის. მართალია აქ საუბარია მხოლოდ ექვს კომლზე, მაგრამ აღნიშნული სურათი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზოგადი ვითარებისათვისც: „....ჭელიშის მონასტერი ფლობდა ყმებთა.....გვარად: ტყეშელაშვილებს, თედორაშვილს, და ხვედელიანებს იმ უფლებითა, რა უფლებითაც ფლობდენ ქუთაისის ლუბერნიის მებატონენი თავის ყმებს, ესე იგი მონასტერს აძლევდნენ აღნიშნულნი ყმებნი იმ ბეგარას, რაც მართებიათ მათ ყოფილის მათის მებატონების, რომელთაც შამოუწირავს იგინი მონასტრისათვის და გარდა ბეგრისა მონასტერს გამოყავდა თვითეულის მოსახლისაგან შინაყმა მებატონურის უფლებით “. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 24) —ამრიგად როგორც გხედავთ ჭელიშის მონასტრის წინაშე მის ყმა—გლეხებს ორგვარი ვალდებულება პქონდათ დაკისრებული: იხდიდნენ ბეგარას ნატურალური პროდუქტის სახით და ასრულებდნენ მსახურის მოვალეობას.

ბეგარაში ძირითადად შედიოდა: ხორბალი, ღვინო და საკლავი. მისი ოდენობა სხვადასხვა კომლისათვის განსხვავებული იყო, მაგალითად: ხვანჭკარაში მცხოვრები ტყეშელაშვილები (გიორგი, კიკოლა, სიმონი და ბექანი) ყოველ წელიწადს მონასტრის სასარგებლოდ იხდიდნენ: სამ კოდ ხორბალს, რვა კოკა ღვინოს და თითო ცხვარს. ტოლაში მცხოვრები ივანე თედორაშვილი ყოველ წელიწადს იხდიდა 16 კოკა ღვინოს, ყოველ მეორე წელიწადს 4 კოდ ხორბალს და ერთ ცხვარს. ჯვარისაში მცხოვრები ივანე ტყეშელაშვილი კი საერთოდ განთავისუფლებული იყო ყოველგვარი ნატურალური გადასახადისაგან, ვინაიდან იგი მონასტრის სასარგებლოდ ხელოსნურ ვალდებულებას ასრულებდა. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 14436, 15).

1883 წლის მონაცემებით ჭელიშის მონასტერი ფლობდა შემდეგი სახის მიწა—წყალს: (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27355; ს. ც. ს. ა. ფ. № 1448, საბ. № 6723, ფურც. 3)

ვენახი:

სოფელი	ადგილის სახელწოდება	ფართობი (საუენი)
ბუგეული	ზვარი	4959
იწა	რცხილი	552

სახნავი მიწა:

სოფელი	ადგილის სახელწოდება
იწა	პარტახი ნასაკირევი ჭუმბაური თათრიული

ტყვ: — ჭელიშის გვერდი — 500 ქცევა

სათიბი: — წმინდა გიორგის მთის მახლობლად მდებარე ადგილი „საქიანა“ — 30 ქცევა.

როგორც ცნობილია 1872 წელს გაუქმდა სხვავის მონასტერი, მისი ქონების მართვა კი ჭელიშის მონასტრის წინამდღვარს დაევალა. სხვავის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი გვიანფეოდალურ ხანის რაჭაში ყველაზე მეტ მიწა-წყალს ფლობდა. ამიერიდან ამ ტერიტორიების ნაწილი (რომელიც ხაზინას არ გადაეცა), ჭელიშის მონასტრის განკარგულებაში გადავიდა.

აღნიშნული მამულების აბსოლუტური უმრავლესობა მონასტერს გაცემული პქონდა იჯარით. საიჯარო პირობა განსხვავებული ხასიათის იყო. მოიჯარადრეს მონასტრისათვის შეიძლებოდა გადაეხადა როგორც ფული ასევე ნატურალური პროდუქცია. მაგალითად სოფელ ბუგეულში მცხოვრებ ივანე გოცირიძეს 5 წლიანი კონტრაქტით აღებული პქონდა მონასტრის ვენახი იმ პირობით რომ ჭელიშის კრებულს ყოველ წელიწადს მისცემდა მოსავლის ნახევარს. სოფელ იწაში მცოვრებ ივანე ხვედელიანს იჯარით აღებული პქონდა მიწა, კონტრაქტის მიხედვით მონასტრისათვის უნდა მიეცა წელიწადში 5 მანეთი (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27355, 13-18).

მონასტრის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მევენახეობას, მაგალითად სოფელ იწაში მონასტერს პქონდა ვენახი საიდანაც 30 ჩაფი დვინო შემოდიოდა. (ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბ. № 6723). სხვავის მონასტრის მიწა-წყლის გადაცემის შემდეგ ჭელიშის მონასტერი ვენახებს ფლობდა შემდეგ სოფლებში :იწა, ბუგეული, სხვავა, კრიხი, ხიმში, ჩორჯო. მონასტერს სხვადასხვა სოფლებში აშენებული პქონდა საკუთარი მარნები, სადაც საკმაოდ ძვირადღირებული საწნახლები იდგა. მაგალითად სოფელ ხიმში ჭელიშის მონასტერს პქონია მარანი, რომელშიც სამი საწნახლი იდგა,

თითოში კი დაახლოებით 80 ფუთი დვინო ეტეოდა. ასეთივე მოცულობის საწნახლები ჰქონიათ მათ სოფელ ბუგეულშიც. თითო საწნახელის ფასი დაახლოებით 500 მანეთი ყოფილა. (ქ. ც. ა, ფ. № 21, ს. № 27256)

ამრიგად როგორც ვხედავთ ჭელიშის მონასტერი საკმაოდ მდიდარ საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა, სადაც ისეთივე სახის სოციალური ურთიერთობები იყო გაბატონებული, როგორც საქართველოს დანარჩენ ეპლესია-მონასტრებში.

§ 4. ჭელიშის მონასტრის ქონება და ნივთ—სამკაული

ჭელიშის მონასტერი ძველთაგანვე მდიდარი და გამორჩეული იყო თავისი ქონებით (ხელნაწერი წიგნებით, ხატებით, სხვადასხვა საეკლესიო ნივთ—სამკაულით და. ა. შ.) მოგვეპოვება ცნობა რომ XI საუკუნეში ნიკოლოზ მწირმა მონასტერს შესწირა ძვირფასი თვლებით და მინანქრით მოჭედილი მაცხოვრის ხატი, რომელშიც ძელი ჭეშმარიტის ნაწილი იყო ჩაბრძანებული. მასვე შეუწირავს პატიოსანი ქვებით მორთული სახარება. (ბოჭორიძე, 1994, 86).

მე—XVII საუკუნეში ჭელიშის მონასტერი გელათის მონასტრის განძთსაცავი უნდა ყოფილიყო. საერთოდ რაჭა შუა საუკუნეებში ქრისტიანული სიწმიდეების ერთ—ერთი სახიზარი იყო, ჭელიში კი მისი მიუვალობის გამო ამ მხრივ გამორჩეულ ადგილს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ აქ 30—მდე ძვირფასი ხელნაწერი აღმოაჩინა. XX საუკუნის დასაწყისში მონასტერი მოინახულეს ექვთიმე თაყაიშვილმა (1919 წელი) და გიორგი ბოჭორიძემ (20—იანი წლები). მათ დეტალურად აღწერეს ჭელიშის ეკლესიაში დაცული ნივთები. სამწუხაროდ მათ დროს უკვე ბევრი რამ განადგურებული იყო. ჯერ კიდევ ამბროსი ხელაია შენიშნავდა გულისტკივილით რომ განსხვავებით ნიკორწმინდის ტაძრიდან: „...რომელიც დაუთვალიერებიათ და აღუწერიათ ბროსეს (1848 წელი) ბაქრაძეს და კონდაკოვს (1889 წელი) და ბოლოს გრაფინია უვაროვისას...არც ერთ ამ მკვლევარ—არხეოლოგთაგანს სამწუხაროთ არ მოუსურვებია ასთე ახლო მდებარე ჭელიშის უდაბნოს დათვალიერება და არხეოლოგიური გამოკვლევაო. (ამბროსი არხიმანდრიტი, 1915, №2, 11). დრო და ადამიანთა დაუდევრობა კი თანდათან ანადგურებდა მონასტრის ძვირფას ნივთებს. იგივე არქიმანდრიტ ამბროსის 1902 წელს ჭელიშის დასათვალიერებლად მისული სოსიკო მერკვილაძისათვის უთქვამს: „...მონასტერს ზოგი

ფრიად ძვირფასი ხელნაწერები აქვს შესანიშნავის ზედ წარწერებით, მაგრამ დაეხიათ ზოგი მათგანი ვიღაც უვიცებსო და წყლის ჭურჭლის თავ დასაცობად თურმე ხმარობდნენო”. (მერკვილაძე, ივერია, 1902, №203). ასეთ ვითარებაში დიდ დახმარებას გვიწევს მე-XIX საუკუნეში შედგენილი ჭელიშის მონასტრის ქონების აღწერილობის ნუსხები. აღნიშნული სიები დგებოდა მონასტერში ახალი წინამდვრის განწესებისას. ჩვენ ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მუშაობისას მოვიძიეთ ჭელიშის მონასტრის ქონების აღწერის — 1846, 1853, 1854, 1860, 1867 წლების (იხ. დანართი №3) და 1919 წლების ნუსხები. (დანართი №4) (აქედან 1919 წლის ნუსხა არასრულია და მხოლოდ ნაწყვეტია შემორჩენილი). მათი ზედაპირული შედარებაც კი ექვთიმე თაყაიშვილის და გიორგი ბოჭორიძის აღწერილობებთან ნათლად აჩვენებს თუ რამდენი რამაა დაგარგული მონასტრის ქონებიდან დროის ამ მონაკვეთში.

ზემოაღნიშნულ ნუსხებში აღწერილი ნივთებიდან გვინდა შევეხოთ რამდენიმე მათგანს:

ჭელიშის 1919 წლის საინვენტარო ნუსხაში(№10 დასახელებული მონასტრის მთავარი ხატი (ტაძრის ხატი) (იხ. დანართი №4) უნდა იყოს ექვთიმე თაყაიშვილის და გიორგი ბოჭორიძის მიერ ჭელიშის სიძველებში პირველ ნომრად აღნუსხული ღვთისმშობლის ჩვილედი ხატი. ექვთიმე თაყაიშვილი მას შემდეგნაირად ახასიათებს: „ჩვილედი ხატი ღვთისმშობლისა, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, ზომით 37X32,5 სმ. ქართული ხელობისაა. აქვს ხუცური წარწერა ყ-დ წ-ა ი-ვ ჭ-ე. ღვთისმშობლის და ქრისტეს შარავანდედები და აგრეთვე ფონი და აშიები შემკობილია დაზის ხლართულების მსგავსად. აშიებზე წმინდანთა მედალიონებისა თითოზე სამ-სამი, სულ ყველას უჭირავთ ეტრატები უწარწერო. ესენი წინასწარმეტყველები უნდა იყვნენ. ხელობის მიხედვით ხატი უნდა ეკუთვნოდეს XVI-XVII სს.”

(თაყაიშვილი, 1963, 73). გიორგი ბოჭორიძეს ხატი დაზიანებული დახვედრია, ზურგის ფიცარი მოცილებული, აშიები კი-აყრილი ჰქონია და ცალკე ინახებოდა. (ბოჭორიძე, 1994, 89). ამჟამად ხატი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

როგორც აღვნიშნეთ ჭელიშის მონასტრის ნივთებიდან ბევრი მათგანი ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ბოჭორიძის მოგზაურობის დროს დაკარგული იყო და მათ შესახებ მხოლოდ XIX საუკუნის აღწერილობებიდან ვგვთქვლობთ. ასე მაგალითად: მათ მონასტერში აღარ დახვდათ ზემოდასახელებულ ნუსხებში (დანართი №3)–29–ე ნომრად აღწერილი–დვთისმშობლის თუნუქით მოჭედილი ხატი, მირქმის ძველი, არშიაშემოვლებული ხატი (№30), სამების ხატი (№31), ნათლისმცემლის ხატი (№32), ტილოზე ნახატი დვთისმშობლის ხატი (№33), სხვაგიდან გადმოტანილი ვერცხლით მოჭედილი ჯვარცმის ხატი (№19) და 37 ხეზე დახატული სხვადასხვა ხატები (№20).

დასკვნები

ამრიგად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას—რაჭაში უაღრესად მდიდარი ტრადიციები გააჩნია. მოციქულთა შესახებ არსებული სხვადასხვა ისტორიული წყაროების ანალიზისა და საქართველოში მათი მოღვაწეობის მასშტაბების გათვალისწინების შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია ქრისტიანობის საწყისი ამ კუთხეში მათი მოღვაწეობის ხანას დავუკავშიროთ. დისერტაციაში ასევე გაზიარებული გვაქვს გ. ბოჭორიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული სარწმუნოება რაჭაში აღმოსავლეთ საქართველოდან არის შესული და მაშასადამე აქაც, მისი სახელმწიფო რელიგიად ჩამოყალიბება, ქართლის თანადროულად IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ერთ—ერთ მთავარ არგუმენტად ამ მხრივ მიჩნეულია რაჭის სოფელ ჯოისუბანში „მცხეთის წმინდა გიორგის“ ეკლესიის სახელწოდების არსებობა. რაც შეეხება რაჭის ეკლესიის ეპარქიული დაქვემდებარების საკითხს ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ჩვენ ქართული და ბერძნული წყაროების, ასევე სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების განხილვის შედეგად გამოვთქმით ვარაუდი რომ იგი მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შეიძლებოდა ყოფილიყო.

რაჭის საეპლესიო ცხოვრების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ნიკორწმინდის ეპარქიის დაარსებამ. თამამად შეიძლება ითქვას რომ გვიან შუა საუკუნეებში რაჭაში საეპლესიო—სამონასტრო ცხოვრების აღორძინება—ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებით დაიწყო. აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სახელთან და განპირობებული იყო იმერეთის სამეფოში შექმნილი საეპლესიო და პოლიტიკური სიტუაციით. იმერეთის მეფეს აქ საეპისკოპოსოს დაარსებით სურდა გაეძლიერებინა რაჭის საეპლესიო ცხოვრება, რაც ხელს შეუწყობდა როგორც რეგიონის სულიერ—ზნეობრივი ცხოვრების აღორძინებას, ასევე

გაძლიერებული ეკლესიის დახმარებით ურჩი საერო ფეოდალების შპეთ მოთოკვას.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღთან დაკავშირებით დღეს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მკვლევარებისა: თვლის რომ ნიკორწმინდაში საეკლესიო კათედრა 1534 წელს დაარსდა. მეორე ნაწილი კი—1544 წელს უჭერს მხარს. მკვლევართა ორივე ნაწილისათვის ამ შემთხვევაში ამოსავალს წარმოადგენს ბაგრატ III-ის ნიკორწმინდის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელი, რომელიც შემდეგნაირადაა დათარიღებული: „...დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქორონიკონსა სკიბ, თვესა აგვისტოსა თ, ხელითა გიორგი აბაშიძისათა” (დოლიძე, 1967, 654). ჩვენ აღნიშნული მონაცემების შედარებამ ბაგრატ III-ის სხვა სიგელების ქორონიკონებთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე რომ ამ სიგელის გაცემა და მაშასადამე კათედრის დაარსებაც 1544 წელს მომხდარი ფაქტია.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს როლისა და მნიშვნელობის სრულყოფილად გათვალისწინებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიკორწმინდელი მდგდელმთავრების ქრონოლოგიური რიგის მეცნიერულ შესწავლას. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მეტისმეტი სიმცირის პირობებიდან გამომდინარე მხოლოდ თორმეტი ნიკორწმინდელი მდგდელმთავრის ვინაობის დადგენა მოხერხდა. შეიძლება ითქვას რომ თითვეული მათგანი თავის დროის საკმაოდ ენერგიული და მუხლჩაუხრელი მოღვაწე იყო და ის ფაქტი რომ არაერთმა ეკლესია—მონასტერმა ჩვენამდე შედარებით კარგ ფორმაში მოაღწია ბევრწილად მათი დიდი მხრუნველობით იყო განპირობებული.

კვლევამ აჩვენა რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობა გააჩნდა, მაგალითად: 1819 წლის მონაცემების მიხედვით ეპარქია 14 სოფელში 151 კომლ გლეხს

ფლობდა. (ქ.ც.ა. ფ.№ 21, ს. №1139). ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ყმათმფლობელობასა და მიწათმფლობელობაში ძირითადი ადგილი შეწირულ ქონებას ეკავა. შეწირულობაში კი განსაკუთრებით დიდი წილი სამეფო კარს ეკუთვნოდა, რაც შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ეს იყო ქართული სამეფო ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკა. ამ უკანასკნელს კარგად ესმოდა რომ თუ კი ეკლესიას გააძლიერებდა ეს ცენტრალური ხელისუფლების და ზოგადად ქვეყნის სიმტკიცის გარანტია იქნებოდა. მიწათმფლობელობის და ყმათმფლობელობის ფორმები ნიკორწმინდის ეპარქიაში ზოგადად ისეთი იყო როგორც საქართველოს ეკლესიის სხვა ერთეულებში.

რაჭაში ადრიდანვე დაწინაურებული ჩანს სამონასტრო ცხოვრება. აქ სხვადსახვა საუკუნეში არაერთი მონასტერი ფუნქციონირებდა, რომელთა შორის გამორჩეულად საპატიო ადგილი უჭირავს ჭელიშის (უდაბნოს) ღვთისმშობლის მიძინების მონასტერს. მისი პირველი მოხსენიება წყაროებში XI საუკუნეს განეკუთვნება, თუმცა ბერ—მონაზვნური ცხოვრების დაწყება აქ გაცილებით ადრე ივარაუდება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თვით მონასტრის სახელწოდებაში „უდაბნოს“ არსებობა, რაც იმის დასტურია რომ აქ თავდაპირველად მეუდაბნოე მამები მოღვაწეობდნენ და შემდეგ აღმოცენდა მონასტერი. ბერმონაზვნური ცხოვრების ასეთი წესის დამკვიდრება კი როგორც ცნობილია ქართლში VI საუკუნეში ასურელი მეუდაბნოების მოსვლას უკავშირდება. თუ აქვე იმ მოსაზრებასაც გავიზიარებთ რომ ადრეულ ეპოქაში რაჭა პოლიტიკურად და ეკლესიურად ქართლის სამეფოში ივარაუდება შეიძლებოდა ჭელიშშიც ბერ—მონაზვნური ცხოვრების აღმოცენება ამ ეპოქასთან დაგვეკავშირებინა. აღნიშნული მოსაზრების მოწმობას უნდა წარმოადგენდეს ისიც რომ აქ ყველაზე ადრინდელად კლდეში გამოკვაბულები და „სადაყუდებულოა“ მიჩნეული.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭელიშის უდაბნოს მთელი რაჭის საეკლესიო ცხოვრებისათვის XIX საუკუნეშიც, როდესაც იგი ამ კუთხიში ერთადერთ მონასტერს წარმოადგენდა. მაშინ როდესაც რუსიფიკაციის გაუკუდმართებული პოლიტიკის შედეგად, რუსულ ენაზე სწავლა მინაღებ სამდგდელოებას უჭირდა ქართულად წირვა-ლოცვის დაყენება, ჭელიშის მონასტერი ერთ-ერთ იმ ოაზისთაგანს წარმოადგენდა სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მშობლიურ ენაზე სასულიერო განათლების მიღება. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირების ბიოგრაფიებში შემდეგი შინაარსის მონაცემების არსებობა: „რუსულად უსწავლია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ქართულად ჭელიშის მონასტერში” – აღნიშნული შემთხვევები კი საკმაოდ მრავალრიცხვანი იყო და ისინი ამ მხრივ ნათლად მეტყველებენ მონასტრის მნიშვნელობაზე.

მონასტრის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა წინამდგარს. ჭელიშის მონასტრის წინამდგრთა შესახებ ცნობები მხოლოდ მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან მოგვეპოვება. სამწუხაროდ ამ პერიოდის წინამდგრების შესახებ ჩვენი ცოდნა მეტად ნაკლებია. მათზე მხოლოდ ცალკეული სიგელ-გუჯრებიდან ვგებულობთ. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან სიტუაცია რადიკალურად იცვლება. რუსეთის იმპერიის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ დაიწყეს საეკლესიო მოღვაწეთა–ნამსახურეობითი სიების შედგენა, სადაც მათი დაწვრილებითი ბიოგრაფია იყო მოცემული, ამიტომ ამ პერიოდიდან ჭელიშის მონასტრის წინამდგართა შესახებ გაცილებით სრული ინფორმაცია მოგვეპოვება. ნაშრომში მეტ–ნაკლები სისრულით 18 წინამდგრის ბიოგრაფია შესწავლილი. ყველა მათგანი გამოირჩეოდა ენერგიულობით და მონასტერზე განსაკუთრებული მზრუნველობით. საერთოდ ჭელიშის მონასტრის წინამდგრებს (მასში

მოღვაწე ბერებთან ერთად) უდიდესი დამსახურება მიუძღვოდა იმაში რომ მიუხედავად ყოველმხრივ არასახარბიელო სიტუაციისა, მონასტერი 1923 წლამდე ფუნქციონირებდა.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ჭელიშის მონასტერს მდიდარი მეურნეობა გააჩნდა. ფეოდალურ ეპოქაში ეკლესია-მონასტრები ყმა-მამულს ძირითადად ორი გზით იძენდნენ — ეს იყო შეწირულობა და ნაყიდი ან მონაგები ქონება. ამასთან განსაკუთრებით დიდი წილი შეწირულ ქონებაზე მოდიოდა.

ჭელიშის მონასტრისადმი, როგორც სენიორისადმი ყმა-გლეხების დამოკიდებულება განსხვავებულ ხასიათს ატარებდა, რაც დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა პირობით იყო ესა თუ ის გლეხი მონასტრისადმი შეწირული. უმრავლეს შემთხვევაში მათ ძველი ვალდებულებები უცვლელად მიჰყვებოდათ ახალ მეპატრონებთან. ჭელიშის მონასტრის წინაშე მის ყმა-გლეხებს ორგვარი ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული: იხდიდნენ ბეგარას ნატურალური პროდუქტის სახით და ასრულებდნენ მსახურის მოვალეობას.

ბეგარაში ძირითადად შედიოდა: ხორბალი, ღვინო და საკლავი. მისი ოდენობა სხვადასხვა კომლისათვის განსხვავებული იყო.

მონასტრის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მევენახეობას. სხვავის მონასტრის მიწა-წყლის გადაცემის შემდეგ ჭელიშის მონასტერი ვენახებს ფლობდა შემდეგ სოფლებში: იწა, ბუგეული, სხვავა, კრიხი, ხიმში, ჩორჯო.

ამრიგად, ჭელიშის მონასტერი საკმაოდ მდიდარ საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა, სადაც ისეთივე სახის სოციალური ურთიერთობები იყო გაბატონებული, როგორც საქართველოს დანარჩენ ეკლესია-მონასტრებში.

ჭელიშის მონასტერი ასევე ძველთაგანვე მდიდარი და გამორჩეული იყო თავისი ქონებით (ხელნაწერი წიგნებით, ხატებით,

სხვადასხვა საეკლესიო ნივთ—სამკაულით და. ა. შ.). სამწუხაროდ მე—XX საუკუნეში როდესაც აქ იმოგზაურეს ე. თაყაიშვილმა და გ. ბოჭორიძემ ბევრი რამ მონასტრის ქონებიდან მათ ადგილზე აღარ დახვდათ. ასეთ ვითარებაში დიდ დახმარებას გვიწევს მე—XIX საუკუნეში შედგენილი ჭელიშის მონასტრის ქონების აღწერილობის ნუსხები. აღნიშნული სიები დგებოდა მონასტერში ახალი წინამდღვრის განწესებისას. ჩვენ ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მუშაობისას მოვიძიეთ ჭელიშის მონასტრის ქონების აღწერის —1846, 1853, 1854, 1860, 1867 წლების (იხ. დანართი №3) და 1919 წლების ნუსხები. (დანართი №4) (აქედან 1919 წლის ნუსხა არასრულია და მხოლოდ ნაწყვეტია შემორჩენილი). მათი ზედაპირული შედარებაც კი ექვთიმე თაყაიშვილის და გიორგი ბოჭორიძის აღწერილობებთან ნათლად აჩვენებს თუ რამდენი რამაა დაკარგული მონასტრის ქონებიდან დროის ამ მონაკვეთში.

ამრიგად საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ როგორც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ასევე ჭელიშის მონასტერიც რაჭის (და სრულიად საქართველოს) დაწინაურებულ საეკლესიო სენიორიებს წარმოადგენდნენ და მათ თავიანთი საპატიო როლი შეასრულეს ქართული საეკლესიო ცხოვრების ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (ქვემოთ
მივუთითებთ შემოკლებით—ს.ც.ს.ა.)

1. ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბუთი №2226
2. ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბუთი №5155
3. ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბუთი №5157
4. ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბუთი №6800
5. ს.ც.ს.ა. ფ. № 1448, საბუთი №6723
6. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №558
7. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №559.
8. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №564.
9. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №565.
10. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №566.
11. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №567.
12. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №570.
13. ს.ც.ს.ა. ფ. № 1451, დავთარი 16, საბუთი №572.

ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 21 (ქვემოთ
მივუთითებთ შემოკლებით—ქ.ც.ა. ფ. №21)

14. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 52
15. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 475
16. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 1139
17. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 1689
18. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 1845
19. ქ.ც.ა. ფ. № 21, ს. 1945

20. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 2163
 21. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3147
 22. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3330
 23. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3651
 24. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3765
 25. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3856
 26. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 3898
 27. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 4947
 28. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 4949
 29. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 4974
 30. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 5157
 31. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 5441
 32. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 5640
 33. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 6025
 34. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 6359
 35. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 7677
 36. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 8059
 37. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 8170
 38. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 8321
 39. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 9310
 40. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 9437
 41. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 10399
 42. ქ.ც.ა. ვ. №21, ს. 10502
 43. ქ.ც.ს. ვ. №21, ს. 10576
 44. ქ.ც.ს. ვ. №21, ს. 10848
 45. ქ.ც.ს. ვ. №21, ს. 11467
 46. ქ.ც.ს. ვ. №21, ს. 12124
 47. ქ.ც.ს. ვ. №21, ს. 12128

48. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 13832/80
 49. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 14046
 50. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 14436
 51. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 16169
 52. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 17278
 53. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 17805
 54. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 18630
 55. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 24547
 56. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 26051
 57. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 26184
 58. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 26196
 59. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 27212
 60. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 27256
 61. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 27355
 62. ქ.ც.ა. ფ. №21, ს. 28081

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი,
 (ქვემოთ ვუთითებთ შემოკლებით – ქ.ი.მ.)

